K 253.743
3

[illegible] გამაერც. საზოგადოების გამოცემა. № 205

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ. უზნაძე

ძველი ისტორია

სისტემატიური კურსი

წ. II

რომის ისტორია.

მეორე შევსებული, შესწორებული და დასურათებული გამოცემა

ტფილისი.
სტამბა ბარ. კილაძისა, ამერიკის ქ. № 3.
1920

წერა-კითხვის გამაერც. საზოგადოების გამოცემა. № 205

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ. უზნაძე

ძველი ისტორია

სისტემატიური კურსი

წ. II

რომის ისტორია.

მეორე შევსებული, შესწორებული და დასურ: ებული გამოცემა.

ტფილისი.
სტამბა ბარ. კილაძისა. ამერიკის ქ. № 3.
1920

ეროვნული
ბიბლიოთეკა

K 253.743
3

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

წინასიტყვაობა

ჩემი „რომის ისტორიის“ მეორე გამოცემა საკმაოდ განირჩევა პირველისაგან (რომელიც დაახლოვებით ამ ერთი წლის წინად გამოვიდა) არა მარტო გარეგნულად (პირველი გამოცემა ილუსტრაციებს სრულებით არ შეიცავდა), არამედ შინაარსის მხრივაც. ცვლილებები განსაკუთრებით შემდეგ ნაწილებს შეეხო: იტალიის მოსახლეობა, რომაელთა სარწმუნოება, რომის ძველი წყობილება, რომის რესპუბლიკის პირველი ხანების საგარეო პოლიტიკა (რომელიც სიცხადისათვის თავდაცვითი და შეტევითი ომების ხანად გაიყო), დემოკრატიული წესწყობილება (პირველი გამოცემის მცირე შენიშვნიდან იგი მთელს თავად გადაიქცა), რევოლუციის ხანის დასაწყისი (შინაგანი პირობები, როგორც შედეგი მსოფლიო მონარქიის დამკვიდრებისა), მარიუს-სულას ხანა (მეორე გამოცემაში მე შეეცადე, ამ ხანის საშინაო ცხოვრება ცალკე დამეხასიათებია და საგარეო—ცალკე, მაგრამ ისე, რომ რომის იმდროინდელი ცხოვრების ბუნება, როგორც სინთეზი ორივე ამ მიმდინარეობისა, ჩრდილში არ დარჩენილიყო); ტრიუმვირატების ხანა გარდამავალ ხანად იქნა გამოყოფილი. მკითხველი დაინახავს, რომ „რომის ისტორიის“ შედგენის დროს მე სანიმუშოდ არც ერთს სახელმძღვანელოს არ მივსდევდი. მე ხელთ მქონდა სახელმძღვანელოდ, ერთის მხრივ, საუკეთესო გამოკვლევები ამ დარგში, ხოლო მეორეს მხრივ—ის პირადი მუშაობა, რომელსაც თავის დროზე ისეთი სპეციალისტების ხელმძღვანელობით ვაწარმოებდი, როგორნიც იყვნენ პროფ. **ნიზე** და **ვილკენი**. სხვათა შორის მინდა აღვნიშნო, რომ ე. წ. ლიცინიუსის კანონები ჩემს სახელმძღვანელოში თავისებურად არის გაშუქებული. ამ შემთხვევაში ლივიუსზე

უკეთეს წყაროდ დიოდორი უნდა ჩაითვალოს, როგორც ამას **ედ. მეიერი** (Rhein. Mus. XXXVII) და **ნიზე** (Hermes, XXIII) ამტკიცებენ. ჩემს სახელმძღვანელოში ზოგი ისეთი ცნობებიცაა მოყვანილი, რომ შეიძლება საშუალო სკოლაში ყველა მათი შესწავლა საჭირო არ აღმოჩნდეს. მაგრამ მე ვფიქრობ, რომ ჩვენს პირობებში, როდესაც საკითხავი წიგნები ჯერ კიდევ თითქმის სრულიად არ მოგვეპოება, ეს გარემოება შეუძლებელია ნაკლად ჩაითვალოს. ასეთ შემთხვევაში მასწავლებელს ადვილად შეუძლია, წიგნში შესაფერი შემოკლება შეიტანოს.

ავტორი

ტფილისი, 1920, 7/VII

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომის ისტორია

ალექსანდრე მაკედონელის მსოფლიო მონარქია. მეოთხე საუკუნეში ქრისტეს დაბადებამდი საბერძნეთის კულტურის განვითარება უმაღლეს დონეზე იდგა. მაგრამ სახელმწიფოებრივად საბერძნეთი სუსტი იყო და მას ძალა არ შესწევდა, მთელი იმდროინდელი მსოფლიო თავისი გავლენის ქვეშ მოექცია. ამისთვის საჭირო იყო ჯერ თვითონ საბერძნეთის გაერთიანება და შემდეგ დანარჩენი ქვეყნების ერთს სახელმწიფოებრივ ფარგალში მოქცევა. ამ ისტორიული მიზნის განხორციელება ალექსანდრე მაკედონელს ხვდა წილად. სულ რამდენიმე წლის განმავლობაში მან მთელი აღმოსავლეთი დაიპყრო და საბერძნეთის კულტურულ გავლენას ფართო გზა გაუხსნა. მაგრამ დასავლეთი მაინც მისი გავლენის წრის გარეშე დარჩა. აქ ჯერ კიდევ უკულტურო ერები ბინადრობდენ, რომელთათვისაც სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი შეგნება უცხო იყო.

მეშვიდე საუკუნიდან დაწყებული აქაც გაჩნდა ახალი კერა კულტურული აღორძინებისა, რომელსაც ისტორიულად დასავლეთი ევროპის ხალხებისა და შემდეგ მთელი იმდროინდელი კაცობრიობის კულტურული გაერთიანების ვალდებულება დაეკისრა. ეს ახალი კერა აპენინის ნახევარ-კუნძულის ერთ-ერთი ქალაქი, **რომი** იყო; იგი მალე მთელს მსოფლიოს მოექცა სათავეში და რომის სახელმწიფოს სახით თითქმის მთელი დასავლეთი და აღმოსავლეთი გააერთიანა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

I

ძველი იტალია, მისი მოსახლეობა და სარწმუნოება.

გეოგრაფიული მდებარეობა. ბალკანების დასავლეთით შორს, ზღვაში, შეჭრილია აპენინის ნახევარ-კუნძული. მისი აღმოსავლეთი საზღვარი **ადრიატიკის ზღვაა**, სამხრეთი—**იონიისა** და დასავლეთი—**ტირენის ზღვა**. ხოლო ჩრდილოეთით იგი კონტინენტს მდინარე **პადუსის** ველით უერთდება და **ალპის მთებამდი** გრძელდება, ასე რომ მის ჩრდილოეთ საზღვრად ეს ალპის მთები უნდა ჩაითვალოს. დღეს მთელს ამ მიდამოს **იტალია** ეწოდება; წინად იგი ორ ნაწილად იყო გაყოფილი: თვით ნახევარ კუნძულს იტალია ეწოდებოდა, ხოლო კონტინენტალურ ნაწილს (მდ. პადუსის ველს) **აქეთა მხრის გალია** ანუ **გალია ციზალპინა**.

ბალკანების ნახევარ-კუნძული აღმოსავლეთისაკენაა მიბრუნებული, ხოლო დასავლეთი ნაწილი კარჩაკეტილია და თითქმის მთელ მსოფლიოს მოწყვეტილია. ამიტომ ბალკანეთს თითქოს თვით ბუნებისაგან ჰქონდა დაკისრებული აღმოსავლეთით კულტურის მიღება, მისი გადამუშავება და უმთავრესად იმავე მიმართულებით გავრცელება.

სულ სხვაგვარია იტალია. იგი აპენინის მთაგრეხილით ორს ნაწილად, აღმოსავლეთსა და დასავლეთ ნაწილად იყოფა. აღმოსავლეთის ნაპირი სწორხაზოვანია და ამიტომ მიმოსვლისათვის გამოუსადეგარი, ხოლო დასავლეთი თავისი უსწორმასწორო ზღვისკიდურით და მრავალი ნავთსადგურით აღმოსავლეთ საბერძნეთს მოგვაგონებს. ამგვარად, მისვლა-მოსვლისთვის სწორედ ეს ნაწილია განსაკუთრებით ხელსაყრელი. ასე რომ თუ საბერძნეთს პირი აღმოსავლეთისკენ ჰქონდა მიბრუნებული, იტალია დასავლეთის ქვეყნებისაკენ იცქირებოდა. მაგრამ დასავლეთით უკულტურო ქვეყნები იყვნენ, და ამ მიმართულებით იტალიიდან თუ გავიდოდა რამე, თორემ შემოსვლით ვერაფერი შემოვიდოდა. სა-

მაგიერად აღმოსავლეთით იტალიის სამხრეთი იყო კარგახსნილი. აქაური ნავთსადგურები და ზღვაში კიდევ კუნძულები მას საბერძნეთს უახლოვებდენ. ამიტომ საბერძნეთის კულტურის კარად სწორედ ეს ნაწილი უნდა ჩაითვალოს.

ამგვარად, იტალია თითქოს თვით ბუნებრივი აგებულების მხრივ იყო მოწოდებული, აღმოსავლეთით საბერძნეთის კულტურა მიეღო და დასავლეთით იგი მთელი იქეთ მდებარე ევროპისათვის გადაეცა. იგი ნამდვილი შუამავალი იყო დასავლეთსა და საბერძნეთს შორის, და, მართლაც, მისი უმთავრესი დანიშნულება და მნიშვნელობა ამ შუამავლობაში გამოიხატებოდა.

იტალიის ნაწილები. თვით იტალია, ისე როგორც საბერძნეთიც, სამს ნაწილად იყო გაყოფილი: 1. **ჩრდილო იტალიას** ანუ აქეთა მხრის გალიას მდინარე პადუსის აუზი ეჭირა და ნოყიერ ველს წარმოადგენდა, რომელსაც პადუსი და მისი მრავალი შენაკადი რწყავდა.

2. **საშვალო იტალიაში**, სადაც განსაკუთრებით ორ მდინარეს, არნოსა და ტიბროს ჰქონდა მნიშვნელობა, მრავალი ნაწილი იყო. მაგრამ მათ შორის განსაკუთრებით **ეტრურია, ლაციუმი, კამპანია** და **სამნიუმი** უნდა აღინიშნონ.

3. **სამხრეთი იტალია** ბერძენთა ახალშენებით იყო მოფენილი და ძველად მას **დიდ საბერძნეთს** (magna Graecia) უწოდებდენ.

იტალიის მოსახლეობა. თავისი მდებარეობით, ჰავითა და ნიადაგის ნოყიერებით იტალია კარგს მდგომარეობაში იმყოფებოდა: ცხელი და ზომიერი სარტყლის ეპირატესობანი, თვისებები მთებისა და ბარისა—ყველაფერი ეს იტალიის სიმდიდრეს შეადგენდა. თავისი პურით და საქონლით, თავისი ღვინითა და ხილით იტალია ყოველთვის სახელგანთქმული იყო მთელს საბერძნეთში. მეორეს მხრივ ზღვის სიახლოვე და მდიდარი ტყეები საუკეთესო პირობებს ჰქმნიდენ იქ ზღვაოსნობის განვითარებისა და სხვა ქვეყნებთან დაახლოვებისათვის.

ასეთს გეოგრაფიულ პირობებში მოსახლეობა უძველესი დროიდანვე უნდა გაჩენილიყო. ვინ იყო ეს უძველესი მოსახლეობა, ჯერ არავინ იცის; ხოლო თუ გადმოცემას დავუჯერებთ, იტალიის პირვანდელ ბინადრებად მაშინ **ლიგურები** უნდა ჩავთვალოთ, ხალხი, რომელიც ისტორიულს ხანაში ჩრდილო აპენინებსა და სამხრეთ ალპებზე ცხოვრობდა. ყოველს შემთხვევაში იტალიის პირვანდელი ბინადრები კულტურულად საკმაოდ მაღალ დონეზე უნდა მდგარიყვნენ. ამას ის გარემოება ამტკიცებს, რომ იგინი კრეტა-მიკენის კულტურულ წრესთან საკმაოდ დაახლოებულნი ყოფილან. რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში მათ შუამავლები უნდა ჰყოლოდათ, და უეჭველია ასეთს შუამავლობას მათ **ფინიკიელები** გაუწევდენ, ერთად-ერთი ხალხი, რომელიც იმ დროს ყველგან სავაჭრო შუამავლობის საქმეს ასრულებდა.

მაგრამ შემდეგში ჩრდილოეთის მიმართულებით იტალიას ახალი ხალხი ეწვია, რომელმაც ისტორიული დროის იტალიური მოსახლეობა შეჰქმნა. თუ მხედველობაში არ მივიღებთ ბერძენთა ახალშენებს, რომელთა რიცხვიც სამხრეთ იტალიასა და სიცილიაში განსაკუთრებით დიდი იყო, იტალიის ისტორიული მოსახლეობა შეიძლება ორს დიდ ჯგუფად გავყოთ.

პირველ ჯგუფს იმ ხალხთა შორის, რომელთაც მეცნიერება იცნობს, სრულიად განსაკუთრებული ალაგი უპყრია. ამ ჯგუფში პირველი ადგილი **ეტრუსკელებს** უნდა დაეთმოს. მათი თავისებურება ისე დიდია, რომ დღემდის არავინ იცის, თუ რომელ ხალხთა ტომს ეკუთვნიან იგინი. სხვათა შორის ისეთი აზრიც არსებობს, რომლის მიხედვითაც ეს ხალხი ქართველების მონათესავე უნდა იყოს.

ეტრუსკელები ჩრდილო იტალიაში ცხოვრობდენ, განსაკუთრებით მდინარე პადუსის აუზში, და მათი მიწაწყალი ერთი ზღვიდან მეორემდე წვდებოდა. ჰომეროსის მოწმობით, იგინი ადრე გაეცვნენ ბერძნებს და მათთან განცხოველებული სავაჭრო ურთიერთობა დაამყარეს. ეტრუსკელებმა ადვილად შეითვისეს ბერძნების კულტურული ზეგავლენა და ძალიან მალე

მთელს იტალიაში ყველაზე უფრო კულტურულ ხალხად გარ-
დაიქცენ. მწერლობა, ფულის ხმარება, მრეწველობა და ხე-
ლოვნება ეტრუსკელებმა ბერძნებისაგან ისწავლეს და იტალიის
დანარჩენ მკვიდრთა შორის გაავრცელეს. ასეთს პირობებში
იგინი ძლიერ გამდიდრდენ და უზრუნველსა და ფუფუნებითი
ცხოვრებას მიეჩვიენ. ამის მიუხედავად ერთი მთლიანი სახელ-
მწიფოს დაარსება მაინც ვერას დროს ვერ შესძლეს. მათს
თორმეტს საქალაქო თემს არაფერი არ აერთებდა, გარდა
სარწმუნოებრივი კულტისა. თუმცა იყო ისეთი შემთხვევებიც,
როდესაც იგინი საერთო მტრის საწინააღმდეგოდ დროებით
კავშირს ჰკრავდენ ხოლმე. თავისი სიმდიდრისა და ფუფუნე-
ბის მიუხედავად ეტრუსკელები შვენიერი მეომრები იყვნენ, და
ერთ დროს მახლობელ ზღვებზე ბატონობა მათ ხელთ იყო;
ხოლო როდესაც სამხრეთ საბერძნეთში გადავიდენ, აქ მათ
წინააღმდეგ სიცილიელი ბერძნები (სირაკუზელები) დაირაზმენ და
ბოლოს და ბოლოს ზღვაზე ბატონობა ხელიდან გამოჰგლიჯეს. *)

იტალიის მოსახლეობის მეორე ჯგუფის ტომები მჭიდრო
ნათესავობაში იმყოფებოდენ ურთიერთთან და ხალხთა ინდო-
ევროპიულ ჯგუფს ეკუთვნოდენ. უნდა ვიფიქროთ, რომ იგინი
კელტებთან უფრო ახლო იდგენ, ვიდრე ბერძნებთან. ეს ჯგუ-
ფი, რამდენადაც ეს მათი ენის ნაშთებიდან ჩანს, ორს დიდ
ტომად იყოფოდა. ერთს შეადგენდენ ე. წ. **უმბრო-საბელე-
ბი,** ხოლო მეორეს, უფრო მცირეს—**ლათინები**. უმბრები
პირველად ადრიატიკის ზღვის ნაპირას, პადუსის შესართავთან
ცხოვრობდენ, მაგრამ შემდეგ, გალებისა და ეტრუსკელების ზე-
გავლენით, იძულებულნი შეიქმნენ, ზღვის ნაპირი მიეტოვე-
ბიათ და ახლო მდებარე მთები დაეკავებიათ.

საბელები უფრო **სამნიტების** სახელით არიან ცნობილნი და
საკმაოდ დიდ ხალხს წარმოადგენდენ. ჯერ კიდევ მეხუთე საუკუნი-
დან ქრ. დაბადებამდე სამნიტელებმა სამხრეთით იწყეს მოძრაობა

*) ეტრუსკელებს გარდა იტალიაში მოსახლე ხალხთა შორის განსაკუთრე-
ბული ალაგი იაპიგებს, ლიგურებსა და ვენეტებს ეპყროთ. იაპიგები, რომელნიც
სამს ტომად იყოფოდენ, სამხრეთით ცხოვრობდენ, ხოლო ლიგურები და ვენეტები
ეტრუსკელების ჩრდილო მეზობლები იყვნენ.

და იქ ახალი ხალხების მთელი რიგი შეჰქმნეს, რომელთა შორისაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანნი **კამპანელები** (მათი მთავარი ქალაქი კაპუა იყო) შეიქმნენ. ყველა ეს საბელური ხალხები ერთს ენაზე (ოსკური ენა) ლაპარაკობდენ, ხოლო კულტურის მხრივ ორ ჯგუფად იყოფოდენ: ის ტომები, რომელნიც სამხრეთ იტალიაში ბერძნების ახალშენების სიახლოვეს ან მათ ადგილას ბინადრობდენ, ბერძნული კულტურის ზეგავლენას დაემორჩილენ; მაგ., კამპანელებმა რამდენიმე მდიდარი ქალაქი შეჰქმნეს, მწერლობა შემოიღეს და ვაჭრობა-მრეწველობა გააცხოველეს; ხოლო ის ტომები, რომელნიც ნახევარკუნძულის შიდა ნაწილებში ცხოვრობდენ, უმთავრესად ძველს სასოფლო მეურნეობასა და ცხოვრებას ეწეოდენ. ისე როგორც ეტრუსკელებს, არც ამათ ჰქონიათ ურთიერთშორის სახელმწიფოებრივი კავშირი: იგინი პოლიტიკურად მუდამ განცალკევებით ცხოვრობდენ და თავისი მეომრობის მიუხედავად დიდს საშიშროებას არავისთვის არას დროს არ წარმოდგენდენ.

სულ სხვა იყვნენ **ლათინები**, რომელნიც მდინარე ტიბროსის შესართავთან მდებარე ზღვისკიდურის ველზე ბინადრობდენ. ამ მიდამოებს განსაკუთრებით ხელსაყრელი გეოგრაფიული პირობები ჰქონდა. ჯერ ერთი — მათ მთელი იტალიის ცენტრალური ადგილი ეკავათ. ამიტომ საკმარისი იყო აქაურ მცხოვრებთა გაერთიანება და შემდეგ მეზობლად მდებარე ქვეყნების დაპყრობა, რათა მთელი იტალია მათს განკარგულებაში გადასულიყო. მეორე კიდევ ისა, რომ თვით ამ მიდამოების დაპყრობა სხვების მიერ ძლიერ ძნელი იყო, რადგანაც გარშემო მაღლობები იყო, რომელნიც აქაურ მკვიდრთათვის უძლეველ საფარს წარმოადგენდენ. ალბად ამით აიხსნება ის გარემოება, რომ მთელი იტალიის გაერთიანება სწორედ აქედან დაიწყო: ქალაქი **რომი**, რომელიც მთელს ამ მიდამოებს ჰფლობდა, სულ მოკლე ხნის განმავლობაში მთელი იტალიის ბატონ-პატრონად გადაიქცა. მაგრამ რაკი ამგვარად მთელი იტალია ერთის მთლიანი სახელმწიფოს ფარგლებში

გაერთიანდა, ადვილი შეიქმნა, რომის მახვილი ეხლა აპენინების დასავლეთითა და აღმოსავლეთით მდებარე ქვეყნებისაკენ მიმართულიყო. ამას იტალიას მისი ცენტრალური მდებარეობა უკარნახებდა.

ძველი რომაელი ცოლქმარი (ე წ. კატონი და პორცია)

სარწმუნოება. სარწმუნოების მხრივ იტალიელები ბერძნებს მოგვაგონებენ. მაგრამ მათ, განსაკუთრებით კი ეტრუსკელებს, მრავალი თავისებურებაც ჰქონდათ. დამახასიათებელი იყო მათთვის გარდაცვალებულთა სულის და იმავე დროს ცეცხლის თაყვანისცემა, რომელიც ყოველ ოჯახს უქრობი უნდა დაეცო. მაგრამ ყველაზე უფრო ცნობილი კერძოდ რომაელების სარწმუნოებაა.

მათი ღმერთები სასარგებლოს თუ მავნებელ მოვლენას აღნიშნავდენ: არსებობდენ, მაგ., ღმერთები ვაჟკაცობისა, იმედისა, მორცხვობისა, თანხმობისა, შიშისა, საზღვრისა, კარისა და სხვა.

ასეთი განყენებული ხასიათი რომაელთა ღმერთებისა საკმაოდ ეთანხმებოდა იმ გარემოებასაც, რომ ეს ხალხი პირველ ხანებში თავის ღმერთებს არავითარ გამოხატულებას არ აძლევდა.

დამოკიდებულება ადამიანებსა და ღმერთებს შორის რომაელებს მარტივად ჰქონდათ წარმოდგენილი: მათის აზრით, ღმერთებსა და ადამიანთ შორის თითქოს ერთგვარი ხელშეკრულება იყო დადებული, რომელიც ადამიანთ ღმერთების პატივისათვის განსაკუთრებული ცერემონიების აღსრულებას ავალებდა, მაგრამ თუ ეს ცერემონიები შესრულებული იყვნენ, მაშინ ღმერთებიც მოვალედ ითვლებოდენ, ადამიანისათვის თავისი მფარველობა არ მოეკლოთ.

აღმოსავლეთის ხალხებს და განსაკუთრებით ბერძნებს სარწმუნოებრივ ნიადაგზე მრავალი მითი და თქმულება ჰქონდათ შექმნილი. რომაელებს-კი ამის მსგავსი არაფერი არ ჰქონიათ: ქვეყნის წარმოშობის საკითხი ან სხვა რამ ამგვარი მათს ფანტაზიას სრულიად არ ამოძრავებდა.

ყველა ამის მიხედვით, რომაელთა სარწმუნოების ბუნება მარტო ცერემონიების ზედმიწევნითს განვითარებას უწყობდა ხელს.

რაკი ამგვარად რომაელთა სარწმუნოებრივ გრძნობას თავისი შინაგანი თავისებური შინაარსი არ ჰქონია, ამიტომ მათთვის ყოველთვის ადვილი იყო, სხვა ხალხების სარწმუნოების გავლენას დაქვემდებარებოდენ და თავისი რელიგიისათვის თანდათანობით სახე შეეცვალათ. ამ გარემოებამ თავიდანვე იჩინა პირი. პირველად იგინი განსაკუთრებით ბერძნებისა და ეტრუსკელების გავლენას დაემორჩილენ: რომში ძველადვე ძლიერ გავრცელებული იყო ე. წ. **აუსპიციები,** რომელიც მასში მდგომარეობდა, რომ რომაელთა ქურუმები ყოველი მნიშვნელოვანის სახელმწიფო და კერძო საქმეების დროს ფრინველთა ფრენის დაკვირვების საშუალებით ხალხს ღვთის ნებას ამცნობდენ. მაგრამ რომაელების ხელში აუსპიციებს საფუძვლად იმდენად ღვთის ნამდვილი ნების გაგების სურვი-

ლი არ ჰქონიათ, რამდენადაც ერთგვარი ცერემონიის ხასიათი, რომლის ასრულებაც ღვთის წინაშე განსაზღვრული მოვალეობის მოხდას ნიშნავდა. თუ ეს მოვალეობა მოხდილი იყო, მაშინ, რომაელების აზრით, ღმერთს თავისი დახმარების აღმოჩენა ეკალებოდა; ამიტომ იყო, რომ აუსპიციებს მანამდე იმეორებდენ, სანამ მასში თავისთვის ხელსაყრელ ნიშნებს არ ამოიკითხავდენ.

აღსანიშნავია აგრეთვე ე. წ. **ჰარუსპიციებიც**, რომელთაც ასეთივე ხასიათი ჰქონდათ. იგი სამსხვერპლო ცხოველთა შიგნეულობის დაკვირვებაში მდგომარეობდა, და უეჭველია, რომში ეტრუსკელების ზეგავლენით იყო შემოსული.

შემდეგში, როდესაც ბერძნების გავლენა განსაკუთრებით განმტკიცდა, რომაელების საღმუნოების სახე შესამჩნევად შეიცვალა: ეხლა ძველის, განყენებული ღმერთების ადგილი ბერძნების ღმერთებმა დაიკავეს, და რომშიც თითქმის ისეთივე მთავარი ღმერთები გაჩნდენ, როგორნიც საბერძნეთში იყვნენ ცნობილნი. ეხლა რომაელებმა ბერძენთა თითოეულს ღვთაებას თავისი რომაული შესატყვისი გამოუნახეს: მათი **იუპიტერი** იგივე იყო, რაც ძევსი, **იუნონა** იგივე, რაც ჰერა, **ვენერა** იგივე, რაც აფროდიტა, **მარსი** იგივე, რაც არესი და სხვა.

II

მეფეების ხანა (753—510)

რომაელების ადრინდელი წარსულის შესახებ დანამდვილებით არავინ არაფერი იცის, და ეს მიტომ, რომ იმდროინდელი ცნობები ყველა დაიკარგა. ამისი მიზეზი ის ცეცხლი იყო, რომელმაც მეოთხე საუკუნეში ქრისტ. წინ მთელი რომი გადასწვა და რომელსაც გალების შემოსევას უკავშირებენ, ასე რომ ყველაფერი, რაც რომში გალების შემოსევამდის მომხდარა, ჩვენთვის ბურუსით არის მოცული. მარტო გადმოცემები და ლეგენდები მოიპოვება რომის ძველი ისტორიის

შესახებ, და ამ გადმოცემათა მიხედვით რომის ისტორიის პირველი ხანა 753-იდან 510 წლამდი გრძელდება. ამ ხნის განმავლობაში რომის სათავეში **მეფეები** მდგარან, რომელთა რიცხვსაც გადმოცემა შვიდით განსაზღვრავს.

რომის დაარსება და რომულუსი. ლაციუმის ძველი მთავარი ქალაქის ალბალონგას მეფე **ნუმიტორი**, შთამომავალი ენეას შვილის, **იულიუსის** (აქედან gens julia), თავისი უმცროსი ძმის ამულიუსის მიერ ტახტიდან იქნა ჩამოგდებული, ხოლო მისი ვაჟი მოკლულ და ასული, **რეა-სილვია**, ვესტას ქურუმქალად შეწირული, რათა იგი არ გათხოვილიყო და მის შთამომავლობას ნუმიტორის ტახტი უკანვე არ დაებრუნებია. მაგრამ რეა-სილვიას დვთის ნებით ტყუპი ეყოლა, **რომულუსი** და **რემუსი**. ამულიუსის ბრძანებით ორივე კალათაში ჩასვეს და მდინ. ტიბროში გადაისროლეს. მაგრამ ადიდებული წყალი რომ დავარდა, კალათა ბავშებითურთ ლელვის ტოტზე (რომელსაც შემდეგში თაუვანს სტემდენ) დარჩა დაკიდებული. პირველად ბავშები ძუ მგელს ჩაუვარდა ხელთ, რომელმაც იგიხი თავისი ძუძუთი გამოკვება, და შემდეგ—მწყემს, ფაუსტულს. როდესაც ბავშები გაიზარდენ, გაიგეს თავისი შთამომავლობა და ამულიუსი მოჰკლეს, ხოლო ნუმიტორს ტახტი დაუბრუნეს. თვითონ-კი უფრო ხელსაყრელ პირობებში ახალი ქალაქის აგება გადასწყვიტეს. როდესაც სქმე ახალი ქალაქის სახელწოდებაზე მიდგა, ძმებს უთანხმოება მოუვიდათ, რისი შედეგიც ის იყო, რომ რომულუსმა რემუსი მოჰკლა და ქალაქს თავისი სახელი უწოდა. რომის დაარსება, გადმოცემის თანახმად, 21 აპრილს 753 წ. ქრისტეს დაბადებამდი მოხდა.

რომულუსის მართვა-გამგეობა. პირველი საზრუნავი რომულუსისა ის იყო, რომ როგორმე თავისი ქალაქისათვის მოსახლეობა ეშოვნა. ამ მიზნით მან თავშესაფარი მისცა ყველას, ვისაც ამა თუ იმ მიზეზით თავის სამშობლო ქალაქში დარჩენა ან არ შეეძლო და ან არ უნდოდა. ამგვარად, მოსახლეობა რომისა დღითიდღე იზრდებოდა. მაგრამ რომში ქალები არ იყვნენ და მასაც ერთ ხერხს მიმართა: რაკი ენებით მისი მოქალაქეების ცოლობა არავის არ უნდოდა, ამიტომ მან ერთ-ერთი ღმერთის პატივსაცემად დღე-

სასწაული მოაწყო და მეზობლები მოიწვია. ხალხი მრავლად გამოცხადდა. აქ იყვნენ სხვათა შორის საბინელებიც. დღესასწაულის დროს რომულუსმა თავის მოქალაქეებს ნიშანი მისცა, და მათაც დაავლეს ხელი სტუმარ ქალებს და თავის საცოლეებად გამოაცხადეს. ამ გარემოებამ მეზობლებში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია, და იგინი რომს დაეცნენ.

მაგრამ რადგანაც ომი შეუკავშირებლად დაიწყეს, რომულუსმა სათითაოდ ყველა დაამარცხა და მათი ქალაქები თავის ქალაქს შეუერთა, ხოლო მოსახლეობა ნაწილობრივ რომში გადმოიყვანა. ამგვარად, მარტო საბინელები დარჩენ, რომელთანაც ომი განსაკუთრებით სახიფათო აღმოჩნდა. თავისი მეფის **ტიტუს ტაციუსის** ხელმძღვანელობით, იგინი რომს დაეცნენ და კინალამ სავსებით დაიპყრეს. მაგრამ ბოლოს საქმეში მოტაცებული საბინელი ქალები, რომაელთა ცოლები, ჩაერიენ და მებრძოლნი შეარიგეს. დადებული ზიარობის მიხედვით ორივე ხალხი ერთ ხალხად შეერთდა და ახალი სახელი მიიღო: populus romanus quirites (quirites საბინელებს ეწოდებოდა, რადგანაც იგინი ქალაქ Cures-ის მცხოვრებნი იყვნენ; დღევანდელი მეცნიერების აზრით quirites რომაელების ზიარული სახელწოდება იყო). მეფედ რომულუსი და ტიტუს ტაციუსი ორივე დარჩა. მაგრამ ეს უკანასკნელი მალე მოკვდა, და მთელი რომის მმართველად ისევ მარტო რომულუსი დარჩა. მან კიდევ შეუერთა ახალი ქალაქები თავის რომს და მალე იგი საკმაოდ ძლიერ სახელმწიფოდ გადაქცია.

მთელი შინაური ცხოვრების წესებიც რომულუსმა შეჰქმნა: ხალხი ორ ნაწილად გაჰყო; ზიარულს სრულუფლებიანი მოქალაქენი, ნამდვილი **რომაელები**, ე. წ. **პატრიციები** შადგენდენ, რომელნიც თავის მხრივ **სამ ტრიბად** (ტოტად) იყოფოდენ (რამნები, ტიციები და ლუცერები), ხოლო თითოეულ ტრიბაში 30 კურია შედიოდა.

მოქალაქობრივი და ზოლიტიკური უფლებები მარტო ამათ ჰქონდათ. იგინი ცალკე იკრიბებოდენ კურიების-და-მიხედვით (comitia curiata) და მეფის კანონებს იხილავდენ, რომელთა ბედიც იმაზე იყო დამოკიდებული, თუ კურიების უმრავლესობა რაგორ შეხედავდა მას.

მეორე დაწესებულება **სენატი** იყო, რომელშიაც 300 პატრიცი შედიოდა და მეფის სიბჭოს შეადგენდა.

დასარჩენი მოსახლეობა ამ სრულუფლებიან მოქალაქეთა ჯგუფის გარეშე იდგა და ამიტომ თავისი თავის უზრუნველსაყოფად რომელსმე მოქალაქეს უნდა მიკედლებოდა; ამისთვის იგი მოვალე იყო თავისი მფარველისთვის დასაზღვრული სამსახური გაეწია. ამიტომ პატრიციებს **პატრონებსაც** უწოდებდენ, ხოლო უბრალო ხალხს **კლიენტებს**.

რომულუსმა ჯარის ორგანიზაციასაც ჩაუყარა საფუძველი. *) თვითონ მთავარსარდლის, უმაღლესი მსაჯულისა და ღვდელმთავრის უფლებები დაიტოვა. სხვა მოქალაქეთაგან განსასხვავებლად იგი ძოწეულ მოსასხამში დადიოდა და საჯარო გამოსვლის დროს, ეტრუსკელი მეფეების მაგალითის მიხედვით, მას წინ 12 დიკტორი მიუძღოდა, რომელთაც ხელთ ნაჯახიანი წნელების კონა ეპყრათ, როგორც ნიშანი მეფის შეუზღუდველი ძალაუფლებისა. 37 წლის მეფობის შემდეგ რომულუსი, რომაელების რწმენით, ზეცად იქმნა აყვანილი, და ამიტომ იგინი მას **ქვირინის** სახელით ადმერთებდენ.

დასარჩენ მეფეთა შორის განსაკუთრებული ყურადღების ღირსთ ნუმა პომპილიუსი, სერვიუს ტულიუსი და უკანასკნელი მეფე, ტარქვინიუს ამაყი (superbus) უნდა ჩაითვალონ.

ნუმა პომპილიუსი, შთამომავლობით საბინელი, რომულუსის შემდეგ გამეფდა. თუ რომულუსი უმთავრესად თავისი ქვეყნის საზღვრების გაფართოებისთვის ზრუნავდა და ამიტომ გამუდმებულ ომიანობაში ატარებდა დროს, სამაგიეროდ ნუმა მშვიდობიანი ცხოვრების მოწესრიგებით იყო დაინტერესებული. გადმოცემის სიტყვით, ნუმამ **ახალი სარწმუნოებრივი კულტი შეჰქმნა** და **ახალი სამღვდელო კოლეგიები** დაწესა (1. **ავგურები**, რომელნიც **აუსპიციების** ე. ი. ფრინველთა ფრენის დაკვირვებით ღმერთების ნებას ტეობიდობდენ, 2. **პონტიფიცები** ე. ი. ღვდელმთავრები, რომელნიც მთელს სარწმუნოებრივ ცხოვრებას მეთვალყურეობდენ;

*) შეჰქმნა ერთი ლეგიონი ქვეითა ჯარისა, 3000 კაცისაგან, და ცხენოსანთა სამი ცენტურიონი (თითო ცენტურიონში 100 კაცი შედიოდა).

შემდეგ განსაკუთრებული სამღვდელო თანამდებობანი ამა თუ იმ ღმერთისთვის მსხვერპლის შესწირავად). იმავე ნუმამ ახალი კალენდარიც დაწესა, რომლის მიხედვითაც წელიწადი თორმეტ თვეთ იყო გაყოფილი. ამასთანავე მთელი მიწაწყალი მოქალაქეთა შორის გაჰყო და ამგვარად შექმნილის კერძო საკუთრების დასაცავად ერთ-ერთ ბორცვზე (კაპიტოლინზე) საზღვრის ღმერთის (Terminus) ტაძარი აგებინა.

სერვიუს ტულიუსის მოღვაწეობა ახალი სახელმწიფო წესწყობილების შემოღებაში გამოიხატა, რომლის მიზანიც ის იყო, რომ მოქალაქეთა სამხედრო და ფინანსიურ ვალდებულებათა და მათს პოლიტიკურ უფლებათა შორის სამართლიანი წონასწორობა დაემყარებია. ამ მხრივ სერვიუსის კონსტიტუცია სოლონისას მოგვაგონებს.

მთელი მოსახლეობა ხუთ კლასად იქმნა გაყოფილი, რომელთაც განსაზღვრული გადასახადი დაეკისრათ, ხოლო ვისაც ძლიერ ცოტა შემოსავალი ჰქონდა, იგი ხუთივე ამ კლასის გარეშე დარჩა (შემდეგში ამათ **პროლეტარები** ე. ი. შვილებით დაჯილდოებულნი უწოდეს). პოლიტიკური უფლებებიც ამ კლასებს შორის შესაფერისად იქმნა განაწილებული: ვისაც მეტი გადასახადი ჰქონდა დაკისრებული, იმას უფლებებიც მეტი მიენიჭა. ამგვარად, თავმომავლობას-კი ადარ უნდა ჰქონოდა სახელმწიფოს მართვა-გამგეობის საქმეში გადამწყვეტი მნიშვნელობა, არამედ სიმდიდრეს. მაგრამ რადგანაც მადალი თავმომავლობის ხალხი იმავე დროს მდიდრებიც იყვნენ, ამიტომ ნამდვილად სახელმწიფო უფლებები ისევ პატრიციების ხელში დარჩა.

ეველა ეს ხუთი კლასი მოვალე იყო, სამხედრო სამსახური მოეხდა, ისე რომ თითოეული კლასი თავისი რიცხვის შესაფერ ცენტურიონების იძლეოდა. ამგვარად სულ 193 ცენტურიონი შედგა. თითოეულ ცენტურიონს, იმის მიხედვით, თუ რომელი კლასიდან გამოდიოდა, განსაკუთრებული იარადი ჰქონდა. პროლეტარები სავსებით თავისუფალი იყვენ სამხედრო სამსახურისაგან.

სერვიუსმა ხალხის ახალი დანაწილების მიხედვით ახალი სა-

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ხალხო კრებებიც შემოიღო. თითოეული ცენტურიონი ცალკე იკრიბებოდა (comitia centuriata) და ეველა საკითხს ცენტურიონების უმეტესობა სწყვეტდა.

სერვიუსმა ამას გარდა მუდმივი კავშირი შეჰკრა რომის გარშემო მცხოვრებ ლათინებთან და თავისი სახელი მითაც უკვდავ ჰყო, რომ დიდი **გალავანი** აკო, რომელიც რომის შვიდსავე ბორცვს ქალაქს უერთებდა.

ტარქვინიუს ამაყი (superbus) უკანასკნელი მეფე იყო, რომელიც, კადმოცემის მიხედვით, სასტიკსა და ულმობელ ტირანს წარმოადგენდა. იგი არავითარ ეურადღებას არ აქცევდა სენატს და უბრალო ხალხს მძიმე კადასახადებით აწუხებდა. მართალია, კარეშე მტრებთან საქმეები კარგად მიჰყავდა, მაგრამ შიგნით, თვითონ რომში, მისი მტრების რიცხვი დღითი-დღე იზრდებოდა. შედეგი ამისა ის იყო, რომ 510 წელს ქ. დ. ტარქვინიუსი რომიდან განდევნეს და სახელმწიფოში მართვაგამგეობის ასალი წესები შემოიღეს.

უთუოდ ეველა ეს კადმოცემა რომის მეფეებისა და მათი მოდვაწეობის შესახებ მხოლოდ მეხუთე საუკუნეში არის ჩაწერილი. მანამდი კი იგი ზეპირკადმოცემას შეადგენდა. ცხადია, ის ცნობები, რომელთა შესახებაც კადმოცემა მოგვითხრობს, სარწმუნოდ ვერ ჩაითვლება. საერთოდ უნდა ითქვას, რომ ეს კადმოცემები ხალხის ფანტაზიის ნაყოფს შეადგენენ; იგინი განსაზღვრული მიზნით არიან შედგენილნი: რაკი სხვა-და-სხვა დაწესებულების ნამდვილი წარმოშობის მიზეზი არ იცოდენ, ამიტომ ეველა ამ დაწესებულების შესახებ თქმულებებს ჰქმნიდენ და ამა თუ იმ მეფის მოდვაწეობას აწერდენ. ამიტომაც, თუკი რაიმე მნიშვნელობა აქვთ ამ თქმულებებს, ეს მხოლოდ ის, რომ იგინი ცხადად გვიჩვენებენ, თუ თვითონ რომაელებს თავისი ადრინდელი ისტორიის შესახებ რა წარმოდგენა ჰქონდათ, როგორ აზროვნობდენ იგინი რომის ჩასახვას და მის თანდათანობით განვითარებას, როგორ ესმოდათ მათ სხვა-და-სხვა დაწესებულებების ისტორია და სხვა-და-სხვა ჩვეულების წარმოშობა.

უძველესი რომის წესწყობილება. რომის უძველესი ისტორიის შესახებ დანამდვილებით მხოლოდ შემდეგი შეიძლება ითქვას.

თვითონ რომს გეოგრაფიულად ხელსაყრელი პირობები ჰქონდა. იგი გაშენებული იყო მდ. **ტიბროსის** ნაპირას, რომელიც ამ ადგილას საკმაოდ ღრმა იყო და ზღვაოსნობისათვის ხელსაყრელი. ზღვის ნაპირი დაახლოვებით 25 მეტრის მანძილზე იყო. ეს გარემოება ადვილად ხსნის რომის განვითარებასა და გაძლიერებას: ლაციუმში იგი უძველესი დროიდანვე უდიდეს ქალაქად ითვლებოდა და მას თავიდანვე გაცილებით მეტი მიწაწყალი ეპყრო, ვიდრე ეს რომულუსის თქმულებიდან ჩანს: მარტო პალატინის ბორცვი რომს არასდროს არ ჰკავებია. შემდეგში იგი გაფართოვდა და ყველაზე ადრე ტიბროსის ქვედა ნაწილი დაისაკუთრა; ამით მან ადრიდანვე კავშირი გააბა ზღვასთან.

ლათინებთან რომაელები იმთავითვე მჭიდრო კავშირში იყვნენ: ენა, ზნეჩვეულება, ტანთსაცმელი და სარწმუნოება— ყველა ეს რომაელებსა და ლათინებს მუდამ საერთო ჰქონდათ. შესაძლებელია, რომი ლათინთა ქალაქების კავშირის ერთ-ერთი წევრი იყო, რომელიც შემდეგში გაძლიერდა და მთელ კავშირს დაეპატრონა.

ხალხი უმთავრესად მიწადმოქმედებას მისდევდა. მაგრამ ხელოსნობაც და ვაჭრობაც საკმაოდ იყო განვითარებული. ფულის მაგიერ პირველად საქონელს (pecunia) ხმარობდენ, შემდეგ სპილენძზე გადავიდენ, ხოლო აქა-იქ უცხოელი ფულიც იყო ხმარებაში.

რომაელებს სარწმუნოებრივი გრძნობა ძლიერ განვითარებული ჰქონდათ: მათი აზრით ყოველი მოვლენა ღმერთებზე იყო დამოკიდებული. აქედან წარმოიშვა წინასწარმეტყველობის ჩვეულება. სარწმუნოების სახელმძღვანელოდ ქურუმთა კოლეგიები იყვნენ შექმნილნი, რომელნიც საქმეს სახელმწიფოს ინტერესების მიხედვით განაგებდენ.

რომის საზოგადოების შემადგენლობა ასეთი იყო: ხალხი ორს მთავარ წოდებად იყოფოდა. პირველს, უმაღლეს წოდებას, ე. წ. **პატრიციები** შეადგენდენ, რომელნიც სამს ტომად (ტრიბად) იყვნენ გაყოფილნი (რამნები, ტიციები და ლუცე-

რები) და თითოეული ტრიბა—30 კურიად. პატრიციები, როგორც ჩანს, რომის ადრინდელი მოსახლეობის წრიდან მომდინარეობდენ, და სახელმწიფოს საქმეები არსებითად მარტო ამ წოდების წარმომადგენელთა ხელში იყო.

მეორე წოდებას ე. წ. **პლებეები** შეადგენდენ, რომელნიც თუმცა პირად თავისუფლებას მოკლებულნი არ იყვნენ, მაგრამ პირველ ხანებში სახელმწიფო საქმეებში ჩარევის უფლება არ ჰქონდათ. პლებეები მოსახლეობის დაპყრობილი ნაწილების წრიდან გამოდიოდენ. აღსანიშნავია, რომ რომაელებს სახელმწიფოებრივმა ალღომ უკარნახა, მოსახლეობის ეს დიდი ნაწილი სამუდამოდ თავისი სახელმწიფოს ორგანიზმის გარეშე კი არ დაეტოვებიათ, როგორც ამას, მაგ., სპარტაში ჰქონდა ადგილი, არამედ მალე იგინიც ამ სახელმწიფო ორგანიზმის წრეში შეეყვანათ.

იყო მესამე ჯგუფიც, ე. წ. **კლიენტები**, რომელნიც ამა თუ იმ პატრიცის პირად მფარველობას (პატრონობას) ეძიებდენ და ამგვარად კერძო პირის (პატრონის) მფარველობის ქვეშ იმყოფებოდენ. სამაგიეროდ იგინი მოვალენი იყვნენ თავისი პატრონებისათვის განსაზღვრული სამსახური გაეწიათ.

რომში პირველად გადამწყვეტი მნიშვნელობა **ტომებს** ჰქონდათ, მაგრამ ეს მნიშვნელობა თანდათანობით შესუსტდა და თავისი ადგილი სახელმწიფოს ინტერესებს დაუთმო.

სახელმწიფოს სათავეში **მეფე** ედგა, რომლის მთავარ ფუნქციებს, როგორც ჩვეულებრივ, აქაც უმაღლესი მთავარსარდლობა, მსაჯულობა და ღვდელმთავრობა შეადგენდა. მეფეს არა მარტო აღმასრულებელი ძალაუფლება ჰქონდა, მის ხელთ იყო აგრეთვე კანონმდებლობაც.

მაგრამ მეფის გვერდით ერთგვარი სათათბირო დაწესებულებაც არსებობდა, რომელიც მნიშვნელოვანი სახელმწიფო საკითხების გადაჭრის დროს მეფეს დახმარებას უწევდა. ეს დაწესებულება **სენატის** სახელით იყო ცნობილი. მისი შედგენილობა ჩვეულებრივ **სამასი** კაცით განისაზღვრებოდა და, რა თქმა უნდა, პატრიციების წრიდან იკრიბებოდა.

მეფისა და სენატის მიერ შემუშავებულ კანონებს განსახილველად მესამე დაწესებულებას, სახალხო ყრილობას ე. წ. **კომიციას** წარუდგენდენ. პირველ ხანებში კომიცია პატრიციელთა კურიების ყრილობებით განისაზღვრებოდა და **კურიატ-კომიციის** სახელით იყო ცნობილი. ხმის მიცემა თითოეული კურიის მიხედვით წარმოებდა, ასე რომ თითოეულ კურიას ერთი ხმა ჰქონდა. ამგვარად, ხალხის მიერ მოწონებულად მხოლოდ ისეთი საკანონმდებლო წინადადება ითვლებოდა, რომელსაც კურიათა ყრილობების მეტი რიცხვი აძლევდა ხმას. მაგრამ კურიატკომიციების გადაწყვეტილება მეფისათვის არ იყო სავალდებულო: უმთავრესი გადამწყვეტი ხმა მაინც მას ეკუთვნოდა.

ამგვარად, რომის მთელი სახელმწიფოებრივი წესწყობილება შთამომავლობის პრინციპზე იყო აგებული: იგი პატრიციელთა წოდებას ეყრდნობოდა. მაგრამ აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ მეფეების ხანაში (გადმოცემით სერვიუსის ტულიუსის დროს) რომის სახელმწიფოს ორგანიზაციაში სრულიად ახალი და უფრო ჯანსაღი პრინციპი შეიჭრა. საქმე ის არის, რომ რომში სახელმწიფო საკითხების განხილვის უფლება ეხლა შთამომავლობის გარდა იმასაც დაუკავშირეს, თუ **ქონებრივის მხრივ** ვის რა სამსახურის გაწევა შეეძლო სახელმწიფოსათვის. ამგვარად, ამ ახალი თვალსაზრისის მიხედვით, მოსახლეობის ხელახალი განაწილება მოხდა და რომში ახალი ერთეულები გაჩნდენ, რომელნიც ქონების მიხედვით იყვნენ შედგენილნი. ამ ერთეულებს უწინარეს ყოვლისა სამხედრო სამსახური ევალებოდათ. მათი რიცხვი ხუთით განისაზღვრებოდა, და ყოველი რომაელი, შთამომავლობის მიუხედავად, ამა თუ იმ ჯგუფს ეკუთვნოდა, თუ რომ მას, რასაკვირველია, იმდენი ქონებრივი შეძლება მაინც ჰქონდა, რომ სამხედრო სამსახურის გაწევა შესძლებოდა. ვისაც მინიმალურად მიჩნეული ქონებრივი ცენზი არ ჰქონდა, იგი ამ ჯგუფებს გარეშე იდგა და, მაშასადამე, ისეთად იყო ცნობილი, რომელსაც სახელმწიფოსათვის აუცილებელი სამსახურის გაწევა არ შეეძლო. ასეთებს **პროლეტა-**

რები (ან capite censi) ეწოდებოდათ. ეს ხუთი ჯგუფი სამხედრო მოსაზრებით მცირე ჯგუფებად ე. წ. **ცენტურიებად** (ასეულებად) იყო გაყოფილი. მაგრამ რადგანაც სიმდიდრე უმთავრესად ეხლაც პატრიციების ხელთ იყო, ამიტომ ცენტურიათა უმეტესობას მაინც ამ წოდების ხალხი შეადგენდა. თითოეულს ცენტურიას ცალკე ყრილობის უფლება მიენიჭა, ასე რომ რომში ახალი, არა წოდებრივ პრინციპზე აგებული სახალხო კრების სახე ე. წ. **ცენტურიატკომიცია** გაჩნდა, რომელსაც სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში ახალი სიო შეჰქონდა.

მაგრამ ძირითადი საფუძველი რომის სახელმწიფოებრივი წესწყობილებისა ჯერხნობით მაინც ძველი დარჩა: გადამწყვეტი მნიშვნელობა სახელმწიფოს საქმეებში კვლავინდებურად წოდებრიობის პრინციპს შერჩა, და დაახლოვებით 510 წლისათვის პატრიციელთა გავლენა ისე გაიზარდა, რომ მათ მეფობის დამხობა შესძლეს და სახელმწიფოს სათავეში თვითონ მოექცენ.

ამგვარად, რომში მონარქიის ნაცვლად რესპუბლიკური წესწყობილება იქმნა შემოღებული.

III

რომი რესპუბლიკა (510—27 ქ. წ.)

1. სახელმწიფოებრივი წესწყობილება. რესპუბლიკის დამყარება პატრიციელთა ძალაუფლების სრულ გაბატონებას ნიშნავდა. თუ წინად უმაღლესი მართვაგამგეობა მეფის ხელში იყო, ხოლო სხვა მხრივ მთელი სახელმწიფოს მესვეურობა პატრიციებს ევალებოდათ, ეხლა რესპუბლიკის შემოღებასთან ერთად ეს უმაღლესი მართვაგამგეობის ძალაუფლებებიც სავსებით პატრიციების ხელში გადავიდა. ამიტომ რომის სახელმწიფოებრივ წესწყობილებაში მხოლოდ ისეთი ცვლილებები

იქმნა შემოღებული, რომელნიც პატრიციების ამ ახალი ძალაუფლების მოპოებასთან იყვნენ დაკავშირებულნი.

ძველს დაწესებულებათა შორის, ამის მიხედვით, უდიდესი ცვლილებები **მეფობას** უნდა განეცადა. მეფეს ეხლა ყოველგვარი პოლიტიკური მნიშვნელობა განეძარცვა და იგი მხოლოდ **ღვდელმთავრის** სახელით დარჩა ცნობილი (rex sacrorum). მას ზოგი სარწმუნოებრივი ცერემონიის აღსრულება ევალებოდა, რომელიც მეფის პიროვნებასთან იყო დაკავშირებული. მაგრამ რომ სახელმწიფოებრივი გავლენის მოპოების შესაძლებლობა მისთვის სავსებით მოესპოთ, ამიტომ იგი ამ მხრივაც არჩეული თანამდებობის პირს ე. წ. **უმაღლეს ღვდელმთავარს** (pontifex maximus) დაუქვემდებარეს.

დანარჩენი მისი უფლებები ორს თანამდებობის პირს ე. წ. **კონსულებს** გადაეცათ (451-წლამდი ამათ პრეტორებს უწოდებდენ). კონსულს ერთი წლის ვადით ირჩევდენ და სამსახურის გათავების შემდეგ სახალხო კრებისთვის თავისი მოქმედების ანგარიშის წარმოდგენას ავალებდენ. ამით მათ თავისი მოღვაწეობის სიავკარგის პასუხისმგებლობა ეკისრებოდათ. ფინანსების საქმეს კონსულების მიერ დანიშნული თანამდებობის პირნი ე. წ. **ქვესტორები** განაგებდენ.

განსაკუთრებულ შემთხვევებში, როდესაც სახელმწიფო უკიდურეს გაჭირვებაში ჩავარდებოდა, მთელს ძალაუფლებას მაინც ერთ კაცს ანიჭებდენ, რომელსაც **დიკტატორს** უწოდებდენ, და, სულ დიდი, მხოლოდ ექვსი თვით ირჩევდენ. მისი არჩევა სენატის განკარგულებით კონსულს ჰქონდა დავალებული. დიკტატორი თავის თანაშემწეს (ე. წ. magister equitum, მხედართა უფროსი) თვითონ ნიშნავდა, და როგორც კი თავის საქმეს გაათავებდა, თავის თანაშემწესთან ერთად დიკტატორობაზე ხელს იღებდა და ძალა-უფლებას კონსულებს უბრუნებდა, ხოლო თვითონ ისევ ჩვეულებრივ მოქალაქედ რჩებოდა.

შემდეგში ზოგი უფლება კონსულებსაც ჩამოართვეს და განსაკუთრებული თანამდებობანი (ე. წ. **მაგისტრატები**) შეჰქმნეს.

ძველ დაწესებულებათაგან განსაკუთრებული მნიშვნელობა სენატს მიენიჭა. ეს ასეც უნდა მოხდარიყო, ვინაიდან სახელმწიფოს უაღრესუფლებიანობის მატარებელი დაწესებულება, **კონსულატი**, თავისი შემადგენლობის მხრივ ცვალებადი იყო. სამაგიეროდ სენატის წევრები არ იცვლებოდენ, თუ რომ რომელიმე მათგანის საწინააღმდეგოდ რაიმე განსაკუთრებული ბრალდება არ არსებობდა.

სენატში ეხლა კონსული თავმჯდომარეობდა. მასვე ჰქონდა უფლება სენატის წევრთა სიის ოთხ წელიწადში ერთხელ გადასინჯვისა და აუცილებელ შემთხვევებში მისი შესწორებისა. სენატის წევრებს კვლავინდებურად ძველი სახელი, **მამები** (patres) ეწოდებოდათ.

არსებობს აზრი, **რომლის** მიხედვითაც **უკვე** რესპუბლიკის დამყარებასთან ერთად სენატში ზოგი პლებეიც უნდა ეოფილიყოს მიწვეული. მაგრამ მათ სრული უფლებები არ უნდა ჰქონოდათ და თავისი აზრის გამოთქმა მხოლოდ იმ შემთხვევაში შესძლებოდათ, თუ რომ თავმჯდომარე მათ საგანგებოდ შეეკითხებოდა. ასეთებს „მიწერილებს“ (conscripti) ეწოდებოდა.

2. წოდებათა ურთიერთშორის დამოკიდებულება. მონარქიის დაცემასა და რესპუბლიკის შემოღებას პლებეებისათვის პირველ ხანებში არავითარი სარგებლობა არ მოუტანია. მათი უფლებრივი მდგომარეობა იგივე დარჩა: არც სენატის წევრობა, არც მაგისტრატების ან მაგისტრატად არჩევის უფლების განხორციელება, არც სხვა რამ მნიშვნელოვანი თანამდებობის დაჭერა მათ არ შეეძლოთ. მთელი სახელმწიფოებრივი ძალაუფლება, რომელიც წინად პატრიციებს ჰქონდათ, ისევ მათ ხელში დარჩა, და ამას აგრეთვე ის უფლებებიც დაემატა, რომელნიც წინად, მონარქიის დროს, მეფეთა ხელში იყვნენ. ამგვარად, რომის სახელმწიფო ცხოვრების სადავეებმა ყველამ პატრაციების ხელში მოიყარა თავი. პლებსი-კი თითქმის სავსებით სახელმწიფო ცხოვრების გარეშე დარჩა.

ასეთი უფლებრივი მდგომარეობა ხალხის უმრავლესობისა სრულიად არ შეეფერებოდა მის ნამდვილ მნიშვნელობას სა-

ხელმწიფოს ცხოვრებისა და წარმატებისათვის. საქმე ის არის, რომ რესპუბლიკის პირველსავე წლებში რომი გამუდმებულ ომში იყო თავის მეზობლებთან. ომს-კი უწინარეს ყოვლისა ორი რამ ესაჭიროებოდა: ფული და ჯარი. პლებეები, როგორც ვიცით, სახელმწიფო გადასახადებს „ყოველთვის იხდიდენ, და გაზრდილი საომარი ხარჯები ეხლა მათ, პატრიციებზე მეტათ თუ არა, ნაკლებად მაინც არ აწვებოდა. ამასთანავე ჯარში პლებეებიც არა თუ შედიოდენ, არამედ მასში უმრავლესობასაც წარმოადგენდენ. ასე რომ ომის სიმძიმე თითქმის მარტო მათ კისერზე იყო, და რომის სახელმწიფოს დაცვა და გაძლიერება მათი ხელით ხორციელდებოდა; ამავე დროს-კი მათ სახელმწიფოს მართვაგამგეობაზე არაფერი ეკითხებოდათ.

ცხადია, ასეთ პირობებში თავისი უფლებრივი მდგომარეობის შეუფერებლობას პლებეები ნათლად იგრძნობდენ. ეს მით უფრო მოსალოდნელი იყო, რომ პატრიციები თავისი განსაკუთრებული უფლებებით ბოროტად სარგებლობდენ და პლებსის ხარჯზე თავისი პირადი მდგომარეობის გაუმჯობესებას ცდილობდენ.

პლებეები გამუდმებული ომების გამო ჯარში იყვნენ და, მაშასადამე, ყანების დათესვას ველარ ახერხებდენ. ამიტომ იგინი იძულებულნი იყვნენ ხშირად, სესხის ასაღებად მდიდარი პატრიციებისათვის მიემართათ და დავალიანებულიყვნენ. ვალს გადახდა უნდოდა, ამას-კი პლებეები იმავე მიზეზების გამო ზოგჯერ ვერ ახერხებდენ. პატრიციები-კი მოვალეების მიმართ ულმობელობას იჩენდენ: არსებული კანონების მიხედვით მოვალეს ციხეში აგზავნიდენ და ხშირად მონადაც იყვანდენ.

ასეთი მდგომარეობა მშვენიერი ნიადაგი იყო, რათა ხალხში უკმაყოფილება დაბადებულიყო და გაზრდილიყო. და ამ უკმაყოფილებამ მალე იჩინა თავი. პლებსი სახელმწიფოებრივი უფლებების გაზიარებას მოითხოვდა, ვინაიდან ხედავდა, რომ პატრიციები სახელმწიფო ძალა-უფლებას თავისი ინტერესების-და-მიხედვით იყენებდენ. პატრიციები ყოველ ღონეს ხმარობდენ, თავისი უპირატესობანი არავისთვის გაეზიარებიათ; რომში **წოდებრივი** ბრძოლა დაიწყო.

3. **პლებეების უფლებათა თანდათანი გაფართოება.** რომი ტერიტორიალურად განსაკუთრებულ ერთეულებად ე. წ. **ტრიბებად** იყო გაყოფილი; მათი რიცხვი ოცდაერთს უდრიდა, და გადასახადების აკრება მათი მიხედვით წარმოებდა. ტრიბებში დიდ უმეტესობას, რა თქმა უნდა, პლებეები შეადგენდენ და იგინი თავისი საზოგადო საქმეების განსახილველად და გადასაწყვეტად ხშირად ტრიბების მიხედვით იკრიბებოდენ. ამგვარად, რომში სახალხო ყრილობის ახალი სახე, ე. წ. **ტრიბუტკომიცია** ჩნდებოდა, რომელიც თავისი შემადგენლობით თითქმის წმინდა წოდებრივს, სახელდობრ **პლებეურ** ხასიათს ღებულობდა. რადგანაც ზოგჯერ ტრიბუტკომიციები ზოგს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხსაც ეხებოდენ, ამიტომ ტრიბუტკომიციების შემოღებით პლებეებს პოლიტიკური საკითხების გადაწყვეტის დროს ერთგვარი ხმის უფლება მიენიჭა.

აღსანიშნავია მეორე ნაბიჯიც, რომელიც პლებეებმა თავისი მდგომარეობის შესამსუბუქებლად გადასდგეს. პატრიციმოსამართლენი პლებეების საქმეში მუდამ თვითნებობასა და უკანონობას იჩენდენ, და რაკი მათი განაჩენის გასაჩივრება არ შეიძლებოდა, პლებეები იძულებულნი იყვნენ, უკანონობას უსიტყვოთ დამორჩილებოდენ. რესპუბლიკური წესწყობილების დამკვიდრების პირველსავე წელში მათ ე. წ. **პროვაკაციის უფლება** მოიპოვეს (lex de provocatione), ე. ი. მაგისტრატის განაჩენზე ზოგს მნიშვნელოვან სისხლის სამართლის საქმეში (სასტიკი სასჯელი, სიკვდილით დასჯა, დიდი ჯარიმის დადება) ნება დართული შეიქმნა სახალხო ყრილობაში (ცენტურიების ყრილობაში) აპელაციის გადატანა (ე. ი. განსაჩივრება).

მაგრამ გაცილებით მეტი მნიშვნელობა იმ უფლებას ჰქონდა, რომელიც პლებეებმა დაახლოვებით 494 წელს მოიპოვეს. როდესაც ერთ-ერთი ომის გათავების შემდეგ პლებეები სახლში დაბრუნდენ, წინააღმდეგ დაპირებისა, გამარჯვებულები, ვალის გადაუხდელობის გამო, ციხეში ჩასვეს. ეს

იმდენად შეუფერებლად მოეჩვენათ პლებეებს, რომ მათ აშკარა აჯანყება მოაწყვეს. აღსანიშნავია, რომ ამ აჯანყებას უფრო საერთო გაფიცვის სახე ჰქონდა: პლებეებმა რომის სამუდამოდ დატოვება გადასწყვიტეს და ე. წ. **წმიდა მთაზე** გაიხიზნენ, სადაც თავისი სახელმწიფოს დაარსებას აპირებდენ (secessio plebis in montem sacrum). *) ამას ის შედეგი მოჰყვა, რომ პატრიციები იძულებულნი შეიქმნენ, ნება დაერთოთ პლებეებისათვის თავისი წრიდან ორი ახალი თანამდებობის პირი ე. წ. **ტრიბუნები** აერჩიათ, რომელთა დანიშნულებაც მხოლოდ იმაში მდგომარეობდა, რომ პლებსი პატრიციების უსამართლობისაგან დაეცვათ. ამისთვის ტრიბუნებს საქმეში **ჩარევის** უფლება (jus intercessionis) მიეცათ და მათი პიროვნება **ხელშეუხებლად** იქნა ცნობილი (sacrosancti). შემდეგში ტრიბუნების უფლებები კიდევ უფრო გაფართოვდა, და მათი მნიშვნელობა სახელმწიფოში გადამწყვეტი ხასიათის შეიქმნა: მათი veto-ს უფლება, რომლის ძალითაც მათ ყოველი საკანონმდებლო წინადადების გაბათილება შეეძლოთ, პლებსის უზენაესუფლებიანობის საუკეთესო გამოხატულებად უნდა ჩაითვალოს.

471 წელს, თანახმად **პუბლილიუს ვალერიოს** საკანონმდებლო წინადადებისა, ტრიბების ყრილობა წმინდა პლებეურ დაწესებულებად გადაიქცა, და მას ორი მთავარი უფლება მიენიჭა: **ტრიბუნების არჩევისა** და სხვა-და-სხვა საკითხის შესახებ თავისი გადაწყვეტილების **პეტიციის სახით სენატში წარდგენისა.** ეს უკანასკნელი გარემოება ამით არის საყურადღებო, რომ იგი პლებეების საკანონმდებლო უფლების პრინციპიალურ აღიარებას ნიშნავდა.

არ გასულა დიდხანი, რომ პლებეებს **ავენტინის** დასახლების უფლება (lex icilia de aventino publicando) მიენიჭათ და კონსულების უფლებები ჯარიმის დადების მხრივ შეზღუდულ იქმნა (lex Tarpeia Aternia).

---

*) ეს მთა რომზე 3/5 გეოგრაფიული მილით იყო დაშორებული.

დეცემვირატი. პლებეები მაინც არ იყვნენ კმაყოფილნი. ისე, როგორც საბერძნეთშიც, სამართალი პატრიციების ხელთ იყო, და ის კანონები, რომლებითაც იგინი ხელმძღვანელობდენ, მათს საიდუმლოებას შეადგენდა, რადგანაც ჩაწერილი არ იყვნენ. ეს, რა თქმა უნდა, პლებეების ინტერესს არ შეეფერებოდა, და იგინი კანონების ჩაწერასა და გამოქვეყნებას მოითხოვდენ. ამ მიზნისათვის ათი წლის ბრძოლის შემდეგ, როგორც იქმნა 451 წელს ცალკე კომისია იქმნა არჩეული, რომელიც ათი კაცისაგან შესდგებოდა (decemviri legibus scribundis). დეცემვირებს ამავე დროს თითქმის მთელი სახელმწიფო ძალაუფლებაც გადაეცათ, გარდა სამხედრო უფლებისა. პირველი წლის განმავლობაში 10 მუხლი შემუშავდა. მაგრამ რადგანაც საქმე ჯერ კიდევ არ იყო გათავებული, მომავალი წლისათვის ხელახალი არჩევნები მოხდა, და კომისიაში ეხლა ხუთი პლებეი შევიდა, რომელთაც კიდევ ორი ახალი მუხლი შეიმუშავეს. ამგვარად, სულ 12 მუხლი იყო, რომელიც ცალკე ფირფიტაზე იქმნა ამოჭრილი და ყველასათვის გასაცნობად გამოკიდებული. ყველა ეს კანონი ახალს თითქმის არაფერს არ შეიცავდა. იგი სამოქალაქო სამართალს ეხებოდა და არსებული ადათის მიხედვით იყო შედგენილი. ერთ-ერთი მუხლი სხვათაშორის პლებეებსა და პატრიციებს შორის ქორწინების აღკრძალვას ადასტურებდა. პლებსი, რომელიც მეტს მოელოდა, უკმაყოფილო იყო, და დეცემვირატის წინააღმდეგ ამხედრდა. 449 წელს ჯარის დახმარებით დეცემვირატი ჩამოაგდეს და ძველი წესწყობილება აღადგინეს.

ამ ახალს გამარჯვებას, რა თქმა უნდა, უფლებათა ახალი გაფართოება უნდა მოჰყოლოდა, და 449 წელსვე პლებეების სახალხო კრებებს ე. წ. ტრიბუტკომიციებს ძალიან მნიშვნელოვანი უფლება მიენაჭა: „რასაც პლებსი ტრიბუტკომიციებში გადასწყვეტს, მთელი ხალხისათვის არის სავალდებულო“-ო (ut, quod tributim plebs jussisset, populum teneret), ამბობდა ახალი კანონი, და ამით პლებეების პოლიტიკურ გავლენას ფართო გზა ეხსნებოდა.

ორიოდე წლის შემდეგ ამავე ტრიბუტკომიციებს **ქვესტორების** არჩევის უფლებაც მიენიჭათ (წინედ თვითონ კონსულები ნიშნავდენ მათ). მართალია, ქვესტორად არჩევის უფლება ჯერ კიდევ მარტო პატრიციებს ჰქონდათ, მაგრამ სამაგიეროდ პლებსი თავის კომიციებში ყოველთვის თავისი ინტერესების დამცველის კანდიდატურას დაუჭერდა მხარს.

445 წელს, **კანულეის კანონის** (Lex Canuleia) მიხედვით, **ქორწინება** პატრიციელთა და პლებეებს შორის ნებადართულ იქმნა, და ამასთანავე პლებეებს უფლება **მიენიჭათ კონსულის თანამდებობის დაკავებისა.** ეს დიდი გამარჯვება იყო პლებეებისათვის, მაგრამ პატრიციებს არაფრისთვის არ სურდათ, უმაღლესი სახელმწიფო თანამდებობა პლებეებისათვისაც გაეზიარებიათ და ამიტომ კანონი გაატარეს, რომლის მიხედვითაც ნებადართულ იქმნა, კონსულის მაგიერ ახალი თანამდებობის პირნი ე. წ. **„სამხედრო ტრიბუნები“** (tribuni militum consulari potestate) აერჩიათ. მათი რიცხვი სხვა-და-სხვა დროს სხვა-და-სხვა იყო (3, 4, 6, 8, 9). ამგვარად, რაკი სახელმწიფოს უმაღლესი მართველის ძალაუფლება პლებეებსაც გაუზიარეს, პატრიციებმა მისი შესუსტება ეხლა მიზანშეწონილად დაინახეს, და ამით აიხსნება კონსულობის ადგილას ამ ახალი თანამდებობის წემოღება. სამაგიეროდ, ეხლა **დიკტატორის** დანიშვნა უფრო ხშირად შეიქმნა საჭირო, და დიკტატორობა-კი მხოლოდ პატრიციების ხელში იყო, რაც მას დიდ უპირატესობას ანიჭებდა. ამასთანავე 443 წელს, პატრიციების ზეგავლენით, ახალი თანამდებობა ე. წ. **ცენზორობა** შეიქმნა, რომელსაც მოქალაქეთა ქონების შეფასება, მათი კლასებად დაყოფვა და ბოლო ხანებში მთელი სახელმწიფო ქონების მართვაგამგეობა და ძველი ზნეჩვეულების სიწმინდის შესახებ ზრუნვა დაევალა. წინად ეს უფლება კონსულებს ჰქონდათ, და ეხლა, რაკი კონსულატში პლებეების მონაწილეობა იქმნა ნებადართული, ამიტომ პატრიციებისათვის ხელსაყრელი იყო, ასეთი ახალი თანამდებობა შეექმნათ და ცენზორის მნიშვნელოვანი უფლებები თავის ხელში დაეტოვებიათ.

ბრძოლა უფლებისათვის მაინც არ შენელებულა, და 421 წელს პლებეებმა სახელმწიფოს ფინანსიური მართველობისათვის მნიშვნელოვანი თანამდებობის პირების, **ქვესტორების** თავისი წრიდან არჩევის უფლება საბოლოოდ მოიპოვეს.

პლებეები, რაც დრო გადიოდა, უფრო მეტს უკმაყოფილებას იჩენდენ იმის გამო, რომ კონსულების არჩევა თითქმის სავსებით ხმარებიდან გამოდიოდა. ამ დროს სახელმწიფოს მეზობლებთან გამუდმებული ომები ჰქონდა, რომელიც თითქმის ყოველთვის რომაელების გამარჯვებით თავდებოდა. ყოველს ასეთს გამარჯვებას პლებეების მხრივ ახალ-ახალი უფლებების მოთხოვნის წამოყენება სდევდა თან.

დროებით, როდესაც რომს გალები დაესხენ თავს და დაიპყრეს იგი, სამოქალაქო ბრძოლა შეჩერდა. მაგრამ როდესაც მტერი უკუგდებულ იქმნა და ხალხი ხელ-ახლა წელში გაიმართა, პლებეებმა შენელებული ბრძოლა თანასწორუფლებიანობის მოსაპოებლად ხელახლა გააცხოველეს. მეოთხე საუკუნის პირველ ნახევარში პლებსმა კატეგორიულად მოითხოვა, სამხედრო ტრიბუნების მაგიერ ხელახლა კონსულები აერჩიათ. საქმე იმდენად გამწვავდა, რომ სამოცდაათიან წლებში მთელი წლის განმავლობაში უმაღლესი თანამდებობის პირნი სრულიად არ აურჩევიათ. ანარქია თითქმის ოთხ წელს გაგრძელდა, და ბოლოს პატრიციები იძულებულნი შეიქმნენ, დათმობის გზაზე დამდგარიყვნენ: 366 წელს გამოქვეყნდა ე. წ. **„ლიცინიუსის კანონები“**, რომლის მიხედვითაც კონსულატი აღდგენილ იქმნა, ხოლო ერთ-ერთ კონსულად პლებეის არჩევა იქმნა დადასტურებული. სამაგიეროდ, პატრიციების დასაკმაყოფილებლად შექმნილ იქმნა მათთვის ახალი თანამდებობა ე. წ. **პრეტურა**, რომლის კომპეტენციასაც უმთავრესად სამოქალაქო სამართლის წარმოება შეადგენდა. ამავე დროს პატრიციებს საპოლიციო უფლებებიც დაუტოვეს, რომლისთვისაც მათი წრიდან ე. წ. **ედილებს** ირჩევდენ.

მაგრამ სამოქალაქო ბრძოლა ამით არ დასრულებულა. პლებეები ასეთი კომპრომისებით მხოლოდ დროებით კმაყო-

ფილდებოდენ. თანდათანობით პატრიციების უპირატესობანი სათითოოდ ისპობოდენ, და მეოთხე საუკუნის დასასრულს წოდებათა სრული უფლებრივი გათანასწორება ფაქტი შეიქმნა.

ამგვარად, თითქმის ორასი წლის ბრძოლა შეიქმნა საჭირო, რათა რომში არისტოკრატიულ რესპუბლიკას დემოკრატიულისათვის დაეთმო ადგილი. წოდებრივ ბრძოლას ეხლა ნიადაგი გამოეცალა, მაგრამ სამაგიეროდ საზოგადოებაში ახალი გადაჯგუფება მოხდა: წოდებათა მაგიერ კლასები გაჩნდენ და სახელმწიფოს ცხოვრებას ამიერიდან შინაარსსა და მიმართულებას ამ ახალი ჯგუფების ბრძოლა აძლევდა.

საგარეო პოლიტიკა. იმ დროს, როდესაც შიგნით წოდებრივი ბრძოლა სწარმოებდა, გარედ რომს თავის მეზობლებთან გამუდმებული ომები ჰქონდა. ეს გარემოება ძლიერ ართულებდა ახალგაზრდა სახელმწიფოს ცხოვრებას. ერთის მხრივ, თვით გარეშე მტრებთან ომების წარმოებას საკმაოდ აფერხებდა შიგნით გამეფებული უთანხმოება; მეორეს მხრივ, შინაგანი ცხოვრების წარმატებითი განვითარება მუდმივი ომების ზეგავლენით ხშირად სცდებოდა ხოლმე თავისს ბუნებრივ გზას და დროებით საგრძნობლად ნელდებოდა.

ამგვარად, რომის სახელმწიფოებრივი ცხოვრების თავისებურება ამ ორი საწინააღმდეგო გარემოების ზეგავლენით მუშავდებოდა.

რომის დამოკიდებულება მეზობლებთან შეიძლება ორს მთავარ ხანად გაიყოს. პირველი იყო ის ხანა, როდესაც ახალგაზდა სახელმწიფოს თავისი არსებობისათვის უხდებოდა ბრძოლა: რომს ახლობელი მეზობლები ესხმოდენ თავს და თუ ყოველთვის მისს სრულ დაპყრობას არა, მისს საბოლოოდ დასუსტებას მაინც ესწრაფოდენ. რომს მაშინ **თავდაცვითი ომების** წარმოება უხდებოდა.

მეორე ხანა მას შემდეგ დაიწყო, როდესაც პირველი წარმატებით დასრულდა. თავდაცვით ომებმა რომს ახალი მიწა-წყალი შესძინეს, რადგანაც რომი აკტიურ თავდაცვას აწარმოებდა, მისი სამხედრო ძალა გააძლიერეს და ბუნებრივად

კვლავ ახალი მიწა-წყლის შეძენის სურვილი აღუძრეს. ამგვარად, მეორე ხანა **შეტევითი ომების ხანა** იყო, რომელსაც შედეგად მთელი იტალიის გაერთიანება მოჰყვა რომის ბატონობის ქვეშ.

1. თავდაცვითი ომების ხანა. ცნობები, რომელიც ამ ომების შესახებ მოგვეპოვება, თითქმის ყველა ლეგენდარული ხასიათის არის. მაგრამ ამის მიუხედავად მათს შესახებ ზოგი რამ მაინც გადაწყვეტით შეიძლება ითქვას; ცხადად სჩანს, რომ ეს ომები მეზობელი **ლათინების, ეტრუსკელების, ვოლსკების და ექვების** დამარცხებით და მათი მიწა-წყლის ნაწილის შემოერთებით დასრულებულან.

ა. ომები ლათინებთან. როგორი იყო მიმდინარეობა ამ ომებისა, ძნელი სათქმელია. ხოლო მათი შედეგი ცხადად ჩანს იმ ხელშეკრულებიდან, რომელიც 509 წელს რომაელებმა კართაგენელებთან დასდეს. აქ ნათქვამია, რომ კართაგენელებს ნება არა აქვთ იმ ლათინების ქალაქებზე გაილაშქრონ, რომელნიც რომაელებთან შეკავშირებულნი არიან, ხოლო დანარჩენი ლაციუმის საწინააღმდეგო მოქმედება კართაგენელებს ნება დართული აქვთ. ცხადია, რომი უკვე რესპუბლიკის პირველსავე წლებში ლათინების ქალაქთა კავშირის წარმომადგენლადა და მეთაურად გრძნობდა თავს. ხოლო ლაციუმის რამდენად საგრძნობი ნაწილი შედიოდა ამ რომის ხელქვეით კავშირში, ეს მეორე დოკუმენტიდან სჩანს, რომელიც 493 წელს არის შედგენილი და სადაც ჩამოთვლილია სულ 30 ქალაქი, რომელიც ლათინთა კავშირში შედიოდა. ამგვარად, რომს ლაციუმის უდიდესი ნაწილის მეთაურობა შეუძენია, ასე რომ ახალი რესპუბლიკის მხრივ გარეშე პოლიტიკაში ლაციუმის სახელით ლაპარაკი ადვილი გასაგებია.

ამ კავშირს რომის საგარეო პოლიტიკაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მისი მიზანი ერთის მხრივ **ეტრუსკელებთან** და მეორეს მხრივ მეზობლად მობინადრე **ექვებთანა** და **ვოლსკებთან** წარმატებითი ომის წარმოება იყო. ეს ხალხები მოსვენებას არ აძლევდენ რომსა და მთელს ლაციუმს, ძალიან

ხშირად ესხმოდენ თავს და ახალგაზდა სახელმწიფოს მშვიდობიანი ცხოვრების შესაძლებლობას არ აძლევდენ.

ბ. პირველს ხანებში ომები **ეტრუსკელებთან** ძლიერ სახიფათო სახეს ღებულობდენ.

ის თქმულებები, რომელნიც ამ ომის შესახებ მოგვითხრობენ, ნათლად ამტკიცებენ, თუ რამდენი და რა მწვავე დამარცხება უგემებიათ რომაელებს. მაგრამ შემდეგში გამარჯვება მაინც რომაელების მხარეზე დარჩა.

ჰორაციოს კოკლეს. როდესაც ტარქვინიუსი რომიდან განდევნეს, მან ეტრუსკელების ძლიერ მეფეს **პორსენას** მიმართა. ეს უკანასკნელი მას რომში დაბრუნებას დაპირდა და დიდი ჯარით რომისაკენ გამოიდაშქრა. ბორცვი **იანიკულუსი** უკვე მის ხელში იყო, ასე რომ პორსენას მარტო ხიდი დარჩა ასადები, რათა რომი ხელში ჩაეგდო. ხიდზე **ჰორაციუს კოკლესი** ჩადგა და, სანამ რომაელები ხიდს დაარღვევდენ, მტერს ერ უშვებდა. შემდეგ თვითონ მდინარეში გადავარდა და მეორე ნაპირს უვნებლად მიადწია. ამგვარად, რომი გადარჩენილ იქმნა.

მუციუს სცევოლა (მარცხენა). მაგრამ პორსენა თავისას არ იშლიდა და რომს ყველა გზები შეუკრა. ქალაქში შიმშილი და გაჭირვება ჩამოვარდა; დღეს თუ ხვალ იგი მტერს უნდა დანებებოდა. მაშინ გამოჩნდა ვინმე ახალგაზდა **მუციუსი**, რომელმაც პორსენას ბანაკში გადასვლა და მისი მოკვლა გადასწყვიტა. მიიდო თუ არა ამის დასტური სენატისაგან, იგი მდინარის მეორე ნაპირზე გადავიდა და პორსენას სენაკში შეიპარა. მაგრამ რადგანაც მეფეს ვერ იცნობდა, მის მაგიერ მისი მდივანი, რომელიც მდიდარი ჩაცმულობის გამო მეფედ მიიდო, მოჰკლა. მუციუსი დაიჭირეს. მან პორსენას თავისი განზრახვა თამამად გაუმეღავნა და დაუმატა, შენს წინააღმდეგ შეთქმულებაა და შენი მოკვლა გადაწყვეტილიაო. მეფემ მუქარის საშვალებით შეთქმულების გამომეღავნება მოსთხოვა, მაგრამ მუციუსმა, იმის დასამტკიცებლად, რომ მას მუქარის არ ეშინოდა, იქვე დანთებულ სამსხვერპლო ცეცხლში ხელი ჩასდო და გულგრილად უყურებდა, როგორ სწვავდა ხელს ცეცხლი. ასეთი ამტანე-

ლობით გოტებულმა ჰორსენმა შუტიუსის განთავისუფლება ბრძანა. მაშინ მან, თითქოს მადლობის ნიშნად, მეფეს მოახსენა: ხამასს ჩემისთანა ახალგაზდას აქვს შენი მოკვლა განზრახული; ჰირველი ჯერი მე მერგო, მაგრამ ჩემს შემდეგ თითოეული მათგანი მოვა, სანამ თავის განზრახვას რომელიმე მათგანი სასრულეში ვერ მოიყვანოს. მეფეს შეეშინდა და რომაელებს ზავით შეეკრა. ასე გადარჩა რომი სრულს დაბერობასა და ეტრუსკელების მოსობას.

ბ. რომის სამხრეთით მობინადრე **ვოლსკებს,** რომელთაც საკმაოდ ძლიერი ქალაქები ჰქონდათ, ლათინების კავშირში შესვლა არ უნდოდათ. ამ ნიადგზე დაიწყო ომი მათსა და რომაელებს შორის. თქმულებებიდან სჩანს, რომ რომაელებს საქმე აქაც ძლიერ გასჭირებიათ და არა ერთხელ დამარცხებაც-კი უგემებიათ.

კორიოლანი. ერთ-ერთი ახალგაზდა პატრიციელი, რომელსაც ქალ. კორიოლის დაბერობის დროს არაჩვეულებრივ გმირობის გამოჩენისათვის **კორიოლანი** უწოდეს, რომიდან, ბრალებებთან მტრული განწყობილების გამო, გაიძევეს. იგი ვოლსკებს შეუერთდა და მალე იგინი რომის დასაბერობად წამოიყვანა. ცამეტამდი ქალაქი მტერს ჩაუვარდა ხელში, და რომი ეიმედობამ მოიცვა. რაკი მოლაპარაკებამ ვერ გასწრა, რომელიც სენატორებმა დაიწყეს, გადასწყვიტეს უკანასკნელი ზომისთვის მიემართათ: ვოლსკების ბანაკში კორიოლანთან ქალების დელეგაცია გაგზავნეს, **რომელსაც** კორიოლანის **დედა, ვეტუვია** და **მეუღლე, ვოლუმნია** მეთაურობდენ. **როდესაც** კორიოლანმა გაიგო, დელეგაციაში დედა ჩემიც არისო, იმ წამსვე მის შესახვედრად გაეშურა; მაგრამ დედამ შვილი ახლოს არ მიუშვა: ვინა ხარ, ჩემი შვილი თუ ჩემი სამშობლოს მტერიო? ამან ისეთი ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა კორიოლანზე, რომ მან საპასუხოთ წამოიძახა: „დედა, შენ შვილს რომი არჩიეო!“ და მოხსნა ვოლსკების ბანაკი და ჯარი უკან გაიბრუნა. რამდენიმე ხნის შემდეგ იგი მოკლულ იქმნა.

დ. არა ნაკლებ სასტიკი უნდა ყოფილიყო ის ომი, რომელიც რომაელებს **ეკვებთან** და **საბინელებთან** ჰქონდათ. ამას ის გარემოება ამტკიცებს, რომ სწორედ ეკვებთან ბრძო-

ლის დროს რომაელებმა, სხვა საშუალება რომ ველარაფერი გამონახეს, **დიკტატორობა** შემოიღეს და მხოლოდ ამით ეშველეს თავს. თქმულების მიხედვით, პირველი დიკტატორობა პატრიციელს **ცინცინატის** ხვდა წილად, რომელსაც ყანის მუშაობის დროს მოუვიდა ამბავი მისი დიკტატორად დანიშვნის შესახებ.

2. **შეტევითი ომების ხანა. იტალიის გაერთიანება.** თუ პირველ ხანაში ახალ სახელმწიფოს ყოველ მხრივ მტრების მოგერება უხდებოდა, მეხუთე საუკუნის მეორე ნახევრიდან დაწყებული, იგი შეტევაზე გადავიდა და თავისი საზღვრების გაფართოებას მიჰყო ხელი. თანდათანობით მან მთელი იტალია დაიპყრო: პირველად შუა იტალია, შემდეგ სამხრეთი და დასასრულ ჩრდილო იტალია.

ა. **საშუალო იტალიის დაპყრობა.** რომის უახლოესი მეზობლები, ვოლსკები და ექვები, რომელნიც ახალ სახელმწიფოს მოსვენებას არ აძლევდენ, უკვე პირველ ხანაში შეიქმნენ იძულებულნი, იარაღი დაეყარათ და რომს დამორჩილებოდენ. მათს საბოლოოდ დასაპყრობად რომაელებმა მათს მიწაწყალზე თავისი **კოლონიები** დააარსეს; ეს კოლონიები ახლად დასახლებულ ადგილებს როდი წარმოადგენდენ, არამედ დაპყრობილი ქალაქი თავისი ტერიტორიის ნაწილს ათავისუფლებდა და მასზე რომაელები სახლდებოდენ. პირველი ასეთი კოლონია (**არდეა**) რომაელებმა ვოლსკების მიწაწყალზე დააარსეს. იგივე ბედი ეწვია ექვების რამდენსამე ქალაქსაც. თუ რომელიმე ქალაქი კიდევ სცდიდა რომაელების წინააღმდეგ აჯანყებას, მაშინ ასეთს ქალაქს სრულიად სპობდენ, მისს მიწაწყალს სახელმწიფოს საკუთრებად (ager publicus) აცხადებდენ და სავსებით რომაელებით ასახლებდენ.

რომაელები ამგვარად თანდათანობით ეტრურიის მნიშვნელოვან ქალაქს, **ვეის** უახლოვდებოდენ, რომელიც თავისი სიძლიერით რომს მეტოქეობას უწევდა. 406 წელს ამ ორ ქალაქს შორის გადამწყვეტი ომი დაიწყო, რომელსაც საბოლოოდ უნდა გადაეწყვიტა საკითხი, ვის უნდა ხვდომოდა ბატონობა საშუალო იტალიაში, რომს თუ ვეის. ომი 10 წელს

გაგრძელდა და ვეის სრული განადგურებით დასრულდა. ამიერიდან რომს საშიში მეტოქე ჩამოშორდა და მას თავისი საზღვრების გაფართოება ახლა უდრო ადვილად შეეძლო.

აღსანიშნავია, რომ ვეელებთან ომის დროს რომაელები იძულებული შეიქმნენ, თავის სამხედრო სისტემაში ერთგვარი ცვლილება შეეტანათ, რომელიც შემდეგში პოლიტიკურადაც ძლიერ მნიშვნელოვანი აღმოჩნდა: ომის ხანგრძლივობისა და განუწყვეტლობის გამო საჭირო შეიქმნა ჯარისკაცებისათვის **ჯამაგირი** შემოეღოთ. მდიდარი პატრიციებისა და პლებეების წრეებში ბევრი აღმოჩნდა ისეთი, რომელიც ასეთ ჯამაგირზე უარს ამბობდა; ამგვარად, ჯარის ახალი ერთეულები გაჩნდენ, რომელნიც ჩვეულებრივი ცენტურიების გარეშე იდგენ და თავისი ნებით მსახურებდენ. მალე მათი წრიდან ახალი წოდება, ე. წ. **მხედართა წოდება** შეიქმნა, რომელმაც შემდეგში საკმაოდ დიდი როლი შეასრულა.

გალების თავდასხმა. სრულიად მოულოდნელად რომის შეუდარებელი წინსვლა ახალი ხალხის, **კელტების** (რომაელები მათ **გალებს** უწოდებდენ) თავდასხმამ შეაჩერა. იგინი, გერმანელების მოძრაობის გამო, დასავლეთით წამოვიდენ და შემდეგ ჩრდილო იტალიაში ეტრუსკელებს დაეჯახენ. ბრძოლა მათ შორის მდინ. **პოს** ჭალების გამო რამოდენიმე ათეულ წელს წარმოებდა. ბოლოს 387 წელს, სწორედ ალიაში, როდესაც საბერძნეთს ანტალკიდას ზავის სახით სპარსელები ეპატრონებოდენ, გალები **ალიასთან** რომაელებს შეხვდენ და სასტიკი ბრძოლის შემდეგ იგინი ისე დაამარცხეს, რომ თავზარდაცემულმა რომაელებმა თავისი დედა-ქალაქი დასცალეს და ახლო-მახლო ქალაქებში გაიხიზნენ. სამი დღის შემდეგ გალებმა მთელს რომს ცეცხლი მოუკიდეს. თავდაცვა მხოლოდ რომის სიმაგრემ, **კაპიტოლიმ** სცადა. შვიდი თვის ალყის მიუხედავად, ციხეების აღებაში გამოცდილმა გალებმა სიმაგრის აღება მაინც ვერ მოახერხეს და ბოლოს რომაელებისაგან 1000 გირვანქა ოქრო აიღეს და ქალაქს თავი დაანებეს. გადამწვარი რომი მალე გამოცოცხლდა, და რომაელებმა თავისი მეზობლების წინააღმდეგ ბრძოლას ხელახლა ხელი მოჰკიდეს.

კავშირი სამნიტელებთან. ამ ბრძოლის წარმატებას ძალიან შეუწყო ხელი იმ გარემოებამ, რომ რომაელებმა მეოთხე საუკ. ნახევარში **კავშირი** შეჰკრეს თავის მეზობელ **სამნიტელებთან** (სამხრეთ-აღმოსავლეთით ლაციუმიდან), რომელნიც თუმცა კულტურულად ჩამორჩენილნი იყვნენ, მაგრამ სამხედრო ძლიერების მხრივ რომს არ ჩამოუვარდებოდენ. ამ გარემოებამ რომს ხელი გაუხსნა და მან ადვილად დაასრულა თავისი ახლო მეზობლების დამორჩილება.

ლათინების კავშირის დაშლა. ლათინელებმა, რომელნიც ომების დროს რომს დიდ დახმარებას უწევდენ, მაგრამ არავითარი უფლებებით არ სარგებლობდენ, ეხლა მოთხოვნილება წამოაყენეს, რომლის მიხედვითაც **ერთ-ერთი კონსული და სენატორთა ნახევარი რიცხვი მათი წრიდან უნდა ყოფილიყვნენ არჩეულნი.** რომაელებმა ეს ომის გამოკიდებად ჩასთვალეს და მოკავშირეებს შეესივნენ. მაგრამ რადგანაც ლათინებთან **კამპანია** იყო შეკავშირებული, ამიტომ რომაელები, სტრატეგიულის მოსაზრებით, პირდაპირ როდი შეიჭრენ ლაციუმში, არამედ ლაციუმსა და კამპანის შორის მდებარე ჭალა დაიკავეს, და ამით მოკავშირეები ერთმანეთს დააშორეს. ბრძოლა რომის სასარგებლოდ დასრულდა: რომმა არა მთელ კავშირთან, არამედ თითოეულ ქალაქთან ცალკე გამართა მოლაპარაკება და ყველას სხვა-და-სხვა პირობებით შეეკრა: ერთი ნაწილი რომის მოქალაქეებად გამოაცხადა, მაგრამ ხმის უფლება არ მისცა (civitates sine auffragio) ე. ი. მოქალაქის ყველა მოვალეობა დააკისრა, ხოლო არც ერთი უფლება არ დაუთმო; მეორე ნაწილი რომის ტრიბად გამოაცხადა და ზოგან კიდევ კოლონიები გაგზავნა.

ამგვარად, ლათინთა კავშირი დაირღვა და რომის ბატონობას დაექვემდებარა. აღსანიშნავია, რომ ამავე დროს **კამპანიაც** იძულებული შეიქმნა, რომს შეკავშირებოდა: მისი ქალაქების დამოუკიდებლობა ხელუხლებელი დარჩა, ხოლო სამაგიეროდ მათ რომის სამხედრო დახმარება დაეკისრათ. ამ გარემოებამ, რა თქმა უნდა, რომს დიდი ძალა შესძინა.

ომი სამნიტელებთან (326—290 წ.). რომის გავლენის გაძლიერებამ კამპანიაში რომაელებისა და სამნიტელების კავშირი დაარღვია. სამნიტელები ნათლად ხედავდენ, რომ კამპანიაში რომის მტკიცედ დამკვიდრება მათ დიდ ხიფათს უმზადებდა და ამიტომ საომარ მზადებას მიჰყვეს ხელი. სამნიტელები თავისი სიძლიერით საშუალო იტალიაში ერთად-ერთი ხალხი იყო, რომელიც პირველობაში რომს ეცილებოდა. მომავალ ომზე იყო დამოკიდებული, თუ ვის უნდა დარჩენოდა პირველობა, სამნიუმს თუ რომს. სამნიტელებს, რომელნიც როგორც მეომარნი სახელგანთქმულნი იყვნენ, ერთი სუსტი მხარე ჰქონდათ: იგინი მრავალ დამოუკიდებელ თემებად იყვნენ დაყოფილნი და ამიტომ ერთს მთლიანს, შეკავშირებულ ძალას არ წარმოადგენდენ.

მართალია, ომის მიმდინარეობაში მათ არა თუ ერთმანეთს შორის სცადეს შეკავშირება, არამედ რომის ყველა მტერს, განსაკუთრებით-კი გალებს, ეტრუსკელებსა და საშუალო იტალიის ზოგ მცირე ხალხებსაც შეუთანხმდენ და რამდენიმე წლის განმავლობაში რომაელებს არა იშვიათად ამარცხებდენ, მაგრამ გამარჯვების სასწორი ბოლოს და ბოლოს მაინც რომაელებისაკენ გადაიხარა. სამნიტელები იძულებულნი გახდენ, თავისი მთაგორიანი სამშობლოს საზღვრებით დაკმაყოფილებულიყვენ და კამპანიასა და ახლო მდებარე მიწებზე რომის გავლენისა და ბატონობის განმტკიცებას შერიგებოდენ.

ახლად შემოერთებულ ადგილებში რომაელებმა მრავალი კოლონია დააარსეს, და, ამგვარად, თავის გაფართოებულ ტერიტორიას გარშემო გამაგრებული ქალაქების სალტე შემოარეს. სამნიტელებთან ომის დროს მათ პირველად შეჰქმნეს **სამხედრო ფლოტიც** და ლაციუმის ზღვის ნაპირის უზრუნველსაყოფად პონტიის კუნძულზე რომაული კოლონია გააშენეს. ამ ომის შემდეგ რომის სრული ბატონობა საშუალო იტალიაში დასრულებულ საქმედ იყო მიჩნეული, და ეხლა ჯერი სამხრეთ იტალიაზე მიდგა.

ბ. სამხრეთი იტალიის დაპყრობა. სამხრეთი იტალია

ბერძენთა ახალშენების ხელში იყო. მეზობელი ადგილობრივი ხალხები გამუდმებულ ომებში იმყოფებოდენ ამ ახალშენებთან, და ეს უკანასკნელნი დახმარებას თითქმის ყოველთვის საბერძნეთში ეძიებდენ. როდესაც რომი თანდათანობით სამხრეთს მიუახლოვდა, მაშინ ბერძენთა აქაურმა კოლონიებმა თავისი მტრების, ადგილობრივი ხალხების საწინააღმდეგოდ დახმარებისათვის რომს მიმართეს. რომაელები სიამოვნებით ხვდებოდენ ასეთს წინადადებას და სამხრეთი იტალიის საქმეებში ბერძენთა ახალშენების სასარგებლოდ ერეოდენ. ამით იგინი, რა თქმა უნდა, თავის საქმეს აკეთებდენ, რადგანაც მათთვის თავი და თავი ჯერ ადგილობრივ ტომთა დასუსტება იყო და შემდეგ ბერძნებსაც ადვილად გაუსწორდებოდენ. ასე იყო თუ ისე, რომაელებმა მჭიდრო კავშირი გააბეს სამხრეთი იტალიის ბერძენთა ახალშენებთან, სადაც საბერძნეთის განვითარებული კულტურა ყვაოდა. ამ კავშირს მათზე დიდი გავლენა ჰქონდა, იგინი პირველად ეხლა გაეცვნენ ბერძნების კულტურას და თანდათანობით მის გავლენას დაემორჩილენ.

ამ ახალშენთა შორის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი, მდიდარი და ძლიერი **ტარენტი** იყო. მას საკმაოდ დიდი ჯარი ჰყავდა და იმ თავითვე თავისი გავლენის ქვეშ ახალშენთა გაერთიანებას სცდილობდა. ახალშენები არ იყვნენ კმაყოფილნი ტარენტის ასეთი მისწრაფებით, და როდესაც ერთ-ერთს ახალშენს **თურიოსს** ადგილობრივი ტომი **ლუკანები** დაესხენ თავს, მან ტარენტის მაგიერ დახმარებისთვის რომს მიმართა. რომაელებმა თურიოსს დასახმარებლად ჯარი გაგზავნეს და ლუკანელების დაპყრობისაგან უზრუნველჰყვეს. რომაელებმა თურიოსთან კავშირით მთელი სამხრეთის დასაპყრობად სარგებლობა გადასწყვიტეს. ამ მიზნის განსახორციელებლად უწინარეს ყოვლისა უძლიერესი ახალშენის, **ტარენტის**, დამორჩილება იყო საჭირო, და მათ ტარენტისაკენ თავისი ფლოტის ნაწილი გაგზავნეს. ტარენტმა ამაში ომის დაწყების ნიშნები დაინახა და რომაელების წინააღმდეგ მტრულად განწყობილის სამნიტელებთანა და ლუკანებთან კავშირი შეჰკრა და

ომი დაიწყო. თვით ახალშენთა შორის ზოგი ისევ
რომის მხარეზე დარჩა. პირველი წლის განმავლობაში (281 წ.)
გამარჯვება რომაელების მხარეზე იყო. მაშინ ტარენტმა კვლა-
ვინდებურად დახმარების ძიება აღმოსავლეთით დაიწყო და
ეპირის მეფე **პიროსი** მოიწვია. მაგრამ ბოლოს და ბოლოს
საქმეს ვერც ამან უშველა და 266 წელს სამხრეთი იტალიაც
რომს დაემორჩილა.

პიროსი იმ დროს უშესანიშნავესი სარდალი იყო. მან დაქსა-
ქსული ეპირის გაერთიანება და ძლიერი სახელმწიფოს შექმნა მოა-
ხერხა, მაგრამ რადგანაც **მაკედონიაში** საქმეები იმგვარად მოეწ-
წყო, რომ იქ დიდი სახელმწიფოს დაარსება პიროსისათვის საძნე-
ლი შეიქმნა, ამიტომ მან ტარენტის მოწოდება სიამოვნებით მიიღო.
მას იმედი ჰქონდა, სამხრეთ იტალიას დაპატრონებოდა, იქიდან
სიცილიაში გადასულიყო, რომელზეც მას, როგორც სიცილიის ერთ-
ერთ მეურობელის სიძეს, პრეტენზიები ჰქონდა, და ამ სახით
თავისი სურვილებისა და ძლიერების შესაფერისი ფართო სახელმწი-
ფო დასავლეთში მაინც დაეარსებია. ამ მიზნებით იგი 20000 ქვეით
ჯარის-კაცით, 3000 თესალიელი ცხენოსნით და **სპილოებით**,
რომელნიც წინად იტალიას არ ენახა, ტარენტის დასახმარებლად
წამოვიდა. 280 წელს **ჰერაკლესთან** პირველად დაეჯახა იგი რო-
მაელებს. ბრძოლა რომაელების სასტიკი დამარცხებით დასრულდა
(ამბობენ, სპილოების ბრძოლაში მონაწილეობამ რომაელებში პანიკა
გამოიწვია).

პიროსი სამხრეთი იტალიიდან ლაციუმისაკენ დაიძრა და თვით
რომის აღებას აპირებდა; იგი უკვე ახლო იყო რომთან, როდესაც
რომაელებმა საკმაოდ დიდი ძალების შეგროვება მოახერხეს. პიროსი
იძულებული შეიქმნა, უკანვე გამობრუნებულიყო. 279 წელს იგი
აპულიას შეესია, რათა ეს ქვეყანა რომაელებისაგან გათავისუფ-
ლებია და მას თვითონ დაპატრონებოდა. **აუსკულთან** იგი რომაე-
ლების ჯარს დაეჯახა და, ორი დღის ულმობელი ბრძოლის შემდეგ,
გაიმარჯვა. მაგრამ გამარჯვება ისეთი იყო, რომ პიროსი, თქმულე-
ბის მიხედვით, იძულებული ყოფილა ეთქვა: „ერთი ასეთი გამარჯვე-
ბა კიდევ, და მე დავიღუპეო!“ („პიროსის გამარჯვება“).

ამ დროს მაკედონიაში დიდი ცვლილებები მოხდა, და პირველს უკანვე უნდოდა გაბრუნება. ამას გარდა, მას **სიცილიაშიაც** იწვევდენ, სადაც მეზობელი ძლიერი **კართაგენი** თავის გავლენას ავრცელებდა. ამიტომ პირველს რომაელებთან ომის დასრულება ეწადა და მათთან მოლაპარაკების დაიწყო. კართაგენელები გრძნობდენ, რომ რომთან პირველის ომის გათავებას ამ უკანასკნელის სიცილიაში გადასვლა და მათთან შებრძოლება მოყვებოდა. ამიტომ მათ რომაელებს კავშირი და დახმარება შესთავაზეს, და რომის სენატმა პირველთან შეთანხმებაზე უარი განაცხადა. ამის მიუხედავად პირველმა მაინც სიცილიაში გადასვლა არჩია; სულ ცოტახნის განმავლობაში იქიდან კართაგენელები განდევნა და მთელი კუნძული დაიმორჩილა. მაგრამ სიცილიელებს შორის მალე უკმაყოფილებამ იჩინა თავი, და პირველი იძულებული შეიქმნა კუნძულისათვის თავი დაენებებია. იგი ისევ სამხრეთ იტალიას დაუბრუნდა და უკანასკნელად რომაელებს **ბენევენტთან** ბრძოლა გაუმართა (275 წ.), რომელიც რომაელების გამარჯვებით დასრულდა. პირველს მაკედონიის საქმეების ხელიდან გაშვება არ უნდოდა, ამიტომ იგი თვითონ ბალკანეთს გაემგზავრა, ხოლო თავისი ჯარის ნაწილი იტალიაში დასტოვა ამ იმედით, რომ შეიძლება მალე უკანვე დაბრუნება მოხდომოდა. მაგრამ რადგანაც პირველ ხანებში მაკედონიაში მისი საქმეები კარგად წავიდა, მან იტალიაზე საგსებით ხელი აიღო და აქაური თავისი მოკავშირენი დვთის ანაბარა დასტოვა. რომაელებს ხელი გაუხსნათ და მალე ტარენტი დაიპყრეს. 266 წელს სამხრეთი იტალია უკვე საგსებით რომის ხელთ იყო.]

ჩრდილო იტალიის დაპყრობა ცოტა უფრო გვიან დასრულდა. გალები, რომელნიც აქ ბატონობდენ, ხშირად ეხმოდენ თავს საშუალო იტალიას. აქ მათ ყოველთვის დახმარებას უწევდენ რომის შეურიგებელი მტრები **ეტრუსკელები** და **სამნიტელები**. 295 წელს შემდეგ, როდესაც რომაელებმა თავისი მტრების შეკავშირებული ძალების დამარცხება შესძლეს, მათი საქმე უკეთ წავიდა. მაგრამ ათი წლის შემდეგ (285 წ.) გალებმა (**სენონის გალებმა**) ერთი ბრძოლის დროს (არეციუმთან) რომაელების ძალები სრულებით გაანად-

გურეს; ამისი შემდეგი ის იყო, რომ რომაელებმა უკანასკნელის ძალის ხმევას მიმართეს და მალე ისეთი სისასტიკით გაანადგურეს სენონების მიწა-წყალი, რომ იტალიის ხალხთა შორის მათი ხსენებაც-კი აღმოიფხვრა. გალებმა ამის შემდეგ ეტრუსკელებთან ერთად კიდევ უფრო მეტის სიფხიზლით განაგრძეს რომაელებთან ბრძოლა, მაგრამ მალე მათი კავშირი დაირღვა და იგინიც იძულებულნი შეიქმნენ, ჩრდილოეთისაკენ დაეხიათ, ასე რომ რომაელების ბატონობა ამ მიმართულობით **არიმინუმამდი** მივიდა.

ამგვარად, მესამე საუკუნის პირველ ნახევარში რომი უძლიერეს სახელმწიფოდ გარდაიქცა, რომელიც ტარენტიდან დაწყებული ვიდრე არიმინუმამდი მთელს იტალიას ფლობდა, და ხმელთაშუა ზღვის დიდ სახელმწიფოთა შორის საპატიო ადგილი დაიმკვიდრა. ამიერიდან მისი პოლიტიკა იტალიის საზღვრებს უნდა გასცილებოდა და მას მსოფლიო მიმართულება მიეცა. ეს პირველი შემთხვევა იყო, რომ მთელი ნახევარკუნძული პოლიტიკურად გაერთიანდა. წინად მხოლოდ სამხრეთის ნაწილს ეწოდებოდა **იტალია**. ეხლა ეს სახელი მთელს კუნძულზე გავრცელდა.

იტალიის მართვა-გამგეობის მოწესრიგება. იტალიის მოსახლენი, რაგორც ერთი სახელმწიფოს წევრნი, სხვადასხვაგვარ მდგომარეობაში იმყოფებოდენ.

1. დიდს უმრავლესობას რომის **მოქალაქენი** შეადგენდენ; მთელს საშუალო იტალიაში მიწა-წყლის დიდი ნაწილი მათ ჰქონდათ დაკავებული; ამას გარდა იგინი კოლონიებშიაც ცხოვრობდენ. ამგვარად, მოქალაქეთა უმრავლესობა მთელს იტალიაში იყო გაბნეული. თითოეული მათი ოლქი სასამართლოს მხრივ დამოუკიდებელი იყო და მას **პრეფეკტურა** ეწოდებოდა, რომელსაც სამართლის საწარმოებლად ან არჩეული ან რომიდან დანიშნული **პრეტორი** ჰყავდა.

2. ზოგი ოლქი, რომელიც წინად დამოუკიდებლობით სარგებლობდა, ეხლა რომის ნაწილად იქმნა გამოცხადებული, და მისი მოსახლენი რომის ქვეშევრდომებად ითვლებოდენ. მათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაკისრებული ჰქონდათ ყველა ის მოვალეობა, რომელიც ამ უკანასკნელთ ჰქონდათ, უფლებებს-კი საგსებით მოკლებულნი იყვნენ. ასეთ ოლქებს **მუნიციპიები** ეწოდებოდათ, ხოლო მათ მოქალაქეებს „cives sine suffragio".

3. იტალიის დანარჩენი ნაწილები **„მოკავშირეებად"** ითვლებოდენ (socii). გამუდმებული ომების დროს რომი მათ სხვადასხვა პირობებით ეკვროდა, მაგრამ ბოლოს მათი მდგომარეობა გათანასწორდა და საერთოდ შემდეგი სახე მიიღო: თითოეული მათგანი განსაზღვრულ ფარგლებში დამოუკიდებლობით სარგებლობდა; სამაგიეროდ ყველას **სამხედრო ბეგარა** ჰქონდა დაკისრებული; იგინი ჯარს აგროვებდენ და თავისი ხარჯით ინახავდენ. მის უფროსებს თვითონვე ნიშნავდენ, მაგრამ უმაღლესი სარდლობა რომაელების ხელში უნდა ყოფილიყო.

ამ მოკავშირეთა შორის სამხრეთი იტალიის ბერძნული ქალაქები განსაკუთრებულ მდგომარეობაში იმყოფებოდენ იმ მხრივ, რომ იგინი ქვეყითა ჯარის გამოყვანისაგან განთავისუფლებულნი იყვნენ, მაგრამ სამაგიეროდ **გემების** განსაზღვრული რიცხვი უნდა წარმოედგინათ. ამიტომ მათ „socii navales" ეწოდებოდათ.

თავის შინაურ ცხოვრებას მოკავშირენი ძველებურად განაგებდენ; რომაელები მათ ამ მხრივ არ ავიწროებდენ, ხოლო პარტიული ბრძოლის დროს იმ პარტიას უჭერდენ მხარს, რომელიც რომის მომხრეობას იჩენდა.

იტალიის გაერთიანების უახლოესი შედეგები. იტალიის გაერთიანებას რომის ბატონობის ქვეშ საკმაოდ მნიშვნელოვანი შედეგები მოჰყვა თან. აპენინის ნახევარკუნძულზე ახალი ძლიერი სახელმწიფო გაჩნდა, რომლისთვისაც იმდროინდელ დიდ სახელმწიფოთ უთუოდ ანგარიში უნდა გაეწიათ. ეს ის ხანა იყო, როდესაც ალექსანდრე მაკედონელის მსოფლიო მონარქია დაირღვა და სამს დიდ სამეფოდ გაიყო: პირველი, ყველაზე უფრო რიგიანად მოწყობილი და მდიდარი **ეგვიპტე** იყო, რომელსაც პტოლომეიდები ფლობდენ; მეორე ალაგი

სირიას ეპყრა და მესამე — **მაკედონიას**. ხანგრძლივი ომების შემდეგ ამ სახელმწიფოთა შორის ძალების ერთგვარი წონასწორობა დამკვიდრდა და ამისგამო თანდათან მშვიდობიანი ცხოვრება მყარდებოდა. იტალიის სახელმწიფო, **რომი** სრულიად ახალ ძალად შეიჭრა არსებულს პოლიტიკურ ურთიერთობაში და, ეჭვი არ არის, მისს პოლიტიკაზე ერთგვარ გავლენას მოიპოვებდა.

ამ დიდ სახელმწიფოთა გარდა ჯერ კიდევ არსებობდა დამოუკიდებელი საბერძნეთის ქალაქები, რომლის კულტურა თანდათანობით, ალექსანდრე მაკედონელის წყალობით, მთელს მისს დიდ მონარქიას მოეფინა და შეჰქმნა ერთგვარი კავშირი, რომელიც ყველა დასახელებულ სახელმწიფოებს თანაბრად ეხებოდა. ეს იყო ე. წ. **ელინისტური** კულტურა, რომელიც ქვეყნად საბერძნეთის გენიის გაბატონებას ნიშნავდა. როდესაც რომი იმ დროინდელ დიდ სახელმწიფოთა წრეში შეიჭრა, ცხადია, იგიც ძალაუნებურად იმავე კულტურულ ზეგავლენას უნდა დამორჩილებოდა, რომელსაც იქ ჰქონდა ფეხი მოკიდებული. ჩვენ ვხედავთ, რომ მართლაც რომში იმ დროიდან დაწყებული ელინისტური კულტურა ფეხს იკიდებს. მაგრამ რომისათვის ამ კულტურის წყარო მისი საკუთარი ტერიტორიის საზღვრებში მოიპოვებოდა. სამხრეთი იტალიის ბერძენთა ახალ-შენებიდან მიმოსვლა რომში გახშირდა და რომაელებიც სარგებლობდენ მათი კულტურული უპირატესობით. ბერძნული ენა რომში მალე გავრცელდა და მისი ცოდნა განათლებული რომაელისათვის აუცილებელ მოთხოვნილებად გადაიქცა. საბერძნეთის კულტურის ძლიერი ზეგავლენა ისე შორს მიდიოდა, რომ მან რომაელების საწმუნოებაშიც-კი თავისებური ცვლილებები გამოიწვია. ამას გარდა, ამავე გაცლენით აიხსნება ის გარემოებაც, რომ რომაული ლიტერატურის დასაწყისი პირველად ამ ხანაში ჩაისახა.

გაერთიანებულმა იტალიამ იმდროინდელს დიდ სახელმწიფოებთან ეკონომიური ურთიერთობაც გააჩაღა. რომი ამ ურთიერთობას სათავეში ჩაუდგა და ამგვარად საერთაშორისო

ვაჭრობის სარბიელზე გამოვიდა. ეს იყო მიზეზი, რომ რომმა 268 წლიდან იძულებული შეიქმნა, იმ დროს გავრცელებული ატიკური ფულის სისტემა შემოეღო. თავისი სპილენძის ფული ხურდა ფულად გარდააქცია, ხოლო ფულის ერთეულად ვერცხლის დენარი შემოიღო, რომელიც ღირებულობით ატიკურ დრახმას გაუთანასწორა.

დემოკრატიული წესწყობილება რომში. მეორე საუკუნისათვის რესპუბლიკანური წესწყობილება რომში საერთოდ უკვე საბოლოოდ იყო ჩამოყალიბებული.

აღსანიშნავია, რომ ბერძნები რომის რესპუბლიკას სავსებით დემოკრატიულად არას დროს არ სთვლიდენ; მათი აზრით, იგი მონარქიის, არისტოკრატიისა და დემოკრატიის ნარევს უფრო წარმოადგენდა, ვიდრე წმინდა დემოკრატიულ სახელმწიფოს.

რამდენად სამართლიანი იყო ეს შეხედულება? რომის სახელმწიფოებრივი ძალა-უფლება ორი მთავარი ძალის, **ხალხისა** და **სენატის** ხელში იყო; მათ შორის საშუალო ადგილი რომის მოხელეობას ე. წ. **მაგისტრატურას** ეკავა.

კომიციები. მას შემდეგ, რაც წოდებათა შორის უფლებრივი გათანასწორება მოხდა, სახალხო ყრილობის სამივე სახეს შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ე. წ. **ტრიბუტკომიციები** შეიქმნენ. მაშინ როდესაც **კურატკომიციებში** გადამწყვეტი მნიშვნელობა წინამძღვარობას ჰქონდა, ხოლო **ცენტურიატკომიციებში** ქონებრივ ცენზს, **ტრიბუტკომიციებში** მთელი მოსახლეობა თანაბარ მონაწილეობას იღებდა და ხმის უფლების მხრივ ყველა გათანასწორებული იყო. მდიდარი და ღარიბი, პატრიცი და პლებეი—აქ ყველა ერთი იყო, და ყველა ერთად ბჭობდა, თუ-კი იგინი ერთსა და იმავე ტრიბაში ცხოვრობდენ; სამაგიეროდ კურატკომიციები თანდათანობით ყოველგვარს პოლიტიკურ მნიშვნელობას ჰკარგავდენ; იგივე ბედი ეწვიათ ცენტურიატკომიციებსაც, რომელთაც საშინაო პოლიტიკისათვის თითქმის აღარავითარი მნიშვნელობა აღარ შერჩათ და რომელნიც, მეორეს მხრივ, თანდათან უფრო

და უფრო დემოკრატიულ სახეს ღებულობდენ. ამგვარად, ცენტრალური ადგილი სახალხო ყრილობის იმ სახეს მიეკუთვნა, რომელიც როგორც თავისი შემადგენლობის, ისე უფლების მხრივაც ყველაზე უფრო დემოკრატიული ხასიათის იყო.

სახალხო ყრილობის უფლებები განუსაზღვრელი იყო: როგორც მაგისტრატების არჩევა, ისე მათი უფლებების შეკვეცა ან განგრძობა, მათი და სენატის გადაწყვეტილების შეჩერება და შეცვლა, ომისა და ზავის ხაკითხი, მოხელეების გასამართლება და სხვა ამგვარი—ყველაფერი ეს ხალხის უფლებას შეადგენდა. ამიტომ თამამად შეიძლება ითქვას, რომ რომის სრული ბატონ-პატრონი ხალხი იყო, რომელიც თავის განუსაზღვრელ უფლებას თავის კომიციების საშუალებით ახორციელებდა.

ამ მხრივ რომის რესპუბლიკა შეიძლება სავსებით დემოკრატიულად ჩაითვალოს. მაგრამ იყო ზოგი გარემოება, რომელიც ფაქტიურად ხალხის უაღრესუფლებიანობას საგრძნობლად ჰფარგლავდა და რესპუბლიკას დემოკრატიულ ხასიათს უზღუდავდა:

1. მიუხედავად იმისა, რომ მთელი ძალაუფლება სახალხო ყრილობათა ხელში იყო, იგინი მაინც მოკლებულნი იყვნენ მოქმედების თავისუფლებასა და ინიციატივას და ამიტომ, რა თქმა უნდა, შეძლება არა ჰქონდათ თავიანთი განუსაზღვრელი უფლებებით სათანადოდ სარგებლობისა: საქმე ის არის, რომ სახალხო ყრილობა მხოლოდ იმ შემთხვევაში იკრიბებოდა, როდესაც მას კონსული ან ტრიბუნი მოიწვევდა, და მარტო იმ საკითხებს არჩევდა, რომელნიც მაგისტრატების მიერ იყვნენ წამოყენებულნი. საკმარისი იყო, მაგისტრატებს საჭიროდ არ დაენახათ სახალხო კრების დანიშვნა, რათა იგი სრულიად არ შეკრებილიყო. ამგვარად, მართალია, ხალხი უაღრესი ძალაუფლებით იყო აღჭურვილი, მაგრამ თავის უფლებას იგი მხოლოდ მაშინ ახორციელებდა, თუ რომ მას შეეკითხებოდენ. ხოლო პირდაპირ, თავისი საკუთარი თაოსნობით ხალხი სახელმწიფოს საქმეებში არ ერეოდა, და ამიტომ სახელმწიფოს ფაქტიური ბატონ-პატრონობა უფრო მაგისტრატებისა და სენატის ხელში იყო, ვიდრე ხალხის ხელში.

2. საარჩევნო უფლების მხრივ ყველა თანასწორი იყო. მაგრამ სინამდვილეში ისეთი წესი იყო დამკვიდრებული, რომ

ხმის უფლების თანასწორობა ფაქტიურად იშვიათად ხორციელ-
დებოდა. როდესაც, მაგალ., კონსულს ირჩევდენ (რაც ცენტუ-
რიაკომიციებში ხდებოდა), წილისყრით პირველად ერთ-
ერთ ცენტურიას ასახელებდენ, რომელსაც პირველად უნდა
მიეცა ხმა (centuria praerogativa—უპირატესი ცენტურია). მას
შემდეგ, რაც ამ ცენტურიის წევრთა ხმის მიცემა დასრულ-
დებოდა, არჩეულის სახელს საყოველთაოდ აცხადებდენ და
დანარჩენ ცენტურიებზე გადადიოდენ. მაგრამ ნამდვილად
არჩევნების ბედი უკვე უპირატესი ცენტურიის ხმის მიცემით
წყდებოდა, ვინაიდან დანარჩენი ცენტურიები თითქმის ყოველ-
თვის მის მიერ დასახელებულ კანდიდატს აძლევდენ ხმას.
ამგვარად, ფაქტიურად საყოველთაო და თანასწორი ხმის
უფლებით ამა თუ იმ შემთხვევაში მარტო ერთი ცენტურია
სარგებლობდა.

3. 139 წლამდე რომში ფარული ხმის მიცემა არ არსე-
ბობდა. ამიტომ ხალხის დამოკიდებული ნაწილი თავისი ნამდ-
ვილი შეხედულებისა და სურვილის თანახმად ხმის მიცემას
ვერ ბედავდა და, მაშასადამე, თავის დემოკრატიული უფლებე-
ბით ვერ სარგებლობდა.

4. მაგრამ ფარული საარჩევნო უფლების შემოღების
შემდეგაც ვერ ხორციელდებოდა ნამდვილი დემოკრატიული
პრინციპი. საქმე ის არის, რომ რომში მალე ამომრჩეველთა
მოსყიდვის ჩვეულება დამკვიდრდა: მდიდარი კანდიდატები
ფრიად სარგებლობდენ ამ ცუდი ჩვეულებით და მთელი ცენ-
ტურიებისა და ჯგუფების საარჩევნო ხმებს ჰყიდულობდენ.
ეს სენი ბოლო ხანებში ისე ფართოდ გავრცელდა, რომ
საყოველთაო და თანასწორი საარჩევნო უფლება რომისთვის
უდიდეს უბედურებად გარდაიქცა.

5. დასასრულ უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ
სახალხო ყრილობებზე მონაწილეობას თითქმის მარტო ქალა-
ქის (რომის) მოსახლეობა იღებდა. ხალხის დიდი უმრავლესო-
ბა-კი რომს გარედ ცხოვრობდა და მისთვის პოლიტიკურ
ცხოვრებაში მონაწილეობის მიღება ძნელი საქმე იყო. ამი-

ტომ სახელმწიფო საქმეები ფაქტიურად არა მთელი ხალხის, არამედ მოქალაქეთა შედარებით მცირე რიცხვის ხელში იმ-ყოფებოდა.

მაგისტრატები. რომის მოხელეობას, ე. წ. მაგისტრატებს (ცენზორი, კონსული, პრეტორი, ედილები, ტრიბუნები, ქვესტორები) ყველას სახალხო კრებაზე ირჩევდენ. ამ მხრივ იგინი სავსებით ხალხის ნებასურვილზე იყვნენ დამოკიდებულნი. მაგრამ ფაქტიურად აქაც ისეთი მდგომარეობა შეიქმნა, რომ ნამდვილი დემოკრატიზმიდან, რომელიც რომის მაგისტრატურას საფუძვლად ჰქონდა დადებული, ცხოვრებაში ბევრი აღარაფერი რჩებოდა.

1. მაგისტრატები განსაზღვრული ვადით ირჩეოდენ და ამ ხნის განმავლობაში იგინი თითქმის სავსებით უპასუხისმგებლონი იყნენ; მათი გადაყენების უფლება არავის არ ჰქონდა; მხოლოდ ვადის გასვლის შემდეგ აბარებდენ იგინი ანგარიშს სახალხო ყრილობას და თავისი მოღვაწეობისათვის პასუხს აგებდენ.

2. მართალია, მაგისტრატებს შორის ზოგი უფრო მაღალი საფეხურის იყო და ზოგი დაბალის, მაგრამ იგინი ურთიერთს არ ექვემდებარებოდენ და თავის სფეროში თითოეული მათგანი სრულ ბატონად გრძნობდა თავს: პრეტორი სრულიად არ იყო მოვალე კონსულის მოვალეობა შეესრულებია ან და თავის მხრივ სხვა მაგისტრატის საქმეში ჩარეულიყო. ისეთი იერარქიული ურთიერთობა მოხელეთა შორის, როგორიც ზოგს თანამედროვე სახელმწიფოში არსებობს, რომში სრულიად უცნობი იყო. ამიტომ რომაელი მოხელე თავის განკარგულებებს მხოლოდ თავისი საკუთარი ძალით ასრულებდა. ამ პირობებში თითქმის ერთად-ერთი გარემოება, რომელიც მაგისტრატის უფლებას საზღვრავდა, ეს ის **კოლეგიალობა** იყო, რომელიც რომის მაგისტრმტურას ახასიათებდა: ერთი კონსული იმავე უფლებით იყო აღჭურვილი, როგორითაც მეორე, და ამიტომ იგი ყოველთვის იძულებული იყო, თავის კოლეგისათვის ანგარიში გაეწია.

3. რაკი თვითონ ხალხს ინიციატივის უფლება არ ჰქონდა, ეს გარემოება განსაკუთრებით დიდ ავტორიტეტსა და მნიშვნელობას რომის მაგისტრატურას ანიჭებდა. საერთოდ მაგისტრატების ავტორიტეტი და პატივისცემა დიდი იყო: თუ მამა თავის შვილს, **კონსულს** ცხენით შეხვდებოდა, იგი ძირს უნდა ჩამომხდარიყო; თუ იგი თავისი შვილის, კონსულის შემოსვლის დროს იჯდა, უნდა ამდგარიყო: „უკეთესია, ამ ადგილას რომის მოხელე დაბრძანდესო“ (sedeat hic potius magistratus populi Romani), ამბობდა იგი.

ამგვარად, რომში მაგისტრატურას არაჩვეულებრივ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და იგი სახელმწიფოში უფრო მონარქიულ ელემენტს შეადგენდა, ვიდრე დემოკრატიულს.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ მოხელეობას არსებითად არისტოკრატიული ხასიათი ჰქონდა: მართალია, პლებეებს სრული უფლება მიენიჭათ ყოველი თანამდებობის დაკავებისა, მაგრამ ამის მიუხედავად პატრიციებმა მაინც განსაკუთრებული უპირატესობანი შეინარჩუნეს: ერთერთი კონსული, ერთი ცენზორი, ორი ედილი უთუოდ მათი წრიდან უნდა ყოფილიყო არჩეული; ამას გარდა პატრიციელ სენატორებს ტანისამოსზეც განსხვავებული ნიშნები ჰქონდათ. რაც შეეხება პლებეებს, ყველა დიდი თანამდებობის პირი, რომელსაც მათი წრიდან ირჩევდენ, უკვე შორდებოდა თავის წოდებას და არისტოკრატიას უახლოვდებოდა, ხოლო თანამდებობას ბუნებრივად თავის შთამომავლობას თითქოს სამემკვიდროდ უტოვებდა. ამ სახით პლებეების წრიდან ახალი არისტოკრატია ე. წ. **ნობილები** ჩნდებოდა, რომელსაც დემოკრატიულ სახელმწიფოში ახალი, არისტოკრატიული ნაკადი შეჰქონდა.

რაკი ასეთი იყო რომის მოხელეობის ორგანიზაცია, მოსალოდნელი იყო, რომ სახელმწიფოში მათი უფლება-მოვალეობისა და ურთიერთ დამოკიდებულების მოუწესრიგებლობის გამო სრული არევ-დარევა დამკვიდრდებოდა. მაგრამ სი-

ნამდვილეში საქმე სხვაგვარად მიმდინარეობდა: რომში ძალიან დიდი გავლენა ჰქონდა **ტრადიციასა** და **ჩვეულებას**, შეიძლება მეტი გავლენა, ვიდრე თვით კანონს, და აი სწორედ ეს იყო, რომ საქმეში წესრიგი შეჰქონდა: მართალია, კონსულს სრული უფლება ჰქონდა პირდაპირ ხალხისათვის მიემართა ამა თუ იმ საკითხის გადასაწყვეტად, ან და კიდევ ტრიბუნს ესა თუ ის კანონი შეეჩერებია, მაგრამ ფაქტიურად არც კონსული სარგებლობდა ამ უფლებით და არც ტრიბუნი: პირველს ჯერ სენატისათვის უნდა ეკითხა და მხოლოდ შემდეგ მოეწვია სახალხო კრება, ხოლო მეორე—ჯერ ხალხს უნდა შეკითხებოდა და მხოლოდ შემდეგ დაედო კანონისათვის თავისი veto. ამ მხრივ რომი თანამედროვე ინგლისს ჰგავდა, სადაც ტრადიციასა და ჩვეულებას დღესაც დიდი მნიშვნელობა აქვს.

სენატი. რომის სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი დაწესებულება, რომელიც სახელმწიფოებრივი საქმეების მსვლელობაზე გადამწყვეტ გავლენას ახდენდა, **სენატი** იყო. რომის პოლიტიკური სიბრძნე, გამოცდილება, ენერგია და სამშობლოს სიყვარული—ყველაფრის ამის განხორციელებას სენატი წარმოადგენდა. იგი იყო თავი და ტვინი რომის რესპუბლიკისა.

სენატი თავისი საფუძვლით დემოკრატიული დაწესებულება იყო: მასში მონაწილეობას იღებდენ როგორც პატრიციები (patres), ისე პლებეებიც (conscripti). წევრთა რიცხვი ჩვეულებრივ სამასით განისაზღვრებოდა, ნამდვილად-კი ხან ცოტა მეტი და ხან ცოტა ნაკლები იყო. ვინ ირჩევდა და ვის ირჩევდენ სენატორებად? ყოველს ხუთს წელიწადში ერთხელ სენატორების სიის განხილვა და შევსება **ცენზორებს** ჰქონდათ დავალებული; მაშასადამე, სენატორებს ცენზორი ნიშნავდა და თითქოს ხალხს აქ საქმე არ ჰქონდა. ნამდვილად-კი ეს ასე არ ყოფილა: საქმე ის არის, რომ სენატორად მხოლოდ ყოფილი მაგისტრატი ინიშნებოდა, ხოლო როგორც მაგისტრატი, იგი საყოველთაო, თანასწორი, ფარული და პირდაპირი ხმის მიცემით იყო არჩეული. მაშასადამე, ცენზორის არჩევანი მხოლოდ ისეთ პირზე უნდა შეჩერებულიყო, რომე-

ლიც ერთხელ უკვე ხალხის მიერ იყო არჩეული და მისი სრული ნდობით აღჭურვილი. ცენზორს ამ სახით არჩეულს ყოფილ მაგისტრტთა შორის მხოლოდ ისეთის დანიშვნა შეეძლო, რომელმაც თავისი მაგისტრატობის დროს სავსებით შესძლო ხალხის ნდობის გამართლება და სრული სახელმწიფოებრივი უნარი და პატიოსნება გამოიჩინა; დანარჩენებს სენატორობაზე ჩვეულებრივ ოცნებაც-კი არ შეეძლოთ. ამგვარად, სენატორების არჩევნები არსებითად მაინც ხალხის ხელში იმყოფებოდა, და სენატორობა მხოლოდ მისი ნდობით აღჭურვილს ყოფილ მაგისტრატებს შეეძლოთ.

ამ მხრივ სენატიც სავსებით დემოკრატიულ დაწესებულებად უნდა ჩაითვალოს. მაგრამ მისი სახე მაინც არისტოკრატიული იყო: სენატორი ხალხის წინაშე უკვე აღარ იყო პასუხისმგებელი, ერთხელ არჩეული სენატორის გამოცვლა უკვე შეუძლებელი იყო (თუ მხედველობაში არ მივიღებთ განსაკუთრებულ შემთხვევებს); სენატის სხდომებს საჯარო ხასიათი არ ჰქონდათ და ხმის მიცემა იქ ერთგვარი იერარქიული წესით ხდებოდა (ჯერ ყოფილი კონსულები, მერე პრეტორები და სხვ.). **პირველად ხმის მიცემის უფლება** მხოლოდ პატრიციელ სენატორს ჰქონდა (princeps senatus).

სენატის ფუნქციები მრავალფეროვანი იყო: იგი სახელმწიფო ცხოვრების ყველა დარგსა და მხარეს ეხებოდა, და სენატის გადაწყვეტილებას (senatus consultus) კანონის ძალა ჰქონდა. სენატი მხოლოდ მაგისტრატების ინიციატივით იკრიბებოდა და მათ მიერ დასმულ საკითხებზე მსჯელობდა: „რომაელ ხალხის, ქვირიტების ინტერესების-და-მიხედვით, მამა სენატორებო, მე ვაყენებ თქვენდა განსახილველად შემდეგ საკითხს“-ო, იწყებოდა სენატის თავმჯდომარის წინადადება და „როგორ უნდა მოვიქცეთ ამ შემთხვევაში“-ო, თავდებოდა იგი. მაგრამ რადგანაც თავმჯდომარეს უფლება არ ჰქონდა ორატორის შეჩერებისა, ამიტომ სენატორებს საშუალება ეძლეოდათ თავის სიტყვაში ყველაფერს შეხებოდენ, რაც-კი მათ საგულისხმოდ მიაჩნდათ, თუნდ მათ მიერ აღძრულ საკითხს

არაფერი საერთო არ ჰქონოდა დასმულ საკითხებთან. ამით აიხსნება, სხვათა შორის, ის გარემოება, რომ ერთ-ერთი სენატორი (კატონი) ყოველს თავის სიტყვას, რა საგანზეც არ უნდა ყოფილიყო იგი თქმული, ასე ათავებდა: „მე მაინც ვფიქრობ, რომ კართაგენი უნდა მოსპობილ იქმნესო".

როგორი იყო დამოკიდებულება სენატსა და მაგისტრატებს შორის? ჩვეულებრივ მთავრობის წევრთა და წარმომადგენლობითი დაწესებულებებს შორის ბრძოლა სწარმოებს ხოლმე. რომში ასე არ იყო: სენატი, როგორც ყოფილ მაგისტრატთა კრებული, პატივისცემით ეპყრობოდა მაგისტრატებს, რადგანაც გამოცდილებით იცნობდა მართვა-გამგეობის მთელ სიძნელეს, ხოლო მაგისტრატები სენატის საწინააღმდეგოდ და მის დასამცირებლად ვერაფერს ბედავდენ, ვინაიდან იცოდენ, რომ სამსახურის ვადის შემდეგ შესაძლებელი იყო, თვითონ გამხდარიყვნენ სენატის წევრებად.

ამგვარად, რომში მთავრობის წევრთა და სენატს შორის-ჩვეულებრივ მშვიდობიანი დამოკიდებულება არსებობდა. მდგომარეობა მხოლოდ რესპუბლიკის უკანასკნელ ხანებში შეიცვალა.

სასამართლო. რომში სამართლის საქმე რიგიანად არას დროს არ ყოფილა მოწყობილი: რომაელებს ჯერ კიდევ ვერ შეეგნოთ ის ჭეშმარიტება, რომ ნამდვილი, მიუდგომელი სამართალი მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, თუ რომ მოსამართლე იმ პირების ან დაწესებულების გავლენის გარეშე სდგას, რომელთაც ეს თუ ის დანაშაული ეხებათ. ამიტომ სასამართლოს დამოუკიდებლობა იქ არას დროს არ სწამდათ: სამართალი იმავე პირებისა და დაწესებულებების ხელში იყო, რომელნიც საერთოდ სხვა სახელმწიფოებრივ საქმეებსაც განაგებდენ.

განსაკუთრებული თანამდებობა, რომელსაც მხოლოდ სამართლის წარმოება ჰქონდა დავალებული, რომის რესპუბლიკამ არ იცოდა.

სამართალი უმთავრესად ორი დაწესებულების ხელში იყო: მაგისტრატურისა და სახალხო ყრილობის. კონსული და პრე-

ტორი თანაბრად სარგებლობდენ როგორც ადმინისტრატიული, ისე სასამართლოს უფლებებითაც. მართალია, სამართლის წარმოება ხშირად პრეტორებს ევალებოდათ, მაგრამ პრეტორობა სრულიად არ ნიშნავდა მარტო მოსამართლეობას: პრეტორი იმავე დროს სარდალიც იყო და მართველიც.

გარდა მაგისტრატებისა სამართალს სახალხო ყრილობაც აწარმოებდა: 1. როდესაც მაგისტრატის სასამართლოს გადაწყვეტილება შეუფერებლად მიაჩნდათ, დამნაშავეს სახალხო ყრილობაზე შეეძლო მისი გასაჩივრება; მაგრამ რადგანაც აქ იგივე მაგისტრატი თავმჯდომარეობდა, ასეთ გასაჩივრებას არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა. 2. სახალხო კრებას თვითონ უშუალოდაც შეეძლო დანაშაულის გარჩევა, მაგრამ რადგანაც ეს ყრილობა უფრო პოლიტიკური დაწესებულება იყო, ამიტომ საქმის სამართლიანი გადაწყვეტილება აქაც შეუძლებელი იყო.

სამხედრო ორგანიზაცია რომში. მაშინ, როდესაც რომი იტალიაში თავის ბატონობას ავრცელებდა, შიგნით წოდებათა შორის უფლებრივი ბრძოლა სწარმოებდა. პლებეებისა და პატრიციების გათანასწორება სწორედ ამ ხანაში დასრულდა. ამ ბრძოლაზე დიდი გავლენა ჰქონდა იმ გარემოებას, რომ სახელმწიფოს წარმატება სავსებით მის სამხედრო ძლიერებას ეყრდნობოდა, და აქ კი გადამწყვეტი მნიშვნელობა ხალხის უმრავლესობას, **პლებს** ჰქონდა.

საერთოდ, რომის მთელი სახელმწიფო ცხოვრება ჯარის ორგანიზაციაზე იყო დაფუძნებული. იგი სამხედრო სახელმწიფოს ტიპს წარმოადგენდა.

სერვიუს ტულიუსის სამხედრო რეფორმების დროიდან დაწყებული, სამხედრო ძალების ორგანიზაციამ შემდეგი სახე მიიღო: რადგანაც ჯარს რომში უაღრესი მნიშვნელობა ჰქონდა, ამიტომ იქ საყოველთაო სამხედრო ბეგარა იყო შემოღებული. ამ მიზნით, როგორც ვიცით, ხალხი თავისი ქონების (**ცენზის**) მიხედვით ხუთ **კლასად** იყო გაყოფილი. როგორც სამხედრო ბეგარა, ისე პოლიტიკური უფლებებიც ცენზზე

იყო დამოკიდებული: ვისაც არავითარი ქონება არ გააჩნდა, იგი სამხედრო სამსახურისაგან განთავისუფლებული იყო და ფაქტიურად არც პოლიტიკური უფლებებით სარგებლობდა. თითოეული კლასი ასეულების (centuriae) განსაზღვრული რიცხვისაგან შესდგებოდა, რომელთა მიხედვითაც ე. წ. **ცენტურიალური კომიციები** იკრიბებოდენ და უმაღლესი საკანონმდებლო და სასამართლო უფლებებით სარგებლობდენ.

ე. წ. **მხედრები** ამ ხუთი კლასის კარეშე იყვნენ და თავის კრებებს ცალკე მართავდენ. სამხედრო სამსახურისათვის მხედრები ჯამაგირს არ იღებდენ; თუმცა აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო მოვალე იყო მათთვის ცხენები შეეძინა და მათ მოსავლელად განსაზღვრული ხარჯი გაეწია.

ჯარი ორ ნაწილად იყოფებოდა: **უმცროსნი** და **უფროსნი** (juniores et seniores); პირველ ჯგუფში 46 წლისაზე უმცროსი მამაკაცები შედიოდენ, მეორეში 46-დან 60 წლამდე, და ამ უკანასკნელთ ჯარში მარტო ქალაქის დასაცავად იწვევდენ ხოლმე. ქვეითა ჯარის ერთეულს ე. წ. **ლეგიონი** შეადგენდა (4000 კაცი), რომელშიც მსუბუქად და მძიმედ შეიარაღებულნი შედიოდენ და რომელიც **მანიპულიებისა** და **ცენტურიებისაგან** შესდგებოდენ. თითოეულ კონსულს 2 ლეგიონი ჰყავდა. სულ ოთხივე ლეგიონი დიდი ომების დროს გამოჰყავდათ საბრძოლველად. ამას გარდა არსებობდა აგრეთვე **მოკავშირეთა** ჯარებიც, რომელნიც საერთო რიცხვით რომაელებს არ ჩამოუვარდებოდენ და უფრო მცირე ერთეულებად (**კოჰორტებად**) იყოფოდენ. ცხენოსანი ჯარი ცალკე ერთეულებს შეადგენდა.

ცხადია, **ცენზს** რომში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, და ამიტომ იყო, რომ დეცემვირატის გაუქმების შემდეგ პატრიციებმა თავისთვის ცალკე თანამდებობის ე. წ. **ცენზორობის** დაწესება მოითხოვეს და დააწესეს კიდეც.

გამუდმებული ომები დიდ ხარჯებს მოითხოვდენ, მით უმეტეს, რომ 406 წლიდან, როგორც ვიცით, ჯარისკაცებს განსაზღვრული ჯამაგირი დაენიშნათ. ამის მიუხედავად პირდა-

რომაელი ლეგიონერი (რომ.-გერმ. მუზ. მაინცში)

პირი გადასახადი რომში მაინც იშვიათ მოვლენას შეადგენდა. სამაგიეროდ თითოეული გამარჯვება ახალი შემოსავლის წყაროდ იქცეოდა, და მალე რომს **სახელმწიფო ხაზინა** გაუჩნდა, რომლის სამართავადაც ახალი მაგისტრატურა — **ქვესტურა** იქმნა შემოღებული. მთავარი შემოსავლის წყაროდ მაინც

ე. წ. ager pub.cus (საზოგადო მიწები) გარდაიქცა: რომელ-საც რომაელები ახალ ტერიტორიას იჭერდენ, ნაწილი მიწისა საზოგადოების საკუთრებად ცხადდებოდა*) და სასარგებლოდ, განსაზღვრული გადასახადით, რომის მოქალაქეებს ურიგდებოდათ.

IV

მსოფლიო ბატონობის მოპოება და რევოლიუციის ხანა.

კართაგენი. აფრიკის ჩრდილოეთ ნაპირზე 800 წ. ქ. წინედ ფინიკელთა ქალაქის **ტირის** მცხოვრებთა ერთმა ნაწილმა თავისი ახალშენი, **კართაგენი** დააარსა. ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობისა და მცხოვრებთა მომჭირნეობის გამო V საუკუნის განმავლობაში კართაგენი ძლიერ სახელმწიფოდ გარდაიქცა. მან მალე დაიპყრო მეზობლად მცხოვრები ლიბიელთა ტომები და ამავე დროს ჩრდილოეთ-დასავლეთი აფრიკის, ისპანიის, სიცილიისა და სხვა ახლო მდებარე კუნძულების ფინიკიელთა ახალშენები თავისი მფლობელობის ქვეშ მოაქცია. 480 წელს მან მთელი სიცილიის დაპყრობა სცადა, მაგრამ თუმცა მიზანს ვერ მიაღწია, კუნძულის დასავლეთი ნაწილი მაინც ხელში ჩაიგდო. იმის მიუხედავად, რომ ადგილობრივი ბერძნები კართაგენელთა წინააღმდეგ ყოველ ღონეს ხმაროობდენ, მათ მაინც შეინარჩუნეს მთელი დასავლეთი სიცილია მდინ. **ჰალიქსამდე** და კუნძულის ჩრდილოეთი ნაწილი. დამოუკიდებლობა მარტო **სირაკუზსა** და მამერტინელების **მესანას** შერჩათ. აქაურ ბერძნებთან მუდმივი ურთიერთობის გამო მათ მალე შეითვისეს ელინების კულტურა და მის გავლენას დაემორჩილენ.

კართაგენის მთავარი მასაზრდოებელი ძარღვი **ვაჭრობა** იყო, და სახელმწიფოს მართვა-გამგეობაც მდიდარი ვაჭრების ინტერესების-და-მიხედვით იყო მოწყობილი. **ტიმოკრატიული წესწყობილება**, რომელიც აქ იყო შემოღებული, მდიდარ ვაჭრებს სახელმწიფოში დიდ უპირატესობას ანიჭებდა. სახელმწიფოს სათავეში ორი თითო წლით არჩეული **მსაჯული**

*) ეს ეხება განსაკუთრებით საბინელებისა და გალების მიწებს.

ე. წ. **შოფეტი** უდგა, რომელთა ხელშიც აღმასრულებელი ძალაუფლება იყო.

პირველ ხანებში კართაგენს თითქმის უკლებლივ ერთი მდიდარი გვარეულობა (მაგო) განაგებდა, მაგრამ ბოლოს და ბოლოს არისტოკრატიამ თავისი უფლებების უზრუნველყოფა შესძლო და კართაგენში ახალი დაწესებულება **სენატი** შემოიღო, რომელიც 104 კაცისაგან შესდგებოდა და სახელმწიფოს მდიდარი ვაჭრების ინტერესების მიხედვით განაგებდა. ხალხის ფართო მასა პოლიტიკურ უფლებებს არ იყო სავსებით მოკლებული, მაგრამ მას არავითარი გავლენა არ ჰქონდა, ხოლო რადგანაც ნივთიერის მხრივ იგი ხშირად უზრუნველყოფილი იყო, ამიტომ თავს კმაყოფილად გრძნობდა და პოლიტიკურ ბრძოლას არ აწარმოებდა.

კართაგენში სამხედრო ბეგარა არ არსებობდა. მდიდარი სახელმწიფო დაქირავებული ჯარითკმაყოფილდებოდა და თავის კეთილდღეობას სხვისი სისხლით განამტკიცებდა. მაგრამ კართაგენი იმდენად ხმელეთზე არ იყო ძლიერი, რამდენადაც ზღვაზე: თავისი ძლიერი ფლოტით იგი მთელს ხმელთაშუა ზღვას ფლობდა, ასე რომ, როგორც იქ ამბობდენ, „რომაელებს მათ ნებადაურთველად ზღვაში ხელის დაბანაც არ შეეძლოთ“.

სულიერი კულტურის მხრივ იგინი დაბალ საფეხურზე იდგენ: მწერლობა თითქმის სრულიად არ არსებობდა, სარწმუნოება ძველი ფინიკური იყო: ადამიანის მსხვერპლად შეწირვა ჩვეულებრივ მოვლენად ითვლებოდა. ამ მხრივ განსაკუთრებით სახელგანთქმული მათი ღმერთი **მოლოხი** იყო.

რომაელებთან კართაგენს ჯერ ხნობით უმეტეს ნაწილად მშვიდობიანი დამოკიდებულება ჰქონდა, ვიდრე რომი ჯერ კიდევ იტალიის გაერთიანების საკითხით იყო დაინტერესებული. მაგრამ როგორც-კი დასრულდა იტალიის გაერთიანების საქმე, რომი ბუნებრივად ახლო მდებარე კუნძულზე, **სიცილიაზე** უნდა გადასულიყო და აქ მტკიცედ გაბატონებულიყო. ეს-კი კართაგენთან შეჯიბრებას ნიშნავდა. გარდა ამისა, რომს, როგორც დიდ სახელმწიფოს, თავისი ინტერესები ჰქონდა

ხმელთაშუა ზღვაში, რომელიც თითქმის სავსებით იმავე კართაგენის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. ეს იყო მიზეზი, რომ მეგობრულმა კავშირმა, რომსა და კართაგენს შორის მალე შეურიგებელ მტრობას დაუთმო ადგილი. თუ იტალიაში ჯერ ვეი, შემდგ სამნიტელები და ბოლოს ტარენტინელები ჰყავდა რომს სამკვდრო მტრებად გადაკიდებული, რომელნიც მან თანდათანობით ერთიმეორეზე გასრისა, იტალიის გარედ ასეთსავე შეურიგებელ მტრად მას იმთავითვე კართაგენი მოევლინა.

ომის საბაბად მათ შორის მარტივი მოვლენა შეიქმნა. სირაკუზელების შიშით მამერტინელებმა **მესანაში** კართაგენელები მოიწვიეს. მაგრამ მალე ფრონტი იცვალეს და თავისს მონათესავე რომს ეიმართეს. რომის სენატმა მათ დასახმარებლად ჯარი გაუგზავნა, რომელმაც მესანა კართაგენელების დამხმარე გარნიზონისაგან გასწმინდა. სამაგიეროს გადასახდელად კართაგენი სირაკუზს შეუერთდა და რომაელების წინააღმდეგ საომარი მოქმედება დაიწყო. ეს იყო იმ ომების დასაბამი, რომელიც 264 წლიდან 146-ამდე გაგრძელდა და რომში პუნიური ომების სახელით იყო ცნობილი, ვინაიდან რომაელები კართაგენელებს ფინიკიელებს ანუ „პუნიელებს“ (puni) უწოდებდენ.

პირველი პუნიური ომი (264-21) **სიცილიის** გამო სწარმოებდა, და ამიტომ აქაური დამოუკიდებელი სამთავრონი ამ ომის მსვლელობის გულგრილ მაყურებლებად ვერ დარჩებოდენ. ამიტომ როგორც-კი გამოირკვა, რომ ომის პირველი ორი წლის განმავლობაში კართაგენელები რომაელებს ვერ უმკლავდებოდენ, სირაკუზის მართველი, რომელიც კართაგენელებთან ერთად რომს ებრძოდა, ამ უკანასკნელს მიეკედლა. ის დაინტერესებული იყო, რომ კართაგენის ბატონობას სიცილიაზე ბოლო მოღებოდა. ამის შედეგი მალე გამოაშკარავდა: კართაგენელები იძულებულნი შეიქმნენ უკან დაეხიათ და დასავლეთი სიცილიის თითქმის მიუდგომელი სიმაგრეებისათვის (პანორმუსი და ლილიბეუმი) შეეფარებიათ თავი.

სამაგიეროდ ამავე ხნის განმავლობაში რომაელები ზღვის მხრივ განიცდიდენ კართაგენელებისაგან დიდ გაჭირვებას. ამ უკანასკნელთა ფლოტი თვით იტალიის ნაპირებს ესხმოდა თავს და იქ შიშის ზარს ავრცელებდა. რომაელები იძულე-

ბულნი შეიქმნენ თავისი სამხედრო ფლოტის შესახებაც ეზრუ-ნათ. ნულ ცოტა ხნის განმავლობაში მათ საკმაოდ ძლიერი ფლოტი შეჰქმნეს; მაგრამ რადგანაც ზღვის ბრძოლის არაფერი გაეგებოდათ, ამიტომ უპირატესობა ზღვაზე მათ მხარეს მხოლოდ მას შემდეგ გადავიდა, რაც მათმა სარდალმა **მარკუს დუილიუსმა** თავისი მოძრავი ხიდის გენიალური გამოგონებით საზღვაო ომის ხმელეთის ომად გარდაქცევა მოახერხა. 260 წელს რომაელებმა პირველად დაამარცხეს კართაგენელების ძლიერი ფლოტი (**მილესთან**).

მოძრავი ხიდი რომაელების გემებზე.

ასეთ წარმატებათა მიუხედავად, ომის დასასრული მაინც არ სჩანდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც 256 წელს რომაელებმა თავისი ჯარის გადასხმა თვით აფრიკაში მოახერხეს, რომაელებს ეჭვი აღარ ჰქონდათ, რომ მათი გამარჯვება უზრუნველყოფილი იყო. მაგრამ კარზე მომდგარმა ხიფათმა კართაგენელები გამოაფხიზლა და მათ, გაღვიძებული პატრიოტული გრძნობის ზეგავლენით, უკანასკნელი ძალების ხმევა სცადეს. სპარტანელის, **ქსანტიპოს** დახმარებით კართაგენმა თავისი სამხედრო წყობილება შესცვალა და რომაელები მალე აფრიკიდან განდევნა. თვით სიცილიაში, მას შემდეგ, რაც იქ კართაგენელთა ჯარებს სათავეში სარდალი **ჰამილკარ ბარკა** ჩაუდგა, რომაელების საქმე უკეთესად დატრიალდა. მაგრამ ომი იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ რომაელები ასე ადვილად მასზე უარს ვერ იტყოდენ, და მდიდარი მოქალაქეების დახმარებით რომმა დიდი ფლოტი შეჰქმნა, რომელმაც **ეგატის**

კუნძულებთან კართაგენელები დაამარცხა და იძულებულ ჰყო ისინი, სიცილია დაეცალათ. კართაგენელები იძულებულნი შეიქმნენ თავი დამარცხებულად ეცნოთ და სიცილიასთან ერთად რომისათვის დიდი სამხედრო კონტრიბუცია გადაეცათ.

სიცილია, როგორც პირველი „პროვინცია“. ჭინად, სანამ რომი ჯერ კიდევ იტალიის ნიადაგზე ომობდა, იგი ახლად შემოერთებულ მიწებს ტრიბებად ჰყოფდა და რომის საერთო ტერიტორიას უერთებდა. ამგვარად იტალიის ნიადაგზე სულ 35 ტრიბა შეიქმნა, რომელიც მთელი ნახევარ კუნძულის ტერიტორიას შეიცავდა. ამით დასრულდა ის გაერთიანების პროცესი, რომელსაც რომი მეთაურობდა. სიცილია, რომელიც (სირაკუზის სახელმწიფოს გარდა) პირველად გადავიდა რომაელთა ხელში, ტრიბების რიცხვში აღარ იქმნა მოქცეული და ამით იგი რომის ბუნებრივი ტერიტორიის საზღვრებს გარეშე მდებარე სამფლობელოდ იქმნა აღსარებული. რომაელები ამიერიდან ასეთ სამფლობელოთა დაპყრობის პოლიტიკაზე გადავიდენ და მათ ტრიბების გარეშე მდებარე ტერიტორიად ე. წ. **„პროვინციებად“** თვლიდენ. სიცილია, მაშასადამე, პირველს ასეთ **პროვინციად** უნდა იქმნას მიჩნეული. ახალს ერთეულს ახალი მართველობის ფორმა ესაჭიროებოდა, და რომაელებმაც პროვინციის სათავეში **პრეტორი** ჩააყენეს, რომელსაც განსაკუთრებით უმაღლესი სასამართლოს უფლებები ჰქონდა დაკისრებული. გადასახადებისა და ხაზინის საქმეებს ე. წ. ქვესტორები განაგებდენ. უფლებრივი მდგომარეობა **„პროვინციალებისა“** არ იყო ცუდი: თავის შინაურ საქმეებში იგინი თავისუფლებით სარგებლობდენ, მიწის საკუთრება მათ ხელში იყო, მაგრამ სამაგიეროდ მათ შემოსავლის მეათედი უნდა გადაეხადათ და ამასთანავე ნავთსადგურებს შემოტანილ-გატანილი საქონლისათვის 5% უნდა გადაეხადათ.

მალე სიცილიას ორი ახალი პროვინცია, **სარდინია** და **კორსიკა** დაემატა. ორივე ეს კუნძული კართაგენელებს ეკუ-

თვნოდა, და როდესაც პირველი ომის შედეგი გამოირკვა, სხვა დამორჩილებულ ქვეყნებთან ერთად იგინი კართაგენელებს აუჯანყდენ. რომაელებმა ამით ისარგებლეს და ჯერ სარდინია და შემდეგ კორსიკა დაიკავეს.

გალიის შემოერთება. ამავე დროს დასრულდა ჩრდილოეთ იტალიის შემოერთების საქმეც. კელტების ახალი მოძრაობის გამო, რომელიც იმ ხანებში ჩრდილოეთში დაიწყო, გალები ხელახლა სამხრეთისაკენ დაიძრენ. რომაელები მაშინ კორსიკისა და სარდინიისათვის ომობდენ, და ამიტომ საქმის ამ ახალი გართულებით უკმაყოფილონი იყვნენ. მათდა საბედნიეროდ, თვით გალების ჯარში უთანხმოება ჩამოვარდა და ამ გზობით რომი თავისთავად განთავისუფლდა მათგან. მაგრამ როდესაც რომაელებმა თავიანთ შორის გალების მეზობლად მდებარე **პიცენუმის** გაყოფა დაიწყეს, 50000 გალიელი რომის საზღვრებში შეიჭრა. დაიწყო ომი, რომელიც 222 წლამდი ცვალებადი წარმატებით ვითარდებოდა; ხოლო როდესაც რომის ჯარმა **მილანი** დაიჭირა, ომი უკვე დასრულებულად უნდა ჩათვლილიყო. შედეგი ის იყო, რომ **გალია** რომს შეუერთდა და ამ ახალი შენაძენის უზრუნველსაყოფად რომაელებმა დიდი სამხედრო გზა გაიყვანეს, რომელიც რომიდან არიუმინიუმამდი მიიმართებოდა და აქედან მილანამდე (Via Flaminia).

სწორედ ამავე დროს რომი პირველად ჩაერია ადრიატიკის ზღვისა და ბალკანეთის საქმეებში. დალმაციის ნაპირებზე მცხოვრები **ილირიელები, მაკედონელებთან** ერთად, ერთის მხრივ ბალკანეთის ბერძენთა უთანხმოებით სარგებლობდენ და მათ დაპყრობას ლამობდენ, ხოლო მეორე მხრივ ადრიატიკის ზღვაზე მეკობართა რაზმებს აგზავნიდენ და ამგვარად წესიერ მიმოსვლისა და სავაჭრო ურთიერთობის განმტკიცებას ხელს უშლიდენ. როდესაც მათი თავდასხმის მსხვერპლად თვით იტალიელი ვაჭრებიც შეიქმნენ, რომმა მათი ალაგმვა გადაწყვიტა და თავის სამხედრო ძალები მათ წინააღმდეგ წარგზავნა. ილირიელების სასტიკი დამარცხებით რომმა იონიის, ადრიატი-

კის ზღვისა და მისი ნაპირების უსაშიშროება აღადგინა და ამით იქ მცხოვრები ბერძენთა ტომების გული მოიგო. ბერძენთა ქალაქები **ეპიდამნოსი**, **აპოლონია** და კუნძული **კორკირა** რომაელებს შეუკავშირდა და ამით მათ აღმოსავლეთის მიმართულებით სამოქმედოთ მტკიცე ბაზა შეუქმნა. მართალია, ამ გარემოებამ ილირიელთა ამბოხება, ხელახალი ომი და ამასთანავე განსაკუთრებით მაკედონელებთან გადამტერება გამოიწვია, მაგრამ საქმე ბოლოს მაინც რომის სრული გამარჯვებით დასრულდა.

მეორე პუნიური ომი (218—201). როდესაც კართაგენმა შინაურ უთანხმოებას ბოლო მოუღო, მან დანაკარგის (სიცილიის) ანაზღაურებაზე დაიწყო ფიქრი. **ჰამილკარ ბარკა**, რომელმაც ჯერ სიცილიაში ომის დროს და შემდეგ შინაური აჯანყების ჩასაქრობად თავის სამშობლოს დიდი სამსახური გაუწია, სარდლად იქმნა არჩეული. მან თავის სამოქმედო ასპარეზად **ისპანია** აირჩია, რომელიც ნაწილობრივ კართაგენელების ხელში იყო, და სულ ცოტა ხნის განმავლობაში მთელი კუნძული მდინ. **ებრომდი** ხელში ჩაიგდო. ჰამილკარის სიკვდილის შემდეგ კართაგენელთა წარმატება მისი მოადგილის (ჰასდრუბალის) ხელმძღვანელობით ვითარდებოდა, რომელმაც იქ ვერცხლის მადნებით მდიდარ ნაწილში ახალშენი, **„ახალი კართაგენი“** დააარსა. რომაელებს ამ დროს კართაგენელებისათვის არ ეცალათ და იძულებული შეიქმნენ, იმით დაკმაყოფილებულიყვენ, რომ მათთვის **ებროს** გადალმა მდებარე მიწებისათვის და აგრედვე რომის მფარველობის ქვეშ მყოფ ბერძენთა ახალშენის **საგუნტისათვის** ხელის ხლება აეკრძალათ. სანამ კართაგენელთა ჯარის სარდლად ჰასდრუბალი ითვლებოდა, იგინი რომის მოთხოვნილებას პირნათლად ასრულებდენ, მაგრამ როგორც კი მათ ჯარს სათავეში ჰამილკარის შვილი ნიჭიერი და გამოცდილი მეომარი **ჰანიბალი** მოექცა, რომელიც რომაელთა მიმართ უსაზღვრო ზიზღით იყო გაჟღენთილი, ცხადი შეიქმნა, რომ რომაელებთან ომი აუცილებელი იყო. ჰანიბალმა საქმე იმით დაიწყო, რომ რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მის მფარველობის ქვეშ. მყოფს **საგუნტს** თავს დაესხა და რვა თვის მძაფრი ალყის შემდეგ დაიმორჩილა. რომაელებმა კართაგენს სარდლის გაცემა და საგუნტის ზარალის აღდგენა მოსთხოვეს, და როდესაც ამ მოთხოვნილებაზე უარი მიიღეს, საომარი მოქმედება დაიწყეს.

მეორე პუნიური ომის მსვლელობა ჰანიბალის სახელთან არის მჭიდროდ დაკავშირებული. მამა მისმა ჰამილკარმა თავისი ვაჟი, ჰანიბალი, ისპანიაში წამოიყვანა და მთელი სიმძიმე საომარი ცხოვრებისა მასთან ერდად გადაიტანა. ჰანიბალი ომის ატმოსფერაში გაიზარდა და ძალაუნებურად ყველა ის თვისებები განივითარა, რომელნიც ომის მსვლელობაში ჩნდებიან და მტკიცდებიან: მისთვის უძილო ღამეები და მშიერი დღეები არაფერს შეადგენდა; ვერაგობა და გაუტანლობა, განსაკუთრე-

ჰანიბალი (ნეაპ. ნაციონ. მუზეუმში)

ბით მტრის მიმართ, მის მეორე ბუნებად გარდაიქცა. ამის მიუხედავად იგი მაინც საკმაოდ განათლებული იყო და სახელმწიფო ქაღალდებს ბერძნულ ენაზე საწერდა. ამავე დროს მისი ხასიათის სიმტკიცე ზედმეტ საშუალებას აძლევდა მას, თავისი ეროვნულად ჭრელი შემადგენლობის ჯარი სავსებით დაემორჩილებია და თავისი ნების ბრმა აღმასრულებლად გარდაექცია. ჰანიბალი ამავე დროს ნათელი გონების სარდალიც იყო, რომელსაც ძალა შესწევდა მტრის სუსტი მხარეების აღმოჩენისა და ამ უკანასკნელთა თავისი მიზნების მიხედვით გამოყენებისათვის. ჰანიბალის სახით რომს უდიდესი მოპირდაპირე გაუჩნდა, და მის წინააღმდეგ მას განსაკუთრებული სიფხიზლე მართებდა.

ჰანიბალმა ომი წინასწარგანზომილი გეგმის მიხედვით დაიწყო. მან იცოდა, რომ რომის დაძლევა მას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეეძლო, თუ რომ მას შიგნით მდგომარეობას გაურთულებდა. ამიტომ მან უწინარეს ყოვლისა რომისადმი ჯერ კიდევ მტრულად განწყობილ გალებთან გამართა მოლაპარაკება და თავის მხარეზე გადმოიბირა. ამგვარად, ჩრდილო იტალიის დახმარება მისთვის უზრუნველყოფილი იყო. საშუალო იტალიაში რომის მოკავშირეების ამბოხების მოწყობის იმედი ჰქონდა და ამასთანავე ილირიის საქმეების გამო რომთან გადამტერებულს მაკედონიის მეფესთან შეთანხმება მოაწყო. ამავე დროს კართაგენის ფლოტს იტალიის ნაპირებზე თავდასხმით ხალხი შიშში უნდა ჰყოლოდა. ამგვარად, ომის ასპარეზად არა ისპანია ან სიცილია უნდა ყოფილიყო, არამედ იგი თვით იტალიის ნიადაგზე უნდა გადატანილიყო.

რომაელები-კი სულ სხვაგვარად ფიქრობდენ. ამიტომ მათ ერთი კონსული ისპანიაში გაგზავნეს, ხოლო მეორე სიცილიაში. სანამ პირველი კონსული ისპანიაში ჩაასწრებდა, ჰანიბალმა უკვე გადმოლახა პირინეის მთები და ჩრდილო იტალიაში გაჩნდა, სადაც გალებმა მყის აჯანყების დროშა ააფრიალეს. ჰანიბალმა ამასობაში ალპებიც გადაიარა და მტერს ჯერ **ტინჩინოსთან** და შემდეგ **ტრებიასთან** დაეჯახა. ორივე ბრძოლა რომაელთა სასტიკი დამარცხებით დასრულდა.

ჰანიბალს ადვილად შეეძლო რომაელთა ცოცხალი ძალების ნაშთების სრული განადგურება, რომელმაც ჩრდილთ სიმაგრეებს შეაფარა თავი (კრემონა), მაგრამ მას საშუალო იტალიისაკენ მიეჩქარებოდა, სადაც მას მოკავშირეთა რომის წინააღმდეგ აჯანყების მოწყობა უნდოდა, და ამიტომ იგი აქეთკენ წამოვიდა. მან 217 წელს კალსულების ჯარს, რომელსაც სამხრეთით მომავალი გზები ჰქონდა დაკავებული, გვერდი აუარა და მას მხოლოდ **ტრაზუმენის ტბასთან** გაუმართა ბრძოლა, რომელიც რომაელების სასტიკი განადგურებით დასრულდა. ჰანიბალს ეხლა რომის ალყის შემორტყმა შეეძლო, მაგრამ მას სამნიუმი და კამპანია უფრო აინტერესებდა და ამიტომ რომი განზე დასტოვა. მაგრამ მდიდარი **კაპუა** რომს არ გადაუდგა და ეს იყო მიზეზი, რომ ამ წლის განმავლობაში ჰანიბალი იძულებული შეიქმნა თავისი მოლვაწეობა რომის დიკტატორთან, **ფაბიუს მაქსიმუს** „კუნკტატორთან“ (ნელი) უნაყოფო მცირე შეტაკებებით შემოეფარგლა. ზამთარი მან მდიდარს **აპულიაში** გაატარა, სადაც თავისი ჯარი რომაულ სამხედრო წესების მიხედვით გარდაქმნა. ამას ხელი შეუწყო იმ ურიცხვმა იარაღმა, რომელიც მან ბრძოლების დროს ხელში ჩაიგდო.

რომაელებმა უკანასკნელი ძალა იხმარეს და გადამწყვეტი ბრძოლისთვის მოემზადენ, რომელიც 216 წელს **კანასთან** (აპულიაში) მოხდა. მიუხედავად რომაელთა რიცხობრივი უპირატესობისა, ბრძოლა მათი დამარცხებით დასრულდა. შედეგი ის იყო, რომ სამხრეთი იტალიის მოკავშირეები რომს ჩამოსცილდენ (სხვათა შორის კაპუაც) და ჰანიბალს შეუერთდენ; მათ **მაკედონიის** მეფე (ფილიპე V) და ბოლოს **სირაკუზიც** დაემატა. თუმცა ყველაფერი ისეთს სახეს ღებულობდა, რომ რომის დასასრული უეცველი ხდებოდა, მაგრამ 215 წლის განმავლობაში რომაელებს ხელახლა ბედმა გაუღიმა. თვით იტალიაში ახალგაზდა კონსული **პ. სციპიონი** აპულიის მოკავშირეთა ხელახლად შემოერთების საქმეს წარმატებით ახორციელებდა; სიცილიაში, რომელიც, სირაკუზის

გადადგომის შემდეგ, რომს სავსებით ხელიდან გაუსხლტა, საქმე შემოტრიალდა: 214 წელს სირაკუზი აღებულ იქმნა და 210 წელს მთელი კუნძული ისევ რომაელების ხელში გადავიდა. საბერძნეთში, სადაც რომის წინააღმდეგ მაკედონიის მეფე მოქმედებდა, საქმე 205 წელს დასრულდა: ძველი შენაძენი აქ ხელახლა რომაელების ხელში დარჩა, ხოლო მაკედონიის მეფე ჰანიბალს ჩამოშორდა. ისპანიაში, რომელიც ჰანიბალის ძლიერების მთავარ მკვებავ ძარღვს შეადგენდა, რომის საქმე პირველ ხანებში უკეთესად მიმდინარეობდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც იქ მთავარ-სარდლობა ახალგაზრდა **პ. კორნელიუს სციპიონის** ხელში გადავიდა, საქმე გამობრუნდა, და 206 წლისთვის მთელი ნახევარ-კუნძული კართაგენელთაგან გასწმინდა.

იტალიაში, მიუხედავად იმისა, რომ კანეს გამარჯვების შემდეგ ჰანიბალს დაპირებული დახმარება არსაიდან არ მოსდიოდა, მან მაინც შესძლო ტარენტის აღება და ბერძნული ახალშენების გადმობირება; მაგრამ რომაელების საქმე აქ მას შემდეგ გამოსწორდა, რაც კაპუა ხელახლა მათ ჩაუვარდათ ხელში; ბოლოს და ბოლოს ჰანიბალის ბედი იმ გარემოებამ გადასწყვიტა, რომ ისპანიიდან მის დასახმარებლად მომავალი მისი ძმა (ჰასდრუბალი) რომაელების მიერ დამარცხებულ იქმნა. ისპანიიდან დაბრუნებულმა კორნელიუს სციპიონმა ბრძოლის ასპარეზი თვით აფრიკაში გადაიტანა და 202 წელს **ზამასთან** გადამწყვეტი ბრძოლა მოაწყო, რომელიც მისი სრული გამარჯვებით დასრულდა. კართაგენი იძულებული შეიქმნა, მისთვის ზავი ეთხოვა, რომელიც მისთვის დამღუპველი პირობებით შეიკრა: 1. კართაგენი სთმობდა რომის სასარგებლოდ მთელ ისპანიას, 2. 50 წლის განმავლობაში იხდიდა კონტრიბუციას, 3. აძლევდა რომს მთელს სამხედრო ფლოტს და 4. ჰკარგავდა უფლებას რომის ნებადაურთველად ვისმესთვის ომი გამოეცხადებია.

კართაგენი, როგორც დიდი სახელმწიფო, აღარ არსებობდა; მეორე პუნიურმა ომმა მას დამოუკიდებელი პოლიტი-

კის წარმოების უფლებაც-კი მოუსპო. დარჩა კიდევ ეგვიპტე, მაკედონია, სირია და საბერძნეთი. ამ უკანასკნელს დამოუკიდებელი მნიშვნელობა არ ჰქონია. იგი მხოლოდ იმდენად წარმოადგენდა საერთაშორისო დამოკიდებულებაში ძალას, რამდენადაც დანარჩენ დიდს სახელმწიფოებს, განსაკუთრებით კი მაკედონიას, უერთდებოდა და ამით რომის საწინააღმდეგოდ მომართული ძალების ბაზისად იქცეოდა.

მაკედონია და საბერძნეთი. ამ სახელმწიფოთაგან პირველად მაკედონიას ხვდა წილად, დიდ სახელმწიფოთა რიცხვიდან ამოშლილიყო. თანახმად ეგვიპტელების თხოვნისა, რომელთაც აფრიკის გარეშე მდებარე მიწების ხელში ჩასაგდებად მაკედონიამ ომი გამოუცხადა, რომაელებმა სამხედრო მოქმედება დაიწყეს. 197 წელს თესალიაში (კინოსკეფალესთან) მაკედონელები სასტიკად დამარცხებულ იქმნენ; თანახმად საზავო ხელშეკრულებისა, იგინი მთელს თავის სამხედრო ფლოტს რომს უთმობდენ და რომის ნებადაურთველად ვისმესთან ომის დაწყებაზე უარს ამბობდენ. 136 წელს, ოლიმპიის ჯაროობაზე რომის კონსულმა ბერძნებს გამოუცხადა, რომ იგინი პოლიტიკურად თავისუფალნი იყვნენ, მაგრამ საბერძნეთს დამოუკიდებელი ცხოვრების უნარი აღარ შესწევდა და ამიტომ ახალი ბატონის ძიებაში მათ სირიის მეფეს **ანტიოქ დიდს** მიმართეს. ამ უკანასკნელმა რომაელ-მაკედონელთა ომის დროს ხელსაყრელი პირობებით ისარგებლა, მცირე აზიის ნაპირებზე მდებარე ადგილები დაიპყრო და შემდეგ ევროპის კონტინენტზეც-კი გადმოვიდა (თრაკიაში). მიუხედავად რომაელების მოთხოვნილებისა, მან საომარი მოქმედება არ შეაჩერა და დაუბრკოლებრივ წინსვლა განაგრძო. ანტიოქი რომაელების ძველი მტრის, ჰანიბალის რჩევით ხელმძღვანელობდა*), რომლის მიხედვითაც მაკედონიასა და საბერძნეთში აჯანყება უნდა

*) ჰანიბალი, რომაელების მოთხოვნით, იძულებული შეიქმნა, კართაგენი დაეტოვებია. იგი ანტიოქ სირიელთან წავიდა და აქ რომის საწინააღმდეგოდ ახალ ომებს აწყობდა. ანტიოქის დამარცხების შემდეგ, რათა რომაელებს ხელში არ ჩავარდნოდა, მან თავი მოიკლა.

მოწყობილიყო, შემდეგ იტალიას უნდა შესეოდენ, ახალი პუნიური ომი დაეწყოთ და, ამგვარად, რომის ძლიერება გაესრისათ. მაგრამ ანტიოქს ამ დიდი გეგმის შესრულების ძალა არ შესწევდა. 189 წელს **მაგნეზიუმთან** (სმირნადან ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით) იგი ისე სასტიკად იქმნა დამარცხებული, რომ იძულებული შეიქმნა რომაელების საზავო პირობები მიეღო; რომლის მიხედვითაც იგი მცირე აზიაში ყველა დაპყრობილ ადგილებზე უარს ამბობდა, რომაელების სასარგებლოდ დიდს კონტრიბუციას იხდიდა და თავის სამხედრო ფლოტს სპობდა. ამ წლიდან დაწყებული სირია დიდ სახელმწიფოთა სიიდან სრულებით ამოიშალა.

მაკედონიამ კიდევ ერთხელ სცადა ბედი, მაგრამ 168 წელს **პიდნასთან** მისი ჯარი სრულიად განადგურებულ იქმნა, და დიდ სახელმწიფოთა რიცხვს ეს ქვეყანაც ჩამოშორდა.

ამგვარად, მეორე საუკუნის პირველ ნახევარში ხმელთაშუა ზღვაზე რომს გარდა არც ერთი დიდი სახელმწიფო აღარ არსებობდა, თუ რომ ეგვიპტეს არ მივიღებთ მხედველობაში, რომელიც ამ ხანებში იმდენად დასუსტებული იყო, რომ მისი მეფე რომის მფარველობის ქვეშ იმყოფებოდა. ამავე საუკუნის მეორე ნახევარში რომმა საქმე ამ დიდ სახელმწიფოთა სრული დაპყრობით დაასრულა.

მესამე პუნიური ომი. განმანადგურებელი საზავო პირობების მიუხედავად კართაგენი მაინც მალე გაიმართა წელში. რომაელი პატრიოტები შიშით უცქეროდენ მის გაძლიერებას. **მარკუს პორციუს კატონი,** რომელიც განსაკუთრებით გრძნობდა კართაგენის მხრივ შესაძლო საშიშროებას, ყველა თავის სიტყვას სენატში ასე ამთავრებდა: „coeterum censeo, carthaginem esse delendam" („გარდა ამისა, მე მაინც ვფიქრობ, რომ კართაგენი უთუოდ უნდა მოსპობილ იქმნესო"). როდესაც რომაელების მოკავშირემ ნუმიდიის მეფემ **მასინისამ** კართაგენელები აიძულა, მისთვის ომი გამოეცხადებიათ, რომმა ეს ზავის პირობების დარღვევად ჩასთვალა და კართაგენის წინააღმდეგ სამხედრო მოქმედება დაიწყო.

კართაგენელები მზად იყვნენ, რომის ყოველი მოთხოვნილება შეესრულებიათ, მაგრამ როდესაც მათ **კართაგენის** სრულიად მიტოვება და მის მაგიერ ზღვის ნაპირიდან 14 ვერსის დაშორებით ახალი ქალაქის დაარსება მოსთხოვეს, მაშინ კართაგენელებმა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გადაწყვიტეს. ძლიერმა პატრიოტულმა გრძნობამ სასწაული მოახდინა: ორი წლის განმავლობაში რომაელებმა კართაგენს ვერაფერი მოუხერხეს. ბოლოს, როდესაც სარდლად **კორნელიუს სციპიონ ემილიანუსი** დაინიშნა, კართაგენი აღებულ იქმნა. მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავდა, რომ ქალაქი რომაელების ხელთ იყო: თვით ქალაქში სასტიკი ბრძოლა გაჩაღდა, იბრძოდენ ყოველ ქუჩაზე, იბრძოდენ სახლების სახურავებზეც-კი. ბოლოს გამარჯვება მაინც რომაელებს დარჩათ. ბრწყინვალე ქალაქი დასწვეს და დაამსხვრიეს, შემდეგ რომის ქურუმებმა ეს ადგილი დასწყევლეს და აქ ქალაქის გაშენება სამუდამოდ აღკრძალეს. ამგვარად, 146 წელს ოდესღაც მძლავრი კართაგენი მოისპო და მისი ტერიტორია რომის პროვინციად იქმნა გამოცხადებული (პროვინცია Africa, მისი მთავარი ქალაქი **უტიკა** იყო).



კართაგენის აღება

ამავე 146 წელს რომაელებმა მაკედონია და საბერძნეთიც თავის პროვინციად გამოაცხადეს. ისპანიაში საბოლოოდ

გაბატონდენ, აზიაში **პერგამონი** შეიძინეს, რომელიც „**აზიის**“ სახელით თავის პროვინციად გამოაცხადეს. ამავე დროს დაჰკარგა მთელი თავისი მნიშვნელობა ორმა დანარჩენმა დიდმა სახელმწიფომაც: 1. **სირიაში** 162 წლიდან ენერგიული **დემეტრიუსი** გამეფდა და მოკლე ხნის განმავლობაში თავისი სახელმწიფო საგრძნობლად გააძლიერა. მაგრამ 150 წელს რომაელების დახმარებით სირიის სამეფო ტახტზე ახალი მეფე იქმნა დასმული, რომელმაც დასაბამი მისცა იმ დაუსრულებელ ბრძოლას სირიის სამეფო ტახტის პრეტენტებს შორის, რომელმაც ეს ქვეყანა საბოლოოდ დაანაწილა და სრულიად უმნიშვნელო ძალად გარდააქცია. 2. რომაელებმა **ეგვიპტეშიც** შეუწყვეს ხელი შინაურ უთანხმოებას და ამით ეს ქვეყანაც დაასუსტეს. მაგრამ ეგვიპტე მაინც მნიშვნელოვან სახელმწიფოდ დარჩა, რომელიც თავისი დამოუკიდებელი პოლიტიკის წარმოებას ზოგჯერ მაინც ბედავდა; საერთოდ-კი პირველ ხარისხოვანი სახელმწიფოს მდგომარეობა მანაც დაჰკარგა.

V

რევოლიუციის ხანა (133 — 27 წ. ძ. წ.)

შინაგანი ცხოვრების პირობების შეცვლა მსოფლიო ბატონობის მოპოების გამო. მეორე საუკუნეში რომი ერთად-ერთ სახელმწიფოდ გადაიქცა, რომელიც მთელ ხმელთაშუა ზღვას უცილობლად ჰფლობდა. რა თქმა უნდა, ამ გარემოებას რომის ცხოვრებაში საკმაოდ საგრძნობი შედეგები უნდა მოჰყოლოდა თან.

წინად რომის მოქალაქეთა წრეში მიწის მუშა და მეურნე სჭარბობდა. ეხლა მდგომარეობა სავსებით შეიცვალა. გაუწყვეტელმა წარმატებით ნაწარმოებმა ომებმა რომაელებს მრავალი ახალი შემოსავლის წყარო და დიდი კაპიტალი გაუჩინეს. იგინი ენერგიულად ჩაერიენ ვაჭრობის ფერხულში და ძალიან მალე მსოფლიო ბაზარზე მნიშვნელოვანი ალაგი დაიჭირეს. რომაელი ვაჭარ-მრეწველნი ყველგან გაჩნდენ: დასავლეთით ნუმიდიასა და ისპანიაში, ხოლო აღმოსავლეთით ათენში; დელოსზე, ეგვიპტეში და აზიაში იგინი ყველგან უდი-

დეს როლს ასრულებდენ. ამის-და-მიხედვით რომის ნავთსადგურები, **დიკეარხია** და **ბრუნდიზიუმი** მსოფლიო ვაჭრობის შუამავლად გარდაიქცენ, შესაფერისად გაიზარდენ და გამდიდრდენ. რომაელთა ვაჭრების მოღვაწეობის გაფართოებას ისიც უწყობდა ხელს, რომ იგინი როგორც პროვინციებში, ისე რომის მოკავშირეთა და ხელქვეით სახელმწიფოებშიც ხშირად ყოველი გადასახადისაგან განთავისუფლებულნი იყვნენ და მრავალი სხვა უპირატესობითაც სარგებლობდენ. აღსანიშნავია ისიც, რომ რომაელი საქმის ხალხი ხშირად **კომპანიებად** (აქციონერთა საზოგადოებად) ერთდებოდენ და სახელმწიფოს შემოსავალს იჯარით ღებულობდენ. ასე გაჩნდენ ე. წ. **პუბლიკანები** (publicani), რომელთაც შემდეგში სახელმწიფოში დიდი მნიშვნელობა მოიპოვეს.

რაკი რომაელების წინაშე ასეთი ფართო სამოქმედო სარბიელი გადაიშალა, უეჭველია იგინი კულტურულადაც უნდა განვითარებულიყვნენ; და, მართლაც, საბერძნეთის კულტურის ღრმამ და ძლიერმა გავლენამ სწორედ ახლა გაშალა ფრთები. ბერძნული ხელოვნებისა, მწერლობისა და მუსიკის წარმომადგენელნი რომში ყველანი კარგ სამუშაოს შოულობდენ. ბერძნულმა მწერლობის გავლენამ თავისი მთარგმნელები და მიმბაძველებიც გაიჩინა: გადაითარგმნა **ოდისეა**, ბერძნული ტრაგედიები რომის სცენაზე იდგმებოდენ. მაგრამ საქმე ამით არ დასრულებულა: ამავე დროს რომში ორიგინალური მწერლობაც ჩაისახა.

განსაკუთრებით გატაცებულნი იყვნენ ელინური კულტურით საზოგადოების მაღალი წრეები, რომლებშიაც ბერძნული ენის ხმარებამ ძალიან ფართო ფესვები გაიდგა. აღსანიშნავია, რომ ელინურ კულტურას თავისი ცუდი მხარეებიც ჰქონდა; ეს იყო ის უზნეობა, ფუფუნება და უანგარიშო მფლანგველობა, რომელიც იმდროინდელ ბერძნებს ახასიათებდა. გასაგებია ამიტომ, რომ რომში ძლიერი მიმართულება ჩაისახა, რომელიც ძველის, მკაცრის, ფაქიზი მამაპაპური ზნეჩვეულების აღდგენას მოითხოვდა. ამ მიმართულების მთა-

ვარი წარმომადგანელი ცნობილი **მარკუს პორციუს კატონი** იყო. ეს გარემოება იმის მომასწავებელი იყო, რომ რომი გადაგვარების გზაზე დგებოდა.

გამოიცვალა თვითონ დედა-ქალაქის გარეგნობაც. გაჩნდა მრავალი დიდი მრავალ-სართულიანი სახლი. მაგრამ მოსახლეების გამრავლების გამო ბინის ქირა მაინც საგრძნობლად გაიზარდა. აშენდა **ფლამინიუსის დიდი ცირკი**. ქუჩები მოკირწლულ იქმნენ, გაყვანილ იქმნა პირველი ქვის ხიდი ტიბრზე. გაამშვენიერეს როგორც მოედნები, ისე საზოგადო შენობებიც, რასაც ხელი შეუწყო იმ უამრავმა ხელოვნების ნაშთებმა, რომელნიც ნადავლის სახით აღმოსავლეთიდან იქნენ მოზიდული.

სახელმწიფოებრივი წესწყობილება არსებითად იგივე დარჩა. ოღონდ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მეორე პუნიურ ომამდე დემოკრატიული მიმდინარეობა სჭარბობდა, რისი მთავარი შედეგიც ის იყო, რომ ცენტურიები და ტრიბები გაერთიანდენ და თითოეულმა კლასმა ხმის თანაბარი რიცხვი მიიღო (70 ხმა). მაგრამ მეორე პუნიური ომის ზეგავლენით განსაკუთრებული მნიშვნელობა **სენატმა** მოიპოვა. იგი ყოფილი მაგისტრატებისაგან შესდგებოდა, რომელნიც ძალაუფლებას იყენენ მიჩვეულნი და რომელთაც წარჩინებული წრე ე. წ. **ნობილობა** შეჰქმნეს. მთელ მართვაგამგეობას ფაქტიურად სენატი ხელმძღვანელობდა, და უნდა ითქვას, რომ მან აღნიშნულ ხანაში კეთილ-სინდისიერად შესძლო სამშობლოს წინაშე თავისი ვალის მოხდა. თვით ნობილების წრეში-კი საქმე რიგზე ვერ მიდიოდა: შური და მტრობა ჩვეულებრივ მოვლენად გარდაიქცა ამ წრეში, და ასეთი განწყობილების მსხვერპლად მრავალი წარჩინებული პატრიოტი დაიღუპა. მაგალ., სახელოვანი კორნ. სციპიონი, პორციუს კატონის ცდით, იძულებული შეიქმნა, სამშობლო ქვეყანა დაეტოვებია.

რომის მსოფლიო მონარქიად გარდაქმნას თან მოჰყვა შინაგანი ცხოვრების პირობების ისეთი ცვლილებებიც, რომელთა თანდათანობითს განვითარებას აუცილებლად უნდა

შეერყია როგორც შინაგანი სიმტკიცე სახელმწიფოს ცხოვრებისა, ისე მისი გარეგანი ძლიერებაც.

1. წოდებრივი ბრძოლის დასრულებასთან ერთად რომში ფაქტიურად დემოკრატიული თანასწორუფლებიანობა მაინც არ დამკვიდრებულა. გამუდმებულმა ომიანობამ ერთის მხრივ და სრულუფლებიან მოქალაქეთა დაქსაქსულობამ მეორეს მხრივ **მაგისტრატებისა** (მოხელეების) და **სენატის** ძალაუფლებას განსაკუთრებული გავლენა მიანიჭა. სახელმწიფოს სვებედი თითქმის უკლებლივ მარტო ამ დაწესებულებათა ხელთ იყო. განსაკუთრებით მიმზიდველი შეიქმნენ უმაღლესი თანამდებობანი (ე. წ. კურულური თანამდებობანი: კურულური ედილობა, პრეტურა, კონსულობა) მას შემდეგ, რაც რომს მრავალი მდიდარი პროვინცია გაუჩნდა. პროვინციის მმართველები მათი სიმდიდრით თავისთვის სარგებლობდენ და სახელმწიფოს ინტერესებისთვის ზრუნვა მათთვის უცხო შეიქმნა. ასეთივე სულიერი განწყობილება სასამართლოსა და სენატზეც გავრცელდა: ქრთამი და მოსყიდვა ჩვეულებრივ მოვლენად გარდაიქცა; და, ამგვარად, ეხლა მაგისტრატურა რომში არა სახელმწიფოს სამსახურად ითვლებოდა, როგორც ძველად, არამედ პირადი შემოსავლის ერთ-ერთ ძლიერ დაუშრეტელ წყაროდ, ამიტომ ორივე ძველი წოდებიდან გამოსული მდიდრები ყოველ საშუალებას ხმაროობდენ მაგისტრატურის ხელში ჩასაგდებად და თავის პრივილეგიად გადასაქცევად. ამ მიზნისთვის იგინი თავის ქონებრივ შეძლებას არ ზოგავდენ, რადგანაც მისი ანაზღაურების სრული იმედი ჰქონდათ. ისე მოხდა, რომ რომში ძველი პატრიციატის ადგილი ახლად ჩამოყალიბებულმა მოხელეთა წრემ ე. წ. **ნობილებმა** დაიკავეს. მეორე საუკუნის მეორე ნახევარში ეს მდგომარეობა იმდენად განმტკიცებული იყო, რომ ე. წ. homines novi-ს (ე. ი. არა ნობილის) მიერ უმაღლესი თანამდებობის დაკავების შემთხვევა ვა იშვიათი შეიქმნა. მათი ინტერესების დამცველი პარტია **ოპტიმატების** სახელით იყო ცნობილი. რომის ნობილების ასეთი მდგომარეობის გამო სახელმწიფოს საზღვრების გაფარ-

თოება მარტო მათთვის შეიქმნა ხელსაყრელი. საზოგადოების ღარიბი ნაწილი-კი სავსებით მოკლებული დარჩა იმ უპირატესობას, რომელიც წარმატებით ნაწარმოებ ომებს მოჰქონდა რომისათვის. იგინი, ე. წ. **პროლეტარები** უკმაყოფილონი იყვნენ არსებული მდგომარეობისა და მის გარდაქმნას ესწრაფოდენ. მათი ინტერესების დამცველად ე. წ. **პოპულარების** პარტია ითვლებოდა.

2. ამ წინააღმდეგობას განსაკუთრებით აგრარული საკითხიც ართულებდა. რომის ჯარების მთავარ ძალას, როგორც ყველგან, მიწის მუშა, გლეხი შეადგენდა. გამუდმებული ომების გამო საზოგადოების ეს ნაწილი მოკლებული იყო თავისი მიწების დამუშავების შესაძლებლობას, და ამიტომ მისი მეურნეობა თანდათანობით ქვეითდებოდა. ამავე დროს პროვინციებიდან (მაგალ., მდიდარი სიცილიიდან) რომში აუარებელი პური შემოდიოდა, რომელიც ჩალის ფასად იყიდებოდა და ზოგ შემთხვევაში ხალხს უფასოდაც კი ურიგდებოდა. ასეთ პირობებში გლეხისთვის არა თუ თავისი განადგურებული მეურნეობის აღდგენისათვის ზრუნვა იყო ყოველ აზრს მოკლებული, არამედ იაფ პურთან მეტოქეობის გაწევა კარგად მოწყობილ მცირე მეურნეობასაც არ შეეძლო. ამიტომ რომაელი გლეხი თავის მიწას ჰყიდდა და ქალაქში უმიწაწყლო ღარიბ ხალხს, ე. წ. **პროლეტარიატს** უერთდებოდა. მიწის მყიდველი-კი ბევრი იყო. რომის სენატორებს ვაჭრობა აღკრძალული ჰქონდათ, და თავისი კაპიტალის დაბანდვა მათ ძალაუნებურად მიწაში უხდებოდათ: იგინი წვრილ მესაკუთრეთა მიწებს ყიდულობდენ და, ამგვარად, თანდათანობით თითქმის მთელი რომის მიწა მათ ხელში იყრიდა თავს.

პირველ საუკუნის განმავლობაში ქრისტეს დაბადებამდი რომში წვრილი მიწის საკუთრება თითქმის სრულიად მოისპო და მისი ადგილი მსხვილმა მფლობელობამ ე. წ. **ლატიფუნდიებმა** დაიკავეს. ეს გარემოება წვრილი საკუთრების მოსპობას კიდევ უფრო უწყობდა ხელს: ლატიფუნდიების წარმოებასთან წვრილ მეურნეს სრულიად არ შეეძლო კონკურენციის გაწევა. რომის პროლეტარიატის რიცხვი დღითი-დღე იზრდებოდა, და, ამგვარად, სა-

ხელმწიფოს ის ერთად-ერთი საფუძველი ეცლებოდა, რომელ-ზეც მთელი მისი ძალა იყო დაყრდნობილი. ჯარის შედგენა მესაკუთრე გლეხთა წოდების შემცირების გამო თანდათან უფრო ძნელდებოდა, და რომის გულწრფელი სახელმწიფო მოღვაწენი ნათლად ხედავდენ, რომ სახელმწიფოს მხოლოდ საშუალო მიწათმფლობელი კლასის, გლეხობის აღდგენა თუ დაიცავდა სრული დაღუპვისაგან.

იტალიის დაპყრობის დროს რომაელები მტერს საკმაოდ დიდ მიწას ართმევდენ. ეს მიწა „საზოგადო მიწის" (agep qublicus) სახელით ან იყიდებოდა, ან ცალკე პირებს და ახალშენებს საკუთრებად ეძლეოდათ, ან და იჯარით იცემოდა. ამის მიუხედავად სახელმწიფოს მაინც ბევრი რჩებოდა, ბ აი წვრილ მიწის მფლობელთა კლასის აღსადგენად ეს მიწა წვრილ მესაკუთრეებს ურიგდებოდა. მაგრამ მდიდრების გავლენის გამო საქმე ბოლოს და ბოლოს ისე ეწყობოდა, რომ მიწა მაინც მსხვილ მესაკუთრეთა ხელში გადადიოდა. ამიტომ მეორე პუნიური ომის შემდეგ შემოღებულ იქმნა კანონი, რომლის მიხედვითაც არავის არ ჰქონდა უფლება 500 იუგერზე მეტი მიწა მიეღო ager publicus-იდან. მაგრამ რაკი ეს კანონი თვითონ მმართველი წრეებისათვის არ იყო ხელსაყრელი, იგი მალე მივიწყებულ იქმნა, და პროლეტარიატის რიცხვის ზრდა კვლავინდებურად სწრაფად ვითარდებოდა.

3. განუწყვეტელი ომების გამო რომში სამხედრო ტყვეთა რიცხვი ძლიერ გაიზარდა. იგინი მოკლებულნი იყვნენ ყოველგვარ უფლებებს და **მონებად** ითვლებოდენ. რაკი რომში ფართო წარმოება განვითარდა, მონათა სამუშაოდ გამოყენება განსაკუთრებით ხელსაყრელი შეიქმნა, და იგინი განცხოველებული ვაჭრობის საგნად გადაიქცენ, რომლის ცენტრსაც მაშინ კუნძული **დელოსი** შეადგენდა. რომის ლატიფუნდიებზე ყველგან მონები მუშაობდენ, და თავისუფალ მოქალაქეს მათთან მეტოქეობა, რა თქმა უნდა, არ შეეძლო. ამიტომაც რომაელი როგორც სოფელში, ისე ქალაქშიც მუშაობას თავს ანებებდა და უსაქმურ პროლეტარიატს უერთდებოდა, რომელიც სახელმწიფოსაგან უფასო პურსა და სანახაობას (panem et circenses) მოითხოვდა.

მეორეს მხრივ მონათა რიცხვის გამრავლება თვით სახელმწიფოს არსებობისათვის შეიქმნა საშიში. 140 წელს, მაგალ., **სიცილიაში,** სადაც განსაკუთრებით ბევრი ლატიფუნდია იყო, მონების აჯანყება მოხდა. ვინმე სირიელის, მონის **ევნუსის** ხელმძღვანელობით 200000 მონა აჯანყდა და მოკლე ხნის განმავლობაში რამდენიმე გამაგრებული ქალაქი დაიპყრო. რომაელებს მათ წინააღმდეგ ნამდვილი ომის წარმოება მოუხდათ, რომელიც მხოლოდ რვა წლის შემდეგ, 132 წელს, დამთავრდა.

4. რომში არსებული წესწყობილების უკმაყოფილოთა წრეს ე. წ. **მოკავშირენიც** ეკუთვნოდენ. იგინი ნათლად ხედავდენ, რომ სახელმწიფოს ძლიერება მრავალი მხრით მათზე იყო დამოკიდებული, რომ თუ არ მათი დახმარებით, რომს ამდენი ხალხების დაპყრობა მარტო თავისი ძალებით არ შეეძლო. ამავე დროს-კი იგინი სრულს მოქალაქობრივ უფლებებს მოკლებულნი იყვნენ. ასეთ პირობებში, ცხადია, უკმაყოფილება მათ შორისაც იჩენდა თავს, და ამიტომ რომს მოკავშირეთა საკითხის გადაჭრაც მართებდა.

დემოკრატიული მოძრაობა. ყველა ამ წინააღმდეგობის გამო რომის წესიერი განვითარება შეუძლებელი იყო. საჭირო იყო დროზე ზომების მიღება და სახელმწიფოში ისეთი რეფორმების შემოღება, რომელიც მას დაღუპვისაგან იხსნიდა. ოპტიმატები თავისი კლასის ინტერესებით იყვნენ დაბრმავებულნი და არსებული წესების შეცვლაზე სრულიად არ ფიქრობდენ. სამაგიეროდ ხალხის ფართო მასა არ იყო არსებული მდგომარეობით კმაყოფილი და ამიტომ სახელმწიფოში სათანადო ცვლილებების შეტანისათვის ზრუნვა მარტო მას შეეძლო. მაგრამ კატონის სიკვდილს შემდეგ დემოკრატიულ პარტიას ისეთი ბელადი აღარ ჰყავდა, რომელსაც ნათლად შეეძლო გათვალისწინება დემოკრატიისა და სახელმწიფოს ინტერესების იგივეობისა და შესაფერი რეფორმების შემუშავების საჭიროებისა. მალე ძმათა გრაკხების სახით მას ასეთი ბელადიც გაუჩნდა.

გრაკხები დიდი გვარის შთამომავალნი იყვნენ. მათი მამა ორჯერ იყო არჩეული კონსულად და განსაკუთრებით საგარეო პოლიტიკაში დიდ როლს ასრულებდა. დედა, **კორნელია** მთელ თავის ძალღონეს თავისი შვილების, ტიბერიუსისა და გაიუსის აღზრდას ამდომებდა. როდესაც ის დაქვრივდა, ეგვიპტეს მეფემ მას ხელი სთხოვა, მაგრამ კორნელიამ უარი შეუთვალა. ტიბერიუსი და გაიუსიც ძლიერ განათლებულნი იყვნენ და მათ ნათლად შეიგნეს, რომ სახელმწიფოს შველა საშუალო მიწათ-მფლობელთა კლასის აღდგენით, მაშასადამე, დემოკრატიული პარტიის დახმარებით-ღა შეიძლებოდა.

პირველად სამოქმედო სარბიელზე უფროსი ძმა, **ტიბერიუსი** გამოვიდა. როდესაც იგი სახალხო ტრიბუნად აირჩიეს, მან განაახლა კანონი შესახებ საზოგადო მიწის მფლობელობის მაქსიმუმისა: მისი წინადადებით არავის არ უნდა ჰქონოდა უფლება, 500 იუგერზე მეტი მიწა ჰქონოდა საზოგადო მიწებიდან, ხოლო მოზრდილ შვილთაგან ორს უფლება ეძლეოდა თითოეულს 250 იუგერი მიეღო. ვისაც ამ მაქსიმუმზე მეტი ჰქონდა, მას მიწა უნდა ჩამორთმეოდა, ხოლო მიწის გაუმჯობესებისათვის სამართლიანი ჯილდო მისცემოდა. დანარჩენი მიწებისაგან ფონდი უნდა შემდგარიყო, რომელიც, თანახმად აღნიშნული ნორმისა, სრულ საკუთრებად მოქალაქეთა შორის უნდა განაწილებულიყო. მიუხედავად იმისა, რომ ოპტიმატებმა კანონ-პროექტის საწინააღმდეგოდ ყოველი საშუალება იხმარეს, იგი მაინც მიღებულ იქმნა, და მის ცხოვრებაში გასატარებლად სამი კაცისაგან შემდგარი კომისია იქმნა არჩეული (ორივე ძმა გრაკხები და ტიბერიუსის სიმამრი, აპიუს კლავდიუსი). ოპტიმატები მაინც არ უთმობდენ, და ტიბერიუსმა განიზრახა, თავისი კანდიდატურა ტრიბუნის თანამდებობაზე მეორე წლისათვისაც (132) წამოეყენებია. მაგრამ არჩევნების დღეს მას თავს დაესხენ და მოჰკლეს, ხოლო მისი მიმდევრები სამართალში მისცეს და დასაჯეს. ამგვარად, ოპტიმატები თითქოს გამარჯვებულნი დარჩენ, მაგრამ კანონის მოსპობა მაინც ვერ მოახერხეს. სამაგივროდ მის შესაჩერებ-

ლად ყოველი საშუალება იხმარეს და, სანამ საქმეს გაიუს კრაკხი არ ჩაუდგა სათავეში, მისი ცხოვრებაში სრული გატარება შეაფერხეს.

გაიუს გრაკხი თავის ძმაზე უფრო ენერგიული და მეტვრმეტყველი იყო. მან მიზნად დაისახა, სახელმწიფოს მართვა-გამგეობა სრულს დემოკრატიულ საფუძვლებზე დაემყარებია. ამიტომ მას განსაკუთრებით სენატთან უნდა ჰქონოდა ბრძოლა. ტიბერიუსის სიკვდილის დროს იგი ძლიერ ახალგაზდა იყო და ერთხანს სახელმწიფო საქმეებს განზე უდგა. მაგრამ როდესაც 124 წელს იგი ტრიბუნად იქმნა არჩეული, მან ენერგიული მოქმედება დაიწყო, რომელიც სრული დემოკრატიზმისაკენ იყო მიმართული. ამ მიზნით მან ახალი კანონების მთელი რიგი შემოიღო; აღსანიშნავია უწინარეს ყოვლისა, რომ მან მცირე ცვლილებით თავისი ძმის ტიბერიუსის მიწის კანონი განაახლა და მის ცხოვრებაში გატარებას ენერგიულად შეუდგა. ამას გარდა მან „პურის კანონიც“ (lex fpumentaria) შემოიღო, რომლის ძალითაც სახელმწიფო ვალდებული იყო მოქალაქეთათვის იაფ ფასებში პური დაერიგებია. ყვალაფერი ეს ოპტიმატების წინააღმდეგობას იწვევდა, მაგრამ განსაკუთრებით დიდი ბრძოლა მას „სასამართლოს კანონის“ (lex judiciaria) გამო მოუხდა. რომში სასამართლო არასდროს არ იდგა სათანადო სიმაღლეზე. მეორე საუკ. ქრ. დაბ. ერთი მნიშვნელოვანი ცვლილება იქმნა შეტანილი: შემოღებულ იქმნა **მუდმივი სასამართლო კომისიები** (quaestiones perpetuae), რომელთაგანაც თითოეულს 30 წევრი ჰყავდა და განსაკუთრებული დარგის დანაშაულთა გარჩევა ჰქონდა დავალებული (ხაზინის გაქურდვა, მექრთამეობა, უდიდებულესობის შეურაცხყოფა და სხვა) ეს კომისიები მთელი წლის განმავლობაში მოქმედებდენ და ერთი წლის შემდეგ ახალი წევრებით ივსებოდენ. პირველი შეხედვით ამ სასამართლოებს სრული დემოკრატიული სახე ჰქონდათ: მათ წევრებს წილის ყრით ირჩევდენ. მაგრამ რადგანაც არჩევა მხოლოდ განმზადებულ სიაში მოქცეულ პირთა შორის უნდა

მომხდარიყო, ხოლო ამ სიაში მარტო სენატორები იყვნენ მოქცეულნი, ამიტომ ფაქტიურად ეს კომისიები მარტო ერთი წოდების ხელში იყვნენ და საქმის გარჩევის დროს ყოველთვის ამ წოდების ინტერესებით ხელმძღვანელობდენ: სჯიდენ ყველას, ვინც სენატორების წოდებას მტრობდა, და ამართლებდენ ყველას, ვინც ამ წოდებას ეკუთვნოდა. **მხედრები** ამ მდგომარეობას ვერ ურიგდებოდენ: მათ თვითონ სურდათ, სასამართლო თავის ხელში ჩაეგდოთ და თავისი ინტერესების უზრუნველსაყოფად გამოეყენებიათ. გაიუს გრაკხი მხედრობას მიემხრო და მუდმივი კომისიები უმეტეს ნაწილად მათ გადასცა. ამით მან დიდი ზიანი მიაყენა სენატორებს, და მისი მიზანიც ხომ მათს დასუსტებას ესწრაფოდა.

ცოტა უფრო ადრე მიღებულ იქმნა კანონი, რომლის მიხედვითაც მხედართა ცენტურიონების შემადგენლობა იცვლებოდა; იმ დროს მხედართა ცენტურიონებს სამხედრო მნიშვნელობა აღარ ჰქონდათ და მხოლოდ საარჩევნო ერთეულებს წარმოადგენდენ, რომელთა შემადგენლობასაც მდიდრები, განსაკუთრებით-კი სენატორები ავსებდენ. გაიუსის კანონის ძალით სენატორებს ამ ცენტურიონებში მონაწილეობის მიღება აღეკრძალათ, და, ამგვარად, სრულიად დამოუკიდებელი **მხედართა წოდება** შეიქმნა, რომელსაც მნიშვნელოვანი პოლიტიკური უფლებებიც მიენიჭა და რომელიც ამის გამო სენატორთა წოდებას მეტოქეობას უწევდა და მის გავლენას ასუსტებდა.

გაიუსი შემდეგი წლისათვისაც აირჩიეს ტრიბუნად (ახლა ამ გარემოებას დიდი წინააღმდეგობა აღარ გამოუწვევია) და მან ახალი მნიშვნელოვანი კანონი შეიმუშავა: მოკავშირეებისათვის (განსაკუთრებით ლათინებისათვის) მან მოქალაქობრივი უფლებების მინიჭება მოითხოვა. მაგრამ ოპტიმატებმა მუშაობა განაცხოველეს; ახლა მათ დემოკრატიულ პოლიტიკას თვითონ მოჰკიდეს ხელი, რა თქმა უნდა, იმ მიზნით, რომ გაიუსის გავლენა შეემცირებიათ. 121 წელს საქმე იმდენად გამწვავდა, რომ გრაკხის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა შო-

რის შეიარაღებული შეტაკება მოხდა. გრაკხი ავენტინის ბორცვზე გამაგრდა. როდესაც გამარჯვების სასწორი საბოლოოდ ოპტიმატებისაკენ გადაიხარა, გაიუსმა თავის მორჩილ მონას მოკვლა უბრძანა. ამგვარად, დემოკრატიული მოძრაობა დამარცხდა. ოპტიმატებმა გრაკხის 300 მომხრე დასაჯეს და რევოლიუციის გათავების ნიშნად ქალაქის გაწმენდისათვის ზეიმი მოაწყვეს და თანხმობის ტაძარი ააგეს.

გრაკხების კანონთაგან მხოლოდ მიწისა და მხედრების კანონი დარჩა ძალაში. დანარჩენი თითქმის ყველაფერი მოსპეს. დემოკრატიული პარტია დასუსტდა; მას ენერგიული ბელადი აღარ ჰყავდა და სახელმწიფო ცხოვრებაზე გავლენას ველარ ახდენდა.

II უკიდურესი დემოკრატიული პარტია. ეს გარემოება არა მარტო დემოკრატიული წრეების დამარცხება იყო, იგი იყო დამარცხება რომის სახელმწიფო იდეისაც, ვინაიდან გრაკხების მიზნებში დემოკრატიისა და სახელმწიფოს განმტკიცების ინტერესები ერთმანეთს განუყრელად შეუერთდენ. გონიერ ბელადებს მოკლებულმა დემოკრატიულმა პარტიამ ეხლა სახე იცვალა: იგი გრაკხების მიერ ნაჩვენებს, სალს სახელმწიფოებრივ გზას ასცდა და, ოპტიმატების არ იყოს, პირველ რიგზე თავისი ჯგუფური ინტერესები წამოაყენა; დემოკრატიის ახალი ბელადები სახელმწიფოს ინტერესებს აღარაფრად აგდებდენ. მათთვის მთავარი ღარიბი ხალხის მოთხოვნილებების დაკმაყოფილება იყო, თუნდ ამ გარემოებისათვის სახელმწიფოს ინტერესების ზვარაკად მიტანაც-კი ყოფილიყო აუცილებელი. პარტიის ბელადებად **სატურნინუსი** და **სერვილიუს გლაუცია** ითვლებოდენ. ამ დროს რომს დიდი საგარეო ომების წარმოება უხდებოდა. მაგრამ კონსულის **გაიუს მარიუსის** ნაყოფიერი მოღვაწეობის გამო მან შესძლო, თავისი ძველი დიდება უკლებლივ შეენარჩუნებია. ამ გარემოებამ მარიუსს დიდი პოპულარობა შესძინა და რომში მასზე უფრო გავლენიან პირად არავინ არ ითვლებოდა. ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, თუ შინაურს პარტიულ ბრძოლაში რომელ პარტიას

მიეკედლებოდა იგი. უკიდურესი დემოკრატიული პარტიის ბელადებს ეს კარგათ ესმოდათ, და ამიტომ მათ მარიუსის თავის მხარეზე გადმოსაბირებლად ზომები მიიღეს.

მარიუსი მხედართა შთამომავლობის იყო და, მაშასადამე, სენატორთა წოდების გარეშე იდგა. იგი თავისი მოღვაწეობის დასაწყისიდანვე ხალხის ფართო მასის ძალას დაეყრდნო: მისი კონსულად არჩევა, როგორც პირველად, ისე შემდეგშიც, ამ მასის ზეგავლენით აიხსნება. მისი პოლიტიკა იმ თავითვე გრაკხების გზას ასცდა. თუ ეს უკანასკნელი საშვალო მიწადმომქმედი კლასის განმტკიცების მიმართულებით მიდიოდა და ამით სახელმწიფოს სამხედრო ძლიერების მთავარ წყაროს შენახვას ესწრაფოდა, მარიუსმა სულ სხვა გზა აირჩია: რადგანაც მიწადმფლობელთა კლასი ძალიან შემცირდა და ჯარს ველარ ავსებდა, მარიუსმა **ძველი წესი ცენზის მიხედვით ჯარების შევსებისა მოსპო და პროლეტარებს მისკენ პირდაპირი გზა გაუხსნა.** ეს ზომა თავისი შედეგების მხრივ რომისათვის საბედისწერო შეიქმნა, ვინაიდან წინად სამხედრო სამსახური მოქალაქობრივი მოვალეობა იყო, და ახლა კი ჯარში მონაწილეობას ასეთი მოვალეობის ხასიათი სრულიად აღარ ჰქონდა; იქ ყველას შეეძლო სამსახური, ვისაც უნდოდა, და ამისათვის განსაზღვრულ ქირას ღებულობდა: **რომის ჯარში მოქალაქის ადგილი დაქირავებულმა ჯარისკაცმა დაიკავა**, რომელიც სავსებით თავის წინამძღოლზე იყო დამოკიდებული. ამიტომ შესაძლებელი შეიქმნა რომაელების სამხედრო ძალების ამოძრავება თითოეული სარდლის სურვილების და, მაშასადამე, მისი პატივმოყვარეობის გრძნობების-და-მიხედვით. ამ პირობებში შინაური ბრძოლა შეიარაღებული ძალების დახმარებით აუცილებელი უნდა ყოფილიყო, და ჩვენ დავინახავთ, რომ თითქმის მთელი შემდეგი დროის ისტორია რომისა კერძო პირების ასეთი შინაური ომებით ისაზღვრება.

როდესაც სატურნინუსმა და სერვილიუს გლაუციამ მარიუსს მიმართეს, ამ უკანასკნელმა მათთან შეთანხმება მოახდი-

ნა, რომლის მიხედვითაც 100 წლისათვის ყველა უმთავრესი თანამდებობანი მათ შორის უნდა ყოფილიყო განაწილებული. შედეგი ამ შეთანხმებისა ორი მთავარი კანონი იყო, რომელიც უფრო დემაგოგთა ინტერესებს ემსახურებოდა, ვიდრე სახელმწიფოსას: a. **პურის კანონის** მიხედვით სახელმწიფოს მიერ გასასყიდი პურის ფასი ნულამდის იქმნა დაყვანილი, რაც სახელმწიფო ფინანსებს საშინელ ტვირთად აწვებოდა; b. **ახალშენების კანონის** ძალით, მარიუსის ჯარისკაცების დასაკმაყოფილებლად, იტალიის გარედ დიდძალი ახალშენები უნდა მოწყობილიყვნენ. ამ ზომებმა არა თუ ოპტიმატების, არამედ თვით მხედართა წოდების მხრივ გამოიწვიეს წინააღმდეგობა, ასე რომ საქმე შეიარაღებულ შეტაკებამდი მივიდა, რომლის შედეგი დემაგოგების სრული დამარცხება იყო. მარიუსი ამ ბრძოლის დროს ყოყმანში იყო, თავის ამხანაგებთან მას უთანხმოება ჰქონდა, მაგრამ ვერც ოპტიმატებთან მოახერხა შერიგება. ამიტომ მან მთელი თავისი გავლენა დაჰკარგა და ერთხანს პოლიტიკურ ცხოვრებას სრულიად ჩამოშორდა.

დემოკრატიულ პარტიას ეხლა სახალხო ტრიბუნი **ლივიუს დრუზუსი** ჩაუდგა სათავეში. იგი ნათლად ხედავდა, რომ მხედართა წოდებამ გრაკხის მოლოდინი ვერ გაამართლა და თავის სასამართლოებში სპეკულაციას ხელს აფარებდა. მან გადაწყვიტა, თავის მიზნების განსახორციელებლად მხედართა წოდების ხარჯით სენატორები თავის მხარეზე გადმოებირებია: მან წინადადება შეიტანა, სასამართლო საქმეები ისევ სენატს დაბრუნებოდა და ამას გარდა საზოგადო მიწებზე მოქალაქეთა ახალშენები მოწყობილიყო. მისი შორეული მიზანი უფრო ძირითადი იყო. მას სურდა მოკავშირეთათვის მოქალაქობრივი უფლება მიენიჭებია და, ამგვარად, ეს მნიშვნელოვანი ძალაც დაეწყნარებია. მაგრამ მისმა მოწინააღმდეგებმა სწორედ ამ მისი შორეული მიზნით ისარგებლეს და ხალხში ხმა გაავრცელეს, დრუზუსი მოკავშირეთათვის მოქალაქობრივ უფლებათ მოითხოვსო. ეს კი არც ნობილები-

სათვის იყო ხელსაყრელი. და არც რომის მოქალაქეთათვის, რომელთაც თავის უპირატესობათა გაზიარება არავისთვის არ უნდოდათ, და დრუზუსი მოკლულ იქმნა. ამგვარად, დემოკრატიამ და რომმა კიდევ ერთი შეგნებული და გულწრფელი პატრიოტი და სახელმწიფო მოღვაწე დაჰკარგა.

მოკავშირეთა ომი. მოკავშირენი ნათლად ხედავდენ, რომ რომაელებს მშვიდობიანი გზით მათთვის არაფერი არ ემეტებოდათ. ამიტომ ეხლა მათ ერთად-ერთი გზა ღა დარჩენოდათ: ეს იყო აშკარა ბრძოლა თავისი უფლებებისათვის. 90 წელს აჯანყება დაიწყო და **მარსელთა** ხელმძღვანელობით შუა იტალიისა და ქვედა იტალიის მოკავშირენი გაერთიანდენ. მათ თავისი სახელმწიფოს დაარსება სცადეს, რომლის მთავარ ქალაქად **კორფინიუმი** (მდ. პესკარაზე) აირჩიეს. კონსტიტუცია რომისებური შეიმუშავეს და ყველას, ვინც-კი მათ შეუერთდებოდა, სრული მოქალაქობრივი უფლებების მინიჭება აღუთქვეს. დაიწყო ომი, რომელიც საშინელი სიმძაფრით სწარმოებდა. რომაელები იძულებულნი შეიქმნენ, ჯერ კიდევ შერჩენილ მოკავშირეებისათვის მოქალაქობრივი უფლებები მიენიჭებიათ. ამგვარად, ომს საფუძველი გამოეცალა და მალე იგი რომის გამარჯვებით დასრულდა: კორფინიუმი დაეცა, მაგრამ მოკავშირეების დიდ ნაწილს მოქალაქობრივი უფლებები მაინც მიენიჭათ, და, ამგვარად, ის პროცესი დაიწყო, რომელმაც ბოლოს და ბოლოს მთელი რომის სახელმწიფოს მოსახლეობა უფლებრივად გაათანასწორა.

ამ გარემოებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. რაკი რომის მოქალაქეობა მთელი იტალიის მცხოვრებლებზე გავრცელდა, რომაელთა სახელმწიფომ მთელი თავისი ხასიათი გამოიცვალა: თუ წინად რომაელ მოქალაქეთ მარტო ერთი ქალაქი, რომი ჰქონდათ, ეხლა მათ მრავალი ქალაქი გაუჩნდათ, და რომი მხოლოდ დედა-ქალაქად ითვლებოდა. თითოეულმა ქალაქმა სრულ მოქალაქობრივ უფლებებთან ერთად ერთგვარი თვითმართველობა მიიღო, ასე რომ მთელი იტალია ეხლა ასეთი თვითმართველი ქალაქებით იყო დაფა-

რული (municipia civium romanorum). ამ უფლებრივ გათანასწორებას მალე თითოეული იტალიელი ტომის ეროვნული თავისებურების დასუსტებაც მოჰყვა და მალე მთელი იტალია ნაციონალურადაც გაერთიანდა.

ოპტიმატები. სულა. არისტოკრატია თავის მოწინააღმდეგეთა დასამარცხებლად არავითარ ზომას არ ერიდებოდა. იგი საოცარი სისასტიკით უსწორდებოდა დემოკრატებს. მაგრამ მტკიცე გამარჯვებისათვის მას ერთი რამ აკლდა: ეს იყო ჯარის კეთილგანწყობილება. მაგრამ მას შემდეგ, რაც ჯარს კონსული **სულა** ჩაუდგა სათავეში, საქმე ამ მხრივაც უზრუნველყოფილი შეიქმნა.

არისტოკრატიის ბელადად სულა ითვლებოდა. იგი დიდი გვარისშვილი იყო, მაგრამ დაწინაურება შედარებით გვიან მოახერხა. პირველად მარიუსის თანაშემწედ ითვლებოდა, ხოლო განსაკუთრებული სახელი მოკავშირეებთან ომის დროს მოიხვეჭა; თანდათანობით მარიუსის ადგილს ის იკავებდა. სულა თავისი წოდებისა და თავისი დროის ნამდვილი შვილი იყო. ქეიფი და დროს ტარება ძალიან უყვარდა; საკმაოდ განათლებული იყო და ლიტერატურასა და ხელოვნებას დიდად აფასებდა. სულა ნამდვილი არისტოკრატი იყო, დემოკრატიულ მოძრაობასა და მის ბელადებს ზიზღით და სიამაყით ეპყრობოდა. მკაცრმა და შეუბრალებელმა არისტოკრატმა მტრის პატიება იშვიათად იცოდა. ნათელი პრაკტიკული ჭკუა, რკინის ხასიათი და იშვიათი სამხედრო და საორგანიზაციო ნიჭი მისი დამახასიათებელი თვისებები იყვნენ. მეტ სახელად მას **ლომ-მელას** უწოდებდენ, და უბრალო ხალხს იგი ჭირივით სძულდა. სამაგიეროდ სულას ჯარი აღმერთებდა. ბრძოლის დაწყებამდე იგი სასტიკ დისციპლინას მოითხოვდა, მაგრამ ბრძოლის შემდეგ ჯარს თავისუფალი თარეშის ნებას აძლევდა.

88 წელს იგი კონსულად იქმნა არჩეული და აჯანყებული აზიის წინააღმდეგ განმზადებული ჯარის მთავარსარდლობა ჰქონდა დაკისრებული.

სწორედ ამ დროს რომში ტრიბუნის, **სულპიციუს რუფუსის** მეთაურობით დემოკრატიული მოძრაობა გაძლიერდა. ტრიბუნის წინადადებით სრული მოქალაქობრივი უფლება **განთავისუფლებულ მონებსაც** უნდა მინიჭებოდათ. მას შემდეგ, რაც მარიუსის სამხედრო რეფორმის მიხედვით მათ ჯარში შესასვლელი კარები გაეღოთ, ბუნებრივი იყო, რომ მათთვის სრული მოქალაქობრივი უფლებებიც მიენიჭებიათ; მაგრამ სულა მოულოდნელად გამოცხადდა რომში და ტრიბუნს სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია. სამაგიეროდ სულპიციუს რუფუსმა იმდენი მაინც მოახერხა, რომ მისი წინადადების თანახმად სულას აზიაში გასაგზავნი ჯარის მთავარსარდლობა ჩამოართვეს და მარიუს გადასცეს. მაგრამ სულამ დამორჩილების მაგიერ ისეთი რამ ჩაიდინა, რაც რომში მანამდე არ მომხდარიყო: მან ისარგებლა თავისი ჯარის კეთილგანწყობილებით და რომისაკენ წამოიყვანა, გამართა ნამდვილი ბრძოლა თავის მოწინააღმდეგებთან, მოაკვლევინა სულპიციუსი და ჯარის მთავარსარდლობა თვითონ დაიბრუნა. მარიუსი იძულებული შეიქმნა, სამშობლოდან გაქცეულიყო; დიდი ხნის ხეტიალის შემდეგ მან, როგორც იქმნა, თავშესაფარი აფრიკაში იპოვა. ამგვარად, პირველად სწორედ მარიუსი შეიქმნა იმ რეფორმის მსხვერპლად, რომელიც თვითონ შემოიღო და რომელმაც რომში **ჯარის ბატონობის** შესაძლებლობა შეჰქმნა.

სულამ ზოგი რამ განკარგულება მოახდინა, რომელსაც სახელმწიფოს მართვაგამგეობის ოპტიმატების ინტერესების-დამიხედვით შეცვლა ჰქონდა მიზნად, და სწრაფად აზიისაკენ გაეშურა, სადაც მტერი უკვე დიდის წარმატებით მოქმედებდა.

ცინა და მარიუსი. სულას რომში არ ყოფნით დემოკრატებმა მშვენივრად ისარგებლეს და 87 წლის ერთ-ერთ კონსულად **კორნელიუს ცინა** იქმნა არჩეული, რომელმაც სულპიციუსის მსგავსად მოკავშირეთა და განთავისუფლებულ მონათათვის მოქალაქობრივი უფლებების მინიჭება მოითხოვა. მაგრამ ოპტიმატებმა ამას სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიეს და ცინა თავისი მიმდევრებით რომიდან განდევნეს. მაგრამ დემოკრატებს ერთის მხოვ მოკავშირეები ეხმარებოდენ, ხოლო

მეორეს მხრივ სწორედ ამ დროს გაჩნდა ეტრურიაში მოხუცი მარიუსი, რომელმაც თავის გარშემო უკმაყოფილო იტალიკები და მონები შემოიკრიბა და ცინასთან ერთად რომში შეიჭრა. ხუთი დღისა და ხუთი ღამის განმავლობაში რომში, მარიუსის ბრძანებით, არისტოკრატიისა და მისი მომხრეების შეუჩერებელი ხოცვა-ჟლეტა წარმოებდა. მარიუსმა ძალით ჩაიგდო ძალაუფლება ხელში და თავისი თავი კონსულად აარჩევია (ეს მისი მეშვიდე კონსულობა იყო); მაგრამ იგი მალე გარდაიცვალა, და ბატონობა ცინას ხელთ დარჩა. ამ უკანასკნელმა გააუქმა სულას ყველა განკარგულებანი და სულპიციუსის რეფორმები განახორციელა. თვითონ-კი ჯარი შეკრიბა და სულას მოსასპობად საბერძნეთს გაემგზავრა; მაგრამ აქ მას ჯარი გადაუდგა და ერთი აჯანყების დროს იგი მოკლულ იქმნა. სულამ მუქარის ბარათი გაგზავნა რომს, სადაც მის დაბრუნებას შიშის ზარით მოელოდენ. კონსულებმა მის საწინააღმდეგოდ 100000 კაციანი ჯარი შეაგროვეს და საბრძოლველად ემზადებოდენ.

სულას დიკტატურა. ბრძოლა მარიუსის მომხრეთა და სულას შორის სასტიკი იყო, მაგრამ ბოლოს და ბოლოს გამარჯვება სულას ხვდა წილად, და იგი რომში შევიდა. მთელი ძალაუფლება მის ხელთ იყო, მან ამ მდგომარეობით მარიუსის მომხრეთა სრულ ამოსაწყვეტად ისარგებლა. მან გამოსცა ე. წ. **პროსკრიფციები,** სადაც მარიანელთა გვარები იყო ჩამოწერილი. ამათი მკვლელობა ყველასათვის ნებადართული იყო. მაგრამ უფრო საშინელი ის იყო, რომ სულამ განაცხადა, ეს პროსკრიფციები ჯერ კიდევ არ არიან სრულნი, მათ თანდათანობით შევავსებო. მკვლელობა რომიდან პროვინციაშიც გადავიდა და თითქმის მთელი სახელმწიფოს მიწაწყალი დემოკრატიული პარტიის მიმდევრების სისხლით მოიფარა. სულამ თავისი თავი **დიკტატორად** აარჩევინა. მაგრამ მას ძველი დიკტატორის სახელის მეტი არაფერი დაუცავს. არსებითად იგი ნამდვილი მეფე იყო, რომლის ნებაზეც მთელი სახელმწიფოს ბედი იყო დამოკიდებული. ამგვარად, **სულა იყო პირველი, რომელმაც მონარქიული წესწყობილების**

შემოღება რომში თანდათანობით განახორციელა: ჯერ იყო და ჯარი პირველად წაიყვანა სამშობლო ქალაქის წინააღმდეგ თავისი მიზნების განსახორციელებლად, ახლაკი ქვეყნის უდავო მბრძანებლად გამოაცხადა თავი და დაუყოვნებლივ არისტოკრატიული რეფორმების განხორციელებას შეუდგა. მან დაამცირა სახალხო ტრიბუნატის დიდი მნიშვნელობა, ვინაიდან ტრიბუნებს უკონტროლო „ვეტოს უფლება“ ჩამოართვა, ჩამოაქვეითა მხედართა წოდება, რომელსაც გადასახადების იჯარით აღება აღუკრძალა და სასამართლო უფლება წაართვა, რომელიც ისევ სენატს დაუბრუნა. თვით სენატის მნიშვნელობა განსაკუთრებით გააძლიერა, ცენზორობა მოსპო, მაგრამ სამაგიეროდ სახალხო ყრილობის გავლენა შეამცირა. ყველა ეს ზომები არისტოკრატიული ხასიათის იყო. მაგრამ სულა მაინც იძულებული შეიქმნა, რევოლიუციის მონაპოვართაგან **მოკავშირეთა უფლებრივი გათანასწორება** ხელუხლებელი დაეტოვებია და თავის ჯარისკაცთა დასაკმაყოფილებლად **ახალშენთა კანონი კიდევ უფრო გაეფართოებია**. დაასრულა თუ არა თავისი მოღვაწეობა, სულამ 79 წელს თვის ძალაუფლებაზე უარი განაცხადა და კერძო ცხოვრებას დაუბრუნდა. 78 წელს იგი მოულოდნელად გარდაიცვალა.

ბრძოლა სარდლებს შორის ბატონობისათვის. მარიუსის და სულას ბრძოლა, რომელსაც ჯერ კიდევ პარტიული ბრძოლის გარეგანი სახე მაინც ჰქონდა დაცული, რომის ისტორიის ახალი ხანის დასაწყისი შეიქმნა. ეს ახალი ხანა იმაში მდგომარეობდა, რომ პარტიათა ბრძოლამ, რომელიც რესპუბლიკური წესწყობილების ნიადაგზე წარმოებდა, ეხლა ადგილი ცალკე პირებს, სარდლებს შორის ბრძოლას დაუთმო, რომლის მიზანიც ბოლოს და ბოლოს რესპუბლიკის დანგრევასა და მის ნანგრევებზე მონარქიული ძალაუფლების ხელში ჩაგდებას ესწრაფოდა. ეს ბრძოლა, რომელსაც პომპეუსი, კეისარი, ანტონიუსი და, დასასრულ, ოკტავიანუსი აწარმოებდა, რესპუბლიკის დანგრევითა და მონარქიის დამყარებით დასრულდა.

მაგრამ სანამ ეს განხორციელდებოდა და ერთი რომელიმე სარდალთაგანი სრულს მონარქად გარდაიქცეოდა, მათ შორის შეთანხმება ხდებოდა და მთელი სახელმწიფოს ბატონ-პატრონობა მათ შორის იყოფოდა.

ამიტომ ამ ხანას შეიძლება **გარდამავალი ხანა** ვუწოდოთ.

ს ა გ ა რ ე ო ო მ ე ბ ი.

ა. ომები დასავლეთით. გრაკხების დამარცხების შემდეგ გამარჯვებული რეაქცია ოპტიმატებისა ისევ ძველი გზით განაგრძობდა მოქმედებას. მექრთამეობა და პირადი ინტერესების სამსახური სახელმწიფო ინტერესების ხარჯით სახელმწიფოს წყობილების მოსაჭე წარმომადგენლებს ძველებურად ახასიათებდა. ამ უკულმართობამ განსაკუთრებით საგარეო პოლიტიკაში მიიღო სახიფათო მიმართულება.

ისპანიის სრული დაპყრობის შემდეგ რომაელებს ამ პროვინციის იტალიასთან შეერთება მართებდათ. რამდენიმე ხნის ბრძოლის შემდეგ მათ შესძლეს პირენეებსა და ალპებს შუა მდებარე მიწების დაპყრობა, რომელთაც **„ნარბოს გალია“** (Gallia Narbonensis) უწოდეს და ამ სახით იტალიიდან ისპანიისკენ მიმავალი გზა უზრუნველჰყვეს. ამგვარად, ეს საქმე წარმატებით დასრულდა.

სამაგიეროდ რომაელ სახელმწიფო მოღვაწეთა გარყვნილებამ აფრიკის საქმეების მოწესრიგების დროს იჩინა თავი. აქ, კართაგენის დაპყრობის შემდეგ, კიდევ დარჩა ერთი მნიშვნელოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფო, **ნუმიდია**, რომელიც რომაელებმა სამ ნაწილად გაჰყვეს. ნუმიდიის ერთ-ერთი მეფე, **იუგურტა** წინედ რომაელების ჯარში იბრძოდა და მათს იმ დროინდელ ზნეს კარგად იცნობდა. მან მთელი ნუმიდიის თავის ხელში გაერთიანება გადასწყვიტა და ერთი მეფეთაგანი მოაკვლევინა, მეორესაც ამასვე უპირებდა. მაგრამ ამ უკანასკნელმა რომს მიმართა. იუგურტამ ქრთამის შემწეობით იმდე-

ნი მოახერხა, რომ სენატმა ეხლა ნუმიდია ორ ნაწილად გაჰყო და საუკეთესო ნაწილი იუგურტას მიუსაჯა. ამის მიუხედავად, იუგურტამ თავის მიზანზე მაინც ხელი არ აიღო და 112 წელს იგი მეორე მეფის სამფლობელოს შეესია და მისი სატახტო ქალაქი აიღო. ბევრი ყოყმანის შემდეგ რომმა იუგურტას ომი გამოუცხადა. მაგრამ 109 წლამდი, როდესაც კონსულად ძველი ზნეობის წარმომადგენელი არისტოკრატი **მეტელუსი** იქმნა არჩეული, საქმე ცუდად მიდიოდა, რადგანაც იუგურტა უფრო ოქროთი მოქმედებდა, ვიდრე სამხედრო ძალებით. 108 წელს იუგურტა დამარცხებულ იქმნა, მაგრამ საქმე მაინც გაჭიანურდა, რადგანაც ოპის ასპარეზის ტოპოგრაფიული პირობები ისეთი იყო, რომ გადამწყვეტი ბრძოლის მოწყობა შეუძლებელი იყო. ამით ისარგებლა მეტელუსის თანაშემწემ **გაიუს მარიუსმა;** კონსულის არჩევნებზე მან მეტელუსის წინააღმდეგ გაილაშქრა და ამგვარად მოახერხა, რომ მეტელუსის მაგიერ კონსულად იგი აერჩიათ და იუგურტასთან ომის წარმოება მისთვის მიენდოთ. 104 წელს იუგურტა დატყვევებულ იქმნა და მარიუსი რომს დაბრუნდა.

კიმბრები და ტევტონები. სწორედ ამ დროს რომი დიდ გასაჭირში იყო. ჩრდილოეთიდან მას დიდი ხიფათი ელოდა. საქმე ის არის. რომ 113 წელს რომის საზღვრებს ჩრდილოეთიდან მოსული გერმანელი ტომები, **კიმბრები** მოადგენ. იგინი **ტევტონებს** შეუერთდენ და რონას მარცხენა ნაპირზე რომაელების ჯარს დაეჯახენ. ბრძოლა მათი სრული გამარჯვებით დასრულდა, 80000 რომაელი გაჟლეტილ იქმნა. რომი შიშის ზარმა მოიცვა. იგინი გალების (კიმბრებს რომაელები გალებად თვლიდენ) ახალ დაპყრობას მოელოდენ. და აი სწორედ ამ დროს დაბრუნდა მარიუსი რომში; ხალხმა იგი მეორედ აირჩია კონსულად (კანონის ძალით კონსულს მხოლოდ ერთი წლით ირჩევდენ) და კიმბრებთან ომის, წარმოება მას მიანდო.

მაგრამ როდესაც მარიუსი ტრანსალპინის გალიაში გადავიდა, კიმბრები და ტევტონები მას იქ არ დახვდენ; იგინი

ისპანიაში იყვნენ წასულნი. მარიუსმა ამ გარემოებით ისარგებლა და რამდენიმე წელი ჯარის გაწვრთნას მოანდომა. კიმბრების სახით პირველად გაჩნდენ გერმანელები რომის ნიადაგზე. იგინი ახალი საცხოვრებელი ადგილების საძიებლად მოვიდენ და მთელი თავისი ქონება, ცოლები და შვილებიც თან მოჰყავდათ. იგინი კულტურულ რომაელებს ველურებათ მიაჩნდათ და მათს საშინელ გამბედაობას ვერ უმაგრდებოდენ. კიმბრები სახიფათო მოწინააღმდეგენი იყვნენ, და მარიუსიც მათთან საბრძოლველად სათანადოდ ემზადებოდა. 100 წლამდე მას ყოველ წლივ კონსულად ირჩევდენ, ისე დიდი იყო რომში მისი გავლენა. ბოლოს, როგორც იქმნა, კიმბრები და ტევტონები ისპანიიდან დაბრუნდენ, იგინი ორ ნაწილად გაიყვნენ: ერთი ნაწილი, რომელსაც ტევტონები შეადგენდენ, 102 წელს შეხვდა მარიუსის ჯარებს (აკვასეკტასთან). ერთის მხრივ რომაელთა სამხედრო გაწვრთნამ, ხოლო მეორეს მხრივ აუტანელმა სიცხეებმა, რომელიც ჩრდილოელი ტევტონებისათვის უჩვეულო იყო, თავისი ჰქმნეს და ტევტონები სრულიად განადგურებულ იქმნენ. 101 წელს იგივე ბედი ეწვიათ (ვერცელასთან) კიმბრებსაც. ამგვარად მოხდა, რომ რომში მარიუსი უპირველესი კაცი შეიქმნა, მისი დამსახურება იყო, რომ სახელმწიფოს საშიშო მტერი მოესპო.

ბ. აღმოსავლეთის ომები. პირველი საუკუნის ოთხმოციან წლებში რომს ხელახლა მოუხდა დიდი ომების წარმოება. ეს იყო აღმოსავლეთის ომები, რომელთაც სახელმწიფოს ცხოვრებაზე ძლიერი ზეგავლენა მოახდინეს. აზიას რომის ეკონომიური ცხოვრებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა; იგი მთავარი ბაზარი იყო, რომელიც რომაელთა სიმდიდრის მთავარ წყაროდ ითვლებოდა, და მრავალი მდიდარი რომაელი აქ ცხოვრობდა და მოღვაწეობდა. ომის დაწყებისთანავე მრავალი აქაური რომაელი გაძარცვა და ამას გარდა თვით რომსაც კარგა ხნით სავსებით მოესპო ის მთავარი წყარო, რომელიც მის საარაკო სიმდიდრეს ჰკვებავდა. ძალზე შერყეულმა ეკონომიურმა მდგომარეობამ თავისებური გავლე-

ნა მოახდინა რომის შინაურ ცხოვრებაზეც; მდიდართა და პროლეტართა წინააღმდეგობამ უკიდურეს საფეხურს მიაღწია და შინაურმა უთანხმოებამ და ბრძოლამ რომის მშვიდობიანი ცხოვრება იმდენად შეარყია, რომ ძალიან დიდი ხანი შეიქმნა საჭირო, სანამ რომში მშვიდობიანობა ხელახლა დამყარდებოდა.

აღმოსავლეთის მდგომარეობა და მითრადატ პონტოელი. მას შემდეგ, რაც მაკედონია და აზია რომს შეუერთდა, იგი დიდის გაფაციცებით ადევნებდა თვალ-ყურს აღმოსავლეთის ამბებს და შემთხვევისა-და-მიხედვით ერეოდა კიდეც მის საქმეებში. მეორე საუკუნიდან დაწყებული აღმოსავლეთში დიდი ცვლილებები მოხდა.

ეგვიპტესა და **სირიაში** შინაურმა დინასტიურმა უთანხმოებამ იჩინა თავი. ერთი მეფე მეორეს ცვლიდა და სახელმწიფოს ძლიერება დღითი-დღე ეცემოდა. ოთხმოციანი წლებისათვის ოდესღაც პტოლომეოს ამაყი სახელმწიფო სავსებით დასუსტდა და საერთაშორისო დამოკიდებულებაში მეორე ხარისხოვანი ალაგი დაიჭირა. ზოგი ნაწილი მას სრულიად ჩამოშორდა და ზოგი კიდევ მზად იყო პირველ შესაფერ შემთხვევისათანავე გამოყოფოდა მას.

ასეთივე ბედი ეწვია სირიასაც. დინასტიურმა უთანხმოებამ აქაც იგივე ნაყოფი გამოიღო. მეფის ძალაუფლებამ გავლენა დაჰკარგა და თვით სახელმწიფო მრავალ ერთეულად დაიყო, რომელთაც დამოუკიდებელი მეფეები ჰყავდათ*). ამით განსაკუთრებით **პართებმა** ისარგებლეს, რომელთაც ამ დროიდან დაწყებული აღმოსავლეთის ისტორიაში ძალიან მნიშვნელოვანი ადგილი დაიჭირეს. მაგრამ პართებს წინ გადაეღობა 98 წელს მეფე **ტიგრანის** დროს გაერთიანებული და გაძლიერებული **სომხეთი**, რომელიც მათ ევფრატს აქეთ არ უშვებდა.

რომის პროვინცია **აზია** იმ ხანებში რომის პუბლიკანების თვითნებობის გამო, რომელნიც ამ ქვეყნის უსინდისო ექსპლოატაციას ეწეოდენ, მტრულად ეპყრობოდა რომის ბა-

*) 141 წელს, მაგალითად, იუდეველებმა დამოუკიდებელი სახელმწიფო შეჰქმნეს.

ტონობას. ამ მტრულ განწყობილებას ახლო მდებარე დამოუკიდებელი მცირე სამთავროებიც იზიარებდენ, რომელთა შორისაც განსაკუთრებით კაბადოკიის ჩრდილო ზღვის ნაპირზე მდებარე სამთავრო **პონტოსი** გაძლიერდა. ამ ქვეყანამ დამოუკიდებლობა 281 წელს მოიპოვა და ძლიერ მალე შავი ზღვის ნაპირები ვიდრე ამასტიდამდე შემოიერთა. მაგრამ განსაკუთრებულ ძლიერებას მან მითრადატე VI ევპატორის დროს მიაღწია.

მიტრადატ VI სულ 11 წლის იყო, როდესაც მამა მისი გარდაიცვალა (120 წ.). თავისი ახალგაზდობის დროს მან მრავალი დევნა განიცადა, ვინაიდან მისი მზრუნველები და დედაც ახალგაზრდა მეფეს მოკვლას უპირებდენ. ამის გამო იგი იძულებული იყო, ყოველ ღამე ბინა გამოეცვალა, ერთი ადგილიდან მეორეზე გადასულიყო და სხვა-და-სხვა საშუალებათა გამოძებნით მტერთაგან თავი დაეფარა. ასეთმა ცხოვრებამ მას ხასიათის განსაკუთრებული თვისებები შეუმუშავა: იგი ვერაგი და შეუბრალებელი შეიქმნა: რომ მოიზარდა, დედა, ძმა და დები მოაკვლევინა და ქვეყნის მართვა-გამგეობას თვითონ მოჰკიდა ხელი. მისი ფიზიკური ღონე საარაკო იყო, მაგრამ არც გონებრივი ძალა აკლდა; ამბობენ, მან 22 ენა იცოდაო. ასეთს რკინის კაცს, რა თქმა უნდა, არ შეეძლო, თავისი სამეფოს არსებული მდგომარეობით დაკმაყოფილებულიყო, და მყის თავისი ქვეყნის საზღვრების გაფართოებას შეუდგა.

პირველად მან ჩვენი ქვეყანა, **კოლხიდა** შეიერთა. საქართველოს მდგომარეობა იმ ხანებში უნუგეშო იყო. ფარნაოზ მეფიდან დაწყებული ერთის მხრივ შინაური უთანხმოებისა და მეორეს მხრივ გაძლიერებული მეზობლების მუდმივი თავდასხმის გამო მას მოსვენება აღარ უნახავს. მეორე საუკუნის მეორე ნახევარში ქრისტეს მოსვლამდი საქართველოს მეფეს **მირვანს** სამეგრელოს ერისთავი აუჯანყდა და მისი სამფლობელოს შუა ნაწილების აოხრება დაიწყო. ამ უთანხმოებაში სომხეთის მეფე ვაღარშაკი ჩაერია და ბო-

ლოს მთელი კოლხიდა თვითონ შეიერთა. მაგრამ ეს ქვეყანა ასე ადვილად ვერ ურიგდებოდა თავისუფლების დაკარგვას და რამდენიმეჯერ აჯანყება მოახდინა. 98 წელს კოლხთა აჯანყების ჩაქრობა სომხეთის მაშინდელმა მეფემ თავის სიძეს, **მითრადატე პონტოელს** მიანდო, რომელიც კოლხიდას შეესია, დაიპყრო იგი და აქ თავისი მმართველები დააყენა. აქედან მითრადატე შავი ზღვის ჩრდილოეთ-დასავლეთ ნაპირებს აჰყვა და ბერძნების ახალშენებისაგან შემდგარი კიმერიელი ბოსფორი დაიპყრო. შემდეგ დიდი სომხეთის ძლიერ მეფეს **ტიგრანს** და ბითინიის მეფეს **ნიკომედოს** შეუკავშირდა, მალე პაფლაგონია და კაპადოკია დაიმორჩილა და, ამგვარად, შავი ზღვისა და მცირე აზიის დიდ ნაწილს დაეპატრონა. მისი სამეფო იმდენად ძლიერი შეიქმნა, რომ მას ერთბაშად 100000 კაცის საომარ ფეხზე დაყენება შეეძლო. ომი მითრადატესა და რომს შორის აუცილებელი იყო, და საბაბიც მალე გაჩნდა. რომაელებმა მითრადატეს თავისი მოკავშირე ბითინიის მეფე ნიკომედოსი შეუსიეს, და პონტოს მეფეც იძულებული შეიქმნა ომი დაეწყო.

მითრადატე საომრად კარგად იყო მომზადებული: მან რამდენიმე მცირე აზიელი მეფე მიიმხრო, თავის მხარეზე გადაიყვანა იქაური ბერძნებიც, შეჰქმნა ძლიერი ფლოტი და მრავალრიცხოვანი ჯარი და ხელოვნურად ისარგებლა იმ ზიზღით, რომელიც მთელს მცირე აზიაში რომაელების წინააღმდეგ იყო გავრცელებული. დაიწყო თუ არა ომი, აზია რომს ჩამოსცილდა და, თანახმად მითრადატეს ბრძანებისა, ერთი დღის განმავლობაში 80000 იტალიელი ამოჟლიტეს. რომში კი სწორედ იმ დროს შინაური უთანხმოება მძვინვარებდა. ეს ის დრო იყო, როდესაც ჯერ ერთი, მოკავშირეთა ომი ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული, და მეორეს მხრივ, შინაურმა პარტიულმა უთანხმოებამ უმწვერვალეს დონეს მიაღწია: დემოკრატიული პარტია და არისტოკრატიული სამკვდრო-სასიცოცხლოდ იბრძოდენ.

როგორც ვიცით, ეს ბრძოლა არისტოკრატიის გამარჯვებით დასრულდა და მის ბელადს, სულას შესაძლებლობა მიეცა, მითრადატეს წინააღმდეგ გალაშქრებულიყო.

მითრადატე სათავეში ჩაუდგა მთელი აღმოსავლეთის აჯანყებას რომის წინააღმდეგ და მალე საბერძნეთიც მიიმხრო. მითრადატეს აღმოსავლეთის განმათავისუფლებლად თვლიდენ და ყველანი სიამოვნებით ეხმარებოდენ. მაგრამ გაჩნდა თუ არა იქ სულა, მითრადატეს საქმე უკუღმა დატრიალდა. იგი სასტიკად იქმნა დამარცხებული (ქერონეასა და ორქომენონთან) და იძულებული შეიქმნა, სულას სამარცხვინო ზავით შეჰკვროდა, რომლის მიხედვითაც იგი ყველა თავის დაპყრობილ ადგილზე უარს ამბობდა და მთელს თავის ფლოტს რომს უთმობდა. სულა სიამოვნებით დასთანხმდა ამ პირობებზე, ვინაიდან მას რომში მიეჩქარებოდა, სადაც მისი იქ არ ყოფნის დროს დიდი ცვლილება მომხდარიყო.

პირველი ტრიუმვირატის ხანა.

პომპეიუსი. სულას გარდაცვალებასთან ერთად სახელმწიფოს მშვიდობიანობა ხელახლა შეირყა. ერთის მხრივ თვით რომში დემოკრატიის ბელადებმა დრო იხელთეს და სულას არისტოკრატიული წესწყობილების წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლა განაახლეს; მეორეს მხრივ, რომის ბატონობის მოსასპობად, აღმოსავლეთის არ იყოს, დასავლეთი პროვინციებიც აჯანყდენ; ამას გარდა აღმოსავლეთით ხმელთაშუა ზღვაზე მეკობრობა გაძლიერდა, რომელმაც რომის ვაჭრობა სახიფათო მდგომარეობაში ჩააყენა; თვით რომში მონათა დიდი ამბოხება მოეწყო, და აღმოსავლეთით მითრადატე პონტელი ამოძრავდა, რომელსაც დიდი სომხეთიც გვერდში ამოუდგა. მაგრამ ყველა ამ გაჭირვებიდან რომი წარმატებით გამოვიდა; მის ძალებს ახალი მოღვაწე, **პომპეიუსი** ხელმძღვანელობდა, რომელმაც, ამგვარად, სულ მალე სულას ადგილი დაიჭირა.

a. წინად პომპეიუსი სულას უჭერდა მხარს. ჯერ მხოლოდ 23 წლის ახალგაზდა იყო, როდესაც თავის ნებით სულას დასახმარებლად სამი ლეგიონი ჯარი შეჰკრიბა. არაჩვეულებრივი ვაჟკაცობა და ჭკუა მას დიდ მომავალს უქადიდა. მაგრამ მისი წარმატება განსაკუთრებული გზით ვითარდებოდა: იგი ჩვეულებრივ თანამდებობათა დაკავებას არ ესწრაფოდა და უფრო მოწადინებული იყო, რომ მისთვის საგანგებო საქმეები დაეკისრებიათ და საგანგებო უფლებებით აღეჭურვათ. მაგრამ, თავისი იშვიათი პატივმოყვარეობის მიუხედავად, იგი მაინც არ სარგებლობდა თავისი განსაკუთრებული მდგომარეობით, ალბად იმიტომ, რომ გამბედაობა აკლდა.

როდესაც სულას გარდაცვალების შემდეგ რომში ლეპიდუსის მეთაურობით დემოკრატიული მოძრაობა დაიწყო, სენატმა თავის ინტერესების დაცვა პომპეიუსს დაავალა. პომპეიუსმა ეს დავალება ბრწყინვალედ აასრულა და დემოკრატიული მოძრაობა მოაღრჩო. ამგვარად, სანამ ჯარი და მისი სარდალი დემოკრატიულ პარტიას ეწინააღმდეგებოდა, ამ უკანასკნელს გამარჯვების იმედი არ უნდა ჰქონოდა.

b. ისპანიის მმართველად მარიუსმა თავისი მომხრე, ნიჭიერი და გამბედავი **სერტორიუსი** გააგზავნა. მაგრამ სულას გამარჯვების შემდეგ, სერტორიუსი იძულებული შეიქმნა, ისპანიისათვის თავი მიენებებია და მავრიტანიას გაქცეულიყო. არ გასულა დიდი ხანი, რომ ისპანიაში აჯანყებამ იფეთქა. ადგილობრივმა ტომებმა თავის ხელმძღვანელად სერტორიუსი მიიწვიეს. მის ხელქვეით რამდენიმე რომაელი ჯარისკაცი და მავრიტანელები იყვნენ. სერტორიუსი გადავიდა ისპანიაში და ბრძოლა დაიწყო. შედეგი ის იყო, რომ სულ მოკლე ხნის განმავლობაში იგი მთელს პროვინციაში გაბატონდა. აქ მან რომის მსგავსი სახელმწიფო მმართველობა შემოიღო. ადგილობრივი მკვიდრნი მას უსიტყვოდ ემორჩილებოდენ და მასთან ერთად თავგამოდებით იბრძოდენ. სენატი შეშფოთებული იყო; იგი დღითი-დღე ელოდა სერტორიუსის თავდასხმას და დემოკრატიულ წესების აღდგენას. ამიტომ მან პომპეიუსი სა-

განგებო უფლებებით აღჭურვა და ისპანიას გაგზავნა. პირველ ხანებში პომპეიუსის საქმე ცუდად მიდიოდა, მაგრამ როდესაც ერთი-ერთი წვეულების დროს სერტორიუსი ერთმა პირადმა მისმა მტერმა მოჰკლა, პომპეიუსის ბედი წალმა დატრიალდა. აჯანყებულების დამარცხება ეხლა ძნელი აღარ იყო, და 71 წელს გამარჯვებული პომპეიუსი სამშობლოში დაბრუნდა.

C. ისპანიის ომი ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული, რომ იტალიაში მონათა აჯანყებამ იფეთქა.

„მაგრამ ეს მონები მიწის მუშები და მწყემსები როდი ყოფილან, ესენი იყვნენ საგანგებოდ გაწვრთნილნი იარაღის ხმარებაში, მიჩვეულნი სისხლის ღვრას და წინადვე სასიკვდილოდ გამზადებული ე. წ. **გლადიატორები**. გლადიატორების ბრძოლა ცირკში ისე მოსწონდათ რომაელებს, რომ ბევრი მდიდარი რომაელი საგანგებოდ წვრთნიდა და ინახავდა გლადიატორებს (რომელთათვისაც განსაკუთრებული სკოლებიც-კი იყო მოწყობილი), ზოგი იმისთვის, რომ გლადიატორების წარმოდგენების გამართვით ხალხის გული მოეგო და რამე თანამდებობა მიეღო, ზოგიც პირდაპირ ფულის მოგებისათვის: ჰყიდდენ გაწვრთნილ გლადიატორებს ან აქირავებდენ წარმოდგენებისათვის და ზოგჯერ არეულობის მოსაწყობადაც, როდესაც ეს რომელიმე გავლენიანი პირისათვის საჭირო იყო“.

აჯანყება პირველად კაპუაში დაიწყო. მალე იგი იმდენად გაფართოვდა, რომ მთელ იტალიას მოედო. საქმეს თრაკიელი გლადიატორი **სპარტაკუსი** მეთაურობდა, რომელმაც რომაელები რამდენიმეჯერ სასტიკად დაამარცხა; ხოლო მას შემდეგ, რაც სენატმა ჯარის უფროსობა **კრასუსს** მიანდო, გლადიატორების საქმე უკუღმა წავიდა. მაგრამ კრასუსი მხდალი კაცი იყო და თვითონ მოითხოვა, რომ სპარტაკუსის საწინააღმდეგოდ ისპანიიდან პომპეიუსი გამოეწვიათ. სანამ პომპეიუსი მოვიდოდა, მან ერთ-ერთი ბრძოლის დროს სასტიკად დაამარცხა გლადიატორები, და თვით სპარტაკუსიც მოკლულ იქმნა. აჯანყებულები გაიფანტენ. ერთი ნაწილი გალიაში გადავიდა და აქედან სამშობლოში დაბრუნებას აპირებდა, მაგრამ გზაზე მათ ისპანიიდან მომავალი პომპეიუსი შეეჩეხა და მთლად ერთიანად გაანადგურა. „კრასუსმა სპარტაკუსი დაამარცხა, მე-კი ამ ომის

ძირები ამოვთხარე, ასე რომ იგი არას დროს არ განმეორდებაო," სწერდა პომპეიუსი სენატს, და, ამგვარად, გლადიატორების დამარცხებას თავის თავს აწერდა. რომაელებმა სასტიკი შეუბრალებლობა გამოიჩინეს: კაპუიდან რომამდე ექვსი ათასზე მეტი ჯვარი იყო დადგმული და ზედ მონები იყენენ გაკრულნი.

d. ხმელთაშუა ზღვაზე იმ ხანებში ისე საშინლად გავრცელდა ზღვის ავაზაკობა ანუ მეკობრეობა, რომ წესიერი ვაჭრული დამოკიდებულების წარმოება შეუძლებელი შეიქმნა. რომში პური გაძვირდა, ხოლო აფრიკისა და აზიის სანაპირო ქალაქებს მუდამ დღე მეკობრეთა თავდასხმა ელოდა. მათთან ბრძოლა არც ისე ადვილი საქმე იყო, რადგანაც მათ მრავალი გემი და ძლიერი ჯარი ჰყავდათ. ბოლოს, 67 წელს ზღვაზე წესიერების აღდგენის საქმე პომპეიუს მიანდვეს, რომელსაც მთელს ხმელთაშუა ზღვაზე და მის ნაპირებზე 70 ვერსის სიგანეზე სამის წლის ვადით შეუზღუდველი უფლებები მიანიჭეს. პომპეიუსმა ენერგიულად მოჰკიდა საქმეს ხელი და სამი თვის განმავლობაში მეკობართა ძალები სრულიად გაანადგურა. ზღვაზე მშვიდობიანობა დამყარდა და წესიერი მიმოსვლა შესაძლებელი შეიქმნა. სენატი წინააღმდეგი იყო პომპეიუსის ასეთის უფლებებით აღჭურვისა, ვინაიდან მისი ზედმეტი გაძლიერების ეშინოდა: იგი ხედავდა, რომ პომპეიუსი დემოკრატიულ პარტიას უახლოვდებოდა, და მთელ მის მოღვაწეობას ეჭვის თვალით უცქეროდა.

E. მართლაც, პომპეიუსი ხალხს დაუახლოვდა. ამ გარემოებამ დემოკრატიული პარტია გააძლიერა, და ამიერიდან დემაგოგის ადგილი იქ სარდალმა დაიკავა. ცხადი იყო, რომ პარტიულ ბრძოლაში გამარჯვების სასწორი დემოკრატიისაკენ უნდა გადახრილიყო. კრასუსთან ერთად, რომელთანაც პომპეიუსი შეთანხმდა და ძალა-უფლება გაინაწილა, მან სულას რეფორმები მოსპო: მხედრობას თავისი დაკარგული უფლებები დაუბრუნა, ცენზორობა აღადგინა და სახალხო ტრიბუნებს

წინანდელი მნიშვნელობა მიანიჭა. სულას რეფორმებიდან ალარაფერი დარჩა, და პომპეიუსს საბუთი ჰქონდა ეფიქრა, რომ ხალხი ყოველთვის მის მხარეზე იქნებოდა. ის არ შესცდა, და ხალხმა მას არა თუ მეკობართა საკითხის გადაჭრა მიანდო, არამედ იგი იმ ახალ ომშიც, რომელიც მითრადატე პონტოელმა დაიწყო, მთავარსარდლად დანიშნა და ნამდვილი მეფური უფლებებით აღჭურვა (უფლება თავის ნებაზე ომის გამოცხადების, ხელშეკრულების დადებისა და კავშირის შეკვრის).

F. მითრადატემ, რომელსაც მაშინ მარტო ,ციმერიელი ბოსფორი-ღა ჰქონდა, რომის წინააღმდეგ დიდი გეგმა შეადგინა: მას განზრახვა ჰქონდა, თრაკიაში გადასულიყო, შეერთებოდა სკვითებსა და გალებს და ჩრდილოეთ იტალიას შესეოდა. რომაელებმა პირველად მის წინააღმდეგ მდიდარი ლუკულუსი გაგზავნეს, რომელმაც ჯერ მითრადატეს მოკავშირე სომხები დაამარცხა და შემდეგ თვით მითრადატეს წინააღმდეგ წავიდა. გზად მან **ტიბორენების**-ქვეყანა, ე. ი. საქართველოს სამხრეთ-დასავლეთი საერისთაოები გაიარა და თავისი გაუმაძღარი ანგარების მოყვარეების მსხვერპლად გახადა. საქართველოს მეფედ მაშინ **არტაგი** იყო, რომელიც რომაელთაგან თავის დასაცავად მითრადატესა და ტიგრანს, სომხეთის მეფეს, შეუკავშირდა. ამ გარემოებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ჯერ ერთი იმიტომ, რომ არტაგს 70000 კაცის იარაღ ქვეშ დაყენება შეეძლო; ამას გარდა მისი რჩევით ალბანიის მეფეც ამ კავშირს შეუერთდა, ასე რომ მითრადატე ხელახლა საშიშ ძალად გარდაიქცა. იმ დროინდელი ქართველები ძალიან კარგ მეომრებად ითვლებოდენ, რასაც თვითონ რომაელი მწერლები აღნიშნავენ. სწორედ ამ დროს ლუკულუსი უკან გაიწვიეს და მის ადგილას პომპეიუსი დანიშნეს, რომელმაც ჯერ მითრადატე დაამარცხა და პონტოს სამეფო ტახტზე მისი შვილი ფარნაჯომი აიყვანა, შემდეგ სომხეთი დაიმორჩილა და ბოლოს საქართველოსაკენ წამოვიდა. აქ არტაგმა მას დიდი ბრძოლა გაუმართა, რომელიც ქართველების დამარცხებით დასრულდა. პლუტარქის სიტყვით, ამ ბრძოლამ 1000 ქართველი შეიწირა,

ხოლო 9000 ტყვედ იქმნა წაყვანილი. არტაგი იძულებული შეიქმნა ზავით შეკვროდა პომპეიუსს, რომელიც ეხლა კოლხიდისაკენ დაიძრა, დაიპყრო იგი, მმართველად არისტარქო დააყენა და იქიდან აფხაზეთით დიოსკურიას მიაშურა, რომელსაც დამარცხებულმა მითრადატემ თავი შეაფარა; მაგრამ იგი იძულებული შეიქმნა, უკან გამობრუნებულიყო, რადგანაც ჯერ ერთი, საქართველოს ტომებთან ომმა საკმაოდ დაასუსტა და მეორე ალბანიის აჯანყება შეიტყო. დააწყნარა თუ არა ალბანია, იგი ჰელების, ლეკებისა და ჰირვანელების წინააღმდეგ წავიდა, გაიარა სომხეთი და სირიას გადავიდა, სადაც მას მითრადატეს სიკვდილის ამბავი მოუვიდა, რომელსაც თავის შვილის მიერ ალყა შემორტყმულს პანტიკაპეას სასახლეში თავი მოეკლა.

სირია დანაწილებული და დასუსტებული იყო და პომპეიუსმა იგი რომის პროვინციად გამოაცხადა. წინააღმდეგობა მხოლოდ **იუდეელებმა** გაუწიეს, მაგრამ ესენიც დასუსტებულნი იყვნენ ფარისევლებისა და სადუკეველების ბრძოლის გამო, და იძულებულნი შეიქმნენ, პომპეიუს დანებებულიყვნენ.

პომპეიუსმა თავის გემოზე მოაწყო აღმოსავლეთის საქმეები: ზოგი სამთავრო მოსპო, ზოგი გაადიდა; საერთოდ-კი ყველა მთავარს შორის ურთიერთისადმი მტრული განწყობი-

ტრიუმფი.

ლება შეჰქმნა და იგინი ურთიერთს დარაჯად დაუყენა. პონტოს სამეფო ბითინიისას შეუერთა, ხოლო ფარნაჯრმს კიმერიელი ბოსფორი დაუტოვა. თვით რომის საკუთარი მიწებიდან ხუთი პროვინცია შეჰქმნა: **აზია, ბითინია და პონტოსი, კილიკია, სირია** და **იუდეა, კრეტა**. 61 წელს პომპეიუსი რომს დაბრუნდა, მან არაჩვეულებრივი **ტრიუმფი** გადაიხადა, მაგრამ მაინც სჩანდა, რომ მისი როლი გათავებული იყო.

რომი პომპეიუსის აზიიდან დაბრუნებამდი. რომის მდგომარეობა იმ ხანებში საგრძნობლად შეიცვალა. სახელმწიფოს სათავეში სულას რეფორმების მოსპობამდი სენატი იდგა. მაგრამ მის სხდომებს მხოლოდ წევრთა მცირე ნაწილი ესწრებოდა. ამის გამო სახელმწიფოს ბედი მხოლოდ რამდენიმე პირის სურვილისა და შეხედულების მიხედვით წყდებოდა: **რომში** ნამდვილი **ოლიგარქია** დამკვიდრდა, რომელიც გაცილებით უფრო თავისი პირადი უზრუნველობის შესახებ ფიქრობდა, ვიდრე სახელმწიფოს ინტერესების შესახებ. დემოკრატიული პარტია სულას რეფორმებმა იმდენად დაასუსტა, რომ მისი გამობრუნება ძნელი შეიქმნა. სამაგიეროდ განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჯარმა მოიპოვა, სადაც საზოგადოების გალატაკებული ელემენტები ერთად-ერთ თავშესაფარს პოულობდენ. ასეთები კი იმდროინდელ იტალიაში მრავალნი იყვნენ; საქმე ის არის, რომ მოკავშირეთა ომმა, მონათა აჯანყებამ, შინაურმა სამოქალაქო ომებმა, განსაკუთრებით სულას პროსკრიფციებმა, და, დასასრულ, მსხვილი კაპიტალის გაძლიერებამ იტალია ძლიერ ჩამოაქვეითეს: მრავალი პირი გალატაკდა, ქალაქის პროლეტარიატის რიცხვი საშინლად გაძლიერდა, მცირე მესაკუთრეობა კიდევ უფრო დასუსტდა და ლატიფუნდიებმა და მონათა მეურნეობამ ფართოფრთა გაშალეს. უამრავი გალატაკებული ხალხი ახალსა და ახალს მოთხოვნილებებს უყენებდა სახელმწიფოს, რომლის დაკმაყოფილებაც მას არ შეეძლო; ჯარის შემწეობით კი, რომლის შემადგენლობაც ასეთი ელემენტებისაგან ივსებოდა, მას ძალა შესწევდა, სახელმწიფო ცხოვრებაზე გადამწყვეტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გავლენა მოეხდინა. მაგრამ ჯარს თავისი სარდალი ჰყავდა, რომელზეც დამოკიდებული იყო თვით ჯარისკაცების მდგომარეობა. ამიტომ წინანდელი დემაგოგის ადგილი სარდალმა დაიჭირა, რომლის მოქმედებაზეც ეხლა მთელი სახელმწიფოს ბედი შეიქმნა დამოკიდებული.

კატილინას შეთქმულება. გაძლიერებული კაპიტალიზმის ბატონობის გამო, ერთის მხრივ, და შინაური სამოქალაქო ომების გამო, მეორეს მხრივ, რომში მრავალი წარჩინებული წოდების შვილნიც დაღარიბდენ. მათი ერთად-ერთი იმედი ეხლა რაიმე სახელმწიფო თანამდებობის მიღება იყო, რომელიც მათ რომის რომელისამე პროვინციის ექსპლოატაციის საშვალებას მისცემდა და ამგვარად საქმეს გაუსწორებდა. ასეთი პირი მრავლად იყო რომში, და აი განსაკუთრებით მათ შორის სხვა-და-სხვა გვარი ფარული საზოგადოებები გავრცელდა, რომელნიც აღნიშნული მიზნებისათვის მუშაობდენ. ერთ-ერთს ასეთს საზოგადოებას სამოციან წლებში არისტოკრატი **სერგიუს კატილინი** უდგა სათავეში. მას მრავალი მიმდევარი ჰყავდა, რომელთა დახმარებითაც მას კონსულად არჩევა ეწადა. მაგრამ არჩევნებზე იგი დამარცხდა. და მის მაგიერ **მარკუს ტულიუს ციცერონი იქმნა** არჩეული (63 წ.).

ციცერონი მხედართა წოდების შთამომავალი იყო და 106 წ. დაიბადა. თავისი მოღვაწეობა ვექილობით დაიწყო და პირველ ხანებში სახალხო პარტიას ეკუთვნოდა. მაგრამ როდესაც მისი კანდიდატურა კონსულის თანამდებობაზე კატილინას წინააღმდეგ იქმნა წამოყენებული და ოლიგარქებმა მას დაუჭირეს მხარი, იგი ოპტიმატების პარტიას მიეკედლა და მთელი თავისი შემდეგდროინდელი მოღვაწეობა სენატის ინტერესებს დაუქვემდებარა. ციცერონის პოლიტიკური მოღვაწეობა არც ისე მნიშვნელოვანი იყო; სამაგიეროდ ძალიან დიდი მნიშვნელობა მის ლიტერატურულ მოღვაწეობას ჰქონდა: მისი სიტყვები, ერთის მხრივ, და მისი ფილოსოფიური და რეტორიული ნაწერები, მეორეს მხრივ, დიდს გავლენას ახდენდენ რომის მწერლობაზე: რომის პროზის შექმნელად და ორიგინალური მხატვრული მწერლობის მამამთავრად ციცერონი ითვლება.

კატილინამ გადაწყვიტა, ძალით ჩაეგდო ხელში ძალაუფლება, და ამისათვის მზადება დაიწყო. მაგრამ ციცერონმა



ციცერონი (რომის ვატიკ. მუზეუმში)

შეთქმულება აღმოაჩინა, მეთაურები დაატუსაღა; და, სენატის გადაწყვეტილების თანახმად, სიკვდილით დასაჯა. თვით კატილინა-კი რომიდან გაიქცა და თავისი ჯარით ციზალპინის გალიისაკენ წავიდა, მაგრამ აქ მას რომის კონსული შეხვდა, რომელმაც მას ბრძოლა გაუმართა. კატილინას ჯარი დამარცხდა, ხოლო თვითონ კატილინა მოკლულ იქმნა.

ბ. კეისრის მოღვაწეობა.

გაიუს იულიუს კეისარი. ამ დროს რომში განსაკუთრებით დიდ როლს **კრასუსი** ⊳ **იულიუს კეისარი** ასრულებდენ. კრასუსი მომპეიუსს არასდროს არ შერიგებია და ამ უკანასკნელის აღმოსავლეთში ყოფნის დროს მის წინააღმდეგ მუშაობდა. იგი ახალგაზრდა **კეისარს** დაუახლოვდა, რომელმაც შემდეგ დიდი როლი შეასრულა, და მასთან ერთად **კატილინას** შეთქმულობით გამოწვეული ანარქიით სარგებლობას ლამობდა. კეისარი მარიუსის ნათესავი იყო და სულას დიკტატორობის დროს ჯარში მსახურობდა. როდესაც სულა გარდაიცვალა, იგი პოლიტიკურ ასპარეზზე გამოვიდა და თავისი მჭერმეტ-

ყველობითა და ხალხის გულის მოსაგებად მოწყობილი ზეიმებით საერთო ყურადღება დაიმსახურა. იგი დემოკრატიულ პარტიას მიემხრო და კრასუსთან ერთად ძალაუფლების ხელში ჩაგდებას ლამობდა. მაგრამ ყველაზე უფრო საშიშად არა თუ მას, სენატსაც მომპეიუსი მიაჩნდა, რომელმაც თავისი საქმეები აღმოსავლეთში სწორედ ახლა დაასრულა და თავისი სახელოვანი ჯარით შინ ბრუნდებოდა.

იულიუს კეისარი (ნეაპოლში).

პირველი ტრიუმვირატი (60 წელს). ყველანი და განსაკუთრებით სენატი გულის ფანცქალით ელოდა პომპეიუსის დაბრუნებას. საქმე ის არის, რომ სენატმა, რომელშიც დიდ როლს უმცროსი **კატონი** ასრულებდა, ეს უკანასკნელი პატიოსანი წარმომადგენელი ძველი რესპუბლიკის ინტერესებისა, უარჰყო პომპეიუსის მომხრეების წინადადება შესახებ მისი 61 წლისთვის კონსულად არჩევისა და მისი ჯარის რამდენიმე ხნით შენახვისა. პომპეიუსმა ეს იცოდა, მაგრამ ამის მიუხედავად, გადმოვიდა თუ არა **ბრუნდიზიუმში**, ჯარი მაშინვე დაითხოვა, როგორც ამას კანონი მოითხოვდა. ამ გარემოებამ პომპეიუსი ერთბაშად უმნიშვნელო პირად გარდააქცია, რომლისაც აღარავის ეშინოდა, და ამიტომ სენატმა არც ერთი მისი აღმოსავლეთის მოსაწყობად მიღებული განკარგულება არ დაამტკიცა და არც მისი ყოფილი ჯარისკაცები (ვეტერანები) დააკმაყოფილა. პომპეიუსი ნანობდა ჯარის დათხოვნას, მაგრამ გვიანღა იყო.

ამასობაში იულიუს კეისარი, რომელიც ისპანიაში იყო პრეტორად, სამშობლოში დაბრუნდა და კრასუსსა და პომპეიუსს საიდუმლოდ შეუთანხმდა საერთო მოქმედებისა და

ქვეყნის ბატონობის განაწილების შესახებ. ეს იყო ე. წ. პირველი **ტრიუმვირატი**, რომლის პირობების მიხედვითაც კეისარი 59 წლის კონსულად უნდა აერჩიათ და შემდეგ რომელიმე სამე პროვინციის მმართველად გაეგზავნათ; პომპეიუსის ვეტერანებს მიწები უნდა დარიგებოდათ და ყველა ის განკარგულებანი დაემტკიცებიათ, რომელნიც პომპეიუსმა აზიაში მოახდინა. ამას გარდა, კავშირის განსამტკიცებლად კეისარმა თავისი ქალი იულია პომპეიუსს მიათხოვა. მიუხედავად ოპტიმატების წინააღმდეგობისა, კეისარი მართლაც კონსულად იქმნა არჩეული, და იგიც ენერგიულ მოქმედებას შეუდგა. მან სრულიად გვერდი აუარა სენატს და ყველაფერს სახალხო კრების საშუალებით სწყეტდა. თანახმად დაპირებისა, მან დაამტკიცებია სახალხო კრებას პომპეიუსის განკარგულებანი აზიაში და მიიღებია აგრარული კანონი, რომელიც უმთავრესად პომპეიუსის ვეტერანების დასაკმაყოფილებლად იყო განზრახული. სენატმა წინააღმდეგობის გაწევა სცადა, მაგრამ კეისარმა თავიდან მოიშორა ორივე მნიშვნელოვანი ძალა სენატისა, კატონი, რომელიც განსაკუთრებული დავალებით კვიპროსზე გაგზავნა, და **ციცერონი**, რომელიც რომიდან გადაასახლა, და გამარჯვება მის მხარეზე დარჩა. იქვე, სახალხო კრების დადგენილების თანახმად, კეისარს ციზალპინის გალია მიეცა სამართავად და იქაური ჯარის მთავარსარდლობა დაეკისრა. სენატმა თავის მხრივ ციზალპინისას ტრანსალპინის გალია დაურთო, ე. ი. ეხლანდელი სამხრეთი საფრანგეთი, რათა შემდეგში მისი ჩამორთმევის უფლება თავისთვის დაეტოვებია.

ამის შემდეგ პომპეიუსი და კრასუსი ხელახლა შეუთანხმდენ კეისარს, და პარველმა **ისპანია** მიიღო, ხოლო მეორემ— **სირია**. პომპეიუსი ისპანიაში არ წასულა, იქ მან თავისი წარმომადგენლები (ლეგატები) გაგზავნა, ხოლო თვითონ ოპტიმატებს დაუახლოვდა და ერთხანს თითქმის სრული დიკტატორული ძალაუფლება მიიღო; კრასუსი-კი, რომელიც ისედაც ძლიერ მდიდარი იყო (მისი ფული თვითონ სენატსაც-კი ემართა) დაუყოვნებლივ გაემგზავრა სირიას და აქ თავისი ქონების

გასაძლიერებლად მუშაობდა. როგორც ვიცით, იმ ხანებში ალ-მოსავლეთში განსაკუთრებით ძლიერ ხალხად პართები ითვლებოდენ. კრასუსმა ომი დაიწყო მათთან, წაგო ბრძოლა და მოკლულ იქმნა. ამგვარად, ტრიუმვირატი დაიშალა: კრასუსი აღარ იყო, პომპეიუსი კეისარის მტერს სენატს შეუთანხმდა, ხოლო თვითონ კეისარი განმარტოებული დარჩა.

კეისარი გალიაში (58—49). გალიის მოსახლეობას კელტები ანუ გალები შეადგენდენ, რომელნიც ხალხთა ინდოევროპიულ ჯგუფს ეკუთვნიან და უხსოვარი დროიდან აქ ცხოვრობდენ. მათი რიცხვი დაახლოებით რვა მილიონს უდრიდა. იგინი რომში სასტიკ მეომრებად იყვნენ ცნობილნი. მათი იარაღი დაახლოვებით ისეთი იყო, როგორც რომაელების. სამაგიეროდ პოლიტიკურად გაერთიანებულნი არ იყვნენ. თითოეული ტომი ცალ-ცალკე თემებად იყოფოდა და დამოუკიდებელ ცხოვრებას ეწეოდა. საერთო საქმეებს მდიდართა საბჭოები განაგებდენ, რომელნიც ერთის წლის ვადით ე. წ. **ვერგობრეტს** ანუ მოსამართლეს ნიშნავდენ. ვერგობრეტის ძალა-უფლება რომის კონსულისას წაგავდა. ზოგიერთ თემში არსებული წესწყობილების წინააღმდეგ დემოკრატიული მოძრაობა წარმოებდა, რომელსაც სათავეში რომელიმე პატივმოყვარე შეძლებული პირი უდგა. გალიაში ღარიბი ხალხის რიცხვი ძალიან დიდი იყო; იგი ამა თუ იმ შეძლებულისა და ძლიერი პიროვნების მფარველობას ეძიებდა, ეკვროდა მას ფიცით, მასთან იყოფდა ჭირსა და ლხინს და მის ჯარში სამსახურს ივალებდა. მდიდრები, რომელნიც მეტი ძალა-უფლებისაკენ მიისწრაფოდენ, სარგებლობდენ ასეთი მდგომარეობით და თავის გარშემო მეტად თუ ნაკლებად მნიშვნელოვან ძალას ჰკრებდენ. ასეთი პირები არსებული წესწყობილების დამხობას და თავის გაბატონებას ესწრაფოდენ, ერთმანეთს შორის-კი მუდმივი ჭიშპობა და შეურიგებელი მტრობა ჰქონდათ.

ეს იყო მიზეზი, რომ გალია ძლიერ დასუსტებული იყო, და მისი დაპყრობა რომისთვის ადვილი შეიქმნა. სამაგიეროდ, კელტების ერთობის იდეის წარმომადგენლად მათი სამღვდე-

ლობა ე. წ. **დრიუდები** ითვლებოდენ. უამათოდ არც ერთი სახალხო კრება არ ხდებოდა და, ამას გარდა, მთელი გალიის დრუიდები საერთო კრებებსაც მართავდენ. მათი გავლენა ხალხზე დიდი იყო, რადგანაც ღმერთებსა და ხალხს შორის შუამდგომლებად იგინი ითვლებოდენ. გალების სარწმუნოება ბუნების ძალთა გაღმერთებაზე იყო დაყრდნობილი და, თითოეული თემის კერძო ღმერთებს გარდა, საერთო ღმერთებსაც სცემდენ თაყვანს.

გალიაში ვაჭრობაც წარმოებდა, რამდენიმე ქალაქი არსებობდა და ზოგ ტომს გემებიც ჰყავდა. მთავარი საქმე გალებისა-კი მესაქონლეობა და მიწის დამუშავება იყო. წერაკითხვა გალიაში ახალი შემოღებული იყო: ბერძნების მახლობლად ბერძნულ ანბანს ხმარობდენ, ხოლო რომაელების მეზობლად— რომაულს.

როდესაც გალიაში კეისარი გამოცხადდა, ეს ქვეყანა შინაური განხეთქილების გამო მეტად დასუსტებული იყო, და თუმცა კეისარს 6 ლეგიონზე მეტი იქ არას დროს არ ჰყოლია, იგი მაინც მხნედ შეუდგა მისი დამორჩილების საქმეს. მისი მიზანი აქ ორგვარი იყო: პირველი—გალიის სრული დამორჩილება, და მეორე—ომებში გამოწვრთნილი ჯარის შექმნა, რომელიც მას რომში გასაბატონებლად უნდა გამოდგომოდა. სულ რვა წელიწადი შეიქმნა საჭირო, რომ კეისარს ორივე ეს მიზანი განეხორციელებია.

პირველად მას ჰელვეტებთან მოუხდა შეტაკება, რომელთაც თავისი სამშობლო (შვეიცარია) მიეტოვებიათ და გალიაში შემოჭრილიყვნენ. კეისარმა იგინი დაამარცხა და უკანვე განდევნა. განსაკუთრებით სახიფათო იყო მისი ბრძოლა გერმანელ ტომებთან, რომელთაც არიოვისტის მეთაურობით რეინი გადმოლახეს და გალიას შემოესივნენ. კეისარმა არა თუ უკანვე გააბრუნა იგინი, არამედ თვითონ გადავიდა რეინის მეორე მხარეზე და გერმანელ ტომებს შიშის ზარი დასცა. უფრო ადვილი იყო გალების მცირე ტომების დამარცხება; ხოლო როდესაც გალიაში პუბლიკანები გაჩნდენ და თავისე-

ბური მოღვაწეობა დაიწყეს, მთელი გალია გაერთიანდა და მძლავრი აჯანყება მოაწყო, მაგრამ კეისრის სამხედრო გენიოსობის წინაშე გალების მამაცობა უნაყოფო აღმოჩნდა, და მათი წინამძღოლი **ვერცინგეტორიგსი** იძულებული შეიქმნა კეისრის წინაშე თავისი ნებით გამოცხადებულიყო და მორჩილების ნიშნად თავისი ხმალი, შუბი და მუზარადი მის წინ დაემხო. იმ დროიდან დაწყებული რომის გავლენამ გალიაში თანდათან მოიკიდა ფეხი და მალე მთელი ეს ქვეყანა წმინდა რომაულ პროვინციად გახდა. აღსანიშნავია, რომ კეისარი თავისი გალიაში ყოფნის დროს ბრიტანიაშიც გადავიდა და რომის იარაღის შიში იქაც გაავრცელა.

რეინის გადალახვა კეისრის დროს.

კეისრისა და პომპეიუსის ბრძოლა. კეისარმა მეორე მიზანსაც სავსებით მიაღწია. მისი ჯარი რვა წლის განუწყვეტელი ომების გამო იშვიათად გაიწრთვნა და თავისი სარდალი შეიყვარა: იგი მზად იყო, მისთვის თავი დაედო. პომპეიუსი ხედავდა, რომ თუ კეისარს ამ ძალას ხელიდან არ გამოაცლიდა, მისი სრული გაბატონება რომში აუცილებელი იყო, და ამიტომ მან წინადადება მისცა სენატს, კეისრისათვის ჯარის დათხოვა მოეთხოვა. კეისარი მიხვდა, რომ სენატის ბრძანების ასრულებით იგი თვითონ დაარღვევდა იმ საქმეს

რომელსაც ამდენი ხნის განმავლობაში ემსახურებდა და სენატს უარი შეუთვალა. მან იცოდა, რომ ამით რომს ომს უცხადებდა, მაგრამ იმედი ჰქონდა როგორც თავისი ჯარის, ისე რომაელების კეთილგანწყობილებისაც და, მიუხედავად სენატის მუქარისა, რომ მას სამშობლოს მტრად გამოაცხადებდენ, შეჰკრიბა ჯარი ციზალპინის გალიაში და შემდეგ, მასთან ერთად, საზღვარი, მდ. **რუბიკონი** გადალახა (alia iacta est) და იტალიაში შეიჭრა. მისი ლოზუნგი იყო: განთავისუფლება ხალხისა სენატის ბატონობისაგან და დემოკრატიული წესების აღდგენა. სენატი და პომპეიუსი სრულიად არ ფიქრობდენ, რომ საქმე ასეთ მიმართულებას მიიღებდა და საომრად მომზადებულნი არ იყვნენ. ამიტომ იგინი ისე სწრაფად გაიქცენ რომიდან, რომ სახელმწიფო ხაზინის თან წაღებაც-კი ვერ მოასწრეს. სულ მოკლე ხნის განმავლობაში რომი და მთელი იტალია კეისრის ხელში იყო. პომპეიუსი-კი აღმოსავლეთისაკენ გაიქცა, სადაც იგი კეისრის საწინააღმდეგოდ აჯანყების მოწყობას აპირებდა. ამას გარდა ფლოტი მის ხელთ იყო და იმედი ჰქონდა, რომსა და იტალიაში ზღვით არაფერს შეუშვებდა და ქვეყანას დაამშევდა. მაგრამ კეისარს ყოველთვის სწრაფი მოქმედება უყვარდა: იგი ჯერ ისპანიაში წავიდა, სადაც პომპეიუსს ჯარი ჰყავდა, რათა აქ, როგორც თვითონ სთქვა, „უსარდლო ჯარი დაემარცხებია“ და შემდეგ პომპეიუს დაედევნა, რათა ეხლა „უჯარო სარდალი დაემარცხებია“. 48 წელს **ფარსალთან** (თესალიაში) მოხდა ბრძოლა, რომელიც კეისრის სრული გამარჯვებით დასრულდა. პომპეიუსი ეგვიპტეს გაიქცა, მაგრამ აქ იგი, კეისრის გულის მოსაგებად, ვერაგულად მოჰკლეს. ასე დასრულდა ამ კაცის ცხოვრება, რომელსაც ბედმა გაცილებით მეტი როლის შესრულება დააკისრა, ვიდრე ძალები მისცა; სამაგიეროდ, ეს ბედი მას მუდამ ეხმარებოდა და ჩვეულებრივი, არც თუ ისე დიდი ნიჭის კაცი, ისტორიულ პიროვნებად გახადა.

რამდენიმე ხნის შემდეგ კეისარი ეგვიპტეში ჩავიდა, და როდესაც პომპეიუსის ვერაგული მკვლელობის ამბავი გაიგო,

მისი საპატიოდ დასაფლავება ბრძანა. თვითონ-კი ეგვიპტის შინაურ საქმეებში ჩაერია, რომელიც უკანასკნელი მეფის შვილების, **პტოლომეოსისა** და **კლეოპატრას** მეტოქეობის გამო ძლიერ აწეწილ-დაწეწილი იყო. ორივე მოწინააღმდეგე საომრად ემზადებოდენ, მაგრამ კეისერმა სადავო საკითხი მათი მამის ანდერძის თანახმად გადაწყვიტა, რომლის მიხედვითაც სამეფო ტახტზე ორივე და-ძმა უნდა ასულიყო, და რომის სენატის მფარველობის ქვეშ ქვეყნისთვის ეპატრონებიათ. მაგრამ კეისრის წინააღმდეგ ქალაქ **ალექსანდრიის** მცხოვრებნი აჯანყდენ, და მას რომ მოულოდნელად დამხმარე ჯარი არ მოსვლოდა, ნამდვილად დაღუპავდენ. მაგრამ გამარჯვება მაინც კეისარს დარჩა, და მან სამეფო ტახტზე კლეოპატრა აიყვანა, რომელსაც რომის სენატის უმაღლესი მფარველობის ქვეშ უნდა ემეფა.

დასავლეთში კიდევ არ იყო საქმე დამთავრებული, და კეისარი უკანვე უნდა დაბრუნებულიყო, მაგრამ მითრადატეს შვილი, ფარნაჯომი, რომელიც ხელახლა ძლიერი სამეფოს შექმნას აპირებდა, რომაელებს ეომებოდა. კეისარმა სწრაფად დაამარცხა იგი (veni, vidi, vici) და რომისკენ გაბრუნდა.

აქ მისი მოწინააღმდეგენი ჯერ კიდევ ძლიერნი იყვნენ: რესპუბლიკანელი ოპტიმატები და მათ შორის კატონ უმცროსი აფრიკაში, ნუმიდიის მეფესთან ერთად, საბრძოლველად ემზადებოდენ. ხოლო პომპეიუსის შვილებს დიდი ჯარი შეეკრიბათ ისპანიაში და გამაგრებულიყვნენ. კეისერმა ჯერ რესპუბლიკელები დაამარცხა მათ მოკავშირესთან, ნუმიდიის მეფესთან ერთად, და **ნუმიდია** რომის პროვინციად გამოაცხადა; კატონ უმცროსმა რესპუბლიკის დამხობის დანახვას საკუთარი სიკვდილი ამჯობინა და **ქ. უტიკაში** თავი მოიკლა. შემდეგ კეისარი ისპანიას მიუბრუნდა და კორდოვას ახლოს **მუნდასთან** 45 წელს რესპუბლიკანელთა უკანასკნელ ძალებს დაეჯახა, 30000 კაცი ბრძოლაში დახოცა და გამარჯვებული რომს დაბრუნდა. ახლა მას მოწინააღმდეგე აღარავინ ჰყავდა

და რომის ბატონპატრონობაში აღარავინ ეცილებოდა. არსებითად იგი მონარქი იყო, და, მაშასადამე, რესპუბლიკის მონარქიად გარდაქმნა სწორედ ამ ხნიდან უნდა ითვლებოდეს.

გამარჯვების მიზეზები. რა იყო ასეთი ცვლილების მიზეზი, ამის გათვალისწინება ადვილია. რომის მსოფლიო სახელმწიფოდ გარდაქცევამ, ამასთან დაკავშირებულმა მსხვილი ვაჭრობისა და წარმოების გაფართოებამ და მონათა რიცხვის გამრავლებამ საზოგადოების ერთის ნაწილის უსაზღვრო გამდიდრება და მეორე უდიდესი ნაწილის გაღატაკება გამოიწვია. ამგვარად, საშუალო და წვრილი მესაკუთრეობის დასუსტებამ და თითქმის სრულმა მოსპობამ მარიუსის ჯარის რეფორმა წარმოშვა, რამაც საზოგადოების გაღატაკებულ ნაწილს არსებობის მთავარი წყარო შეუქმნა. ხალხის უდიდესი ნაწილის ბედი ამგვარად ჯარის წინამძღოლების ბედს დაუკავშირდა და წინანდელი პარტიული ბრძოლა დემოკრატიასა და არისტოკრატიას შორის ჯარსა და სენატს შორის ბრძოლად გარდაიქცა. ამ ბრძოლაში, რა თქმა უნდა, ჯარს უნდა გაემარჯვებია; ეს-კი არსებითად ჯარის მთავარსარდლის გამარჯვებას და, მაშასადამე, მისს სრულ გაბატონებას ნიშნავდა. ამიტომ იყო, რომ შემდეგში, როდესაც რომში მონარქია საბოლოოდ დამკვიდრტა, მონარქებს „იმპერატორებს“ უწოდებდენ. ეს პროცესი მარიუსმა დაიწყო, სულამ და პომპეიუსმა განაგრძეს და კეისარმა თითქმის დაასრულა. აღსანიშნავია, რომ არისტოკრატი სულაც ამ ძალას ეყრდნობოდა, მაგრამ კიდევ უფრო აღსანიშნავია, რომ სულა, აღადგინა თუ არა ძველი არისტოკრატიული რესპუბლიკა, პოლიტიკურ მოღვაწეობას ჩამოშორდა. აქ თითქოს ის ფაქტი გამომჟღავნდა, რომ არისტოკრატიული რესპუბლიკის მომხრეობა და ჯარის-უფროსობა ერთსა და იმავე დროს რომში შეუძლებელი საქმე იყო. სულას რომ თავისნებით არ დაენებებია თავი პოლიტიკურ მოღვაწეობისათვის, იგი, სულ ერთია, აღრე თუ გვიან მაინც იძულებული შეიქმ-

ნებოდა, ან ჯარის ღალატის გამო სრულიად დამარცხებული-ყო, ან და ისეთი ზომები მიეღო, რომელიც არსებითად დემოკრატიული ხასიათის იქმნებოდა; ჩვენ ვიცით, რომ მის რეფორმათა შორის დემოკრატიულ ზომებსაც ჰქონდა დათმობილი არა მცირეოდენი ადგილი.

კეისრის ბატონობის ხანა. 46 წელს კეისარი დიკტატორად იქმნა არჩეული, ჯერ ათი წლის ვადით, შემდეგ სამუდამოდ. იგი ენერგიულად შეუდგა საკანონმდებლო მოღვაწეობას და უწინარეს ყოვლისა თავისი ვეტერანების დასაკმაყოფილებლად **ახალშენთა კანონი** გაატარა, რომლის ძალითაც არა თუ მთელ იტალიაში, არამედ თითქმის ყველა პროვინციაშიც თავისი ვეტერანების ახალშენები მოაწყო: 80000 მოქალაქე მარტო იტალიის გარეთ დაასახლა და ამგვარად პროვინციათა რომანიზაციას მტკიცე საფუძველი ჩაუყარა. თვით ქალაქში ხალხის დასაწყნარებლად სახელმწიფო პურის დარიგების საქმეში წესიერება შეიტანა: იმ პირთა რიცხვი, რომელთაც პურის მიღების უფლება ჰქონდათ (ე. წ. ანონა, მან საგრძნობლად შეამცირა. სამაგიეროდ იგი ცდილობდა, ღარიბი ხალხისათვის სამუშაო ეშოვნა და **მონათა მეურნეობის შესაზღუდველად** მამულის პატრონებს დაავალა, მუშათა მესამედი მაინც თავისუფალ მოქალაქეთა წრიდან დაექირავებიათ. ამას გარდა რომის გასამშვენიერებლად საზოგადო სამუშაოები მოაწყო. და მრავალს მოქალაქეს საქმე გაუჩინა.

პროვინციელების დასაწყნარებლად კეისარმა მრავალს მათგანს სრული მოქალაქობრივი უფლებები მიანიჭა: ციზალპინის გალიაში ასეთი უფლებები მთელმა ოლქებმა მიიღო, ხოლო კერძო პირთაგან, ვინც-კი გონებრივი შრომით ცხოვრობდა (ექიმი, მასწავლებელი და სხვა) და რომში მოღვაწეობდა, ყველა სრულ მოქალაქეთა წრეში შეიყვანა. მაგრამ პროვინციებს განსაკუთრებით რომის მმართველთა თვითნებობა და ანგარება ავიწროებდა; ეს გარდა არა ნაკლებ სამძიმო იყო მათთვის ის გარემოება, რომ სახელმწიფო გადასახადს პირდაპირ სახელმწიფო ხაზინას როდი აძლევ-

დენ, არამედ პუბლიკანებს, რომელთაც გადასახადების აკრება იჯარით ჰქონდათ აღებული. კისარმა ორსავე ამ გარემოებას სათანადო ყურადღება მიაქცია, ერთის მხრივ, პროვინციის მმართველნი სახელმწიფო კონტროლს დაუქვემდებარა და ვისაც თვითნებობას შენიშნავდა, სასტიკად სჯიდა; ხოლო, მეორეს მხრივ, გადასახადთა იჯარით გაცემის წესი მოსპო და მისი აკრება პირდაპირ თავის მოხელეთ დაავალა.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ რომში, დეცემვირთა დროიდან დაწყებული, დროის აღნიშვნის ერთეულად წინანდელი მთვარის წლის მაგიერ მზის წელი იყო შემოღებული, მაგრამ რადგანაც მზის წლის ხანგრძლივობა საკმაოდ გამოკვლეული არ იყო, ამიტომ ზოგჯერ საჭირო იყო, წელიწადში შესაფერი ცვლილებები შეეტანათ. ამ საქმეს ღვდელმთავრები განაგებდენ, ლომელნიც ამა თუ იმ თანამდებობის პირის ინტერესების-და-მიხედვით ხან აგრძელებდენ წლის ხანგძლიობას და ხან ამოკლებდენ. კეისარმა გადასწყვიტა, საქმის ეს მდგომარეობა ძირიანად მოესპო და ამ მიზნით რომის კალენდრის შესწორება მეცნიერს, **სოზიგენს** მიანდო; მან ე. წ. **იულიანური** კალენდარი შემოიღო, რომელსაც დღემდი ძველს სტილად სთვლიან (ვინაიდან 1582 წლიდან დაწყებული, თანახმად პაპის გრიგოლ XIII განკარგულებისა, ახალი შესწორებული აღრიცხვა შემოიღეს, რომელსაც გრიგორიანული კალენდარი („ახალი სტილი“) ეწოდება).

კეისარი განსაკუთრებით განათლებაზეც ზრუნავდა. იგი თვითონ ეწერდა სამწერლო მოღვაწეობას. მისმა Commentarii de bello gallico რომის მწერლობის ისტორიაში საპატიო ადგილი დაიკავა; მეორე მხრივ მას განზრახვა ჰქონდა, რომში დიდი ბიბლიოთეკა დაეარსებია, რომელშიც რომაული და ბერძნული ხელთნაწერები უნდა დაეგროვებია, რაც აგრეთვე მისი განათლებისათვის მზრუნველობის დამტკიცებელ საბუთად უნდა ჩაითვალოს.

ყველა ამ ზომების ცხოვრებაში გასატარებლად და სახელმწიფოში საბოლოოდ წესიერების ჩამოსაგდებად კეისარს მა-

რიუსსა და სულასავით თავის მოწინააღმდეგეთა სასტიკი დევნა და მათი ქონებისა და სიცოცხლის მითვისება საჭიროდ არ მიაჩნდა. პირიქით, მოწინააღმდეგეთა დევნის მაგიერ მან **ამნისტია** გამოაცხადა და ყველას სამშობლოში დაბრუნებისა და მუშაობის უფლება მისცა. ძველი რესპუბლიკანური დაწესებულებანი ხელუხლებელი დასტოვა, მაგრამ მათ ძველი მნიშვნელობა დაუკარგა: სენატის წევრთა რიცხვი 900-მდე აიყვანა და უმრავლესობა თავის მომხრეთაგან შეადგინა, ასე რომ სენატი ყოველთვის მის ნებაზე მოქმედობდა; ხანდახან თვითონ აქვეყნებდა ე. წ. **„სენატუს კონსულტუსს“** (სენატის გადაწყვეტილებას); მაგისტრატურები ძველი დატოვა, მაგრამ მათ რიცხვის გამრავლების გამო ყველას მნიშვნელობა დაუკარგა. ერთი სიტყვით, რესპუბლიკის პოლიტიკური წესწყობილება გარეგნულად იგივე დარჩა, არსებითად-კი რომში ნამდვილი **მონარქია** დაწესდა. ამას შესაფერი გამოხატულებაც მიეცა: რომის ფულებზე კეისრის სახე იყო ამოჭრილი, ერთ-ერთი თვე მის სახელს ატარებდა, თვით კეისარი სენატში ოქროს სავარძელში ჯდებოდა და საზეიმო შემთხვევებში პორფირის მოსასხამით გამოდიოდა.

კეისარმა საგარეო პოლიტიკასაც სათანადო ყურადღება მიაპყრო. ამ დროს გარეშე მტერთა შორის განსაკუთრებით საშიშნი აღმოსავლეთში **პართები** შეიქმნენ, ხოლო ბალკანეთის მხრივ—ე. წ. **გეთები**. კეისარი მათ საწინააღმდეგოდ აპირებდა გამგზავრებას, მაგრამ უეცრად და მოულოდნელად 44 წლ. 15 მარტს სენატის სხდომის დროს იგი მოკლულ იქმნა. საქმე ის არის, რომ კეისრის რეჟიმით განსაკუთრებით **სენატი** იყო უკმაყოფილო. იგი ხედავდა, რომ ძველი მნიშვნელობა დღითი-დღე ხელიდან ეცლებოდა, რომ კეისარი **მას** საჭირო პატივისცემით არ ეპყრობოდა, რომ მისი დიკტატურა არსებითად სენატის მნიშვნელობის სრულს მოსპობას უდრიდა. იყო შემთხვევები, რომელიც ბევრს იმის მომასწავებლად მია-

ჩნდა, თითქოს კეისარი სამეფო გვირგვინის შესახებ ოცნებობდა. ამასთან ერთად ასეთი ხმებიც-კი გავრცელდა: კეისარი სატახტო ქალაქის ალექსანდრიაში გადატანას აპირებსო. მის მომხრეთა შორისაც ბევრი იყო უკმაყოფილო: მათ არ მოსწონდათ, რომ კეისარი თავის მოწინააღმდეგეთ არ სდევნიდა და ბევრს მათგანს ძველი მდგომარეობა და უფლებებიც-კი აღუდგინა. მართალია მან იმ ხანებში გავრცელებული საიდუმლო საზოგადოებანი დახურა, მაგრამ მის წინააღმდეგ შეთქმულების მოწყობა მაინც მოხერხდა, რომელსაც მისი მეგობარი **იუნიუს ბრუტუსიც** შეუერთდა. საერთოდ შეთქმულობაში 60 სენატორი იღებდა მონაწილეობას. 15 მარტს სენატში კეისარს შეთქმულები შემოეხვივნენ გარს, ვითომ რაღაც თხოვნისათვის, ნამდვილად-კი თავისი განზრახვის სისრულეში მოყვანა ეწადათ. პირველი მახვილი **კასკამ** ჩაჰკრა მას გულში, და როდესაც კეისარმა ხანჯალ მომარჯვებული ბრუტუსიც დაინახა, მიაძახა: „შენც, ბრუტუს!“ და წინააღმდეგობას თავი დაანება. შეთქმულებმა კეისარი სრულიად აკუწეს და თავისი განზრახვის სისრულეში მოყვანა ხალხს ამცნეს. მაგრამ ხალხი ამ ამბავს მტრულად შეხვდა.

კეისრის პიროვნება. „იულიუს კეისარი ერთი უდიდესი გენიოსთაგანი იყო: დიდებული და ბრწყინვალე ბოლიტიკოსი, არაჩვეულებრივი ნიჭის სარდალი და დახელოვნებული მწერალი. ერთი სიტყვით კეისარი უველაფერი იყო, და მასზე უფრო ნიჭიერი პიროვნება ისტორიამ არ იცის. ძლიერი, ნათელი და მტკიცე გონება ჰქონდა, შორს გამჭვრეტი და გარემოებათა ამწონ-დამწონი შესანიშნავი სისწორით; თუ თვრთო და დიდებული განზრახვების შედგენა იცოდა, მისი ასრულების ნიჭიც ჰქონდა; ყოველთვის იცოდა, რა სურდა; და რაც სურდა, ასრულა კიდეც. კეისარი არ დაკმაყოფილებულა სამხედრო ასპარეზზე ბრწყინვალე გამარჯვებით; კეისარი მოკვდა, მაგრამ საქმენი მისნი მის შემდგომაც დიდხანს ტოტხლობდენ. რომის იმპერიის საძირკველი მან ჩაჰყარა; გამოსცა კანონები, რომელნიც იუსტინიანეს დროსაც ძალაში იყვნენ, და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომაულ-ბერძნული კულტურის გავლენას ახალი ვრცელი ასპარეზი მოუპოვა: რომაულ განათლებას

გალიისა და ისპანიის ბარბაროსები საბოლოოდ დაუმორჩილა და და კულტურული განვითარების გზაზე დააყენა. და მთელი ამ უზარმაზარი საქმის შესრულება ოთხი-ხუთი წლის განმავლობაში მოასწრო, და ისიც ამ დროის სამი მეოთხედი მოწინააღმდეგესთან ბრძოლაში გაატარა. კეისრის საქმიანობის სისწრაფე და სიადვილე სასწაულებრივი იყო.

კეისარი საოცარი მიმზიდველობის პატრონი იყო, და ამ მიმზიდველობის ძალას იშვიათად თუ ვინმე გადაურჩებოდა მოუხიბლავი. ბუნებით ფაქიზი იყო და დირსებით ადსავსე, და ეს სიფაქიზე და დირსება იყო მიზეზი, რომ კეისარი მტერს ნამდვილი დიდსულოვანობით ეპურობოდა, თუ, რასაკვირველია, უკიდურესი საჭიროება სიმკაცრეს არ მოითხოვდა. სულა სისხლით ვერ გაძლო გამარჯვების შემდეგაც; ოქტავიუსი, კეისრის მემკვიდრე, შეუბრალებელი იყო, კეისარი კი თავის სულგრძელობით ყველას იზიდავდა. ყველა ამის გამო კეისარი შეიძლება მთელ ისტორიაშიც ეუსრულეს კაცად ჩაითვალოს (ბროფ. გირო).

პარტიული ბრძოლა კეისრის სიკვდილს შემდეგ. კეისრის სიკვდილს შემდეგ რომში ისეთი გამოურკვევლობა დამყარდა, რომ არავინ იცოდა, რა ექნათ. ერთის მხრივ, კეისრის მომხრენი შურის საძიებლად ემზადებოდენ, ხოლო მეორეს მხრივ, მისი მოწინააღმდეგენი ირაზმებოდენ. ამ მდგომარეობით ხელოვნურად ისარგებლა კონსულმა **მარკუს ანტონიუსმა**, რომელმაც ხელში ჩაიგდო კეისრის ქონება და ქალალდები, დანიშნა სენატის სხდომა და აქოორ პარტიას შორის შერიგება მოახდინა: სენატმა დაამტკიცა კეისრის ყველა განკარგულება და კანონი, გადაწყვიტა მისი სახელმწიფოს ხარჯზე დამარხვა, და ამასთანავე მისი მკვლელების უფლებებიც აღადგინა. მაგრამ კეისრის დაკრძალვის დღეს ანტონიუსმა ძლიერი სიტყვა წარმოსთქვა, სადაც იგი განსვენებულის მოღვაწეობას ეხებოდა და მისი ანდერძის შესახებ ისე ლაპარაკობდა, რომ აღშფოთებული ხალხი კეისრის მკვლელებს მიუცვივდა და რამდენიმე დღის შემდეგ აიძულა, რომიდან გაქცეულიყვნენ. ქალაქი ამის შემდეგ სავსებით ანტონიუსის ხელში გადავიდა. ასეთი

მოულოდნელი წარმატების უზრუნველსაყოფად ანტონიუსმა გადასწყვიტა, კეისრის მკვლელები, **ბრუტუსი** და **კასკა** თავისი მომხრეებით სრულიად მოესპო და რომში საბოლოოდ გაბატონებულიყო. ამ მიზნით მან 6000 მცველი გამოითხოვა და შეეცადა, დეციმუს ბრუტუსისათვის, კეისრის ერთ-ერთი მკვლელისათვის ციზალპინის გალია წაერთმია. მაგრამ რომში სწორედ ამ დროს კეისრის მემკვიდრე, ახალგაზდა **ოკტავიუსი** დაბრუნდა, რომელიც სწავლის მისაღებად საბერძნეთში იყო გაგზავნილი.



მარკუს ანტონიუსი (ვატიკ. მუზ.)

მეოცე ტრიუმვირატის ხანა.

გაიუს იულიუს კეისარი ოკტავიუსი. კეისრის დისწულის შვილი იყო. კეისარმა იგი „იშვილა და, როგორც ჩანდა, თავის მემკვიდრედ ამზადებდა. აგებულებით ოკტავიუსი სუსტი იყო და ხშირად ავადმყოფობდა, მაგრამ, ბუნებრივ ნიჭს გარდა, მას შვენიერი აღზრდა ჰქონდა მიღებული, და ძლიერ მალე იშვიათი პოლიტიკური შორსმჭვრეტელობა გამოიჩინა. ანტო-

ნიუსი მას მტრულად შეჰხვდა და კეისრის ქონების მემკვიდრეობაზე უარი უთხრა. ოკტავიუსი მომხრეებს ეძებდა: კეისრის ვეტერანები მის მხარეზე იყვნენ, ამას გარდა იგი ციცერონსაც დაუახლოვდა და მისი დახმარებით სენატის სრული ნდობა მოიპოვა. როდესაც ანტონიუსი თავისი გეგმის განსახორციელებლად გალიას გაემგზავრა, სენატმა, ციცერონის წინადადების თანახმად, ანტონიუსს ბრძოლა გამოუცხადა და მის საწინააღმდეგოდ გასაგზავნი ჯარის სარდლად ოკტავიუსი დანიშნა. ბრძოლა ანტონიუსის დამარცხებით დასრულდა, და ოკტავიუსმა ჯილდოდ კონსულობა მოითხოვა. სენატი მას არაფრად აგდებდა და ცივი უარი შეუთვალა. მაშინ ოკტავიუსმა სენატის მორჩილების ნიღაბი მოიხსნა და თავისი რვა ლეგიონით რომში შეიჭრა: ხალხმა იგი კონსულად აირჩია.

მეორე ტრიუმვირატი 43 წ. ამასობაში ანტონიუსმა საკმაოდ დიდი ჯარი შეჰკრიბა და საომრად მზადება დაიწყო. ოკტავიუსი უკვე ადრე შეუთანხმდა ანტონიუსს და მეორე კეისრის მიმდევართან, მისი ცხენოსანი ჯარის ყოფილ უფროს ლეპიდუსთან ერთად, მას კავშირით შეეკრა, რომლის მიხედვითაც ამ სამს პირს მთელი რომის ბატონ-პატრონობა ურთი-ერთ შორის ოფიციალურად ხუთი წლის ვადით უნდა გაენაწილებიათ. ეს კავშირი მეორე ტრიუმვირატის სახელით არის ცნობილი და, როგორც ოფიციალური კავშირი, პირველისაგან ძირითადად განსხვავდება: ტრიუმვირობა ეხლა თითქმის სახელმწიფო თანამდებობად გარდაიქცა, რომელიც თითოეულს მოკავშირეს განსაზღვრული ვადით სახელმწიფოს მართვაგამგეობის ნაწილს ანიჭებდა. პროვინციები ტრიუმვირებმა შემდეგნაირად გაინაწილეს: აფრიკა, სიცილია და სარდინია ოკტავიუსს მიეცა, ორივე გალია—ანტონიუსს, ხოლო ისპანია და ნარბო—ლეპიდუსს. თავისი გადაწყვეტილება ტრიუმვირებმა სახალხო კრებას დაამტკიცებიეს და შემდეგ თავის მოწინააღმდეგეთა განადგურებას შეუდგენ. მათი პროსკრიფციები სულასაზე უფრო შეუბრალებელნი იყვნენ, და მოკლე ხნის განმავლობაში რომში მეთოდიური და სისტემატიური მკვლელობა გაამეფეს:

ორასი სენატორი (მათ შორის **ციცერონიც**) და ორი-ათასი მხედარი შეუბრალებლად წუთისოფელს გამოასალმეს.

კეისრის ამ სამი მთავარი მემკვიდრის შეკავშირება იმ გარემოებამაც გააადვილა, რომ რესპუბლიკის მომხრეებმა, კასიუსის და ბრუტუსის მეთაურობით, აღმოსავლეთში დიდძალი ჯარი შეაგროვეს და საომრად ემზადებოდენ. მათი მთავარი ბაზისი მაკედონია იყო, და ოკტავიუსი და ანტონიუსი სწორედ აქეთ წამოვიდენ. მთავარი ბრძოლა **ფილიპისთან** მოხდა, სადაც ბოლოს და ბოლოს ტრიუმვირებმა გაიმარჯვეს. კასიუსმა და ბრუტუსმა, კატონ უტიკელის არ იყოს, ორივემ თავი მოიკლა. ოკტავიუსი საშინელი სისასტიკით გაუსწორდა მტერს, სამაგიეროდ თავისი ჯარისკაცები მეფურად დაასაჩუქრა.

უკანასკნელი იმედი რესპუბლიკის აღდგენისა მოისპო, და ეხლა საკითხი ის-ღა იყო, ვის უნდა შერჩენოდა ბატონობა, ოკტავიუსს თუ ანტონიუს?

ტრიუმვირატის დაშლა და ოკტავიუსისა და ანტონიუსის ბრძოლა ბატონობისათვის. ფილიპის ბრძოლის შემდეგ ანტონიუსი აღმოსავლეთში დარჩა და აქ ეგვიპტის საქმეებში გაერთო. იგი ძლიერ დაუახლოვდა თავისი მშვენიერებითა და მომხიბვლელობით სახელგანთქმულს ეგვიპტის დედოფალს, კლეოპატრას, და მასთან განცხრომით ცხოვრებაში დროს ატარებდა. ოკტავიუსი კი პომპეიუსის შვილს, **სექსტუსს** ებრძოდა, რომელსაც ხმელთაშუა ზღვაზე ძლიერი ფლოტი ჰყავდა და რომს დამშევას უქადდა. ბრძოლაში გამარჯვება, როგორც იქმნა, ოკტავიუსს დარჩა, და სექსტუსი აღმოსავლეთისაკენ გაიქცა, სადაც იგი მოკლულ იქმნა.

მაგრამ სექსტუსის დამარცხებამ ლეპიდუსი გააძლიერა, რადგანაც მისი სიცილიის ჯარი ამ უკანასკნელს შეუერთდა. გათამამებულმა ლეპიდუსმა ოკტავიუსს სიცილიის დათმობა მოსთხოვა, მაგრამ ოკტავიუსმა არ დაუთმო და მთელი მისი ჯარი თავის მხარეზე გადმოიბირა. ლეპიდუსი იძულებული შეიქმნა, ოტკავიუსის მოთხოვნით ტრიუმვირობაზე უარი განეცხადებია და თავისი უფლებები მისთვის გადაეცა.

ოკტავიუსსა და ანტონიუს შორის შეტაკებას ეხლა კი წინ ვერაფერი დაუდგებოდა. მაშინ როდესაც ოკტავიუსი ნამდვილს სახელმწიფო მოღვაწეობას ეწეოდა, ყველგან წესიერებასა და მშვიდობიანობას ამყარებდა, ანტონიუსი თავისსა და კლეოპატრას სიამოვნების მეტზე არაფერზე ზრუნავდა. მან იმდენი წინდაუხედავობაც კი გამოიჩინა, რომ თითქმის ყველა აღმოსავლეთის პროვინციები კლეოპატრასა და მის შვილებს დაურიგა, თითქოს რომი აღარც კი არსებობდა. ასეთი გიჟური საქციელი თვითონ ოკტავიუსისათვის ხელსაყრელი შეიქმნა: იგი ანტონიუსს ადრე თუ გვიან, სულერთია, უნდა შებრძოლებოდა, და ეხლა ამ ბრძოლის წარმოება მას რომის ინტერესების სახელით უხდებოდა, რასაც უკვე თავის თავად თითქმის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. გადამწყვეტი ბრძოლა **აქციუმის** კონცხთან მოხდა, რომელიც ოკტავიუსის გამარჯვებით დასრულდა (31 წ.). ანტონიუსმა და კლეოპატრამ ეგვიპტეს შეაფარეს თავი, ეხლა კლეოპატრა მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, თუ როგორ მოეშორებია თავიდან ანტონიუსი და ოკტავიუსს შერიგებოდა. მან მოტყუილებით შეატყობინა ანტონიუსს, თითქოს თავი მოიკლა; ნამდვილად კი ერთ-ერთ კოშკში დაიმალა: ამ ამბის გაგებაზე ანტონიუსმა თვითონ მოიკლა თავი. მაგრამ როდესაც კლეოპატრას ოკტავიუსის მოხიბვლის იმედი გაუცრუვდა, მანაც თავის მოკვლა გადაწყვიტა (ამბობენ, შხამიან გველს ძუძუზე აკბენიაო).

ამგვარად, რომის ერთად-ერთ ბატონად ოკტავიუსი შეიქმნა. მან დაასრულა ის პროცესი, რომელიც მარიუსის დროიდან დაიწყო და რომი მონარქიულ სახელმწიფოდ გარდააქცია.

VI

იმპერატორების ხანა რომში

მართალია, 30 წლიდან დაწყებული რომი მონარქიულ სახელმწიფოდ ითვლება, მაგრამ ნამდვილი მონარქია არსებითად 285 წლიდან ქრისტეს შემდეგ დაიწყო, როდესაც საიმპერა-

ტორო ტახტზე დიოკლეტიანე ავიდა. მანამდე, მართალია, ძალა-უფლების მატარებლად ყოველთვის იმპერატორი გამოდიოდა, მაგრამ ამ ძალაუფლებას იგი ხალხისაგან იღებდა და სახელმწიფოს სენატთან ერთად განაგებდა, რომლის გვერდითაც თითქმის ყველა ძველი მაგისტრატურა განაგრძობდა არსებობას. დიოკლეტიანეს დროიდან დაწყებული კი რომში ნამდვილი აბსოლუტური ერთმეფობა დამკვიდრდა. ამგვარად, რომის იმპერიის ხანა ორ ეპოქად იყოფა: რომი დიოკლეტიანემდე და რომი დიოკლეტიანეს შემდეგ.

A. რომის იმპერია 285 წლამდე ქ. შ.

1. ავგუსტუსი და მისი მმართველობა. მისი მემკვიდრენი. რომი ოკტავიუსის გაბატონების დროს.

სამოცი წლის განუწყვეტელმა საგარეომ და, განსაკუთრებით, საშინაო ომებმა სრულიად შეუცვალეს რომს სახე. თვით იტალია და რომი სავსებით გამოიცვალენ: წინანდელი არისტოკრატია ომებში ამოწყდა და მისი ადგილი ახალმა ხალხმა დაიკავა, რომელთა შორისაც მრავალი პროვინციელი გაჩნდა. იგივე ბედი ეწვია საერთოდ რომის მოქალაქეთა შემადგენლობასაც. მაგრამ კიდევ უფრო თვალსაჩინო ის ცვლილებები, იყვნენ, რომელნიც პროვინციამ განიცადა: აღმოსავლეთის პროვინციები თითქმის სრულიად გავერანებულნი იყვნენ; მრავალი ქალაქი ან სრულიად მოსპობილი ან გაღატაკებული იყო, და ყველაფერი ეს შინაურისა და საგარეო ომების მიზეზით მოხდა. ასეთ პირობებში, ცხადია, ხალხს მშვიდობიანი და მოსვენებული ცხოვრება ენატრებოდა. მას აღარც თავი ჰქონდა აღარც ნება კვლავ სამოქალაქო ომების წარმოებისათვის. ოკტავიუსმა სწორედ ამ მშვიდობიანობის დამყარება დაისახა მიზნად, და ეს იყო მიზეზი, რომ მის ძალა-უფლებას მტკიცე ნიადაგი მოუმზადა.

ავგუსტუსი (ვატიკ. მუზ.)

ოკტავიუსი, როგორც პრინცეპსი. თავისი მიზნის განხორციელებას ოკტავიუსი თანდათანობით შეუდგა. რადიკალური ცვლილებების შემოღება სახელმწიფო მართვა-გამგეობის წესებში მას მიზან-შეუფერებლად მიაჩნდა. ამიტომ იგი ყოველთვის გაურბოდა ისეთი ნაბიჯების გადადგმას, რომელიც რომის ძველი წესწყობილების ღრმა ცვლილებას თვალსაჩინოდ გახდიდა: მიუხედავად მრავალგზის წინადადებისა, იგი არ თანხმდებოდა, თავისი ძალაუფლებისათვის მუდმივი ხასიათი მიეცა. თანდათანობით მან ისე მოაწყო საქმე, რომ მთელი ძალა-უფლება მისსა და სენატს შორის იქმნა განაწილებული. ამავე დროს ძველი რესპუბლიკანური მაგისტრატურები თითქ-

მის ყველა ხელუხლებელი დასტოვა, ასე რომ გარეგანი შეხედულებით რომში თითქოს ბევრი არაფერი შეცვლილა, ნამდვილად-კი მთელი სახელმწიფოს ფაქტიური ბატონ-პატრონი მარტო ოკტავიუსი იყო. ასეთი მდგომარეობა მან შემდეგის თანდათანობით შეჰქმნა.

27 წელს ოკტავიუსმა უარი განაცხადა ტრიბუნის უფლებაზე, რომლითაც უკვე 15 წლის განმავლობაში სარგებლობდა. მადლობის ნიშნად სენატმა **ავგუსტუსის** სახელწოდება შესთავაზა, და იმპერატორობის ხანაც რომში სწორედ ამ დროიდან იწყება. მაგრამ რაკი მთელი მისი ძალა ჯარზე იყო დაფუძნებული, აუცილებელი შეიქნა, რომ იგი მთავარსარდლადაც ანუ **იმპერატორად** დაენიშნათ და, ამას გარდა, მისთვის განაპირა პროვინციების მართვა-გამგეობაც გადაეცათ, სადაც ჯარები იყვნენ თავმოყრილნი. ამ სახით, სირია, გალია და ისპანია ყველა ოკტავიუსის ხელში გადავიდა. დანარჩენი პროვინციები-კი სენატს დაუბრუნდა.

ამგვარად, მთელი სახელმწიფო სენატსა ⁄ ოკტავიუსს შორის იქმნა განაწილებული. გარდა სამხედრო უფლებისა, ავგუსტუსმა სამოქალაქო ძალაუფლებაც თავის ხელში შეიერთა: 23 წ. ქ. მოსვლამდი მან უარი განაცხადა კონსულის უფლებებზე და ტრიბუნის თანამდებობა დაიკავა, რომელიც სიკვდილამდი შეინარჩუნა. ეს გარემოება მას დიდ უპირატესობას ანიჭებდა: პიროვნების ხელშეუხებლობა, კანონპროექტების წარდგენისა და სენატის გადაწყვეტილების შეჩერების უფლება, რომლითაც ტრიბუნის ძალაუფლება ხასიათდებოდა, მას კანონმდებლობაზე გადამწყვეტ გავლენას ანიჭებდა. თანდათანობით მას სხვა უფლებებიც მიეცა, ასე რომ თუმცა ძველი თანამდებობანი რჩებოდენ, მაგრამ რაკი იგინი ავგუსტუსის ხელში იყრიდენ თავს, ამის გამო თითქმის მთელი სახელმწიფო ძალაუფლების მატარებლად მარტო ავგუსტუსი გამოდიოდა. სახელმწიფო მართვა-გამგეობის მეორე მეთაურად სენატი ითვლებოდა, რომელსაც სახელმწიფო ხაზინის, **ერარიუმის** გამგებლობა და თავისი პროვინციების გამგეთა დანიშვნის უფლება ჰქონდა.

მაგრამ რაკი ოკტავიუსი სენატის პირველ წევრად (princeps senatus) ირიცხებოდა, მან სენატის წევრთა ერთი ნაწილის დანიშვნის, მაგისტრატების თანამდებობაზე კანდიდატების წამოყენებისა და თავისი განკარგულებების ე. წ. **ედიკტების** გამოქვეყნების უფლება მიიღო. ამით იგი, რა თქმა უნდა, სენატსაც თავის ნებაზე ატრიალებდა, თანამდებობის პირებსაც შესაფერისს ნიშნავდა და დამოუკიდებელ კანონმდებლობასაც ეწეოდა. ავგუსტუსი თავის თავს **„პრინცეპს**-"სწოდებდა, და ჩვენ ვხედავთ, რომ, სახელის მიუხედავად, ოკტავიუსის **პრინციპატი თუმცა არა აბსოლუტური, მაგრამ მაინც მონარქია იყო.** 12 წლიდან ქ. წ. იგი უმაღლეს სამღვდელო პირადაც იქნა დანიშნული, და თუ ამას იმასაც დავუმატებთ, რომ მას, თავის პროვინციებში მაინც, საკუთარი **სასამართლო** ჰქონდა, ჩვენ დავინახავთ, რომ ძველ მეფეთა სამი ძირითადი უფლება: — უფლება მთავარსარდლისა, მღვდელმთავრისა და მთავარი მოსამართლისა—ყველა მის ხელში მოგროვდა და ამით იგი ნამდვილ მეფედ შეიქმნა.

ამისდამიხედვით, მართვა-გამგეობის მთავარ ცენტრად თვით იმპერატორის სახლი გადაიქცა; აქ მისი კანცელარია იყო მოთავსებული, რომელსაც უმთავრესად ლიბერტინები (განთავისუფლებული მონები) აწარმოებდენ. გარდა იმპერატორის კანცელარიისა განსაკუთრებული მნიშვნელობა **პრინცეპსის საბჭოსაც** ჰქონდა, რომელშიც რამდენიმე სენატორი, უმაღლესი თანამდებობის პირნი და თვით იმპერატორი შედიოდენ. ავგუსტუსის მართვა-გამგეობის მეორე ნახევარში ამ საბჭოს გადაწყვეტილებებს „სენატუს-კონსულტუს"-ების მნიშვნელობა მიენიჭათ, ასე რომ იგი თანდათანობით სენატის ადგილს იკავებდა.

ოკტავიუსის მოღვაწეობა. წესიერებისა და მშვიდობიანობის და აგრეთვე თავისი გავლენის უზრუნველსაყოფად იმპერატორმა საკუთარი გვარდია გაიჩინა, რომელიც ცხრა კოჰორტისაგან შესდგებოდა (ე. ი. 9000 კაცისაგან) და საუკეთესო მეომართა კრებულს წარმოადგენდა. ამ სამხედრო ძალას,

მას **პრეტორიანთა გვარდია** ეწოდებოდა, სათავეში **ორი პრეტორი** ედგა; ეს თანამდებობა იმპერატორობის შემდეგ უმაღლეს თანამდებობად ითვლებოდა.

ქალაქში წესიერების დასაცავად **პრეფექტის** თანამდებობა იქმნა დაწესებული, რომლის განკარგულებაშიც საპოლიციო მოვალეობათა აღსასრულებლად 6 კოჰორტი (6000 კაცი) იყო. ცეცხლის მქრობელთა რაზმი და ღამის პოლიცია 7000 კაცისაგან შესდგებოდა. მათს უფროსად ე. წ. **სიფხიზლის პრეფეკტი** ითვლებოდა. პურის დარიგების მოსაწესრიგებლად განსაკუთრებული უმაღლესი თანამდებობა იქმნა შემოღებული, რომელსაც **ანონას პრეფეკტურა** ეწოდებოდა. თვით ქალაქის საზოგადო დაწესებულებების, როგორც, მაგალ. ძეგლების, წყალსადენის და გზების შესახებ განსაკუთრებული **კურატორების** კოლეგია ზრუნავდა. იტალიაში წესრიგს მთავარ პუნკტებში ჩაყენებული ჯარისკაცები იცავდენ. იტალიის ნაპირებს-კი ფლოტი ადევნებდა თვალყურს. ხოლო შინაურ საქმეებში ძველებური თვითმართველობა იყო დატოვებული.

პროვინციები, როგორც ვიცით, ორგვარი იყო: სასენატო და საიმპერატორო. სამხედრო ძალა-უფლება იქაც და აქაც იმპერატორის ხელში იყო. ხოლო საადმინისტრაციო მართვაგამგეობისთვის სენატის პროვინციებში ძველ კონსულთა და პრეტორთა წრიდან არჩეული **პროკონსული** ინიშნებოდა. საიმპერატორო პროვინციის მახლობელი გამგებლობა კი იმპერატორის მიერ დანიშნულის, განსაზღვრული ჯამაგირიანი **ლეგატის** ხელში იყო, რომელიც ერთსა და იმავე დროს ჯარის უფროსიც იყო და ადმინისტრატორიც, და იმპერატორის ინსტრუქციების მიხედვით მუშაობდა. ეს გარემოება საბოლოოდ სპობდა იმ ბოროტმოქმედებას, რომელიც წინად ყოველი პროვინციის მართველს ახასიათებდა, ხოლო პროვინციას მისი გაუმაძღარი მადის საგნად ხდიდა. მუდმივი კონტროლი იმპერატორისა, ერთის მხრივ, და ყოველწლიურ **საპროვინციო ყრილობათა** შემოღება, მეორეს მხრივ, რომელიც სხვათა შორის მართველის მოღვაწეობასაც აფასებდა, საუკეთესო გარანტია იყო

იმისა, რომ რომის პროვინცია კვლავინდებურად მართველთა პირადი გამდიდრების წყაროდ ველარ გადაქცეულიყო.

განსაკუთრებული გულისყურის ღირსი ის **სამხედრო რეფორმაა**, რომელიც აგვუსტუსმა შემოიღო. წინად ჯარისკაცობა მხოლოდ სრულუფლებიან მოქალაქეთა მოვალეობა იყო, და ამმოვალეობას იგინი თავისი ქონებრივი შეძლების-დამიხედვით იხდიდენ. მარიუსმა ეს წესი შესცვალა: მან ჯარში ყველა მსურველს გაუღო კარი და განსაზღვრული ჯამაგირი დაუნიშნა. ამით სამხედრო სამსახურს სამოქალაქო მოვალეობის ხასიათი დაეკარგა. ავგუსტუსმა სრულიად მოუსპო ეს ხასიათი ჯარში სამსახურს და სამხედრო ბეგარისაგან ყველა გაანთავისუფლა: ეხლა ჯარი მოქალაქეთა წრეს სრულიად გამოეყო და, როგორც შეიარაღებული ძალა, მას დაუპირდაპირდა; ეს გარემოება რომის მოქალაქეობას ყოველგვარ ძალას ართმევდა და ჯარის ხელში სათამაშო საგნად აქცევდა. ადვილი გასაგებია ამიტომ, რომ ამიერიდან რომის ცხოვრების მიმდინარეობა სავსებით ჯარის ხელთ გადავიდა.

თითოეული ჯარისკაცი განსაზღვრულ ჯამაგირს და ამასთანავე სრულს მოქალაქობრივ უფლებებს იღებდა. მთელი ჯარი ავგუსტუსის დროს 25 ლეგიონისაგან შესდგებოდა, თითოეულს მათგანს პროვინციაში მოკრებილი **„დამხმარე“** ლეგიონი ჰყავდა (antilia), ასე რომ, თუ გავიხსენებთ, რომ ლეგიონში 5-6 ათას კაცამდე ითვლებოდა, მთელი ჯარი რამდენიმე ასი ათასი კაცისაგან შესდგებოდა და მტრის უკუსაგდებადა და წესიერების დასაცავად საკმარისი ძალა იყო.

სახელმწიფო ცხოვრების ასეთი გარდაქმნა, რა თქმა უნდა, **საფინანსო რეფორმასაც** მოითხოვდა. ერთი მხრით ჯარი, მეორეს მხრით მოსახლეობის გამოსაკვები და ქალაქის გასამშვენიერებლად საზოგადო სამუშაოთა ხარჯები ძლიერ ტვირთად დააწვა სახელმწიფო ხაზინას. ამ ხარჯის დასაფარავად გარდა ძველი შემოსავლის წყაროებისა (სახელმწიფო მიწების იჯარა, მადნეულობის შემოსავალი და ბაჟი), იმპერატორმა ახალიც აღმოაჩინა. პროვინციების ნატურალური გა-

დასახადი ფულით შესცვალა, მთელს სახელმწიფოში (პროვინციებშიც) ყველა გაყიდული საქონლის **ასისთავი** და ნაანდერძევისა და მემკვიდრეობის **ოცისთავი** შემოიღო. ამას გარდა მდიდრებიც დიდძალ ქონებას უტოვებდენ ანდერძით იმპერატორს.

ყველა ამ შემოსავლისათვის სამგვარი ხაზინა იქნა დაწესებული: წინანდელი სახელმწიფო ხაზინა, **ერარიუმი** სენატის განკარგულებაში იყო; ხოლო ორი ახალი ხაზინა (**სამხედრო**, რომელშიც გაყიდულის ასისთავი და მემკვიდრეობისა და ნაანდერძევის ათისთავი შედიოდა, და პირადი კასა იმპერატორისა ე. წ. **ფისკუსი** (fiscus Caesaris), სადაც პროვინციის გადასახადი და იმპერატორისათვის ნაანდერძევი ქონება იყრიდა თავს) იმპერატორის გამგეობაში იმყოფებოდა. ყველა ამ გადასახადის მოსაწესრიგებლად საერთო აღწერა იყო საჭირო, და იმპერატორმა 25 წლ. განუწყვეტელი შრომის შემდეგ ეს უძნელესი საქმეც წარმატებით დააგვირგვინა. აღსანიშნავია, რომ ავგუსტუსი სახელმწიფოს შემოსავალ-გასავლის ანგარიშებს ყოველწლიურად აქვეყნებდა.

გარდა აღნიშნული სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ზომებისა იმპერატორი დიდი ყურადღებით ეპყრობოდა აგრეთვე საზოგადოების ზნეჩვეულებათა განსპეტაკებას და მისს კულტურულად განვითარებას.

რომის საზოგადოება და მისი ზნეჩვეულებანი. რომში უმთავრეს წოდებად იმპერიის დროსაც **სენატორები** ითვლებოდენ. მაგრამ როგორც თავისი შემადგენლობის, ისე ტრადიციების მხრივაც ეს წოდება ძირიანად შეიცვალა. იგი ეხლა ძველ პატრიციელთა ამაყ შთამომავალთა მაგიერ უბრალო ლიბერტინების შვილების, პროვინციელებისა და მხედრების წრიდან ივსებოდა და იმპერატორის ყურ-მოჭრილ მონობას ეწეოდა. ამის მიუხედავად სენატორობას მაინც დიდი ფასი ჰქონდა, ვინაიდან უმაღლეს თანამდებობათა დაკავება ამ წოდების გარეშე შეუძლებელი იყო.

მაგრამ მხედრობასთან შედარებით სენატორობა მაინც მხოლოდ

საპატიო წოდება იყო, ვინაიდან ქონებრივი სიმდიდრე თითქმის უკლებლივ **მხედართა** წოდების ხელთ იყო, და თითქმის ყველა შემოსავლიანი და მნიშვნელოვანი ადგილები, როგორც მაგალ, **პრეფექტობა**, მარტო მხედრების უპირატესობას შეადგენდა. დიდ-დიდი ვაჭრები და ბანკირები ყველა ამ წოდების წრიდან გამოდიოდენ.

იყო აგრედვე მესამე წოდებაც, რომელიც საშვალო ინტელიგენციის წრეს შეადგენდა და ჭრელი შემადგენლობის იყო: მასწავლებელნი, მემუსიკენი, ადვოკატები, დაბალი სახელმწიფო მოხელენი, — ასეთი იყო შემადგენლობა ამ მესამე წოდებისა.



რომაელის სახლში

გაცილებით უფრო მრავალრიცხოვანი ე. წ. **კლიენტების** წრე იყო, რომელიც მთელს თავის სიცოცხლეს უსაქმურობაში ატარებდა. მათს ერთად-ერთს მოვალეობას პატრონების მისალმება და ხლება შეადგენდა, ხოლო მათს სარჩოს—პატრონების საჩუქარი, რომელსაც იგინი ყოველდღიური ულუფის ან ფულის სახით ღებულობდენ. რომის მცხოვრებთა ამ დიდი ნაწილის რჩენა, მათს პატრონებს გარდა, სახელმწიფოსაც კისერზე აწვა: panem et circenses მათი ძირითადი მოთხოვნილება იყო, და ქვეყნის მშვიდობიანობის დასაცავად იმპერატორები ყოველთვის მათს გამოკვებასა და გართობაზე ზრუნავდენ. ოკტავიუსმა ცადა, ხალხი მიწის მუშაობისათვის მიეჩვია, მაგრამ ამაოდ: მიუხედავად პოეტის **ჰორაციუსის** ცდისა, რომელმაც თავის „გეორგიკა"-ში ხალხს განვითარებული მეურნეობის სურათები გადაუშალა, რომის მოსახლეობის უმეტესობა უპირატესობას მაინც მცონარე ცხოვრებას აძლევდა.

ამგვარად რომში ალარ იყო არც ერთი წოდება, რომელიც მწარმოებელ შრომას ეწეოდა. უსაქმობასა და მცონარეობასაკი ყოველთვის ზნეობის დაცემა სდევს თან, და იმდროინდელი რომაელების უზნეობა მართლაც საშიშ სახეს ღებულობდა. ოჯახი რომში თითქმის სრულიად დაირღვა; ცოლქმრული სიყვარული და პატივისცემა სანთლით საძიებელი შეიქმნა, ოჯახს ბევრი ალარავინ ეკიდებოდა, ასე რომ ავგუსტუსმა, მისს ალსადგენად, განსაკუთრებული კანონებიც კი გამოსცა, რომელიც ცოლშვილიანობას დიდ ქომაგობას უწევდა: უცოლო კაცს მემკვიდრეობის მხილოდ ნახევარი ეძლეოდა; თუ ასი დღის განმავლობაში უცოლო ცოლს შეირთავდა, მთელი მემკვიდრეობა უკან დაუბრუნდებოდა. ზნეობის ასეთ დაცემასთან ერთად რომში **სარწმუნოებაც** ქვეითდებოდა: ღმერთების არავის არაფერი სწამდა, ასე რომ ურწმუნოება ჩვეულებრივ მოვლენად გარდაიქცა.

ამ უსაქმოს, უზნეოსა და ურწმუნო ხალხს ყველაფერზე უმეტესად **გასართობები** იტაცებდა. რომში მაშინ სამგვარი გასართობი იცოდენ: პირველი იყო **ცირკი**, სადაც ეტლების დო

ღები იმართებოდა. მეეტლეებს თავ-თავისი პარტიები ჰყავდათ და ერთმანეთისაგან ტანისამოსის ფერით განსხვავდებოდენ (თეთრნი, წითელნი, ცისფერნი, ლურჯნი). გამარჯვებულ მეეტლეს დიდ საჩუქარს აძლევდენ და ზოგჯერ ძეგლებსაც-კი უდგამდენ. რომში ამ მიზნისთვის ისეთი დიდი შენობა იყო აგებული, რომ იგი ასორმოცდაათიათას კაცს იტევდა. ეს იყო ცნობილი „დიდი ცირკი" (circus maximus), რომლის აშენებაზეც აუარებელი ქონება დაიხარჯა.



Circus maximus.

მეორე ალაგი **გლადიატორთა ასპარეზობას** ეკავა, რომელიც საგანგებო ამფითეატრებში ხდებოდა. საგანგებოდ გაწვრთნილი მონები ე. წ. **გლადიატორები** რომაელთა გასართობად მაყურებელთა წინაშე სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას მართავდენ, რომელიც დამარცხებულის სიკვდილით თავდებოდა, ან და მხეცებს (ლომებს, ვეფხვებს და სხვათ) ებრძოდენ და, რასაკვირველია, უმეტეს ნაწილად ხალხის წინაშე მათ სხვერპლად ეცემოდენ.



ბოსნიის ფორეული.

მესამე ალაგი „**თეატრს**“ ეჭირა, მაგრამ მას რომში მაინცდამაინც დიდი გასავალი არასდროს არ ჰქონია. რომაელებს იმდენად სერიოზული ტრაგედიები არ მოსწონდათ, რამდენადაც მსუბუქი შინაარსის კომედიები და უზნეო ფარსები.

ავგუსტუსი იძულებული იყო, ხალხის ასეთი სულისკვეთებისათვის ანგარიში გაეწია და მისი გართობის შესახებაც ეზრუნა.

ხელოვნება, ლიტერატურა და ფილოსოფია. მაგრამ კადევ უფრო მეტად იგი ქალაქის გამშვენიერების შესახებ ზრუნავდა. მისი განკარგულებით რომში მრავალი ხელოვანი ამუშავდა: პანთეონი, მარცელუსის თეატრი და მრავალი წყალსადენი მის დროს აშენდა; მისი უახლოესი მემკვიდრენიც მის გზას მისდევდენ, და რომი ხუროთმოძღვრების მრავალი ძეგლით აივსო. ამათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავი, **პანთეონს** გარდა, დიდი ამფითეატრი, ე. წ. **კოლიზეუმი** სრის, რომელშიაც 90 ათასი მაყურებელი ეტეოდა. იგი სამი სართულისაგან შესდგებოდა: პირველს სართულს დორიული სვეტები ამშვენებდენ, მეორეს—იონიური და მესამეს—კორინთული. შუაში ასპარეზი იყო, რომელსაც, როდესაც ნავების შეჯიბრების (ნავმაქიას) მოწყობა უნდოდათ, ერთბაშად საგანგებოდ მოწყობილი წყალსადენის შემწეობით წყლით ავსებდენ და, ამგვარად, ნამდვილ ტბად აქცევდენ. ხუროთმოძღვრებაში რომაელებმა თავისებურება განსაკუთრებით სატრიუმფო თაღებისა და რომაული სვეტების შენებაში გამოიჩინეს, მაგრამ კიდევ უფრო დიდი იყო მათი ორიგინალობა წყალსადენებისა და სხვა პრაკტიკულად სასარგებლო შენობათა აგების საქმეში.

ხელოვნების სხვა დარგთა შორის განსაკუთრებით **მხატვრობა** იყო განვითარებული. რომაელების სახლები, ხშირად სულ უბრალო ხალხისაც. შიგნით სხვა-და-სხვა სურათებით იყო გალამაზებული. ფერადებში მეტწილად წითელი და ყვითელი სჭარბობდა; ნახატების შინაარსი კი უმეტესად მითოლოგიური ხასიათის იყო.



კოლიზეუმი (დღევანდელი სახით).

განსაკუთრებით დიდ მფარველობას იმპერატორი მწერლობას უწევდა, რომელმაც მის დროს თავისი განვითარების უმწვერვალეს დონეს მიაღწია და თავისი არსებობის **„ოქროს ხანას“** განიცდიდა. გარდა ავგუსტუსისა, მწერლობისა და ხელოვნების მფარველობით რომში განსაკუთრებით ცნობილი იმპერატორის მეგობარი და თანამშრომელი **მეცენატი** შეიქმნა, რომელიც კულტურის ამ დარგთა განვითარებისათვის თავის ქონებას არ იშურებდა (ე. წ. **„მეცენატობა“**). მართალია, რომის მწერლობის ისტორიის ამ ხანაშიც ძლიერი იყო

ბერძნული გავლენა, მაგრამ სალიტერატურო ნაწარმოებთა ფორმა, სტილი და კომპოზიცია რომაელი მწერლების უდავო ნიჭისა და დახელოვნების ბეჭედს ატარებენ.

პოეტთა შორის პირველი ალაგი **ვერგილიუსს** უკავია (79-19). თითქმის ყველა მისი ნაწარმოები ტენდენციური ხასიათისაა და იმპერატორის მიზნების განხორციელებას ემსახურება: **„ენეიდა“-ში** ვერგილიუსი იმპერატორის გვარის (იულიანთა გვარის) დამაარსებლის, **ენეას** მოგზაურობას, და იმ ომებზე მოგვითხრობს, რომლითაც მან იტალიაში გაბატონება მოახერხა. „გეორგიკაში“ პოეტი მიწის მუშაობისა და ღმერთების სამსახურის პროპაგანდას ეწევა, ხოლო „ბუკოლიკა“-ში — უბრალო მწყემსური ცხოვრებისას (თეოკრიტოს მიბაძვით).

ჰორაციუსი (65-8) უფრო წმინდა ხელოვნების წარმომადგენელია; ხელოვნებას პოლიტიკისა და ზნეობის მოთხოვნილებებს არ უკავშირებს. იგი ოდებსა და სატირებს სთხზავდა და ამ დარგში საუკეთესო წარმომადგენელად ითვლება.

ოვიდიუსის ნაწარმოებთა შორის განსაკუთრებით „მეტამორფოზები“-ა ცნობილი, რომელთა შინაარსადაც მითოლოგიური ამბები არის აღებული. იმპერატორი ყოველ ღონეს იღებდა რომაელთა ზნეობის აღსადგენად; ხოლო რადგანაც ოვიდიუსი სატრფიალო ლექსებსაც სწერდა, იმპერატორი საზოგადოების გარყვნილების მიზეზად პოეტის ნაწარმოებთ თვლიდა, და ეს იყო მიზეზი, რომ იგი რომიდან გაძევებულ იქმნა.

პროზაში უწარჩინებულესი ალაგი ისტორიკოსს **ტიტუს ლივიუსს** უკავია (59 ქ. წ.-18 ქრ. შ.), რომელმაც რომის ისტორია დასწერა სახელმწიფოს დაარსებიდან რესპუბლიკის დაცემამდე. მთელი შრომა მრავალ წიგნად იყო გაყოფილი და ძვირფასს ისტორიულ მასალას შეიცავდა. მაგრამ ჩვენამდე მხოლოდ 35 წიგნმა მოაღწია.

ავგუსტუსის დროს რომში ბერძნული მწერლობაც ჰყვაოდა. რომში სცხოვრობდა მაშინ **დიოდორ სიცილიელი**, მსოფლიო ისტორიის ავტორი („ისტორიული ბიბლიოთეკა“). იქვე

მოღვაწეობდა შესანიშნავი გეოგრაფოსი **სტრაბონიც**. მწერლობის განვითარებას თან მოჰყვა ბიბლიოთეკების გაჩენაც: პირველი ბიბლიოთეკა ავგუსტუსის დროს დაარსდა. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ამავე დროს შემოიღეს ახალ ნაწარმოებთა **საჯარო კითხვაც** ე. წ. **რეციტაციონეს**, რომელმაც მალე მწერალთა შორის კონკურსის სახე მიიღო. გამარჯვებული ჯილდოდ იმპერატორისაგან ზეთისხილისა და მუხის ტოტების გვირგვინს ღებულობდა.

ფილოსოფიაში განსაკუთრებით ზნეობის ფილოსოფია განვითარდა. **ეპიკურეიზმი** და შემდეგ **სტოიციზმი**, რომლის წარმომადგენლადაც ავგუსტუსის დროს **სენეკა** ითვლებოდა, არსებული ზნეობრივი მდგომარეობის შეფასებისაგან გამომდინარეობდა.

სტოიციზმის დამაარსებლად ფილოსოფოსი **ძენონი** ითვლება, რომელიც მესამე საუკუნეში ათენში მოღვაწეობდა. მან შეჰქმნა მთელი ფილოსოფიური სკოლა, რომელსაც შემდეგში სტოიციზმის სახელით საკმაოდ დიდი გავლენა ხვდა წილად. სტოიციზმი მრავალს ფილოსოფიურ საკითხს ეხებოდა, მაგრამ მისი მთავარი საკითხი, რომლის გაშუქებასაც იგი ცდილობდა, იმდენად სინამდვილის რაობას არ ეხებოდა, რამდენადაც იმას, თუ რაში მდგომარეობს ადამიანის **მოქმედების მიზანი**. მისი ფილოსოფია უმთავრესად პრაკტიკული, ზნეობრივი ფილოსოფია ანუ **ეთიკა** იყო.

ბუნებაში, სტოელების აზრით, **მარადიული წესრიგი** არის განხორციელებული; ეს იმას მოწმობს, რომ ყველგან **ღვთაებრივი გონება** მოქმედებს. ადამიანის ცხოვრების მიზანი, ისე, როგორც ყოველივე არსებულის, ამ ყოვლადი ბუნების წესრიგისადმი დამორჩილებაში მდგომარეობს: ჩვენი მოქმედება მხოლოდ ამ მხრივ უნდა იყოს მიმართული. ყველაფერი, რაც ამ მიზნის გარეშე არსებობს, უმნიშვნელოა და ყოველს ზნეობრივ ღირებულებას მოკლებული. მაშასადამე, სიამოვნება ყველა თავისი ნაირ-ნაირი სახით, სიმდიდრე, სილარიბე, ავადმყოფობა, ჯანსაღობა და სხვა ამგვარი, ყველაფერი ეს ისეთი

რამ არის, რასაც არაფერი ზნეობრივი ღირებულება არა აქვს. ამიტომ ნამდვილი ზნეობრივი ადამიანი მხოლოდ ის არის (ასეთს სტოელები **ბრძენს** უწოდებდენ), ვინც ყველაფრის ამის უარყოფა და მთელი თავისი ცხოვრების მარტოდ-მარტო გონების მიერ ნაკარნახევი გზით მიმართვა შესძლო, ვინც თავისი სურვილებისა და გულისთქმის ჩაკვლა მოახერხა და ვინც ამ სახით ნამდვილი მეფე შეიქმნა თავის თავისა, მეფე, რომელსაც არავითარი სხვა კანონი არა სწამს, გარდა გონების კანონისა, და ყოველს კანონსა და ჩვეულებაზე მაღლა სდგას.

თვითონ სტოელები თავისი საკუთარი ცხოვრების მაგალითით ცდილობდენ თვალსაჩინოდ გაეხადათ საზოგადოებისათვის ნამდვილი ბრძენის ტიპი, თუმცა მის სრულ განხორციელებას სავსებით ვერას დროს ვერ ახერხებდენ.

ეპიკურეიზმი მეორე მიმართულება იყო, რომელიც იმავე დროს შემუშავდა, როდესაც სტოიციზმი ვითარდებოდა. მისი დამაარსებელი ათენელი **ეპიკური** იყო (დაიბადა 342 წ. ქ. დ.). ისე როგორც სტოიციზმი, ეპიკურეიზმიც პრაკტიკულ ფილოსოფიის, **ეთიკის** საკითხებს ამუშავებდა, და ამის მიხედვით მისი მთავარი საკითხიც ადამიანის მოქმედების უმთავრესი მიზნის განმარტებაში მდგომარეობდა. სტოელებისა არ იყოს, ადამიანის ცხოვრების მიზანს ეპიკურიც უმაღლეს **ნეტარებაში** სჭვრეტდა, მაგრამ ეს ნეტარება, მისი აზრით, **სიამოვნებაში** მდგომარეობდა.

მაგრამ როგორ ესმოდა მას ეს სიამოვნება?

ადამიანმა შეიძლება მრავალგვარი სიამოვნება განიცადოს, მაგრამ მათ შორის დიდი განსხვავებაა: ზოგი სიამოვნება უფრო ხანგრძლივი და მტკიცეა, ზოგი კიდევ ხანმოკლე და ცვალებადი; არის სიამოვნება, რომელსაც შედეგად უსიამოვნება მოჰყვება ხოლმე, და არის მცირე უსიამოვნება, რომელიც ზოგჯერ დიდ სიამოვნებას გვიმზადებს. ეპიკურის აზრით ნეტარებას მხოლოდ ხანგრძლივი და მტკიცესი ამოვნება იძლევა. მაგრამ ასეთი სიამოვნების ამოსარჩევად ჭკუა და ჩაფიქრებაა საჭირო, თორემ უამისოდ ადვილად შეიძლება, ისეთი მცირე

უსიამოვნებას იმგვარი სიამოვნების განცდა ვარჩიოთ, რომელსაც შედეგად დიდი ტანჯვა მოჰყვება. ყველაზე უფრო მტკიცედ და ხანგრძლივად ეპიკურს **სულიერი სიამოვნება** მიაჩნია. ამიტომაც, მისი აზრით, გაცილებით უფრო სასიამოვნოა სხვებს გაუწიო სიკეთე და სამსახური, ვიდრე თვით მიიღო მათგან ასეთი.

რაც შეეხება ჩვეულებრივს, სხეულის სიამოვნებათ, ეპიკურის აზრით, ამ შემთხვევაში საუკეთესო გზად **ზომიერება** უნდა ჩაითვალოს, ჩვენ უნდა შეგვეძლოს თავი შევიკავოთ იქ, სადაც ეს საჭიროა, და ამის გამო უსიამოვნება და ტანჯვა არ განვიცადოთ.

ამგვარად, დიდი შეცდომაა, როდესაც ეპიკურეიზმს აღვირახსნილი წუთიერი სიამოვნებისა და მხიარულების ფილოსოფიად სთვლიან. პირიქით, ჩვენ ვხედავთ, რომ ეპიკურეიზმის შეხედულებით, ასეთი წუთიერი სურვილების აყოლამ შეიძლება ყველაფერი მისცეს ადამიანს, ხოლო ნამდვილ **ნეტარებას** იგი არას დროს არ უზრუნველჰყოფს.

ავგუსტუსის საგარეო პოლიტიკა. საერთოდ ავგუსტუსის დროს იმპერიის საზღვრებზე მყუდროება იყო. გამონაკლისს **ისპანია** და, განსაკუთრებით, **გერმანიის საზღვრები** შეადგენდენ. თავისუფლების მოყვარული ისპანიის ტომები რომის ბატონობას ვერ ურიგდებოდენ და რამდენიმე აჯანყება მოაწყვეს. იმპერატორი მთავარსარდლობის ნიჭს თვითონ ვერ დაიჩემებდა, მაგრამ, სამაგიეროდ, მას ისეთი ნიჭიერი თანამშრომელი ჰყავდა, როგორიც მისი სიძე, **აგრიპა** იყო. ამ უკანასკნელმა, მართალია, გაჭირვებით, მაგრამ მაინც მოახერხა ისპანიის დაწყნარება.

გერმანელები ხშირად ესხმოდენ რომის საზღვრებს. მაგრამ განსაკუთრებით სახიფათო **არმინიუსის** თავდასხმა იყო, რომელმაც **ტევტობურგის ტყეში** (9 წ. ქ. შ.) რომაელების მთელი ლაშქარი, **ვარუსის** მეთაურობით, სულ ერთიანად გაჟლიტა. მაგრამ ტიბერიუსისა და გერმანიკუსის ცდით გერმანელთა ურდოებს წინსვლა კარგა ხნით შეჩერებულ იქმნა.

იყო ომები დუნაის მხარეზეც, სადაც განსაკუთრებით **პანონე-ბი** და **დალმატები** გაძლიერდენ.

გერმანელ მზედრების ბრძოლა რომაელ ლეგიონებთან.

2. **ტიბერიუსი.** ავგუსტუსი 14 წელს ქ. შ. გარდაიცვალა. მას ამ შემთხვევისათვის არავითარი განკარგულება არ მოუხდენია, და სენატმა იმპერატორობა ოკტავიუსის ნაშვილევს, 55 წლის **ტიბერიუსს** მიაწოდა. ტიბერიუსი თავისი მამობილის გზას დაადგა. იგი განსაკუთრებული პატივისცემით

და ყურადღებით ეპყრობოდა სენატს, და მისი ძალაუფლება კიდევ უფრო გაფართოვდა: **სახალხო კრებას მაგისტრატების არჩევისა და კანონმდებლობის უფლება ჩამოართვა და სენატს გადასცა; ასე რომ ტიბერიუსის დროს სახელმწიფოს მთელი ძალაუფლება მარტო იმპერატორისა და სენატის ხელში იმყოფებოდა;** მაგრამ რაკი თვით სენატი იმპერატორის გავლენას ემორჩილებოდა, არსებითად სახელმწიფოს ბატონ-პატრონად ტიბერიუსი უნდა ჩათვლილიყო. ამგვარად, **მონარქიის განმტკიცების პროცესში ტიბერიუსმა კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა წინ.**

განსაკუთრებული მზრუნველობით ტიბერიუსი **პროვინციებს** ეპყრობოდა. თავის მოადგილეებად ყველგან სანდო პირებს გზავნიდა, პროვინციელებს გადასახადებს არ უდიდებდა და გაჭირვების დროს ყოველგვარ დახმარებას უწევდა. პროვინციელები დიდად აფასებდენ იმპერატორის ასეთ დამოკიდებულებას, და იყო შემთხვევები, რომ სენატის ზოგმა პროვინციამ მოისურვა, რათა იგი იმპერატორის პროვინციათა რიცხვში ყოფილიყო შეტანილი.

ტიბერიუსის დროს მთელი საიმპერატორო გვარდია რომში იქმნა გადმოყვანილი. **ამ გარემოებამ, რა თქმა უნდა, კიდევ უფრო ასწია გვარდიის პრეფექტის მნიშვნელობა.** ამ თანამდებობაზე იმპერატორს უბრალო შთამომავლობის კაცი, **სეიანუსი** ჰყავდა, რომელმაც ფარულ მიზნად ტიბერიუსის მთელი ოჯახობის ამოწყვეტა და მერე იმპერატორობის მიღება დაისახა. სეიანუსი ყველას სძულდა და ტიბერიუსის მოწინააღმდეგეთა ჯგუფი დღითი-დღე იზრდებოდა. სეიანუს, იმპერატორის წინაშე ჯაშუშობდა და ისეღაც იქვიან ტიბერიუსს ეხლა ყველგან ლალატი ელანდებოდა. 26 წელს მან სრულიად მიატოვა რომი და კუნძულს **კაპროზე** გადასახლდა, საიდანაც თავისი მტრების წინააღმდეგ განკარგულებას ახდენდა. ტიბერიუსმა ე. წ. **დიდებულების შეურაცხყოფის კანონს** მიმართა, რომლის ძალითაც წინად, ვინც-კი რომის ხალხს შეურაცხყოფას მიაყენებდა, ან ულალატებდა და სხვ.,

ყველას ქონებას ართმევდენ და სამშობლოდან აძევებდენ. ტიბერიუსმა ეს კანონი ყველაზე გაავრცელა, ვინც ეხლა იმპერატორის სახელს აყენებდა შეურაცხყოფას. რომში ჯაშუშობა გავრცელდა, და დიდებულების შეურაცხყოფის კანონის მსხვერპლად მრავალი რომაელი შეიქმნა.

ბოლოს ტიბერიუსი სეიანუსს განზრახვებს მიუხვდა და მისი სიკვდილით დასჯა ბრძანა. სენატმა ეს განკარგულება სიამოვნებით შეასრულა. ტიბერიუსის რომიდან წასვლამ ერთი მნიშვნელოვანი შედეგი გამოიწვია. მის დროს სენატმა „ქალაქის კოჰორტების" (პოლიციის) უფროსობაც იმპერატორს გადასცა. ქალაქის ფრეფექტი ამის შემდეგ მეფის უახლოესი თანაშემწე შეიქმნა, ხოლო როდესაც იმპერატორმა რომი მიატოვა, ქალაქში ეს პრეფექტი ითვლებოდა მის მოადგილედ; ასე რომ ქალაქის პრეფექტურა უმნიშვნელოვანეს თანამდებობად გარდაიქცა.

საგარეო პოლიტიკა. როდესაც გერმანიისა და დუნაის საზღვრებზე მდგარმა ჯარმა ტიბერიუსის გაიმპერატორობის ამბავი გაიგო, თავისი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად აჯანყება მოახდინა; მაგრამ დუნაიზე იგი სეიანუსმა დააწყნარა, ხოლო რეინზე იმპერატორის დისწულმა **გერმანიკუსმა**, რომელსაც ლეგიონებმა ტიბერიუსის ჩამოგდება და გაიმპერატორობა შესთავაზეს. გერმანიკუსმა, რომელსაც ხალხიც და ჯარიც დიდის სიყვარულით ეპყრობოდა, ლეგიონები გერმანიისაკენ წაიყვანა და არმინიუსს ტევტობურგის ტყის დამარცხების სამაგიერო გადაუხადა.

ამ დროს რომს პართებთან გაუჩნდა საქმე, და გერმანიკუსი, ტიბერიუსის განკარგულებით, მათ წინააღმდეგ იქმნა გაგზავნილი. თვითონ გერმანულ ტომთა შორის არსებულმა განხეთქილებამ საშიში სახე მიიღო, და ეს ხალხი ერთი ხნით ძლიერ დაუძლურდა. ასე რომ ტიბერიუსს ამ მხრივ დიდი ჯარი აღარ ესაჭიროებოდა.

აღმოსავლეთში კი პართების ძლიერება დღითი-დღე იზრდებოდა და ტიბერიუსს მეტი სიფხიზლე სწორედ ამ მხრივ

ემართა. გერმანიკუსიც, რომელიც უნიჭიერეს სარდლად ითვ-ლებოდა, სწორედ აქეთ იქმნა გაგზავნილი. მაგრამ მას აქ მოღვაწეობა დიდხანს არ დასცალდა; რომში ფიქრობდენ, თითქოს იგი, ტიბერიუსის ბრძანებით, აღმოსავლეთის მმართ-ველმა პიზომ მოაკვლევინა, ნამდვილად-კი დღესაც არავინ იცის, რამდენად მართალი იყო ეს ხმა.

3. **კალიგულა, კლავდიუსი, ნერონი.** ტიბერიუსის მმართველობის დროს დაწყებული პროცესი იმპერატორთა ძალაუფლების ბოროტად ხმარებისა მისი მემკვიდრეების, კა-ლიგულას, კლავდიუსისა და ნერონის ბატონობის დროს დასრულდა. კალიგულა, გერმანიკუსის შვილი, რომელიც ტიბერიუსის ერთად-ერთ მემკვიდრედ ითვლებოდა, პირველ ხანებში ყველას კარგ იმედებს ულვიძებდა: დიდებულების კა-ნონის შეჩერება, პატიმართა განთავისუფლება და ღარიბ-ღა-ტაკთა დახმარება,— აი ის საქმეები, რომლითაც კალიგულამ თავისი მოღვაწეობა დაიწყო; მაგრამ არ გასულა დიდი ხანი, რომ იმპერატორის პოლიტიკა ძირიანად შეიცვალა. ეხლა მისს ერთად-ერთ მიზანს თავისი ძალაუფლებიანობის განუსაზ-ღვრელობის განმტკიცება შეადგენდა, და მისმა სისასტიკემ და ბოროტმოქმედებამ ყველას თავზარი დასცა. კალიგულა ნამდვილი გიჟი იყო. თუ რა მდგომარეობაში იყო მაშინ სა-ხელმწიფო, ეს იქიდანა სჩანს, რომ იმპერატორმა თავის ცხენს სპილოს ძვლის ბაგა გაუკეთა და მისს კონსულად დანიშვნას აპირებდა.

კალიგულას შემდეგ, რომელიც შეთქმულების მსხვერპ-ლი შეიქმნა, **კლავდიუსი** შეიქმნა იმპერატორად. მთელი მი-სი ბატონობის ხანას მისი ცოლის, ჯერ გარყვნილი მესალი-ნასი და შემდეგ აგრიპინას ინტრიგები ახასიათებენ, რომელ-საც თავისი შვილის, **ნერონის** გამეფება ჰქონდა მიზნად და-სახული. გადამწყვეტი მნიშვნელობა მის დროს აგრედვე **ლიბერტინების** გავლენასაც ჰქონდა: აგრიპინას გარდა რო-მის ფაქტიურ მმართველად ოთხი რჩეული ლიბერტინი იყო: სუსტი და უმოქმედო კლავდიუსი მათ ხელში უსულო სათა-მაშო საგანს შეადგენდა.

კლაუდიუსი, აგრიპინა, უმცრ. ლივია, ტიბერიუსი (ვენაში).

ამის მიუხედავად კლავდიუსის დროს მაინც რამდენიმე მნიშვნელოვანი საქმე გაკეთდა: 1. მონის მოკვლა ადამიანის მკვლელობად იქმნა მიჩნეული და დამნაშავე შესაფერისად უნდა დასჯილიყო. 2. რომში რამდენიმე მნიშვნელოვანი შენობა იქნა აგებული ან დაწყებული, მაგალ., ოსტიუმის ნავთსადგურის გადაკეთება, ახალი წყალსადენის გაყვანა და ფუცინუმის ტბის ნაწილის დაშრობა. 3. განსაკუთრებით საყურადღებო იყო კლავდიუსის მზრუნველობა პროვინციების შესახებ: **47. წ. მან გალებს სენატორობა მიანიჭა** და მოქალაქეთა რიცხვი თითქმის ერთი მილიონით გაამრავლა; პროვინციები ხელახლა გამდიდრდენ და თანდათანობით რომის ბატონობას შეურიგდენ. რომის მოქალაქეობის გავრცე-

ლებამ და რომაული ადგილობრივი მმართველობის დამკვიდრებამ პროვინციების სწრაფ რომანიზაციას ხელი შეუწყო: რომის კულტურა დასავლეთითა და აღმოსავლეთით სულ უფრო შორსა და შორს ვრცელდებოდა. აღსანიშნავია, რომ კლავდიუსის დროს პროვინციათა რიცხვს ახალი პროვინცია, **მავრიტანია** შეუერთდა. ამას გარდა **ბრიტანიის** სამხრეთი ნაწილიც რომის მფლობელობაში გადავიდა.

როდესაც აგრიპინამ კლავდიუსი მოაწამვლინა, ძალაუფლება იმპერატორის გვარდიის ხელში გადავიდა, რომელმაც იმპერატორად 17 წლის **ნერონი** გამოაცხადა. ნერონს ორი მნიშვნელოვანი აღმზრდელი ჰყავდა: **სენეკა** და **ბურუსი**. სენეკა სტოიციზმის ფილოსოფიური სისტემის მიმდევარი იყო და თავის მოწაფეზე ამ სისტემის მიხედვით ახდენდა ზეგავლენას. მის ნაწარმოებთა შორის განსაკუთრებით მისი **დიალოგები** (12 წიგნი) და წერილებია (20 წიგნი) აღსანიშნავი, სადაც სენეკა მუდამ ზნეობრივი საკითხების შესახებ მსჯელობს; მისი მორალი საერთოდ არსებული ზნეობის წინააღმდეგ არის მიმართული და ხშირად ქრისტეს მოძღვრებას უახლოვდება: მტრის პატიება და მისთვის სიკეთის ყოფა, გლადიატორების ასპარეზობის და ომის უარყოფა, ადამიანთა თანასწორობა და, მაშასადამე, მონათა სრულ-ღირებულიან ადამიანად აღსარება,—აი ის ზნეობრივი პრინციპები, რომელსაც სენეკა აღიარებდა და თავის მოწაფეს უთვალისწინებდა. გარდა ფილოსოფიური განათლებისა, ნერონმა ესთეტიური და ფიზიკური აღზრდაც მიიღო. ასე რომ მოსალოდნელი იყო, რომ რომს მისი სახით ხელახლა ღირსეული იმპერატორი მოევლინებოდა. მაგრამ მთელმა მისმა მოღვაწეობამ მალე დაამტკიცა, რომ აღზრდას მისი ხასიათის სუსტი მხარეები სრულიად ვერ შეენელებია.

ნერონი თვითნება, ულმობელი დესპოტის ნიმუშად ითვლება. მისი მმართველობა ორ ხანად იყოფა: პირველი ხუთეული წლის განმავლობაში იგი კარგ შთაბეჭდილებას სტოვებდა, თუმცა თავისი ხასიათის მთავარი მიმართულება, ულმობელობა და უმადურობა უკვე მაშინაც საკმაოდ გამოიჩინა: 18

წლის იყო, როდესაც კლავდიუსის შვილი, **ბრიტანიკუსი** მოაწამვლინა და შემდეგ საკუთარი დედა აგრიპა მოაკვლევინა. მაგრამ საერთოდ მაინც მისი პირველი სიტყვის შთაბეჭდილების ქვეშ იმყოფებოდენ, რომელიც მან თავის იმპერატორად არჩევის შემდეგ სენატში წარმოთქვა და რომელშიც სენატს ავგუსტუსის პოლიტიკის განახლებას პირდებოდა. პირველად თითქოს საქმე რიგზე მიდიოდა: გლადიატორების ასპარეზობის დროს მან გლადიატორის მოკვლა აკრძალა, ხოლო როდესაც ერთხელ სიკვდილის განაჩენი მიუტანეს ხელმოსაწერად, პათეტიურად წამოიძახა: „რა ბედნიერი ვიქნებოდი, რომ წერა არ მცოდნოდა!“ მაგრამ მდგომარეობა მალე შეიცვალა: ნერონმა სენეკა თავიდან მოიშორა და გარყვნილ ლიბერტინს, **ტიჰელინს** დაუახლოვდა, რომელსაც, ნერონის მეორე ცოლთან, **პოპეია საბინასთან** ერთად, იმპერატორზე ძლიერ ცუდი გავლენა ჰქონდა.

დიდებულების კანონი რომში ხელახლა ამოქმედდა და მრავალი რომაელი მსხვერპლად შეიწირა. სახელმწიფო საქმეებზე არავინ ზრუნავდა, რადგანაც თითონ იმპერატორი განდიდების მანიამ შეიპყრო და თავს დიდებულ არტისტად და გლადიატორად აცხადებდა: სხვა-და-სხვა გასართობებში იგი პირად მონაწილეობას ღებულობდა და ხალხის წინაშე ცირკსა და ამფითეატრში გლადიატორებთან იბრძოდა. 64 წელს რომში დიდი ცეცხლი გაჩნდა, რომელმაც თითქმის მთელი ქალაქი გაანადგურა. ხალხში ხმა გავრცელდა, ნერონმა თითონ ბრძანა ცეცხლის გაჩენა, რათა დიდებული სანახაობით დამტკბარიყო და შემდეგ ქალაქი თავის გემოზე გადაეკეთებიაო. თვით მთავრობამ-კი ცეცხლის გაჩენა ქრისტიანებს დააბრალა და ამ მიზეზით ყველა ქრისტიანის დატუსაღება ბრძანა. ბევრი მათგანი ხალხის გასართობათ არენაზე მხეცებთან ბრძოლაში დაიღუპა, ხოლო დანარჩენები ნერონმა კუპრში ამოავლებია და მათგან თავის ბაღში საჯარო სეირნობის დროს ცოცხალი ჩირაღდნები მოაწყობია. იმპერატორი უბრალო ხალხს მოსწონდა და უყვარდა კიდეც: ერთი მხრით, მისი მტრული განწყო-

ბილება არისტოკრატიისადმი, ხოლო, მეორეს მხრივ, ხშირი გასართობები, რომელსაც იგი ხალხს უმართავდა, რომის უსაქმო და ზარმაც ბრბოს სიყვარულის დასამსახურებლად სრულიად საკმარისი იყო. მაგრამ მტრები მაინც ბევრი ჰყავდა იმპერატორს; მოაწყო შეთქმულება, რომელმაც ნერონი აიძულა, რომიდან გაქცეულიყო. სენატმა მისი გადაყენება და დატუვევება გადასწყვიტა. როდესაც ნერონი დარწმუნდა, რომ მისი საქმე წასულიყო, საკუთარი ხელით და თავისი საყვარელი ლიბერტინის დახმარებით თავი მოიკლა (68 წ.).

ფ ლ ა ვ ი უ ს ე ბ ი.

ლეგიონთა ბატონობა. ნერონის სიკვდილის შემდეგ სახელმწიფოს ბატონ-პატრონობა პრეტორიანთა გვარდიისა და ლეგიონების ხელში იყო. ლეგიონებს თავ-თავისი კანდიდატები ჰყავდათ იმპერატორის თანამდებობაზე და მთელი წლის განმავლობაში ერთმანეთს ებრძოდენ. ერთის მხრივ ისპანიის ჯარები, მეორეს მხრივ გერმანიის ლეგიონები და, ბოლოს აღმოსავლეთის—ყველანი თავისი უფროსის გაიმპერატორობას ცდილობდენ. ერთი წლის ბრძოლის შემდეგ აღმოსავლეთის ლეგიონებმა გაიმარჯვეს და იმპერატორად თავისი 60 წლის მოხუცი სარდალი **ვესპასიანუს ფლავიუსი** აირჩიეს. აღსანიშნავია, რომ ვესპასიანუსი სულ უბრალო შთამომავლობის კაცი იყო. მაგრამ რაკი იმპერატორობა ლეგიონთა სურვილზე შეიქნა დამოკიდებული, ცხადი იყო, რომ შთამომავლობას ეხლა აღარავითარი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონოდა.

ვესპასიანუსი თავის წინამოადგილეთა სრულს წინააღმდეგობას წარმოადგენდა. თუ კალიგულა და ნერონი სახელმწიფოს კეთილდღეობაზე აღარ ფაქრობდენ და თავისი და ბრბოს ულირსი გრძნობების დასაკმაყოფილებლად სახელმწიფო ქონებას ფლანგავდენ. ვესპასიანუსმა თავის მთავარ მიზნად სახელმწიფოს შერყეული ფინანსიური მდგომარეობის გაუმჯო-

ბესება დაისახა: თვითონ თავისი საჭიროებისათვის იგი ძლიერ ცოტას ჰხარჯავდა და თვით სახელმწიფოს ხარჯებშიც დიდ მომჭირნეობას იჩენდა. სამაგიეროდ სახელმწიფოს შემოსავალი საკმაოდ გააძლიერა: იგი პროვინციების შესახებ ზრუნავდა და მათს ქონებრივ გაძლიერებას ხელს უწყობდა; ეს-კი საუკეთესო საშვალება იყო სახელმწიფოს ხმზინის განსამტკიცებლად. გარდა ფინანსებისა, მას ჯარის შერყეული დისციპლინის აღსადგენადაც ენერგიული მუშაობა დასჭირდა.

მიუხედავად თავისი ხელმოჭერილობისა, ვესპასიანუსმა რომში დიდი საზოგადო სამუშაოები მოაწყო: კოლიზეუმი მის დროს აშენდა, რამდენიმე წყალსადენი და გზატკეცილი გაიყვანა და სხვ. ხალხის ზნეობის აღსადგენად მომჭირნეობისა და საქმიანობის მაგალითს თვითონ იძლეოდა და გასართობების მოწყობას ყოველთვის გაურბოდა.

ვესპასიანუსის დროს საგარეო საქმეთა შორის განსაკუთრებით საყურადღებო იუდეელთა დამარცხება იყო. მათი აჯანყება ჯერ კიდევ ნერონის დროს მოხდა, და როდესაც ლეგიონებმა იგი იმპერატორად გამოაცხადეს, ვესპასიანუსი იუდეელთა სატახტო ქალაქს, **იერუსალიმს**, რომელშიც მან მტრის მთელი ცოცხალი ძალა მოამწყვდია, ალყას არტყამდა; ქალაქის აღება თვითონ ვესპასიანუსმა ვერ მოასწრო და ეს საქმე თავის შვილს, ტიტუსს დაავალა. საშინელი წინააღმდეგობის მიუხედავად, იერუსალიმი მაინც დაეცა და თვით შესანიშნავი სოლომონის ტაძარიც-კი ცეცხლის მსხვერპლი შეიქმნა.

ვესპასიანუსის დროს გერმანიაში ბატავების მეთაურობით დიდი ამბოხება მოხდა, მაგრამ ესეც მალე იქმნა ჩაქრობილი.

ტიტუსი, რომელიც მამის მემკვიდრეობას დაეუფლა, სცდილობდა, სენატთან მუდამ კარგი განწყობილება ჰქონოდა. ამიტომაც სენატი მას კარგად ეპყრობოდა და „**კაცობრიობის ნუგეშისმცემელს და სიტკბოებას**“ უწოდებდა. ტიტუსის მმართველობის დროს, რომელიც სულ ორ წელიწადს გაგრძელდა, რომს ორი სტიქიური უბედურება ეწვია. ერთი იყო

ვულკანის **ვეზუვის** ამოხეთქა (79 წ.), რომელმაც ორი მშვენიერი ქალაქი: ჰერკულანუმი და პომპეი იმსხვერპლა. აქ დაიღუპა ბუნების-მეტყველი **პლინიუსი**, რომელიც, მეცნიერული ცნობისმოყვარეობით გატაცებული, ვულკანთან მეტად ახლო მივიდა; ხოლო მეორე უბედურება ის დიდი ცეცხლი იყო, რომელმაც ბრავალი შენობა გადასწვა.

ტიტუსის თაღი რომში.

ვესპასიანუსის სიკვდილს შემდეგ იუდელეებთან ომის სამახსოვრად აგებული.

დომიციანუსი, ტიტუსის მემკვიდრე, ცუდ განწყობილებაში იყო სენატთან. ამიტომ მას არისტოკრატია დიდ წინააღმდეგობას უწევდა, და იგიც მასთან ბრძოლაში არავითარ ზომას არ ერიდებოდა: დიდებულების შეურაცხყოფის კანონი ხელახლა ამოქმედდა და მრავალი რომაელი იმსხვერპლა. მის შინაურ პოლიტიკაში აღსანიშნავია მზრუნველობა სასამართლოს გაუმჯობესებისა და მეცნიერებისა და ხელოვნების შესახებ. მან ბრძანება გასცა, ხელახლა გადაეწერათ ალექსანდრიის ბიბლიოთეკაში დაცული ხელთნაწერები, რომელნიც რომის გადაწვის დროს დაიღუპენ. მის დროს რომში განსაკუთრებით გაცხოველდა სალიტერატურო და სამუსიკო შეჯიბრება.

საგარეო პოლიტიკაში დომიციანუსს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ **ბრიტანიის** დაპყრობას, რომელიც მისმა სარდალმა **აგრიკოლამ** დაამთავრა, ბედი არ სწყალობდა: მას უნაყოფო ომები ჰქონდა, ერთის მხრივ, გერმანელებთან და, მეორეს მხრივ, **დაკიელებთან**, რომელნიც მდ. დუნაის გადმოსცილდენ და რომაელთა პროვინციაში (**მეზიაში**) დასახლდენ. ამის მიუხედავად მან მაინც „გერმანიკუსის“ და „დაკუსის“ სახელწოდება მიიღო. დომიციანუსი შეთქმულების მსხვერპლი შეიქმნა, და გამარჯვებულმა სენატმა იმპერატორად თავისი კანდიდატი, ნერვა გამოაცხადა.

ანტონინუსები.

ნერვა, როგორც სენატის კანდიდატი, მთელი თავისი მმართველობის დროს (96-98) სენატის ხელმძღვანელობას ემორჩილებოდა; მაგრამ რადგანაც იმ დროინდელ რომში ჯარის სურვილების წინააღმდეგ სახელმწიფოს მართვა შეუძლებელი იყო, ნერვამ სარდალი **ველპიუს ტრაიანუსი** იშვილა, რომელიც ნერვას სიკვდილის შემდეგ საიმპერატორო ტახტზე ავიდა.

ტრაიანუსი (98-117) შთამომავლობით ისპანელი პრო-

ვინციელი იყო და, როდესაც ნერვა გარდაიცვალა, რეინის ლეგიონების სარდლად ირიცხებოდა. ეს პირველი შემთხვევა იყო, რომ რომის იმპერატორად პროვინციელი იქმნა არჩეული, მაგრამ რომს არ წაუგია: იგი არა მარტო პირველხარისხოვანი მხედართ-მთავარი იყო, არამედ შესანიშნავი ადმინისტრატორი და მოუდგომელი მოსამართლეც აღმოჩნდა. მისი სახით რომს ხელახლა დიდი იმპერატორი მოევლინა.

ტრაიანუსის მთელი გულისყური წვრილ მესაკუთრეთა და ღარიბ-ღატაკთა კეთილდღეობის შექმნისკენ იყო მიმართული. წვრილ მესაკუთრეებს იგი სახელმწიფო სესხს აძლევდა, ხოლო ამ სესხის პროცენტებს ისევ ღარიბების საკეთილდღეოდ ხმარობდა: მსესხებლებს პროცენტები თემისათვის უნდა ეძლიათ, რომელსაც ამ ფულით ღარიბ-ღატაკთა ბავშვების მოვლა და პატრონობა ევალებოდათ.

ტრაიანუსი ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა რომში მიუდგომელი **სამართალი** დაემკვიდრებია: „უკეთესია ასი დამნაშავე სასჯელს გადაურჩეს, ვიდრე ერთი უდანაშაულო დაისაჯოს-“ო, ამბობდა იმპერატორი და სასამართლოს საქმეებს ამ სიტყვების-და-მიხედვით აწარმოებდა.

საგარეო პოლიტიკაში ტრაინუსის მოღვაწეობა კიდევ უფრო ბრწყინვალედ მიმდინარეობდა. ტრანსილვანია და რუმინიაც მაშინ თრაკიის მკვიდრთა მონათესავე ხალხს, **დაკიელებს** ეკავათ, **რომელნიც** უკანასკნელ ხანებში რომაელთა დუნაის საზღვრებს მოსვენებას არ აძლევდენ. საჭირო იყო ამ საშიში მტრის ალაგმვა. მაგრამ ამისთვის თვითონ დაკიელების მიწა-წყალში შეჭრა იყო აუცილებელი. ტრაიანუსმა ორჯერ გაილაშქრა მათ წინააღმდეგ, გადალახა დუნაი და მთელი დაკია დაიმორჩილა; სტრატეგიულად მნიშვნელოვან ადგილებში რომაელი ახალშენები მოაწყო, გზები გაიყვანა და აქაური მადნეულობის დამუშავება დაიწყო. ყველა ამ ღონისძიებათა გამო რომის კულტურამ აქ იმდენად ფართოდ და ღრმად გაიდგა ფესვები, რომ ამ ქვეყნის დღევანდელი მკვიდრნი, **რუმინელები** თავისი ენითა და სახელწოდებითაც რომის ძლიერი გავლენის ცოცხალ მოწმედ უნდა ჩაითვალონ. ეს მოხდა 105 წელს. ამავე წელს იმპერატორმა აღმოსავლეთითაც ახალი პროვინცია, **არაბეთი** შემოიერთა.

მეორე დიდი ომი ტრაიანუსს აღმოსავლეთის უძლიერეს მტერთან, **პართებთან** ჰქონდა, რომელთაც მაშინ სომხეთი ეჭირათ. ტრაიანუსმა არა მარტო სომხეთის დაბრუნება დაისახა მიზნად, არამედ პართების ძლიერების სრული დამხობაც. ომი დიდის წარმატებით მიმდინარეობდა: სულ მოკლე ხნის განმავლობაში რომის ჯარმა **სპარსეთის ყურეს** მიაღწია. იმპერატორი ამ ომის დროს გარდაიცვალა.



ტრაიანუსის კოლონა (დღევანდელ სახით)

ტრაიანუსის მოღვაწეობის ერთ-ერთ მხარეს მისი რომის გამშვენიერებისთვის და სასარგებლო შენობათა აგებისათვის

ზრუნვა შეადგენდა. რომის უმშვენიერესი უბანი (კაპიტოლიუმსა და კვირინალს შუა) სწორედ მის დროს აივსო ხუროთმოძღვრების წარმტაცი ძეგლებით, რომელთა შორისაც ერთმა, ე. წ. **ტრაიანუსის სვეტმა** ჩვენამდისაც მოაღწია. ტრაიანუსმა ეს სვეტი დაკიის დაპყრობის სახსოვრად აგო; იგი თეთრი მარმარილოსაგან არის ნაკვეთი და სიმაღლით 12 საჟენამდეა. მისი ბარელიეფები, რომელნიც დაკიელთა ომების სცენებს შეიცავენ, ამ ხალხის სამხედრო ყოფა-ცხოვრების შესასწავლად ძვირფას მასალას შეადგენენ.

ჰადრიანუსი, შთამომავლობით ესპანელი იყო. უშვილო ტრაიანუსმა იგი თავის მემკვიდრედ აირჩია. ჰადრიანუსი ნიჭიერი ადმინისტრატორი აღმოჩნდა და მთელი თავისი მოღვაწეობა იმპერიაში მშვიდობიანობის დამკვიდრებასა და განათლების გავრცელების საქმეს მოანდომა. თვითონ ჰადრიანუსი ძლიერ განათლებული კაცი იყო და დიდი ცოდნის ინტერესები ჰქონდა. მისი მიზნების განსახორციელებლად წესიერებისა და მშვიდობიანობის დამყარება იყო აუცილებელი. ამიტომ მან ტრაიანუსის მიერ დაპყრობილ ადგილებზე, გარდა არაბეთისა, ყველაზე უარი განაცხადა, რათა ამ სახით შემცირებული იმპერიის საზღვრები უკეთ გაემაგრებია. მას საჭიროდ აღარ მიაჩნდა ისედაც უზარმაზარი სახელმწიფოს საზღვრების გაფართოება და მშვიდობიანობის დასამყარებლად აუცილებლად სთვლიდა, იმპერიის საზღვრები ისე გაემაგრებია, რომ რომისთვის ომის გამოცხადება ვერც ერთ მეზობელს ვერ გაებედა. ამ მიზნით მან თითქმის ყველა საზღვარზე მიუვალა სიმაგრეები აგო. განსაკუთრებით აღსანიშნავია ე. წ. „ჰადრიანუსის სანგარი“, რომელიც ბრიტანიაში დაბანაკებულმა სამმა ლეგიონმა ასი ვერსის მანძილზე აგო: იგი უზარმაზარ კედელს წარმოადგენდა, რომელსაც 300 კოშკი ჰქონდა, წინ ფართო და მაღალი თხრილი (სიღრმით ოთხსა და სიგანით ხუთ საჟენზე მეტი) იყო გაყვანილი, და უკან ჩვიდმეტი გამაგრებული ბანაკი მოწყობილი, რომელნიც მშვენიერის სამხედრო გზებით იყვნენ ერთი მეორესთან შეერთებულნი. ასე-

თავე სანგრები ააგებინა ჰადრიანუსმა მდ. რეინზე და დუნაიზეც.

თავისი ცოდნის წყურვილის დასაკმაყოფილებლად და ამ სიმაგრეების აგების თვალყურის სადევნელად ჰადრიანუსი რომის იმპერიის ყველა კუთხეში მოგზაურობდა. თვისი 21 წლიანი მეფობის დროს 14 წელი მან ასეთ მოგზაურობას მოანდომა. სადაც-კი მივიდოდა ეს საკვირველი იმპერატორი, თავის კვალს ყველგან სტოვებდა, რადგანაც თან მრავალი ხუროთმოძღვარი და ხელოსანი მუშები ჰყავდა, რომელნიც ყველგან სხვადასხვაგვარ შენობებს აგებდენ: გალიაში, გერმანიაში, ბრიტანიაში, აფრიკაში, ისპანიაში, მცირე აზიაში, საბერძნეთში, სირიასა და მესოპოტომიაში, ყველგან შეხვდებით ჰადრიანუსის ძეგლთა ნანგრევებს.

რასაკვირველია, ამ მხრივ არც თვითონ რომი შეადგენდა გამონაკლისს: ჰადრიანუსის აქაურ შენობათა შორის განსაკუთრებით საყურადღებოა უზარმაზარი მავზოლეუმი, რომელიც დღეს სიმაგრედ არის გადაკეთებული. თუ რაიმე საყურადღებო ძეგლს შეხვდებოდა თავის მოგზაურობის დროს, ჰადრიანუსი ყველა მათს პირს ამზადებინებდა და ყველაფერს ამას თავის ახლად აგებულ ვრცელ სასახლეში ინახავდა.

ამ იმპერატორის შინაური პოლიტიკა ყველაფერში კაცთმოყვარეობის დაღს ატარებდა: მან საგრძნობად გააუმჯობესა მონებისა და დედაკაცის უფლებრივი მდგომარეობა და აღკრძალა ადამიანის მსხვერპლად შეწირვის ჩვეულება ყველგან, სადაც იგი ჯერ კიდევ არ იყო მოსპობილი.

იმპერატორის კანცელარია, როგორც ვიცით, სასახლეში იყო მოთავსებული და იქ ლიბერტინები მსახურობდენ. ჰადრიანუსმა იგი სახელმწიფო დაწესებულებად გახადა და მოხელეებად ლიბერტინების მაგივრად მხედრები დანიშნა. შეიცვალა „იმპერატორის საბჭოს“ შემადგენლობაც: ცნობილს სამართლის მცოდნეთ და სენატორებს იქ მაღალი თანამდებობანი მიეცათ. ამას გარდა **131 წელს ჰადრიანუსმა რომის კანონების პირველი კოდიფიკაცია გამოაქვეყნა.**



პატრიოტული ხიდლიდან.

ამ კაცთმოყვარე იმპერატორს სიმკაცრეც ეხერხებოდა, როდესაც ეს საჭიროდ მიაჩნდა. როდესაც იერუსალიმში, სამხედრო ახალშენის მოწყობის გამო, რომის წინააღმდეგ მთელი იუდეა აჯანყდა, ჰადრიანუსმა იქ ლეგიონები გაგზავნა და სამი წლის განწირული ბრძოლის შემდეგ ისეთი საშინელი შურისძიებით გაანადგურა ეს ქვეყანა, რომ ის მცირე ნაწილი ებრაელებისა, რომელიც სიკვდილს ან მონობას გადაურჩა, საბოლოდ აქეთ-იქით მიმოიფანტა (135 წ. ქრ. შემდეგ).

ანტონინუს პიუს და მარკუს ავრელიუსი. ჰადრიანუსის შემდეგ იმპერატორად, თანახმად ჰადრიანუსის სურვილისა, ავრელიუსი ანუ ანტონიუს პიუსი შეიქმნა. მისი 23 წლის იმპერატორობის განმავლობაში იმპერიის მშვიდობიანობა თითქმის არას დროს არ დარღვეულა. იგი მუდამ კარგს განწყობილებაში იყო სენატთან და თავისი კაცთმოყვარეობით ყველგან სახელი გაითქვა.

მისი სიკვდილის შემდეგ იმპერატორობა მისმა ს ი ძ ე მ და ნაშვილევმა, **მარკუს ავრელიუს ფილოსოფოსმა** მიიღო, რომელიც თავის ფილოსოფიურ ნაწერებში სტოიკიზმის მოძღვრებას აღიარებდა. მას ორი მოავარი დევიზი ჰქონდა: ერთი იყო უარყოფა ყოველგვარი სიამოვნებისა, გარდა იმ სიამოვნებისა რომელსაც ადამიანს მოვალეობის სინდისიერი შესრულება ანიაებს, ხოლო მეორე—სრული მშვიდობიანობის დაცვა იყო. მაგრამ მარკუს ავრელიუსის ცხოვრება ისე მოეწყო, რომ მან ამ დევიზების საწინააღმდეგო მიმართულება მიიღო: მარკუს ავრელიუსს თანამმართველად **ლუციუს ავრელიუს ვერიუს** ჰყავდა აყვანილი, რომელიც უსაზღვრო სიამოვნებას ეძლეოდა, მართავდა ქეიფს და დიდ ფულს ხარჯავდა. მეორეს მხრივ, მიუხედავად იმპერატორის მშვიდობიანობის დამყარების სურვილისა, სწორედ მისი იმპერატორობის დროს რომს მრავალი ომის წარმოება მოუხდა. ისპანიაში, გალიასა და ბრიტანიაში აჯანყება დაიწყო. აღმოსავლეთით-კი პართების მეფე ხელახლა ამოძრავდა, მან დაამარცხა რომაელების ლეგიონები და მცირე აზიას დაუწყო მუქარა. მარკუს ავრელიუსი იძულებული შეიქნა, მის წინააღმდეგ ჯარები გაეგზავნა, და მცირე ხნის განმ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მავლობაში იგი სასტიკად დაამარცხა: სომხეთი ისევ რომს დაუბრუნდა.

იმპერატორს უკვე მშვიდობიანობის (დამყარების იმედი გაელვიძა, რომ უეცრად რომის საზღვრებს გერმანელი ტომები (კვადები და მარკომანები) დაესხენ. იმპერატორი მათ წი-

მარკუს ავრელიუს და მარკომანების მეფის შეწყალება.

ნაალმდეგ თვითონ გაემგზავრა. მაგრამ ომის დასრულებას ვერ მოესწრო, რადგანაც **ვინდობონაში** (ვენაში) ავად გახდა და გარდაიცვალა.

კომოდუსმა, მარკუს ავრელიუსის შვილმა, მამის სიკვდილის შემდეგ რომში კვლავ ნერონის ბატონობის დროის უსაშინელესი მდგომარეობა განაახლა. 12 წლის განმავლობაში მთელი სახელმწიფო იტანჯებოდა ამ თვითნება დესპოტის ბატონობის ქვეშ. ბოლოს, როგორც იქმნა, შეთქმულების წყალობით იგი თავიდან მოიკილეს.

კ ო მ ო დ უ ს ი (ქერკულესად გამოწყობილი).

ჯარის ბატონობისა და ანარქიის ხანა (192-384).

მესამე საუკუნის განმავლობაში რომში საშინელი არევ-დარევა დაიწყო. არ იყო ძალა, რომელსაც წესიერი სახელმწიფო ცხოვრების ხელმძღვანელობა შესძლებოდა. პრეტორიანთა გვარდია წინედაც გრძნობდა თავის ძალას, მაგრამ მაშინ მისი თვითნებობა იმპერატორის არჩევით ისაზღვრებოდა, რომელსაც შემდეგში საერთოდ თვითონაც ემორჩილებოდა. კომოდუსის შემდეგ-კი იმპერატორის თანამდებობა გვარდიელებმა ვაჭრობის საგნად გახადეს: ვინც მეტს მისცემდა, იმპერატორადაც მას აცხადებდენ. ამ უწესოების ფერხულში პროვინციის ლეგიონებიც ჩაებენ. მათაც თავის კანდიდატები ჰყავდათ საიმპერატორო ტახტზე, და ამგვარად თითქმის მთელი საუკუნის განმავლობაში რომის საიმპერატორო ტახტზე ასვლა მხოლოდ ფულით, ძალმომრეობითა და სისხლის ღვრით შეიქმნა შესაძლებელი. მთელს სახელმწიფოში აღვირახსნილი ჯარისკაცები დანავარდობდენ და ყველგან ბატონად გრძნობდენ თავს. თორმეტი წლის განძავლობაში ოცდაცხრა იმპერატორი თუ იმპერატორის შვილი იქმნა მოკლული.

ასეთ პირობებში იმპერიის ძლიერება, რა თქმა უნდა, აღარავის აღარ აშინებდა, და რომის პროვინციები მტრების სათარეშო ასპარეზად გარდაიქცენ. განსაკუთრებით ხშირი შეიქმნა რეინისა და დუნაის მხრით გერმანელი ტომების თავდასხმა და ნავარდი; იგინი ისე შორს შემოიჭრენ სახელმწიფოს საზღვრებში, რომ თვით იტალიასაც-კი ემუქრებოდენ. აღმოსავლეთში პართების სახელმწიფო სასანიანთა სამეფო გვარის ხელში გადავიდა და იქ ძლიერი ახალი სპარსეთის მონარქია დაარსდა, რომელმაც რომაელებს აღმოსავლეთი პროვინციები ჩამოართვა, მაგ., სირია. თვით პროვინციებში რომის პატივისცემა და შიში აღარავის ჰქონდა (სრული მოქალაქობრივი უფლებები პროვინციელებმა 211 წელს მოიპოვეს, თანახმად იმპერატორის კარაკალას ედიკტისა); თითოეული მათგანი თავის იმპერატორს ნიშნავდა და სრული განცალკევებისაკენ

მიისწრაფოდა. ყველაფრიდან ნათლად ჩანდა, რომ რომი თავისი არსებობის უკანასკნელ წუთებს უახლოვდებოდა; მაგრამ 284 წელს რომის იმპერატორობა **დიოკლეტიანეს** ხელში გადავიდა, რომელმაც სახელმწიფოში ძირითადი რეფორმები შემოიღო და რომის არსებობა კიდევ რამდენიმე საუკუნით უზრუნველჰყო.



სეპტ. სევერუსის ტრიუმფალური თაღი რომში.

B. აბსოლუტიზმი და ქრისტიანობის გავრცელება (285—395)

დიოკლეტიანე (285—305) **და ტეტრარქია.** დიოკლეტიანე უბრალო შთამომავლობის იყო და იმპერატორის ტახტს მხოლოდ თავისი მოწინააღმდეგეების დამარცხების შემდეგ მიაღწია. მთელი თავისი იმპერატორობის დროს მან საოცარი ნიჭი და გამჭრიახობა გამოიჩინა და ნათლად შეიგნო ის მთავარი მიზნები, რომელთა განხორციელებაც იმ დროინდელი რომის არსებობისა და განმტკიცებისათვის იყო საჭირო. რომს საზღვრების გაფართოება აღარ ესაჭიროებოდა; აუცილებელი იყო არსებული საზღვრების უზრუნველყოფა, ჯარში ჩამოქვეითებული დისციპლინის აღდგენა, ანარქიის მოსპობა, ძლიერი მთავრობის შექმნა და ეკონომიური და ფინანსიური გაჭირვების მოსპობა. თავისი მართველობა ახალმა იმპერატორმა წესიერების აღსადგენად ენერგიული მოღვაწეობით დაიწყო. იგი ნათლად ხედავდა, რომ რომი ორის ძირითადად განსხვავებული ნაწილისაგან შესდგებოდა: ერთი იყო დასავლეთი, სადაც რომაული კულტურული გავლენა სჭარბობდა, და მეორე— აღმოსავლეთი, რომელიც უფრო ბერძნულის, ელინისტური კულტურის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა.

ამ ორი ნაწილის წესიერი მართვა-გამგეობისთვის განსხვავებული ზომების მიღება იყო საჭირო, და დიოკლეტიანემ 286 წელს ამხანაგად და თანამართველად თავისი მეგობარი, **მაქსიმიანუსი** დანიშნა, რომელსაც მალე **ავგუსტუსის** სახელწოდება უბოძა და დასავლეთის პროვინციებში წესიერების აღდგენა დაავალა; თვითონ დიოკლეტიანე-კი აღმოსავლეთს წავიდა და თავის თავზე იქაური საქმეების ხელმძღვანელობა მიიღო. ამგვარად რომში ორი იმპერატორი გაჩნდა, რომელნიც სახელმწიფოს განსხვავებულ ნაწილებს განაგებდენ.

ამის მიუხედავად მათ შორის სრული ერთსულოვნობა იყო დამყარებული, და მაქსიმიანუსს ერთხელაც არ უცდია, დიოკლეტიანეს გადადგომოდა და თავისი დამოუკიდებელი პო-

დიოკლეტიანე.

ლიტიკა ეწარმოებია. არსებითად აღმოსავლეთშიც და დასავლეთშიც დიოკლეტიანეს პოლიტიკა ბატონობდა. აღმოსავლეთის საქმეები მალე მოწესრიგდა: დიოკლეტიანე, რომელიც **ნიკომედიაში** ცხოვრობდა, როგორც ისეთ პუნქტში, საიდანაც არა მარტო აღმოსავლეთის, არამედ დასავლეთის ამბების ყურისგდებაც შეიძლებოდა, პირველად სპარსელების წინააღმდეგ ამოქმედდა; სპარსელები იძულებულნი შეიქმნენ, ევფრატის აქეთ მდებარე ადგილები დაეცალათ და თავის საზღვრებს დაბრუნებოდენ; სომხეთი კვლავ რომაელების მფარველობაში გადმოვიდა და სპარსელების წინააღმდეგ მიმართულ რომაულ ავანპოსტად გარდაიქცა. წესიერება სირიაშიც აღდგენილ იქმნა. დასავლეთით მაქსიმიანუსი (მისი რეზიდენცია ტრირი იყო) გერმანელი ტომების წინააღმდეგ იბრძოდა. თვით გერმანელთა შინაური ომების გამო მაქსიმიანუსის მო-

ღვაწეობა დიდის წარმატებით დაგვირგვინდა. აღსანიშნავია ოღონდ, რომ ავგუსტუსის წინააღმდეგ ფლოტის უფროსი, **კარასიუსი** აჯანყდა და ბრიტანიაში გამაგრდა. მან თავი დამოუკიდებელ მმართველად გამოაცხადა და მართლაც მთელი შვიდი წლის განმავლობაში ბრიტანიას დამოუკიდებლად განაგებდა.

რათა იმპერატორობის მემკვიდრეობის საკითხში წესრიგი შეეტანა, დიოკლეტიანემ გადასწყვიტა, თითოეულს იმპერატორს თითო თანაშემწე დანიშნოდა, რომელსაც იმპერატორის გადადგომის ან გარდაცვალების შემდეგ მისი ადგილი უნდა დაეკავებია; თვით იმპერატორს-კი განსაზღვრული ხნის მართველობის შემდეგ იმპერატორობაზე უარი უნდა განეცხადებია და თავისი ადგილი თანაშემწისათვის დაეთმო. ამ მიზნით დიოკლეტიანემ 293 წელს თავის თანაშემწედ **გალერიუსი** დანიშნა, ხოლო მაქსიმიანუსის თანაშემწედ **კოსტანციუს ქლორუსი** იქმნა გამოცხადებული. მოხდა ხელახალი განაწილება იმპერიისა, რომლის მიხედვითაც დიოკლეტიანეს აზიის პროვინციები, ეგვიპტე და თრაკია შეხვდა, გალერიუსს— დანარჩენი ნაწილი ბალკანეთისა და დუნაის პროვინციები; მაქსიმიანეს იტალია, ისპანია და აფრიკა გადაეცა, ხოლო მის თანაშემწეს, კონსტანციუსს—გალიის პროვინციები. დიოკლეტიანეს და მაქსიმიანეს ორივეს **ავგუსტუსი** ეწოდებოდათ, ხოლო მათ თანაშემწეებს—**კეისრები**. პროვინციების ასეთი განაწილება სრულიად არ ნიშნავდა თვით სახელმწიფოს განაწილებასაც; პირიქით, სახელმწიფოს მთლიანობა სავსებით დაცული იყო: კეისრები ავგუსტუსებს ემორჩილებოდენ და მათ მიერ განსაზღვრული უფლებებით იყვნენ აღჭურვილნი, ხოლო თვით ავგუსტუსებს შორის დიოკლეტინეს, როგორც უფროსს, გადამწყვეტი მნიშვნელობა და გავლენა ჰქონდა.

გარდა აღნიშნული რეფორმისა დიოკლეტიანემ სრული წესიერების აღსადგენად და ძლიერი მთავრობის შესადგენად სახელმწიფოს მართვა-გამგეობის საქმეში სხვა ძირითადი ცვლილებებიც შეიტანა: ავგუსტუსიდან დაწყებული, სახელმწიფოს სათავეში იმპერატორს გარდა სენატიც იდგა, ასე რომ რომში

ერთგვარი **დიარქიული** წესი იყო შემოღებული. მაგრამ თვით სენატის შემადგენლობის შეცვლასთან ერთად ამ დაწესებულების მნიშვნელობაც მცირდებოდა, ასე რომ ბოლოს და ბოლოს იმპერატორები მას არავითარ ანგარიშს აღარ უწევდენ, ხოლო თვით სენატს არავითარი ძალა არ ჰქონდა, თავისი უფლებები დაეცვა. დიოკლეტიანემ ოფიციალურად დააკანონა ის, რაც თავის თავად უკვე მოხდარი ფაქტი იყო: მან სენატს სახელმწიფო ძალაუფლება სრულიად ჩამოართვა და იგი მხოლოდ სახელმწიფო სათათბიროდ გარდააქცია. მთელი სახელმწიფოს უაღრესუფლებიანობა ეხლა იმპერატორის ხელში იყო, და კანონის ძალით, არც ერთი დაწესებულება არ არსებობდა, რომელიც მასთან ერთად სახელმწიფოს უმაღლეს ძალაუფლებას იზიარებდა. ამგვარად, **რომის აბსოლუტურ მონარქიად გარდაქმნის პროცესი** დიოკლეტიანეს დროს **დასრულდა.**

მთელი სახელმწიფო თორმეტს ცალკე ადმინისტრატიულ ერთეულად ე. წ. **დიეცესებად** იქმნა გაყოფილი. თითოეულ დიეცესში რამდენიმე პროვინცია გაერთიანდა. ამისგამო იტალიამ და კერძოდ რომმა თავისი ძველი უპირატესი მდგომარეობა დაჰკარგა და სახელმწიფოს ერთ-ერთს ჩვეულებრივ ერთეულად გარდაიქცა; ამ გარემოებამ თავისი გამოხატულობა იმაშიც ჰპოვა, რომ იტალია, რომელიც წინად მიწის გადასახადებისაგან განთავისუფლებული იყო, ეხლა ასეთ გადასახადებს სხვებთან ერთად იხდიდა. რომი სატახტო ქალაქად აღარ ითვლებოდა. მისი ადგილი აღმოსავლეთში **ნიკომედიამ** და დასავლეთში **მილანმა** დაიკავა. ამიტომ რომისა და მისი განაპირა უბნების წარმომადგენლად ეხლა ე. წ. **ქალაქის პრეფექტი** შეიქმნა.

დიოკლეტიანეს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საქმეს სამხედრო და სამოქალაქო მართველობათა განაწილება შეადგენდა. სამხედრო საქმეებისათვის ცალკე პირები იყვნენ დანიშნულნი: ე. წ. duces, ხოლო სამოქალაქო საქმეებს ე. წ. პრეტორიის პრეფექტები და მათი ვიკარიუსები (დიეცესების მართველები)

განაგებდენ. პრეტორიის პრეფექტი სამოქალაქო, საფინანსო და სასამართლო მართვაგამგეობას ხელმძღვანელობდა და უმაღლეს სახელმწიფო მოხელედ ითვლებოდა. ამათ მოსდევდა მთელი იერარქია მოხელეებისა, რომელთაც საგანგებო ტიტულები და სახელწოდება ჰქონდათ. ამგვარად, დიოკლეტიანეს დროს ის **ბიუროკრატიული წრე** შეიქმნა, რომელიც სახელმწიფოს მართვაგამგეობას ცენტრალისტურ ელფერს აძლევდა.

სამხედრო რეფორმებიც აუცილებელი იყო. დიოკლეტიანემ ჯარის რიცხვი საგრძნობლად გააფართოვა, მისი ორგანიზაცია ახალ საფუძველზე დაამყარა და შემადგენლობა შესცვალა. მაგრამ ჯარისთვის დიდი ფული იყო საჭირო, ხოლო სახელმწიფოს ფინანსიური მდგომარეობა ძლიერ შერყეული იყო. დიოკლეტიანემ სახელმწიფოს ყველა ნაწილს ერთგვარი გადასახადი დააკისრა. უპირატესობა ამ მხრივ არცერთ ნაწილს არ ჰქონდა. პირდაპირ გადასახადს საადგილმამულო გადასახადი, უადგილმამულოთათვის სულზე გადასახადი და პატენტის გადასახადი შეადგენდა, ხოლო არაპირდაპირ გადასახადს—სხვადასხვა გვარი ბაჟი. მთელი გადასახადი თითოეულს ქალაქზე ან თემზე იყო გაწერილი, და მისი აკრება და გადახდა თემისა და ქალაქის თვითმართველობის წევრთ ჰქონდათ დაკისრებული. თუ თანხა სრულად ვერ შეიკრიბებოდა, თვითმართველობის წევრნი მოვალენი იყვნენ, პასუხი თავისი ქონებით ეგოთ. ეს იყო მიზეზი, რომ ამ თვითმართველობას ყველა გაურბოდა. ამგვარ ფინანსიურ სისტემას შედეგად ერთი ფრიად მნიშვნელოვანი გარემოება მოჰყვა: რაკი მთელი ერთეული ერთად იხდიდა გადასახადს, ამიტომ რომში მოქალაქე ერთს განსაზღვრულ ადგილს მიეჯაჭვა და მას გადასახლების თავისუფლება წაერთვა. ეს განსაკუთრებით სოფელს ეხებოდა, სადაც გადმოსახლებულმა გერმანელებმა მცირე მეურნეობა მოაწყვეს და რომის გლეხობა ხელახლა გააცოცხლეს; ხოლო ეს ახალი გლეხობა, თუმცა პირადად თავისუფალი იყო, მაგრამ სხვის მიწაზე მუშაობდა, და რადგანაც გადასახადს იხდიდა, მემამულე მას ნებას არ აძლევდა, მისი ადგილიდან სხვა-

გან გადასახლებულიყო, ვინაიდან მაშინ გადასახადის დანაკლისი თვითონ უნდა შეევსო. ასე გაჩნდა ე. წ. **კოლონატი**, რომელიც საშუალო საუკუნეების ხანაში ყმობად გარდაიქცა. ასეთივე უძრავი ხასიათი მიეცა სახელოსნო ამქრებსაც.

305 წელს დიოკლეტიანემ და მაქსიმიანუსმა თავის ძალაუფლებაზე უარი განაცხადეს და ავგუსტუსებად მათი თანაშემწენი შეიქმნენ; ამათ თავის მხრივ ახალი კეისრები დანიშნეს. მაგრამ კოსტანციუს ქლორუსის შვილმა **კოსტანტინემ** თავისი მამის სიკვდილის შემდეგ, როგორც მისმა ბუნებრივმა მემკვიდრემ, იმპერატორობა მოისურვა. დიოკლეტიანეს მემკვიდრეობის წესის მიხედვით კი საიმპერატორო ტახტი კეისარს ეკუთვნოდა. აუცილებელი შეიქმნა ბრძოლა, რომელსაც საბოლოოდ უნდა გადაეწყვიტა საკითხი, რომელს მემკვიდრეობით წესს უნდა დარჩენოდა რომში გამარჯვება, ბუნებრივს, რომელსაც კონსტანტინე ეყრდნობოდა, თუ არაბუნებრივს, რომელიც დიოკლეტიანემ შემოიღო. ბრძოლა კოსტანტინეს გამარჯვებით დასრულდა; მაგრამ იგი იძულებული შეიქმნა, ჯერ ხნობით იმპერიის დასავლეთი ნაწილით დაკმაყოფილებულიყო, ხოლო აღმოსავლეთი ნაწილი მეორე იმპერატორისათვის, **ლიციინიუსისათვის** დაეთმო. ათი წლის განმავლობაში რომს ორი პატრონი ჰყავდა; მაგრამ კოსტანტინეს არ შეეძლო, ასეთ მდგომარეობას საბოლოოდ შერიგებოდა. 323 წელს იმპერატორთა შორის გადამწყვეტი ბრძოლა მოხდა, და სახელმწიფოს ერთადერთ ბატონპატრონად კოსტანტინე შეიქმნა.

კოსტანტინე დიდი (306—337). თავის შინაურ პოლიტიკაში ახალი იმპერატორი დიოკლეტიანეს გზას გაჰყვა და მისი პრინციპები განავითარა.

1 პრეფექტურების რიცხვი, რომელიც დიოკლეტიანეს დროს ორით განისაზღვრებოდა, მან ოთხამდის აიყვანა, და ამგვარად კიდევ უფრო განამტკიცა ის კავშირი, რომელიც პრეფექტურის სახით იმპერატორსა და აურაცხელ მოხელეობას შორის არსებობდა.

2. ბიუროკრატიულმა სისტემამ და სასახლის

ცერემონიალმა, რომელსაც საფუძველი დიოკლეტიანემ ჩაუყარა, კოსტანტინეს დროს თავისი დასრულებული სახე მიიღეს (ცნობილი **ბიძანტიური სისტემა**).

3. გვარდია კოსტანტინემ სრულიად მოსპო, ხოლო ჯარის ხშირი აჯანყების შესაძლებლობის აღსაკვეთად ლეგიონერები საზღვრებს მოაცილა და ქალაქებში დააბინავა; საზღვრებზე მხოლოდ მცირე ნაწილი დარჩა ჯარისა, რომელსაც აქ მიწები დაურიგდა და მათი დაცვა დაევალა. რომაელების ჯარი შემადგენლობის მხრივაც შეიცვალა: კოსტანტინეს დროს რომაელებს იშვიათად შეხვდებოდით სამხედრო სამსახურში, და ჯარის მთავარ ნაწილს ბარბაროსები შეადგენდენ. რომში ეხლა სამხედრო სამსახურმა პირველობა სამოქალაქოს დაუთმო.

4. რომის ორს განსხვავებულ ნაწილად გაყოფვა პირველად დიოკლეტიანეს დროს იქმნა ოფიციალურად ცნობილი. კოსტანტინემ ამ მხრივ კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა წინ: სატახტო ქალაქი რომიდან აღმოსავლეთს იქმნა გადატანილი: ბერძნების ახალშენი, **ბიძანტიონი**, რომელიც ბოსფორზე იყო გაშენებული და რომელსაც აზიასა და ევროპას შუა ცენტრალური ალაგი ეკავა, 331 წელს **კოსტანტინეპოლის** სახელით სატახტო ქალაქად გამოცხადდა. აქ მეორე სენატი იქმნა დაარსებული, მრავალი საუცხოო შენობა აიგო და პოლიტიკური და კულტურული ცხოვრება გაჩაღდა. კოსტანტინე ამ შემთხვევაში უმთავრესად ორი მოსაზრებით ხელმძღვანელობდა: პოლიტიკურით და სამხედრო მოსაზრებით: პოლიტიკურად რომი რესპუბლიკანურ ტრადიციებთან იყო დაკავშირებული, და აბსოლუტური მონარქისათვის ასეთი ტრადიციები არასოდეს არ ყოფილა სასიამოვნო. ამას გარდა, რომის სიშორე იმპერიის საზღვრებიდან, განსაკუთრებით აღმოსავლეთის საზღვრებიდან, სადაც ისეთი საშინელი მტერი მოქმედობდა, როგორიც პართები და გუთები (გერმან. ტომი) იყვნენ, სამხედრო მოსაზრებით ახალი ცენტრის შექმნას მოითხოვდა.

323 წლიდან იმპერიის საზღვრებზე საერთოდ მშვიდობიანობა მეფობდა. ხშირი იყო ოლონდ გერმანელ ტომებთან

შეტაკება. კოსტანტინე ამ ტომების მიმართ საგანგებო პოლიტიკის აწარმოებდა: ერთის მხრივ, საცხოვრებლად იმპერიის მიწაწყლის ნაწილებს უთმობდა, რათა იგინი რომის კულტურის ზეგავლენით გაერომაელებია, ხოლო მეორეს მხრივ, სამ- სამსახურში იღებდა: ხშირი იყო შემთხვევა, რომ ეს ესი სამხედრო თანამდებობანი გერმანელების ხელში იყვნენ. მაგრამ ასეთმა პოლიტიკამ საბედისწერო ნაყოფი გამოიღო: მის მაგივრად, რომ გერმანელები გაროომაელებულიყვნენ, პირიქით, რომის მიწაწყალი, ერთის მხრივ, და რომის ჯარი, მეორეს მხრივ, გერმანელებით აივსო და ასე თანდათანობით რომის მიწაწყალიცა და სამხედრო ძალაც გერმანელების ტერიტორიად და ჯარად გადაიქცენ. ეს-კი არსებითად რომის მოსპობას და მის ადგილზე გერმანელი ტომების სახელმწიფოს აღმოცენებას ჰნიშნავდა.

კოსტანტინე დიდის მოღვაწეობაში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა იმ გარემოებას აქვს, რომ მან ქრისტიანთა დევნა მოსპო და ქრისტეს სარწმუნოება უფლებრივად წარმართულს გაუთანასწორა.

ქრისტიანობის გავრცელება რომის იმპერიაში. ქრისტეს სარწმუნოებამ რომის მმართველ წრეებში იმთავითვე დიდი წინააღმდეგობა გამოიწვია. მაშინ როდესაც რომში სარწმუნოება და სახელმწიფო ისე მჭიდროდ იყვნენ გადახლართულნი, რომ იმპერატორის გალმერთება, განსაკუთრებით მის სიკვდილის შემდეგ, ჩვეულებრივ მოვლენად ითვლებოდა, ქრისტეს სარწმუნოება ამ ორ ცნებას ერთმანეთში არ ურევდა: „კეისარსა კეისრისა და ღვთისა ღმერთს“-ო, ამბობდა სახარება, და ამით ქრისტიანებსა და იმპერატორებს შორის გარდუვალი უფსკრული ითხრებოდა. ამას გარდა, მთელი მოძღვრება ქრისტიანობისა ძირიანად ეწინააღმდეგებოდა წარმართობას, რომელზეც აგებული იყო რომის სახელმწიფოს ძლიერება. ამასთანავე ქრისტეს სარწმუნოება ღარიბ-ღატაკთა და მონათა შორის ჰპოულობდა მიმდევრებს, და ამით საზოგადოების გაბატონებულ ჯგუფებში ზიზღსა და მტრობას

იწვევდა. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ პირველ ხანებში რომის მმართველ წრეებს ძალიან ბნელი წარმოდგენა ჰქონდათ ქრისტეს მოძღვრებაზე და ამის გამო ქრისტიანთა შესახებ სრულიად შეუსაბამო ხმებს ავრცელებდენ.

ქრისტიანების პირველი დევნა ნერონის დროს, დომიციანუსის დროს იგი საშინელი სისასტიკით განახორციელა. ანტონინუსების ხანაში არა ნაკლები სიმტკიცით ვითარდებოდა. დიოკლეტიანეს, როგორც აბსოლუტიზმის დამაარსებელს და რომის ძველი დიდების აღმადგენელს, არ შეეძლო ქრისტეს სარწმუნოების გავრცელებისათვის გულგრილად ეცქირა; ამიტომ მან სცადა, ამ სარწმუნოების გავრცელება სასტიკი ზომების დახმარებით მაინც შეეჩერებია. მაგრამ ყველა ამის მიუხედავად ქრისტიანობა მაინც ვრცელდებოდა: არა მარტო უბრალო ხალხში პოულობდა იგი მიმდევრებს, არამედ საზოგადოების უმაღლეს წრეებშიც შეიჭრა და აქ მრავალი მომხრე მოიპოვა. თვით დიოკლეტიანეს კეისარი, კოსტანციუს ქლორუსი უგულოდ ეკიდებოდა იმპერატორის ედიკტს ქრისტიანთა შევიწროების შესახებ. მისი მეუღლე, **ელენე** მხურვალე ქრისტიანი იყო, ხოლო მისი შვილი, **კოსტანტინე** იმთავითვე ქრისტიანების მოსარჩლედ გამოვიდა. იგი ნათლად ხედავდა, თუ რა ძლიერ ფესვებს იკიდებდა ხალხში ახალი სარწმუნოება; ხედავდა იმასაც, თუ რა დიდი გავლენა ჰქონდა უბრალო მორწმუნეებზე სამღვდელოებას, და ამიტომ მან გადასწყვიტა, თავისი ბატონობის და სახელმწიფოს მთლიანობის საფუძვლად ქრისტიანი სამღვდელოების გავლენა და ქრისტეს სარწმუნოების მიმდევრების პატივისცემა გამოეყენებია. კოსტანტინემ ჯერ კიდევ 213 წელს გამოსცა ცნობილი ედიკტი **მილანში**, რომლის ძალითაც რომში სრული სინდისის თავისუფლება შემოიღო: „სრულ თავისუფლებას ვანიჭებთ ქრისტიანებს და ყველას, რა სარწმუნოებაც სურთ, ის იწამონ“-ო, იყო ნათქვამი ედიკტში. ამგვარად, ქრისტიანთა დევნის ხანა დასრულდა და ახალი, თავისუფალი ხანა დაიწყო. 321 წელს კვირა დღეების უქმობის კანონი გამოიცა, და ამგვარად ქრისტიანობამ სახელმწიფოში უპი-

რატესი მდგომარეობა მოიპოვა. თვითონ კოსტანტინე ჯერ კიდევ არ მონათლულა: წარმართულ ტაძრებთან ერთად იგი ქრისტიანთათვისაც აგებდა სამლოცველოებსა და ტაძრებს, და ამ უკანასკნელთ იმავე უფლებებს ანიჭებდა, როგორითაც წარმართთა ტაძრები სარგებლობდენ: თავშესაფარის უფლება და **შეუვალობა** (იმუნიტეტი ე. ი. გადასახადთაგან განთავისუფლება) ქრისტიანების ტაძრებსაც მიეცათ.

რა იყო მიზეზი ქრისტიანობის ასეთი გამარჯვებისა?

1. რომის საზოგადოებაში, როგორც ვიცით, შრომის უნარი სრულიად დაიკარგა. მუდმივი მცონარეობა და უსაქმურობა განცხრომისა და სიამოვნების ძიებას მოითხოვდა, და რომაელებიც არაფერს არ ზოგავდენ ამ სიამოვნების მოსაპოებლად: მათი გასართობები და აღვირახსნილი გარყვნილება საარაკო იყო. მაგრამ ასეთი ცხოვრება მათ ხანგრძლივად ვერ დააკმაყოფილებდა. მართლაც, რომში ამქვეყნიური ცხოვრების უკმაყოფილება თანდათან იზრდებოდა, და სასოწარკვეთილი რომაელი ახალი ცხოვრების ძიებას იწყებდა. ასეთს ახალს სწორედ ქრისტეს სარწმუნოება იძლეოდა, რომელიც საამქვეყნო ცხოვრებას ზურგს უბრუნებდა და ადამიანს საიქიო მარადიული ცხოვრებისაკენ მიუთითებდა.

2. გარდა ამისა, ქრისტონიობა ღარიბ-ღატაკთა სარწმუნოება იყო ე. ი. სარწმუნოება საზოგადოების დიდი უმრავლესობისა, რომელსაც სააქაო ცხოვრების პირობები არაფერს საიმედოს არ უქადიდენ; ამ ხალხს ნუგეშისა და იმედის სიტყვები პირველად ქრისტეს მოძღვრებაში მოესმა.

3. აღსანიშნავია ისიც, რომ ქრისტეს სარწმუნოებას არსებითად მსოფლიო ხასიათი ჰქონდა. თუ წინედ არსებული რელიგიები ადგილობრივ საზღვრებს ვერ სცილდებოდენ, ქრისტემ თავის მოწაფეებს ახალი მოძღვრების მთელი დედამიწის ზურგზე გავრცელება დაავალა. რომის პოლიტიკური მდგომარეობა ქრისტიანობის მსოფლიო სარწმუნოებად გახდომას ძლიერ უწყობდა ხელს, ვინაიდან რომის საზღვრებში თითქმის

მთელი იმდროინდელი მსოფლიო იყო გაერთიანებული, და რომში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება მისს მთელი იმპერიის სარწმუნოებად აღიარებას ნიშნავდა.

4. რომის კანონმდებლობაში, რომელიც საერთოდ ქრისტიანთა წინააღმდეგ იბრძოდა, იყო ისეთი მხარეც, რომელიც შეძლებას აძლევდა ქრისტიანებს, სასტიკი დევნის მიუხედავად, თავისი მოღვაწეობა მაინც გაეძლიერებიათ. რომში, როგორც უკვე ვთქვით, რესპუბლიკის უკანასკნელი ხანიდან დაწყებული, სხვა და სხვა წრეები და ორგანიზაციები ჩაისახენ. იმპერატორებმა (მაგ. ავგუსტუსმა) ასეთი ორგანიზაციების მოწყობა აღკრძალეს, მაგრამ ეს აღკრძალვა სრულიად-არ ეხებოდა ისეთს ურთიერთ-დამხმარე საზოგადოებებს, როგორიც იყვნენ მაგალითად ეხლანდელი **სამარხი კასების** მსგავსი საზოგადოებები. რა თქმა უნდა, ასეთი ორგანიზაციის წევრთა უდიდესი უმრავლესობა ღარიბ-ღატაკთაგან, უბრალო მუშათაგან, ლიბერტინებისა და მონებისაგან შესდგებოდა. ქრისტეს მოძღვრება-კი სწორედ ასეთი ხალხის წრეში იკიდებდა ფეხს, და მალე ეს ორგანიზაციები ქრისტიანობის გავრცელების ბუდედ გარდაიქცენ. მათმა სასაფლაოებმა, ე. წ. **კატაკომბემბა** (აკლდამებმა), როგორც ცნობილია, პირველი საუკუნეების ქრისტიანთა ცხოვრებაში საკმაოდ დიდი როლი შეასრულეს.

კოსტანტინეს მემკვიდრენი. კოსტანტინე დიდი რომის იმპერიას თავის პირად საკუთრებად სთვლიდა და თავისი სიკვდილის წინ იგი თავის შვილებსა და დისწულებს შორის გაჰყო. იმპერიისათვის ეს, რასაკვირველია, დიდი უბედურება იყო: კოსტანტინემ ამით საკუთარი ხელით გაუთხარა საფლავი იმ დიდ საქმეს, რომელსაც მთელი თავისი ძალები შეალია; ძლივსძლივობით გაერთიანებული და დამშვიდებული იმპერია კვლავ დანაწილდა და ხელახლა ანარქიის სარბიელად გარდაიქცა. არ გასულა დიდი ხანი, რომ მემკვიდრეებს შორის უთანხმოებამ იჩინა თავი, და მალე სამოქალაქო ომებიც-კი დაიწყო. ეს შინაური განხეთქილება, რა თქმა უნდა, იმპერიის

კ ი ტ ი კ ო მ ბ ი (რომაელ ეპისკოპოსის სასაფლაო 3 საუკ.)

მტრებისათვის ძლიერ ხელსაყრელი აღმოჩნდა: აღმოსავლეთით ხელახლა და დიდის წარმატებით **სპარსელები** ამოძრავდენ, დასავლეთით-კი გერმანელი ტომების თარეშს წინ ვეღარაფერი ეღობებოდა: ერთ-ერთი გერმანელი ტომი, **გუთები** თვით იმპერიის საზღვრებშიც-კი იყვნენ დასახლებულნი. ამ ხნის განმავლობაში იმპერიის სრულ დაცემამდე რომში სულ მხოლოდ ორი მნიშვნელოვანი იმპერატორი მოღვაწეობდა. პირველი იყო **იულიანუსი** და მეორე—**თეოდოსიუსი.**

იულიანუს აპოსტატა (355—361). კოსტანტინეს მემკვიდრეთა საშინაო ომების დროს კოსტანტინეს ძმისწული, ექვსი წლის იულიანუსი სრულიად შემთხვევით გადაურჩა სიკვდილს. ოც წლამდე იგი საშინელ პირობებში ცხოვრობდა: იქვიანი იმპერატორი, რომელიც ქრისტეს სარწმუნოებას აღიარებდა, სდევნიდა მას და სტანჯავდა. იულიანუსს უკვე იმ ხანებში ჩაესახა უნდობლობა ქრისტიანობისადმი. ხრლო როდესაც ოცი წლის შეიქმნა და ძველის, კლასიკური მწერლობისა და ფილოსოფიის შესწავლას დაეწყო, მასში საბოლოოდ მომწიფდა აზრი, თითქოს ძველი წარმართობა ქრისტიანობაზე გაცილებით მაღლა იდგა. იგი დარწმუნებული იყო, რომ თუ წარმართობას მისთვის უცხო ელემენტებს ჩამოაშორებდენ, თუ სამღვდელოება თავის ბიწიერ ცხოვრებას თავს დაანებებდა და სახელმწიფოც მას დახმარებასა და მფარველობას გაუწევდა, ძველი წარმართობა კვლავ ფეხზე დადგებოდა და ქრისტეს სჯულს სძლევდა. ეს რწმენა იულიანუსმა შემდეგში, როდესაც იგი გამეფდა, თავისი პოლიტიკის საფუძვლად გამოიყენა.

სანამ იმპერატორად გახდებოდა, იულიანუსი გალიაში კეისრად იქმნა დანიშნული. აქ საშინელი არეულობა წარმოებდა, და გერმანელი ტომები რეინის აქეთ უშიშრად დათარეშობდენ. გამოუცდელმა იულიანუსმა, რომელსაც მანამდე ფილოსოფიისა და რელიგიის მეტი არაფერი აინტერესებდა, ერთბაშად ძლიერი ნებისყოფა და პირველხარისხოვანი სარდლის ნიჭი გამოიჩინა და მცირე ხნის განმავლობაში გალია სავსებით დააწყნარა. შურით აღვსილმა იმპერატორმა მას თავის ჯართან ერთად აღმოსავლეთში წასვლა უბრძანა, სადაც სპარსელების დაწყნარება იყო საჭირო, მაგრამ ჯარმა იგი იმპერატორად გამოაცხადი, და იულიანუსიც სისხლის დაუღვრელად კოსტანტინეპოლში შევიდა.

მთელი თავისი ძალა ახალმა იმპერატორმა წარმართობის

აღდგენას შესწირა: ოფიციალურ კულტად აღმოსავლეთის ღმერთის, **მიტრას** კულტი გამოაცხადა, ტაძრები გააღებინა და სხვერპლის შეწირვა განაახლებია. ქრისტიანების წინააღმდეგ საერთოდ მკაცრი ზომების მიღება მას საჭიროდ არ მიაჩნდა: იგი დარწმუნებული იყო, რომ წარმართობის ცხადი უარყოფესობა თავისთავად მოსპობდა ქრისტეს მოძღვრებას გაკლენას. მაგრამ იგი ცდებოდა: ქრისტეს სარწმუნოება მ[illegible] დროსაც სწრაფი ნაბიჯით ვრცელდებოდა. ქრისტიანებმა [illegible] ასეთი სარწმუნოებრივი პოლიტიკისათვის აპოსტატა უწოდე[illegible]

საგარეო საქმეთა შორის უპირველესი მნიშვნელობა სპა[illegible]სელების დაწყნარების საკითხს ჰქონდა. იულიანუსმა [illegible] გაილაშქრა მათ წინააღმდეგ, სძლია მათ რამდენიჯერმე, მაგრამ ერთ-ერთი ბრძოლის დროს თვითონ იქმნა დაჭრილი, და 363 წ. მეფე-ფილოსოფოსი გარდაიცვალა.

თეოდოსიუს დიდი. იულიანუსს მემკვიდრედ არავინ დაუტოვებია. ამიტომ 363 წლიდან იმპერიაში ხელახლა არეულობა დაიწყო. გარეშე მტრები განსაკუთრებული ძალით მოაწვენ საზღვრებს და რომის იმპერიას მოსვენებას არ აძლევდენ. თვით იმპერიას ხელახლა ორი იმპერატორი გაუჩნდა: ერთი აღმოსავლეთს განაგებდა და მეორე—დასავლეთს.

აღსანიშნავია, რომ 375 წელს, **ჰუნების** შემოსევის გამო, იმპერიას აღმოსავლეთით გერმანელი ტომი, **ვესტგუთები** მოაწვენ, რომელნიც მანამდე დაკიაში ბინადრობდენ. მაშინდელი აღმოსავლეთის იმპერატორი (ვალენი) იძულებული შეიქმნა, ამ ხალხისათვის საცხოვრებელ ადგილად თრაკია დაეთმო. მაგრამ ვესტგუთები მალე აჯანყდენ და 378 წელს **ადრიანეპოლთან** იმპერატორის ჯარი დაამარცხეს, ხოლო თვით იმპერატორი მოჰკლეს. ამის შემდეგ აღმოსავლეთის იმპერატორად ბრიტანიის ომებში სახელგანთქმული ისპანელი, **თეოდოსიუსი** იქმნა დანიშნული, რომელმაც ვესტგუთები დაწყნარა, შემდეგ დასავლეთის იმპერატორი ტახტიდან ჩამოაგდო და ამგვარად რომის იმპერია ხელახლა გააერთიანა.

მაგრამ იმპერია არსებითად ორს ნაწილად იყო გაყოფილი, რომელთაც საერთო ერთმანეთს შორის [illegible]ოთლიც არაფერი ჰქონდათ: დასავლეთი როგორც კულტურულად, ისე ეკონომიურადაც განსხვავდებოდა, აღმოსავლეთისაგან, და ეს განსხვავება ისე შორს მიდიოდა, რომ მათ სარწმუნოების მხრივაც უთანხმოება ჰქონდათ: დასავლეთში არიელო-

ბა იყო გავრცელებული, ხოლო აღმოსავლეთში მართლმადიდებლობა. ასეთ პირობებში რომის იმპერიის მთლიანობის ღ ცვა შეუძლებელი იყო, და როდესაც თეოდოსიუსი გარდაიცვალა, ეს მთლიანობაც საბოლოოდ დაირღვა.

თეოდოსიუსმა თავისი სახელმწიფო ორს თავის შვილს დაუტოვა: **არკადიუსს**—აღმოსავლეთი ⁄ **ჰონორიუსს**—დასავლეთი. თ ოდოსიუსს, რა თქმა უნდა, სახელმწიფოს დანაწილება არ ჰქონ. აზრად: მან მხოლოდ ძველი წესი განაახლა, რომელიც პირველად დიოკლეტიანემ შემოიღო; ორივე იმპერატორს სახელმწიფო თანხმობით უნდა ემართათ და მისი მთლიანობა დაეცოთ. მაგრამ ფაქტიურად, როგორც ვიცით, იმპერია უკვე ორს დამოუკიდებელ ნაწილად იყო გაყოფილი, და მისი პოლიტიკური მთლიანობის დაცვა რომელსამე ძლიერ პიროვნებას თუ შეეძლო, ისიც დროებით. მეხუთე საუკუნეში-კი ასეთი ძლიერი პიროვნება რომის საიმპერატორო ტახტს არც ერთხელ არ ჰყოლია. ეს იყო მიზეზი, რომ თეოდოსიუსის შემდეგ აღმოსავლეთი და დასავლეთი ნაწილი იმპერიისა პოლიტიკურად აღარ შეერთებულან. ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ რომის იმპერიის ორს პოლიტიკურად დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გაყოფვა თეოდოსიუსის გარდაცვალების წელს (395) მოხდა.

ხალხთა გადასახლების შედეგები, რომელიც აღმოსავლეთში დაიწყო, განსაკუთრებით დასავლეთის იმპერიამ იგრძნო. აქაური მიწაწყალი, აქაური ჯარი, აქაური მოხელეობა თითქმის სავსებით თანდათანობით გერმანელი ბარბაროსების ხელში გადავიდა, თუმცა სახელმწიფო მაინც რომაულად ითვლებოდა და იმპერატორები რომის იმპერატორებად იწოდებოდენ. არსებითად კი სახელმწიფოს ერთადერთს მნიშვნელოვან ძალას ბარბაროსები შეადგენდენ, და, მაშასადამე, რომის სახელწოდების მეტი აღარაფერი იყო დარჩენილი. ასეთი შეუფერებელი მდგომარეობა დიდხანს ვერ გაგრძელდებოდა და, როდესაც 476 წელს რომის იმპერატორი, **რომულუს ავგუსტულუსი** გერმანელი ტომის, გერულების მეთაურმა, **ოდოაკრმა** ტახტიდან ჩამოაგდო, მაშინ საბოლოო ოფიციალური გამოხატულება მიეცა მას, რაც ფაქტიურად უკვე დიდი ხანია მომხდარი იყო. ამიერიდან დასავლეთი რომის იმპერია აღარ არსებობდა.

უმთავრეს კორექტურულ შეცდომათა გასწორება

(ეს შეცდომები წიგნის კითხვის დაწყებამდე უნდა შესწორდეს)

გვ.	ხტრიქ.	დაბეჭდილია:	უნდა იყოს:
15	10	რომელთანაც	რომლებთანაც
34	1	პორსენმა	პორსენამ
34	5	რომელიმე მათგანი სისრულეში ვერ მოიყვანოს	ერთ-ერთი მაინც სისრულეში ვერ მოიყვანოს
34	29	ბანაკი და ჯარი	ბანაკი, და ჯარი
36	63	უდრო	უფრო
36	21	**პოს**	**პადუსის**
36	29	**კაპიტოლიმ**	**კაპიტოლიუმმა**
37	23	auffragio	suffragio
40	19	**ჰერაკლესთან**	**ჰერაკლეასთან**
41	30	მაგრამ ათი წლის შემდეგ	მაგრამ არ გასულა ათი წელი, რომ
42	1	უკანასკნელის	ოკანასკნელს
44	6	თობაში და,	თობაში, რაც
44	16	კლტურულ	კულტურულ
45	21	**კურატკომიციებში**	**კურიატკომიციებში**
45	28	კურატკომიციები	კურიატკომიციები
46	12	კამიციების	კომიციების
47	3	რიაკომიციებში	რიატკომიციებში
48	21	მოვალეობა	დავალება
51	3	მაგისტრტთა	მაგისტრატთა
52	21	**მომ**	**მო-**
53	22	**პლებს**	**პლებსს**
56	1	pullcus	publicus
58	17	(264—21)	(264—41)
64	7	ამავე დროს	ამასთანავე
65	6	**წელს კალსულების**	**წლის კონსულების**
66	25	მისთვის ზავი	ზავი
70	9	პრედენტებს	პრეტედენტებს
73	24	ისე მოხდა	ასე მოხდა
73	29	შემთხვეა	შემთხვე-
73	30	პარტიი	პარტია
75	9	gublicus	publicus
78	2	კრაკი	გრაკი
81	13	მიწამფლობელთა	მიწათმფლობელთა
82	2	ყოფილიყო განაწილებული	ყოფილიყვნენ გინაწილებულნი
82	11	წოდების მხრივ	წოდების მხრივაც
82	30	გებმა	გეებმა
83	1	რომის მოქალაქეთათვის	რომის სხვა მოქალაქეთათვის

83	26	მთელი თავისი ხასიათი	თავის ხასიათი
89	29	ომის, წარმოება	ომის წარმოება
90	14	(აკვასეკტასთან)	(აკვასექსტასთან)
92	9	მიტრადატ	მითრადატ
95	3-4-5	არაჩვეულებრივი ვაჟ-კაცობა და ჭკუა მას დიდ მომავალს უქადიდა. მაგრამ	ეს სრულიად ამოიშალოს
96	3	ერთი-ერთი	ერთ-ერთი
97	5	**იყენენ**	იყვნენ
98	18	გარების მოყვარების მსხვერპლად	გარების სხვერპლად
99	8	მეორე ალბანიის	მეორე, ალბანიის
102	10	მომპეიუსს	პომპეიუსს
103	5	მომპეიუ ი	პომპეიუსი
103	21	პომპეიუსმა	პომპეიუსმა
106	1	**დრიუდები**	**დრუიდები**
106	2	მთელი გალიის	იგინი მთელი გალიი
106	3	დრუიდები საერთო	საერთო
109	3	**პტოლომეოსის**	პტოლომეოსის
111	17	(ე. წ ანონა	(ე. წ. ანონა
112	15	აგრძელებდენ	ადიდებდენ
112	29	დამტკიცებულ	დამამტკიცებელ
133	8	მოგზაურობას, და	მოგზაურობასა და
135	1	არაფერი	არავითარი
135	9	ყოველს კანონსა	ყოველს სხვა კანონსა
135	32	ისეთი მცირე	მცირე
138	25	სეიანუს,	სეიანუსი
139	11	ფრეფექტი	პრეფექტი
139	27	გერმანულ	გერმანელ
144	5	მოაწყო	მოეწყო

სარჩევი:

წინასიტყვაობა 1
I. ძველი იტალია, მისი მოსახლეობადა სარწმუნოება . . 6
II. მეფეების ხანა 13
რომის დაარსება 14
რომულუსის მართვა-გამგეობა 14
ნუმა პომპილიუსი . . . 16
სერვიუს ტულიუსი . . . 17
ტარქვინიუს ამაყი . . . 18
უძველესი რომის წესწყობილება 18
III. **რომი რესპუბლიკა** . . . 22
სახელმწ. წესწყობილება . . 22
წოდებათა ურთიერთ შორის დამოკიდებულება . . 24
პლებეების უფლებათა გაფართოება. 26
დეცემვირატი 28
საგარეო პოლიტიკა 31
ა. თავდაცვითი ომების ხანა 32
ბ. შეტევითი ომების ხანა. იტალიის გაერთიანება . . . 35
იტალიის მართვაგამგეობის მოწესრიგება 42
იტალიის გაერთიან. შედეგები 43
დემოკ. წესწყობილება რომში 45
ა. კომიციები 45
ბ. მაგისტრატურა 48
გ. სენატი 50
დ. სასამართლო 52
ე. სამხედრო ორგანიზაცია . 53
IV. **მსოფლიო ბატონობის მოპოება** 56
კართაგენი 56
პუნიური ომები 58
მაკედონია და საბერძნეთი . 67
V. **რევოლიუციის ხანა** . . . 70
შინაგანი ცხოვრების პირობათა შეცვლა მსოფლიო ბატონ. გამო 70
გრაკხები 77
უკიდურესი დემოკრ. პარტია 80
მოკავშირეთა ომი 83
ოპტიმატები. სულა 84
ცინა. მარიუსი 85
სულას დიკტატურა 86
საგარეო ომები 88
ომები დასავლეთით . . . 88
კიმბრები და ტევტონები . 89
აღმოსავლეთის ომები . . . 91
პირველი ტრიუმვირატის ხანა 94
პომპეიუსი 94
კატილინას შეთქმულება 101
კეისრის მოღვაწეობა . . 102
მეორე ტრიუმვირატის ხანა 116
ოკტავიანი 11
მეორე ტრიუმვირატი . . 11
ოკტავიანის გაბატონება . 118
VI. **იმპერატორების ხანა**
A. **რომის იმპერია 285 წ. ქ.შ.** 120
ოკტავიუსი 120
რომის საზოგად. ტ ზნეჩვ. . 126
ხელოვნება, ლიტერატურა, ფილოსოფია 131
ტიბერიუსი 137
კალიგულა, კლავდიუსი, ნერონი 140
ფლავიუსები 144
ლეგიონთა ბატონობა . . 144
ვესპასიანუსი 144
ტიტუსი 145
დომიციანუსი 147
ანტონიუსები 147
ნერვა 147
ტრაიანუსი 147
ჰადრიანუსი 150
ანტ. პიუს და მარკუს ავრელიუს 153
კომოდუს 155
ჯარის ბატონობა და ანარქია 156
B. **აბსოლუტიზმი და ქრისტ.** 158
დიოკლეტიანე და ტეტრარქია 158

კონსტანტინე დიდი . . . 165
ქრისტიანობის გავრცელება და
მისი მიზეზები . . . 165
კოსტანტინეს მემკვიდრენი . 168
ილიანუს აპოსტატა . . . 170
თეოდოსიოს დიდი . . . 171
კორეკტურულ შეცდომათა გასწორება 173
სარჩევი 175

8 ლ.
8109/1